

ტესტირება
ენის
მასწავლებლებისთვის

მეორე გამოცემა

არტურ ჰაგისი



კემბრიჯის
ენის მასწავლებელთა
ბიბლიოთეკა

CAMBRIDGE
UNIVERSITY PRESS

www.cambridge.org/9780521878223



წიგნი ითარგმნა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ“ Tempus-ის (ევროკომისია) საერთაშორისო პროექტის „მულტილინგუურ მასწავლებელთა მომზადების პროგრამების შექმნა და დანერგვა საქართველოსა და უკრაინის უნივერსიტეტებში“ ფარგლებში.

პროექტის ნომერი: 530360-TEMPUS-1-2012-1-GE-TEMPUS-JPCR



Co-funded by the
Tempus Programme
of the European Union

პროექტის კოორდინატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



კონსორციუმის წევრები: გოეთეს ფრანკფურტის უნივერსიტეტი (გერმანია);
ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია); ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიტვა);
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო); სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო); „სამოქალაქო ინტეგრაციისა და
ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (საქართველო), ოლეს
ჰონჩარის სახ. დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი (უკრაინა);
ლვოვის ივან ფრანკოს სახ. ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა).

მთარგმნელი: გიული შაბაშვილი

*ყველა საავტორო უფლება დაცულია. გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია ამ
გამოცემის ნებისმიერი ნაწილის კოპირება, შენახვა საძიებო სისტემაში, გადაგზავნა ნებისმიერი
ფორმით ან საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული, მექანიკური, ფოტოასლი, ჩანაწერი თუ სხვა.*

ქართული თარგმანის საავტორო უფლებას ფლობს:

© სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი;

რედაქტორი კახა გაბუნია.

მისამართი: ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა № 8/90; ვებგვერდი: www.cciir.ge

ტესტირება ენის მასწავლებლებისთვის

მეორე გამოცემა

არტურ ჰუგესი

Cambridge university press

1. სწავლება და ტესტირება

ენის ბევრი მასწავლებელი უნდობლობითაა გამსჭვალული ტესტებისა და შემმოწმებლების მიმართ. მოცემული წიგნის ამოსავალი წერტილი არის იმ აზრის აღიარება, რომ აღნიშნული უნდობლობა ხშირად საფუძვლიანია. შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ენის ტესტების უმეტესობა დაბალი ხარისხისაა. ძალიან ხშირად ენის ტესტები სავალალო გავლენას ახდენს სწავლების თუ სწავლის პროცესზე და სათანადოდ ვერ ამოწმებს იმას, რის შესამოწმებლადაცაა იგი გამიზნული.

შემზადდელი უკუგების ეფექტი

სწავლებისა და სწავლის პროცესის ტესტირების ეფექტი ცნობილია, როგორც *შემზადდელი უკუგების ეფექტი* და ის შეიძლება იყოს როგორც სავალალო, ისე წამახალისებელი. თუ ტესტი არის მნიშვნელოვანი და მისი წილი მაღალი, ამ შემთხვევაში ტესტისთვის მომზადება მთლიანად შეიძლება მოიცავდეს სწავლებისა და სწავლის აქტივობებს. თუ ტესტის შინაარსი და ტესტირების ტექნიკა ეწინააღმდეგება კურსის მიზნებს, შეიძლება საქმე გვქონდეს ე. წ. *სავალალო უკუგების ეფექტთან*. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი სიტუაცია: სტუდენტები გადიან ინგლისური ენის კურსს, რომელიც გულისხმობს ინგლისურენოვანი ქვეყნის უნივერსიტეტში სწავლისათვის საჭირო ენობრივი უნარების სწავლებას (წერითი ასპექტის ჩათვლით), მაგრამ ენის ტესტი, რომელიც მათ უნდა გაიარონ, რათა მიიღონ მათთვის სასურველ უნივერსიტეტში სწავლის უფლება, სულაც არ ამოწმებს აღნიშნულ უნარებს. მაგალითად, თუ წერის უნარი მოწმდება მხოლოდ დახურული ტესტის მეშვეობით, მაშინ სტუდენტები საკუთრივ წერითი უნარების გამომუშავების ნაცვლად ძირითადად შეასრულებენ ანალოგიურ დავალებებს. ეს კი ნამდვილად არასასურველია.

ჩვენ განვიხილეთ სავალალო უკუშედეგის მაგალითი. თუმცა, უკუშედეგი შეიძლება იყოს პოზიტიურიც და წამახალისებელიც. ერთხელ მე ვმონაწილეობდი არაინგლისურენოვანი ქვეყნის ინგლისურენოვანი უნივერსიტეტის ინგლისური ენის ტესტის შექმნაში. ტესტს უნდა განესაზღვრა, თუ ვინ გახდებოდა სტუდენტი და დაიშვებოდა სასწავლო კურსებზე (ინგლისურენოვან კურსებზე) ან ვინ დატოვებდა უნივერსიტეტს ინგლისური ენის ინტენსიური კურსის გავლის შემდეგ. ტესტი შემუშავდა პირველი კურსის სტუდენტებისათვის ინგლისური ენის საჭიროების გათვალისწინებით. ტესტი მოიცავდა დამწყებ საფეხურზე საჭირო აქტივობებს (სახელმძღვანელოს მასალების წაკითხვა, ლექციების დროს ჩანაწერების გაკეთება და ა. შ.).

ტესტის შესავალს, განსაკუთრებით იმ ნაწილს, რომელიც მთლიანად შედგებოდა დახურული პასუხებისაგან, ჰქონდა მყისიერი ეფექტი სწავლების პროცესში: შეიცვალა

სილაბუსი, შეირჩა ახალი სახელმძღვანელოები, განსხვავებული ფორმით ჩატარდა მეცადინეობებიც. ამ ცვლილებების შედეგი ის იყო, რომ სასწავლო წლის ბოლოს, შეზღუდული რესურსებისა და გაზრდილი რაოდენობის პირობებში, სტუდენტებმა ინგლისურ ენაში მიაღწიეს საუკეთესო მაჩვენებელს უნივერსიტეტის ისტორიაში. სწორედ ეს იყო **დადებითი უკუგების ეფექტი**.

როგორც დეივისმა ერთხელ აღნიშნა, „კარგი ტესტი არის მორჩილი მსახური, რადგან იგი მიყვება და ამოწმებს სწავლების პროცესს.“ მე მიჭირს დავეთანხმო ამ მოსაზრებას და, სავარაუდოდ, დღეს დევისიც ამას იზამდა... სწავლებისა და ტესტირების სათანადო შეკავშირება, რა თქმა უნდა, თანამშრომლობის ფორმას ატარებს. რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც სასწავლო პროგრამა თავიდანვე კარგად არის შედგენილი, მაგრამ ტესტირება არ არის სათანადოდ გათვლილი, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უარყოფით, სავალალო უკუგების ეფექტთან. სავარაუდოდ, სწორედ ამ ვითარებამ უბიძგა დევისს, 1968 წელს შემოესაზღვრა ტესტირების როლი და ჩაერთო იგი სწავლების პროცესში. მაგრამ ასეთივე ალბათობით შეიძლება შეგვხვდეს შემთხვევები, როდესაც სწავლების პროცესი არის არასათანადო ან მიუღებელი და როდესაც ტესტირებამ შეიძლება გამოავლინოს დადებითი უკუგების ეფექტი. არ შეიძლება მოვითხოვოთ ტესტირებისგან, ფეხდაფეხ მიჰყვეს სწავლების პროცესს. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, რომ ის იყოს კარგად წარმართული სწავლების პროცესის დამხმარე ინსტრუმენტი, რომელიც აუცილებლად წარმოაჩენს დადებით გავლენას სუსტად აგებულ სწავლების პროცესზე. ტესტირებას რომ ყოველთვის კარგი უკუგების ეფექტი ჰქონდეს სწავლებაზე, მას მასწავლებლებს შორის უკეთესი რეპუტაცია ექნებოდა. წინამდებარე წიგნის მეექვსე თავი მთლიანად ეძღვნება საკითხს, თუ როგორ შეიძლება მივაღწიოთ წარმატებული უკუგების ეფექტს.

დაბოლოს, მოცემულ თავში დავძენთ, რომ უკუგების ეფექტს განვიხილავთ, როგორც უფრო ზოგადი მოვლენის, შეფასების ზემოქმედების, შემადგენელ ნაწილს. ტერმინი „ზემოქმედება“, როდესაც იგი გამოიყენება განათლებაში შეფასების ინსტრუმენტად, არ შეიზღუდება მხოლოდ სწავლისა და სწავლების დროს შეფასების ეფექტით. იგი მოიცავს შეფასების ეფექტს, რომელიც გავლენას ახდენს მთლიანად საზოგადოებაზე და განიხილება ენის ტესტირების ეთიკურ კონტექსტში (იხ. შემდგომ).

არაზუსტი ტესტი

მეორე მიზეზი, რის გამოც შეიძლება არ ვენდოთ ტესტებს, ისაა, რომ ტესტი ზუსტად არ აფასებს იმას, რის შესაფასებლადაცაა გამიზნული. მასწავლებლებმა იციან ეს. სტუდენტების ნამდვილი შესაძლებლობები ყოველთვის არ აისახება ტესტის წერის შედეგად მიღებულ ქულებში. გარკვეულწილად, ეს გარდაუვალია. ენობრივი შესაძლებლობები არ არის იოლად გასაზომი. ენის ტესტებში არ იქნება ისეთი სიზუსტე, როგორიც გამოიყენება ფიზიკაში. მაგრამ ჩვენ შეიძლება გვქონდეს უფრო მეტი სიზუსტის მოლოდინი, ვიდრე აქამდე არსებულ ტესტებში გვხვდება.

რატომ არის ტესტი არაზუსტი? უზუსტობების მიზეზები (და მათი მინიმუმამდე დაყვანის შედეგები) განსაზღვრული და განხილულია ქვეთავებში, მაგრამ მოკლე პასუხს აქაც გავცემთ ამ შეკითხვას. უზუსტობის ორი ძირითადი წყარო არსებობს. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტესტის შინაარსსა და ტექნიკასთან. რომ დავუბრუნდეთ ძველ მაგალითს, თუ გვინდა გავიგოთ, რამდენად კარგად წერს ვინმე, არ არსებობს აბსოლუტურად ზუსტი ხერხი წერითი უნარების შესაფასებლად დახურული შეკითხვების მეშვეობით. პროფესიონალი შემმოწმებლები ხარჯავენ დიდ ძალასა და ფულს ამის მისაღწევად, მაგრამ ვერასდროს აღწევენ წარმატებას. ჩვენ შეიძლება მივიღოთ მიახლოებითი საზომი, მაგრამ სულ ეს იქნება ჩვენი შედეგი. როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ტესტირება, ათიათასობით თხზულების შეფასება შეიძლება არ იყოს პრაქტიკული შეთავაზება, ნათელია, რომ მოსალოდნელი სიზუსტე ეწირება ეკონომიკასა და კომფორტს, მოხერხებულობას. მაგრამ ამ შემთხვევაში ტესტირებას უტყდება სახელი და ეს წარმოადგენს ცუდ მაგალითს სხვებისთვის.

როდესაც რამდენიმე მასწავლებელს სურს მიჰყვეს ამ კონკრეტულ მაგალითს წერითი უნარების შემოწმების მიზნით, დახურულკითხვებიანი ფართომასშტაბიანი ტესტირების დამანგრეველი პრაქტიკა არის იმიტაცია ვითარებისა, რომელშიც პედაგოგი იყენებს კონკრეტული ვითარებისათვის მიუღებელ საშუალებებს. უფრო მეტიც, ამგვარი იმიტაცია ქმნის ძალიან დაბალ სტანდარტს. ცნობილია, რომ კარგი დახურულკითხვებიანი ტესტი ძალიან ძნელი დასაწერია. დროისა და ძალის უმეტესი ნაწილი იხარჯება მათ შექმნაში. ასეთი ტესტები იქმნება სათანადო ყურადღებისა და დაკვირვების გარეშე. შედეგად ვიღებთ სუსტ ტესტებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ცოდნის ზუსტ შეფასებას. წინამდებარე წიგნის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა არასათანადო ტექნიკის გამოყენების შეზღუდვა და იმის ჩვენება, რომ მასწავლებლის მიერ შექმნილი ტესტი გარაკვეულ შემთხვევაში შეიძლება სჯობდეს პროფესიონალების მიერ შედგენილ ვერსიას.

უზუსტობის მეორე წყაროს წარმოადგენს საიმედოობის ნაკლებობა. ეს არის ტექნიკური ტერმინი, რომელიც განმარტებულია მეხუთე თავში. აქ კი საკმარისია ითქვას, რომ ტესტი საიმედოა, თუ ის ზომავს/აფასებს ცოდნას თანმიმდევრულად. საიმედო ტესტის შემთხვევაში, შეიძლება დარწმუნებულები ვიყოთ იმაში, რომ სხვა მონაწილე მიიღებს მეტ-ნაკლებად იმავე ქულას, განურჩევლად იმისა, თუ როდის გაიარა ტესტირება - იმავე დღეს თუ სხვა დროს. არასანდოობას აქვს ორი საფუძველი: პირველი არის ინტერაქცია ტესტის დამწერსა და საკუთრივ ტესტის მახასიათებლებს შორის. ადამიანები არ არიან მანქანები, ამდენად, ჩვენ არ არ უნდა ველოდოთ ორი სხვადასხვა ადამიანისაგან ზუსტად ერთსა და იმავე პასუხს ნებისმიერი ტესტის შევსებისას. შედეგად, ჩვენ უნდა ველოდოთ ქულების სხვადასხვა ვარიაციას იმის მიხედვით, თუ როდის იქნა შევსებული ტესტი, რა განწყობა ჰქონდა ჩამბარებელს იმ დროს, როგორ ეძინა მას წინა ღამეს. თუმცა, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იმის უზრუნველყოფა, რომ ტესტი თავისთავად არ გაზრდის ამის ალბათობას არაზუსტი მითითებებისა და გაუგებარი შეკითხვების მეშვეობით. თუ ჩვენ მინიმუმამდე არ დავიყვანთ ამ ალბათობას, ვერ ვიქნებით დარწმუნებულები იმაში რომ მონაწილეები იღებენ სათანადო ქულებს.

არასაიმედოობის მეორე წყარო უნდა ვეძიოთ ტესტის შეფასებაში, ქულებში. შეფასება შეიძლება იყოს არასაიმედო იმ მხრივ, რომ სტუდენტებმა შეიძლება მიიღონ მნიშვნელოვნად განსხვავებული ქულები. მაგალითად, ერთი და იგივე თხზულება სხვადასხვა გამსწორებლის მიერ შეიძლება განსხვავებულად შეფასდეს (ან თუნდაც იმავე გამსწორებლის მიერ სხვადასხვა ვითარებაში). საბედნიეროდ, არსებობს ქულათა ამგვარი განსხვავების შემცირების საშუალებები. ტესტირების ყველაზე დიდი ორგანიზაციები (მაგრამ არა ყველა), თავის მხრივ, დიდ სიფრთხილეს იჩინებენ ტესტების შედგენისას და საიმედოდ აფასებენ მათ, რის შედეგადაც ზოგადად დიდ წარმატებას აღწევენ ამ თვალსაზრისით. მცირე ტესტირების დროს კი ნაკლები საიმედოობა იჩენს თავს. შესაბამისად, ნაშრომის კიდევ ერთი ამოცანაა იმის ჩვენება, თუ როგორ მიიღწევა სანდოობა ტესტირების პროცესში. შესაბამისი რჩევები წარმოდგენილი იქნება მეხუთე თავში.

ტესტების საჭიროება

აქამდე მოცემული თავი ეხებოდა იმის გააზრებას, თუ რატომ არის ტესტები ასეთი არასანდო ენების მასწავლებელთა უმეტესობისათვის და როგორ შეიძლება ამის გამართლება. ერთი რამ შეიძლება დავასკვნათ, რომ ტესტის გარეშე უკეთესი იქნებოდა. სწავლება არის მთავარი აქტივობა, ხოლო თუ ტესტირება წინააღმდეგობაში მოდის ამ პროცესთან, მაშინ ის უნდა ამოვიღოთ, მით უმეტეს, გავრცელებული მოსაზრების ფონზე, რომ ტესტირება შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას. თუმცა, ადამიანთა ენობრივი უნარების შესახებ ინფორმაცია ხშირად ძალიან სასარგებლოა და ხანდახან საჭიროც. მაგალითად, რთულია იმის წარმოდგენა, თუ როგორ მიიღებენ ამერიკული და ბრიტანული უნივერსიტეტები უცხოელ სტუდენტებს ინგლისური ენის კარგი ცოდნის გარეშე. იგივე შეიძლება ითქვას იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ქირაობენ თარჯიმნებს ან მთარგმნელებს. მათ ნამდვილად სჭირდებათ ენის ცოდნის საიმედო საზომი. სასწავლო პროცესშიც კი, როდესაც საჭირო ხდება სტუდენტის მიღწევების შეფასება მეორე ან უცხო ენაში, ამა თუ იმ სახის ტესტი აუცილებელი ხდება. ტესტის საჭიროება დგება ასევე შემსწავლელთა ჯგუფის მიღწევების შეფასების უზრუნველსაყოფად, რის გარეშეც, ფაქტობრივად, შეუძლებელია რაციონალური საგანმანათლებლო გადაწყვეტილების მიღება. სანამ მასწავლებლისთვის სტუდენტების შეფასება არის როგორც მისაღები, ისე აუცილებელი, ზემოაღნიშნული არ იქნება სიმართლე. მოსალოდნელი გადახრის მხედველობაში მიღების გარეშეც კი ჩვენ უნდა შეგვეძლოს ზოგადი კრიტერიუმების შემუშავება, რომლებსაც მოიცავს ტესტი, რათა შევძლოთ დასაბუთებული შედარების გაკეთება.

ტესტირება და შეფასება

ნაშრომში ყურადღება მეტ-ნაკლებად გამახვილებულია ფორმალურ ტესტირებაზე. თუმცა, რა თქმა უნდა, ტესტირება არ არის ერთადერთი საშუალება, რომლითაც ხდება

ადამიანის ენობრივი უნარების თავმოყრა. ეს არის შეფასების მხოლოდ ერთ ფორმა და ხშირად სხვა მეთოდები უფრო მისაღებია. უპრიანია, აქვე დავაზუსტოთ განსხვავება **ფორმატულ** და **შემაჯამებელ** შეფასებებს შორის. შეფასება ფორმატულია, როდესაც მასწავლებელი იყენებს მას სტუდენტების პროგრესის შესაფასებლად, იმის დასადგენად, თუ როგორ გაიწაფნენ ენაში, კიდევ რა უნდა შეისწავლონ. მიღებული შედეგების გაანალიზების შედეგად კი მასწავლებელი გარდაქმნის ან აზუსტებს მომავალ სასწავლო გეგმას. ამგვარი შეფასება შეიძლება იყოს ასევე საფუძველი სტუდენტების უკუკავშირის მისაღებად. არაფორმალური ტესტები ან ქვიზები შეიძლება გახდეს ფორმატული შეფასების ნაწილი, მაგრამ, ამავე დროს, მათი მეშვეობით შეიძლება უბრალოდ დაკვირვების წარმოება (მაგალითად, სწავლის ამოცანების წარმოდგენა) და მუშაობის პროცესში სტუდენტების მიერ შექმნილი პორტფოლიოს შესწავლა. სტუდენტები ასევე შეიძლება წავახალისოთ, რათა განახორციელონ თვითშეფასება თავიანთი პროგრესის შესამოწმებლად და საკუთარი სწავლის ამოცანების გარდასაქმნელად.

შემაჯამებელი შეფასება გამოიყენება, ასე ვთქვათ, სემესტრის, სასწავლო წლის ბოლოს, როგორც ჯგუფის, ისე ინდივიდების მიღწევების გასაზომად. ფორმალური ტესტები, როგორც უკვე ნაჩვენები იყო, სწორედ ამ მიზნით გამოიყენება. თუმცა, ამგვარი ტესტების შედეგები არ უნდა განიხილებოდეს იზოლირებულად. მიღწევების შემაჯამებელი სურათი უნდა მოიცავდეს შეძლებისდგვარად ბევრ წყაროსა და მონაცემს. იდეალურ შემთხვევაში, ყველა წყაროდან მიღებული სხვადასხვა მონაცემი უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოკვლეულ უნდა იქნეს არსებული შეუსაბამობების შესაძლო მიზეზები.

რა უნდა გაკეთდეს ამისათვის?

მე მჯერა, რომ მასწავლებლის პროფესიას შეაქვს სამი სახის წვლილი ტესტირების გასაუმჯობესებლად: მასწავლებლებს შეუძლიათ უკეთესი ტესტები შექმნან თვითონ; მათ შეუძლიათ საქმის კურსში ჩააყენონ ისინი, ვინც მონაწილეობს ტესტირებაში; დაბოლოს, მათ შეუძლიათ იქონიონ გავლენა გამსწორებლებზე, ტესტის შემქმნელებსა და საგამოცდო კომისიაზე, რათა ამ უკანასკნელებმა დახვეწონ თავიანთი ტესტები. ნაშრომი მიზნად ისახავს, დაეხმაროს მათ სამივე ასპექტის განხორციელებაში. პირველი ამოცანა ადვილი გასაგებია. რა თქმა უნდა, გასაკვირი იქნებოდა, რომ ასეთი სათაურის მქონე წიგნში არ იყოს საუბარი იმაზე, თუ როგორ უნდა დავეხმაროთ მასწავლებლებს, შექმნან უკეთესი ტესტები. მეორე ამოცანა ალბათ ნაკლებად ნათელია: ის ეფუძნება მოსაზრებას, რომ სჯობს ტესტირებაში მონაწილე ყველა მხარემ გაიაზროს, თუ როგორ წარიმართოს ტესტირების პროცესი უკეთესად, როგორ ჩაერთოს იგი უფრო რელევანტურად სწავლების პროცესში. მონაწილე მხარეებში ვგულისხმობთ ტესტის შემქმნელებს, მასწავლებლებს, ტესტირების ჩამტარებლებს, სკოლისა და კოლეჯის ადმინისტრაციას, განათლების სპეციალისტებს, საგამოცდო ორგანოებს და ტესტირების ინსტიტუტებს. რაც უფრო ინტენსიური იქნება ინტერაქცია და თანამშრომლობა ცოდნისა და გააზრების გაზიარების მხრივ, მით უფრო მისაღები იქნება ის ტესტირების პროცესი, რომელშიც ისინი არიან

ჩართულები. სავარაუდოდ, მასწავლებლებს ყველაზე კარგად აქვთ გააზრებული საკითხი და მათ შეუძლიათ თავიანთი ცოდნის გაზიარება სხვებისთვის.

მკითხველმა, რომელიც ექვეყნე აყენებს მესამე ამოცანას, ბოლომდე უნდა წაიკითხოს ეს თავი - წერითი უნარების შესამოწმებლად დახურული ტესტის გამოყენების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით. ეს იყო პრაქტიკა, მიღებული ე. წ. „ტოიფელის“ (TOEFL - ინგლისურის, როგორც უცხო ენის ტესტი) ტესტის შექმნელების მიერ. ამ ტესტს აბარებს არაინგლისურენოვანთა უმრავლესობა, რომლებიც აბარებენ ჩრდილოეთ ამერიკის უნივერსიტეტებში. მრავალი წლის გამოცდილების შემდეგ დაასკვნეს, რომ უბრალოდ შეუძლებელი იყო ასობით და ათასობით კანდიდატის წერითი უნარების შემოწმება თხზულების მეშვეობით: ეს შეუძლებელია და შედეგებიც არასაიმედოა. ჯერ კიდევ 1986 წელს წერილთი ტესტი (ინგლისურ ენაში), რომელიც კანდიდატებს უნდა დაეწერათ 30 წუთის განმავლობაში, ჩანართის სახით ერთვოდა „ტოიფელის“ ტესტს. ამ ცვლილების შეტანის მთავარი მიზეზი იყო ინგლისური ენის მასწავლებლების ზეწოლა, რომლებმაც საბოლოოდ დაარწმუნეს ტესტის შემქმნელები წერით ამოცანის განსაკუთრებულ მნიშვნელობაში, რაც შეიძლებოდა წარმატებული უკუშედეგის მომტანი ყოფილიყო.

მკითხველის აქტივობები:

1. იფიქრეთ თქვენთვის ნაცნობ ტესტზე (ტესტი შეიძლება იყოს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო, როგორც მასწავლებლების, ისე - პროფესიონალების მიერ შექმნილი). როგორ ფიქრობთ, როგორია თითოეული მათგანის უკუშედეგი? წარმატებული თუ სავალალო/უარყოფითი? რამ მიგიყვანათ ამგვარ დასკვნებამდე?
2. განიხილეთ ეს ტესტები თავიდან. როგორ ფიქრობთ, ეს ტესტები შეიცავს ზუსტ ინფორმაციას თუ უზუსტობას? რამ მიგიყვანათ ამგვარ დასკვნებამდე?

შემდგომში დასამუშავებელი მასალა:

რეა დიკენსი (1997) განიხილავს მონაწილე მხარეთა ურთიერთობას ენის ტესტირების პროცესში და ჰამპ-ლიონსი (1997ა) წინა პლანზე სწევს უკუკავშირთან, ზეგავლენასა და ადეკვატურობასთან დაკავშირებულ ეთიკურ საკითხებს. ეს ორი სტატია წარმოადგენს სპეციალური გამოშვების ნაწილს - ენის ტესტირება (ტომი 14, N3), რომელიც ეძღვნება ენის ტესტირების ეთიკურ საკითხებს. ენის ტესტირების ეთიკის შესახებ უფრო ადრეული შრომების გასაცნობად იხილეთ სპოლსკი (1981). ენის ტესტირების საერთაშორისო ასოციაციამ განავითარა ეთიკის კოდი (მიღებული 2000 წელს), რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტში (იხ. წიგნის ვებგვერდი). კუნანი (2000) ეხება სამართლიანობას და ვალიდურობას ენის ტესტირების პროცესში. რეა-დიკენსი და გარდნერი ამოწმებენ ფორმატული შეფასების ცნებასა და პრაქტიკას. ალდერსონი და კლაფამი (1995) რეკომენდაციას უწევენ საკლასო შეფასებას. ბრაუნი და ჰადსონი (1998) წარმოგვიდგენენ მასწავლებლებს, რომლებსაც აქვთ შემუშავებული ენის შეფასების

ალტერნატიული გზები. ნიტკო (1989) გვამლევს რჩევებს ტესტის შემუშავებაში, რასაც თან ახლავს სათანადო მითითებები. როსი (1998) მიმოიხილავს კვლევას თვითშეფასებაში. დე ვიცენზი (1995) ურჩევს მასწავლებლებს, როგორ ისწავლონ სტანდარტიზებული ტესტებიდან. გრიპი (1990) და რავენი (1991) ყურადღებას ამახვილებენ არასათანადო ტესტებით გამოწვეულ მოსალოდნელ საფრთხეზე. იმისათვის, რომ გაიგოთ, თუ როგორ შეიძლება იქონიოს ტესტის შესავალმა დადებითი გავლენა სწავლებისა და სწავლის პროცესზე, იხ. ჰუგესი (1988ა).

2. ტესტირება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა: წიგნის მიმოხილვა

ხანდახან ენის ტესტების შემქმნელებს უსვამენ შემდეგ შეკითხვებს: რა არის კარგი ტესტი ან რომელია ტესტირების საუკეთესო ტექნიკა. ასეთი შეკითხვები ხაზს უსვამს იმ გაუგებრობას, რომელიც თან ახლავს ენის ტესტირების პრაქტიკას. ტესტი, რომელიც იდეალურად შეესაბამება ერთ კონკრეტულ მიზანს, შესაძლოა სრულებით გამოუსადეგარი იყოს მეორე შემთხვევაში. ტექნიკა, რომელიც ერთ შემთხვევაში ძალიან კარგად მუშაობს, შესაძლოა სრულიად შეუსაბამო იყოს სხვა ვითარებაში. როგორც წინა თავიდან შევიტყვეთ, ის, რაც მისაღებია ტესტირების დიდი კორპორაციებისთვის, არაადეკვატურია სასწავლო ინსტიტუტების მიერ შედგენილი ტესტების მიმართ. ერთსა და იმავე დროს სასწავლო კურსის ამოცანების, ტესტის მიზნისა და ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით, ორმა სასწავლო ინსტიტუტმა შეიძლება მოითხოვოს ორი განსხვავებული ტესტი. ტესტირების თითოეული ვითარება განსაკუთრებულია და უკავშირდება განსაკუთრებულ პრობლემებს. ამდენად, პირველი ნაბიჯი არის ის, რომ წამოჭრილი პრობლემა განისაზღვროს და ჩამოყალიბდეს რაც შეიძლება მკაფიოდ. არ აქვს მნიშვნელობა, ტესტირების როგორ სისტემას ვაყალიბებთ, მთავარია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- ზუსტი ზომების თანმიმდევრული უზრუნველყოფა;
- უნდა მოქმედებდეს სწავლების შედეგებზე (იმ შემთხვევებში, როცა ტესტი, სავარაუდოდ, გავლენას იქონიებს სწავლების პროცესზე);
- უნდა ზოგავდეს დროსა და ფულს.

უპირველეს ყოვლისა, ტესტის შემქმნელებს ზუსტად უნდა ჰქონდეთ განსაზღვრული ტესტირების მიზანი ბევრ სხვადასხვა ვითარებაში. სხვადასხვა მიზანი, როგორც წესი, მოითხოვს სხვადასხვა ტესტს. ერთი შეხედვით, ეს ნათელია, მაგრამ ხანდახან ამის ამოცნობა რუღია. წიგნში განხილულია ტესტირების პროცესის შემდეგი მიზნები:

- ენის ცოდნის შემოწმება;
- რამდენად წარმატებით მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის მიზანს;
- სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტიკა, იმის გამოვლენა, თუ რა იცის და რა არ იცის სტუდენტმა.

- იმის განსაზღვრა, თუ სასწავლო პროგრამის რომელ საფეხურზე ან ნაწილში უნდა ჩაერთოს სტუდენტი.

თითოეულ ამ მიზანზე საუბარია შემდეგ თავში. ეს ნაწილი ასევე წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ტესტირებისა და ტესტის ტექნიკებს: პირდაპირი ტესტირება, რომელიც ირიბი ტესტირების საპირისპიროა; დისკრეტული ~ ინტეგრაციული ტესტირება; ტესტირება კრიტერიუმებზე დაფუძნებით და მის საპირისპიროდ ~ ნორმებზე დაფუძნებით; ობიექტური და სუბიექტური ტესტირება. ზოგადად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვსაუბრობთ ზუსტი და თანმიმდევრული ზომების გატარებაზე, რომლებიც ამოწმებს ჩვენთვის საინტერესო უნარებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ტესტი მართებულია. მეოთხე თავი ეძღვნება სხვადასხვა სახის მართებულობასა და საფუძვლიანობას. აქ მოცემულია რჩევა, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ მართებულობას ტესტის აგებისას და ნაჩვენებია, თუ როგორ მოწმდება მართებულობა/ვალიდურობა.

სიტყვა **თანმიმდევრულობა** გამოყენებულია ტესტის პრობლემის განსაზღვრის მიზნით. თანმიმდევრობა, რომლის მიხედვითაც შექმნილია ზუსტი ზომები, არის არსებითი შემადგენელი ნაწილი ტესტის მართებულობისა. თუ ტესტი ზომავს/აფასებს თანმიმდევრულად (თუ, მაგალითად, ორშაბათს შესრულებულ ტესტში შემსწავლელის ქულები ემთხვევა სამშაბათს დაწერილი ტესტის შედეგებს და არ შეინიშნება პროგრესი, ეს იმას ნიშნავს, რომ შემსწავლელის უნარებმა არ განიცადა საგრძნობი ცვლილება), შეიძლება ითქვას, რომ ის სანდოა. სანდოობა, რომელიც უკვე განვიხილეთ წინა თავში, არის ტესტის ხარისხის განმსაზღვრელი აუცილებელი ფაქტორი - რა შედეგი მოაქვს ტესტს, თუ ის გვაძლევს შემსწავლელის უნარების ფართოდ განსხვავებულ შეფასებებს? - სწორედ ეს ხარვეზია მასწავლებლის მიერ შექმნილ ბევრ ტესტში. მეხუთე თავი გვაძლევს რჩევას, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ სანდოობას და აქვე მოცემულია ახსნა, თუ როგორ უნდა გაიზომოს იგი.

უკუგების ეფექტის კონცეპტის ეფექტი წარმოდგენილი იყო ზემოთ განხილულ თავში. მეექვსე თავი განსაზღვრავს ტესტის პირობების რაოდენობას, რათა მიღწეული იქნეს სათანადო უკუგების ეფექტი.

ყოველი ტესტი ღირს ფული და მოითხოვს დროს - მომზადებაში, ადმინისტრირებაში, შეფასებასა და განხილვაში. იმდენად, რამდენადაც ორივე რესურსი ლიმიტირებულია, ხშირად თავს იჩენს ერთგვარი კონფლიქტური სიტუაცია, რაც იჩენს თავს, როცა საჭიროა ტესტირების პრობლემის გადაჭრა კონკრეტულ სიტუაციაში; თუ რა იგულისხმება ამ კონკრეტულ სიტუაციაში, ამ საკითხების შესახებ მსჯელობა მოცემულია მეექვსე თავში.

წიგნის მეორე ნაწილი ეძღვნება უფრო დეტალურ რჩევებს ტესტის აგებისა და გამოყენების შესახებ - წინა თავებში მოცემული პრინციპების პრაქტიკაში დანერგვა. მეშვიდე თავში გამოკვეთილია და დამოწმებულია კონკრეტული მაგალითებით ტესტის განვითარების სხვადასხვა საფეხური. მერვე თავში მოცემულია მსჯელობა ზოგადი ტესტირების ტექნიკების შესახებ. მე-9-მე-13 თავებში ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება ენის თავისებურებებისა და სხვადასხვა ენობრივი უნარის ტესტირება, განსაკუთრებით - ენის ინსტიტუტებში. მე-14 თავში განხილულია ზოგადი უნარები და ის, თუ როგორ შეიძლება მათი გაზომვა. მეთხუთმეტე თავში მიმოხილულია კონკრეტული პრობლემები,

რომლებსაც აწყდება ახალგაზრდა შემსწავლელი ტესტირების პროცესში. მეთექვსმეტე თავი გვამღევს პირდაპირ რჩევებს ტესტების ადმინისტრირების შესახებ.

ასევე, ცალკე უნდა ვისაუბროთ სტატისტიკის შესახებ. სტატისტიკის გარკვეული განსაზღვრება სასარგებლოა, აუცილებელიც, ტესტის არსის მკაფიოდ გასააზრებლად და პრობლემის წარმატებით გადასაჭრელად. ამ თავში მართებულობა და სანდოობა, ასევე სტატისტიკის განსაზღვრება მოცემულია იმისათვის, რათა ყველამ შეძლოს მათი გათვალისწინება. პირველი დანართი ასახავს ტესტის სტატისტიკური ანალიზის ზოგიერთ დეტალს. აქაც კი ყურადღება უფრო მეტად გამახვილებულია ინტერპრეტაციაზე, ვიდრე კალკულაციაზე. თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით, ნამდვილად არ არის საჭირო ენის ტესტირების კალკულაცია. საჭიროა მხოლოდ კომპიუტერული პროგრამების შედეგების გაგება. პირველი დანართი სწორედ ამას ისახავს მიზნად, ნაჩვენებია ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტატისტიკური ინფორმაცია უკეთესი ტესტის განვითარებისათვის.

შემდგომში დასამუშავებელი მასალა

ინგლისური ენის დაახლოებით 50 ტესტის კრიტიკული შეფასებების კრებული (უმეტესად ბრიტანული და ამერიკული), რედაქტორი ალდერსონი, კრანკე და სტენსფილდი (1987) წარმოაჩენს თუ რამდენად ეფექტურად გადაწყვიტეს პრობლემები ტესტის პროფესიონალმა შემქმნელებმა. რეცენზიების, შეფასებების გაანალიზება დამოკიდებულია მესამე მეოთხე და მეხუთე თავების შინაარსის გააზრებაზე. ალდერსონი და ბუკი (1993) და ალდერსონი (1995) იკვლევენ ტესტირების რამდენიმე ბრიტანული ინსტიტუტების მონაცემებსა და ტესტის განვითარების პროცედურებს.

ტერმინი *შესაძლებლობები* არ გამოიყენება აქ ტექნიკური გაგებით. ეს უკავშირდება იმას, თუ რის გაკეთება შეუძლიათ ადამიანებს ენის საშუალებით. ის შეიძლება მოიცავდეს თავისუფალ საუბარს ამა თუ იმ ენაზე, ენის გრამატიკული წესების განზოგადებას (თუ ეს შეფასებისთვის მნიშვნელოვანია). ეს არ უკავშირდება ენის შესაძლებლობებს, ენის სწავლის ნიჭს, რომელიც ადამიანებს სხვადასხვა სახითა და ხარისხით აქვთ. ნიჭის შეფასება (რამდენად სწრაფად სწავლობენ ან როგორ სწავლობენ შემსწავლელეები ენას) არ შედის ამ წიგნის ინტერესებში. საინტერესო მასალაა მოცემული პიმსლეურის (1968), კაროლის (1981) სკეპენის (1986), სტერნბერგის (1995), მაკვინის (1995), მისლევის (1995), მაკლაუფლინის (1995) შრომებში.

3. ტესტის სახეები და ტესტირება

წინამდებარე თავს დავიწყებთ ენის ტესტირების მიზნებზე საუბრით. ამისათვის უნდა გამოვყოთ რამდენიმე განსხვავება: პირდაპირი ~ არაპირდაპირი ტესტირება, დისკრეტული ~ ინტეგრირებული ტესტირება, ნორმებზე ორიენტირებული ~ კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტირება, ობიექტური და სუბიექტური ტესტირება. დაბოლოს, აქვე მოცემულია შენიშვნები კომპიუტერულ პროგრამასთან ადაპტირებული და ენის კომუნიკაციური ტესტირების შესახებ.

ტესტი შეიძლება დაიყოს კატეგორიებად მასში შემცველი ინფორმაციის მიხედვით. ეს კატეგორიზაცია დაგვეხმარება იმის გააზრებაში, თუ რამდენად შეესაბამება მოცემული ტესტი კონკრეტულ მიზნებს და მოცემულ გარემოში რამდენად მისაღებია ესა თუ ის ტესტი. ტესტის ეს ოთხი ტიპი, რომელთა შესახებაც ვისაუბრებთ მომდევნო ნაწილში, არის: *ცოდნის განმსაზღვრელი ტესტი, მიღწევების განმსაზღვრელი ტესტი, დიაგნოსტიკური ტესტი* და *ადგილის განმსაზღვრელი ტესტი*.

ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტი

ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტი შექმნილია ადამიანის ენობრივი შესაძლებლობის განსაზღვრის მიზნით, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა ენის კურსები აქვს მას გავლილი. ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის შინაარსი, შესაბამისად, არ ეფუძნება შემსწავლელის მიერ გავლილი ენის კურსში მოცემულ მასალას. ეს ტესტი ემყარება იმ განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომლებიც ამოწმებს სტუდენტის ენობრივი ცოდნის ამა თუ იმ დონეს და განსაზღვრავს, თუ რამდენად არის იგი ენის მცოდნე. ეს სვამს შემდეგ შეკითხვას, რა იგულისხმება ტერმინში „ცოდნა“?

ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის შემთხვევაში, ტერმინი *ცოდნა* გულისხმობს ენის მნიშვნელოვანი და კონკრეტული მიზნის შესაბამის ცოდნის ფლობას. ამის მაგალითი შეიძლება იყოს ტესტი, რომელიც შექმნილია იმის გასარკვევად თუ რამდენად შეუძლია იმუშაოს ადამიანმა მთარგმნელად ამერიკის შეერთებულ შტატებში. მეორე მაგალითად ასევე გამოდგება ტესტი, რომელიც ამოწმებს იმას, თუ რამდენად შეუძლია სტუდენტს, განაგრძოს სწავლა დიდი ბრიტანეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ამგვარმა ტესტმა ასევე შეიძლება განსაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის დონე, რათა შემსწავლელმა განაგრძოს სწავლა ენის ამა თუ იმ კურსზე. ამდენად, შეიძლება ერთი ტიპის ტესტი შეიქმნას ხელოვნების საგნებისთვის, მეორე სახის ტესტი - ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნებისთვის და ა. შ.

ენის ცოდნის რა კონკრეტულ სფეროსთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, ტესტის შინაარსში უნდა აისახებოდეს ეს საკითხები, ყოველ შემთხვევაში, ადრეულ ეტაპზე მაინც.

არსებობს ცოდნის დონის განმსაზღვრელი სხვა ტიპის ტესტიც, რომელიც განხილული ტესტისაგან განსხვავებით, არ ისახავს მიზნად შემდგომ სწავლას. ამ შემთხვევაში ცოდნის დონე უფრო ზოგადი კონცეპტია. ამის მაგალითია ინგლისური ენის გამოცდის კემბრიჯის პირველი სერტიფიკატი (FCE), ინგლისური ენის ცოდნის კემბრიჯის სერტიფიკატი გამოცდაში (CPE). ამ ტესტების მიზანია იმის ჩვენება, მიაღწიეს თუ არა კანდიდატებმა სპეციფიკური შესაძლებლობების გარკვეულ სტანდარტს. ამგვარ ტესტებზე პასუხს აგებენ მომწიფობი ინსტიტუციები და, ამდენად, დამქირავებლებისთვის სანდოობის ხარისხით გამოირჩევიან. სწორედ ეს ტესტი იძლევა იმის საშუალებას, რომ სხვადასხვა ქვეყნისა და ინსტიტუციის წარმომადგენელი კანდიდატურებიდან სამართლიანად შეარჩიონ ერთ-ერთი. თუმცა, თავისი არსით კონკრეტულ მიზანს ეს ტესტი არ ისახავს. ზოგადი ცოდნის შემმოწმებელი ტესტი უნდა შეიცავდეს დეტალურ სპეციფიკურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ კანდიდატს რისი დემონსტრირების უნარი შესწევს. თითოეული ტესტი უნდა განიხილებოდეს ამ სპეციფიკური ინფორმაციის საფუძველზე. ტესტის ყოველი მომხმარებელი (მასწავლებელი, სტუდენტი, დამქირავებელი და ა. შ.) ამის შემდეგ შეძლებს განსაჯოს მისაღებია თუ არა ტესტი მისთვის და მოახდინოს ტესტის შედეგების ინტერპრეტაცია. კემბრიჯის გამოცდები მიემართება ენის დონეების ALTE (ენის ტესტების შემდგენელთა ევროპის ასოციაცია) ჩარჩოებს, უმეტესი დატვირთვა მოდის ევროპის კომისიაზე (იხ. შემდგომი დასამუშავებელი მასალა).

მიუხედავად შინაარსისა და ენის დონის სირთულეებს შორის არსებული განსხვავებებისა, ცოდნის განმსაზღვრელ ყველა ტესტს აქვთ ერთი საერთო ნიშანი, ისინი არ ეფუძნება შემსწავლელთა მიერ განვლილ ენის კურსებს. მეორე მხრივ, როგორც პირველ თავში ვნახეთ, ამგვარმა ტესტებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ ენის კურსის შედგენაზე, გამოყენებულ მეთოდებსა და კურსის შინაარსზე. ამდენად, მათ უკუგების ეფექტი შეიძლება იყოს როგორც წარმატებული, ისე ზიანის მომტანი. ჩემი აზრით, ფართოდ გავრცელებული ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტების უმეტესობა უფრო ზიანის მომტანია, ვიდრე სარგებელის. თუმცა, მასწავლებლებმა, რომლებიც მოსწავლეებთან იყენებენ ამ ტიპის ტესტებს, შეიძლება მიიღონ ინფორმაცია ტესტირების ორგანიზაციებში. პირველ თავში განხილული TOEFL-ის დამატებითი წერილობითი ტესტები განსახილველი საკითხია.

ცოდნის მისაღწევი ტესტი

მასწავლებელთა უმრავლესობა ნაკლებად არის პასუხისმგებელი ცოდნის დონის განმსაზღვრელ ტესტზე. ასევე, ნაკლებადაა სავარაუდო, რომ ისინი ჩართულები იქნებიან ცოდნის მისაღწევი ტესტების გამოყენებასა და მომზადებაში. ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტისაგან განსხვავებით, ცოდნის მისაღწევი ტესტები პირდაპირ უკავშირდება ენის კურსებს, მათი მიზანია იმის განსაზღვრა, თუ როგორ მიაღწევენ

სტუდენტები, სტუდენტთა ჯგუფები ან საკუთრივ კურსები მისაღწევ მიზნებს. ისინი ორი სახისაა: საბოლოო ცოდნის მისაღწევი ტესტი და ცოდნის პროგრესის მისაღწევი ტესტი.

საბოლოო ცოდნის მისაღწევი ტესტების ადმინისტრირება, როგორც წესი, ხდება სწავლის ბოლოს. ისინი შეიძლება იყოს შედგენილი და მართული განათლების სამინისტროს, გამოცდების ოფიციალური დეპარტამენტების ან სასწავლო ინსტიტუტების წევრების მიერ. ნათელია, რომ ამ ტესტების შინაარსი უნდა მიემართებოდეს იმ კონკრეტულ კურსს, რომლის შედეგების შესამოწმებლადაც იქმნება ისინი, მაგრამ ამ მიმართების საკითხი არის ენის ტესტების შემდგენელთა უთანხმოების მთავარი საკითხი.

ტესტების ზოგიერთი შემდგენლის აზრით, საბოლოო ცოდნის მისაღწევი ტესტის შიგთავსი პირდაპირ უნდა ეფუძნებოდეს კურსის სილაბუსის, წიგნებისა და სხვა გამოყენებული მასალის დეტალებს. ამას შეიძლება ვუწოდოთ **სილაბუსის შინაარსზე დაფუძნებული** მიდგომა. ამ მხრივ იკვეთება ცხადი მიდრეკილება: რადგან ტესტი შეიცავს მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელსაც სტუდენტი ხვდება სწავლის პროცესში, ამდენად, ეს ტესტი შეიძლება იყოს უფრო სამართლიანი. სუსტი მხარე ის არის, რომ თუ სილაბუსი არასათანადოაა შედგენილი, ან წიგნები და სხვა სასწავლო მასალა არასწორადაა შედგენილი, ტესტის შედეგები შეიძლება იყოს არასწორი და დამაბნეველი. ტესტის წარმატებით ჩაბარება შეიძლება სულაც არ ასახავდეს კურსით განსაზღვრულ და წარმატებით მისაღწევ მიზნებს. მაგალითად, კურსი შეიძლება ისახავდეს მიზნად მეტყველების უნარების განვითარებას, მაგრამ ტესტში შეიძლება იყოს ჩადებული მხოლოდ შემდეგი მოთხოვნები, რამდენიმე ფრაზით გადმოცემა შემდეგი ინფორმაციისა: მშობლიური ქალაქი, ამინდი ან სხვა. მეორე კურსი შეიძლება ისახავდეს მიზნად გერმანულ ენაში კითხვის უნარების განვითარებას, მაგრამ ტესტში შეიძლება არ ასახავდეს შემსწავლელის ლექსიკის შეზღუდულ რაოდენობას. ასევე, ზოგიერთი კურსი განკუთვნილია საუნივერსიტეტო დონის ინგლისური ენის მოსამზადებლად, მაგრამ სილაბუსი (აქედან გამომდინარე - კურსი და ტესტი) შეიძლება არ მოიცავდეს მოსმენის (ჩანაწერების გაკეთებით) იმ სტრატეგიებს, რომლებიც აუცილებელია უნივერსიტეტში ლექციაზე, სხვადასხვა თემაზე წარმართული საუბრის მოსმენისას და გაგებისას. თითოეულ ამ შემთხვევაში (ყველა ეფუძნება კონკრეტულ აქტუალურ შემთხვევას) ტესტი მცდარ შედეგებს აჩვენებს და არ ასახავს კურსით გათვალისწინებულ მისაღწევ მიზნებს.

ალტერნატიული მიდგომის მიხედვით, ტესტის შინაარსი ეფუძნება უშუალოდ კურსის მიზნებს. ამას აქვს მთელი რიგი დადებითი მხარეები. უპირველეს ყოვლისა, ის აიძულებს ტესტის შემქმნელებს, იყვნენ ექსპლიციტურები კურსის მიზნების მიმართ. გარდა ამისა, ეს ასევე იძლევა იმის საშუალებას, სტუდენტმა განსაზღვროს, რამდენად მიაღწია ამ მიზნებს. ეს, თავის მხრივ, აკისრებს პასუხისმგებლობას სილაბუსს, წიგნებისა და მასალების შერჩევას, რათა უშუალოდ შეესაბამებოდეს კურსის მიზნებს. მიზნებზე დაფუძნებული ტესტი ეწინააღმდეგება სწავლების სუსტ პრაქტიკას, რაც გამორიცხულია კურსის შინაარსზე დაფუძნებული ტესტების შემთხვევაში. მე მჯერა, რომ ბევრად მისაღებია ტესტის შინაარსის განსაზღვრა კურსის ამოცანების მიხედვით. ეს უზრუნველყოფს უფრო ზუსტ ინფორმაციას ინდივიდუალური და ჯგუფური მიღწევების

თვალსაზრისით, ეს აგრეთვე ხელს უწყობს წარმატებული უკუგების ეფექტის მიღწევას სწავლების პროცესში (1).

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ მიზანზე დაფუძნებული ტესტი უფრო არასამართლიანია სტუდენტებისთვის, ვიდრე შინაარსზე დაფუძნებული ტესტი. თუ კურსის შინაარსი ადეკვატურად არ შეესაბამება მიზნებს, ამ შემთხვევაში შეიძლება შემოწმდეს ის ცოდნა, რომელიც არ მიუღიათ შემსწავლელებს. გარკვეულწილად, ეს სიმართლეა. მაგრამ, მეორე მხრივ - არა! თუ ტესტი ეფუძნება ცუდად მომზადებული ან შეუსაბამო კურსის შინაარსს, სტუდენტი შევა შეცდომაში სწავლის მიზნების მისაღწევი პერიოდისა და კურსის ხარისხის თვალსაზრისით. თუ ტესტი ეფუძნება მიზნებს, მოცემული ინფორმაცია არა მხოლოდ უფრო სასარგებლო იქნება, არამედ ნაკლებია იმის შესაძლებლობა, რომ მისაღები იყოს მოცემული არადადამაკმაყოფილებელი ფორმით. თავდაპირველად შეიძლება ეს მძიმე იყოს ზოგიერთი სტუდენტისთვის, მაგრამ შემდგომში თავს იჩენს კურსის შეცვლის წნეხი. სტუდენტების გრძელვადიანი ინტერესია, მიიღოს კარგად შედგენილი, საბოლოო ცოდნის მისაღწევი, ტესტი, რომლის შინაარსიც დაეფუძნება კურსით გათვალისწინებულ მიზნებს.

შეიძლება მკითხველი დაინტერესდეს, ნამდვილად არსებობს თუ არა განსხვავება ცოდნის საბოლოოდ მისაღწევ ტესტსა და ენის ცოდნის განმსაზღვრელ ტესტებს შორის. თუ ტესტი ეფუძნება კურსით გათვალისწინებულ მიზნებს და იგი შეესაბამება კონკრეტული ცოდნის დონის მოთხოვნებს, არ არის აუცილებელი, ტესტის ამ ორ სახეობას შორის განსხვავებების ძიება. თუმცა, ორი რამ უნდა გვახსოვდეს. მიზნები და საჭიროებები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მეორეც, ცოდნის მისაღწევი მრავალი ტესტი არ შეესაბამება კურსის მიზნებს. ეს მიემართება როგორც ტესტის შედეგების მომხმარებლებს, ისე ტესტის შემდგენლებს. ტესტის მომხმარებლებმა უნდა იცოდნენ, თუ რის საფუძველზე დგება ტესტი და უნდა იცოდეს შესაძლო მოსალოდნელი შეფასებების მართებულობა. ტესტის შემდგენლებმა, თავის მხრივ, უნდა შეადგინონ ცოდნის მისაღწევი ტესტები, რომლებიც უშუალოდ ასახავენ კონკრეტული კურსის მიზნებს და არ უნდა ელოდონ იმას, რომ ზოგადი ცოდნის შემმოწმებელი ტესტი იქნება დამაკმაყოფილებელი ალტერნატივა ამ თვალსაზრისით.

პროგრესის მისაღწევი ტესტი, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, მიზნად ისახავს სტუდენტის პროგრესის შემოწმებას. ამ ტიპის ტესტები ხელს უწყობს ფორმალურ შეფასებას (იხ. თავი 1). რამდენადაც პროგრესი მიემართება კურსის მიზნებს, ისიც უნდა უკავშირდებოდეს ამ მიზნებს. მაგრამ როგორ? პროგრესის განსაზღვრის ერთ-ერთი გზაა საბოლოო ცოდნის მისაღწევი ტესტის ადმინისტრირება, რომელიც (ვიმედოვნებთ) შეაფასებს პროგრესის გათვალისწინებით მიღწეულ შედეგებს. რეალურად ეს შეუძლებელია, განსაკუთრებით კურსის დასაწყისში. მიღებული დაბალი ქულები შეიძლება არ იყოს წამახალისებელი სტუდენტისთვის და, ადვილად შესაძლებელია, მათი მასწავლებლებისთვისაც. ალტერნატიული გამოსავალია კარგად გააზრებული და ჩამოყალიბებული მოკლევადიანი მიზნების გამოყოფა. ამან შეიძლება შეუწყოს ფინალური ცოდნის მისაღწევი ტესტის წარმატებით ჩაბარებისკენ მიმართულ თვალნათელ პროგრესს. თუ სილაბუსი და სწავლების პროცესი მისაღებია კურსის

მიზნებისთვის, პროგრესის მისაღწევი ტესტი მოკლევადიანი მიზნებით შეესაბამება ნასწავლ მასალას. თუ არადა, ამ შემთხვევაში თავს იჩენს წნეხი, რათა ეს კავშირი იყოს უფრო ეფექტური.

ფორმალურ ტესტებთან ერთად, რომლებიც მოითხოვს სიფრთხილეს მომზადების პროცესში, მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ თავისუფლება, შეიტანონ თავიანთი ცვლილებები. ეს დაეხმარება როგორც სტუდენტების პროგრესის მკაცრ შემოწმებას, ისე სტუდენტების მოტივაციას. რადგან ასეთი ტესტები არ ქმნიან ფორმალური შეფასების პროცედურის ნაწილს, მათი შედგენა და შეფასება უნდა იყოს ძალიან მკაცრი. მიუხედავად ამისა, ისინი უნდა განიხილებოდეს, როგორც შუალედური მიზნების პროგრესის შემფასებელი საშუალება, რომელსაც შემდგომ უფრო ფორმალური ტესტირება ეფუძნება. ისინი შეიძლება ასევე ასახავდნენ მასწავლებლის მიერ ინდივიდუალურად შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც ეხმიანება კურსის ამოცანებს.

ამ ნაწილში საუბარი იყო იმაზე, რომ უმჯობესია ცოდნის მისაღწევი ტესტის შინაარსი ეფუძნებოდეს კურსის მიზნებს, ვიდრე კურსის დეტალურ შინაარსს. თუმცა, არც ისე ადვილია კოლეგების ამაში დარწმუნება, მით უმეტეს, თუ ფორმალური მხარე უკვე მოგვარებულია. ამგვარი ცვლილება შეიძლება ბევრი ადამიანისთვის საფრთხის მატარებელი იყოს. ეს არის პოლიტიკური მანევრირების, შესაძლებლობებისა და უნარების საკითხი და არ არის ამ წიგნის განხილვის საგანი.

დიაგნოსტიკური ტესტები

დიაგნოსტიკური ტესტი გამოიყენება შემსწავლელის ძლიერი და სუსტი მხარეების განსასაზღვრად. ისინი მიზანს ისახავს იმის განსაზღვრას თუ რა უნდა იქნეს შესწავლილი. ფართო ენობრივი უნარების დონეზე ეს არის კონკრეტული მიზნების მატარებელი. ჩვენ შეიძლება სამართლიანად ვიყოთ დარწმუნებულები იმაში, რომ ვქმნით ეფექტურ ტესტს, რომელიც ამოწმებს მოსწავლის სუსტ მხარეს. მართლაც, არსებული ცოდნის შემმოწმებელი ტესტები ნამდვილად უზრუნველყოფს ხშირად ამ მიზანს.

უფრო მეტიც, ჩვენ შეგვიძლია გავაანალიზოთ ადამიანის წერისა და მეტყველების უნარები, შევიქმნათ წარმოდგენა სტუდენტის შესაძლებლობებზე გრამატიკული სიზუსტისა და ლინგვისტური მიმდებლობის მეშვეობით. მეცხრე და მეათე თავები გვთავაზობს წერისა და ზეპირი ტესტების შექმნის საშუალებებს, რომლებიც არის უკუგება ტესტების შემქმნელებისთვის.

მაგრამ არც ისე ადვილია სტუდენტის გრამატიკული ცოდნისა და სტრუქტურის დეტალური გაანალიზება, იმის გაგება, თუ როგორ იცის სტუდენტმა განსხვავებები, ვთქვათ, პერფექტულ და წარსულ დროებს შორის ინგლისურ ენაში. იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ამაში, ჩვენ გვჭირდება მრავალი მაგალითი, მოხმობილი სტუდენტების ნაწერებიდან. უნდა გავითვალისწინოთ ორივე დროის ფორმისა და ყველა შესაძლო კონტექსტის გამოყენების უამრავი მნიშვნელოვანი შემთხვევა.

ამის მსგავსად, თუ ვინმეს სურვილი აქვს გააკონტროლოს ინგლისური არტიკლების სისტემა, მან უნდა შეამოწმოს არტიკლის ხმარების ოცივე შემთხვევა, რომლებიც მოცემულია წიგნში Collins Cobid English Usage (1992) და მოიძიოს თითოეული შემთხვევის ამსახველი რამდენიმე მაგალითი. ამდენად ინგლისური გრამატიკის თანმიმდევრული დიაგნოსტიკური ტესტი შეიძლება იყოს უზარმაზარი (უნდა ვიფიქროთ, რა შეიძლება შევიდეს ამ ტესტში, მაგალითად - მოდალური ზმნები). ასეთი ტესტის ზომა კი შეიძლება მიუღებელი იყოს ადმინისტრაციისათვის და საორგანიზაციო სისტემისათვის. ამის გამო მხოლოდ რამდენიმე ტესტი დგება წმინდა სადიაგნოსტიკო მიზნით, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოცემულია ძალიან დეტალური და სანდო ინფორმაცია.

სამწუხაროდ, დიაგნოსტიკური ტესტების რაოდენობა ძალიან მცირეა. ისინი შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო ყოფილიყო ენის თვითსწავლების დროს. შემსწავლელს უნდა ვაჩვენოთ, სად აქვთ ჩავარდნა ენის ცოდნაში, უნდა მივუთითოთ წყაროები, ინფორმაცია და გამოცდილება. საბედნიეროდ, ხელმისაწვდომი ფასისა და დიდი მეხსიერების მქონე კომპიუტერებს შეუძლიათ ვითარების გამოსწორება. კარგად შექმნილი კომპიუტერული პროგრამა ხელს უწყობს შემსწავლელს, მოკლე დროში მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ტესტის ადმინისტრატორის დახმარების გარეშეც კი. ამ ტიპის ტესტებს ჯერ კიდევ დიდი დახვეწა სჭირდებათ. მისაწვდომი იქნება თუ არა ეს ტესტები, დამოკიდებულია შემსწავლელის სურვილზე, დაწეროს ისინი და, გამომცემლის სურვილისამებრ, გაავრცელოს ისინი. ამავე დროს, არსებობს ერთი ძალიან საინტერესო ვებზე დაფუძნებული განვითარება - DIALANG. წერის პროცესში ეს პროექტი შექმნის სტადიაზეა, იგეგმება დიაგნოსტიკური ტესტის შეთავაზება 14 ევროპულ ენაზე, თითოეულს აქვს ხუთი მოდული: კითხვა, წერა, მოსმენა, გრამატიკული სტრუქტურა და ლექსიკონი.

ადგილის განმსაზღვრელი ტესტები

ადგილის განმსაზღვრელი ტესტები, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, მიზნად ისახავს ინფორმაციის უზრუნველყოფას, რომელიც დაგვეხმარება, განვსაზღვროთ სტუდენტის ადგილი მისი შესაბამისი შესაძლებლობების მიხედვით სასწავლო პროგრამაში. როგორც წესი, ისინი შექმნილია სტუდენტის საკლასო დონის განსასაზღვრად. შესაძლებელია ამგვარი ტესტის შეძენა, მაგრამ ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინსტიტუტი (სკოლა) მიიჩნევს, რომ იგი შეესაბამება კონკრეტულ სასწავლო პროგრამას. ადგილის ყველა განმსაზღვრელი ტესტი არ შეესაბამება ყველა ინსტიტუციას. გავრცელებული დამოკიდებულების მიხედვით, კომერციულად ხელმისაწვდომი ტესტი არ არის კარგი ხარისხის. გამონაკლისია ენის სკოლები, რომლებიც იყენებენ მსგავს სახელმძღვანელოებს და ტესტების მსგავსებაც აღსანიშნავია ამ თვალსაზრისით.

ადგილის განმსაზღვრელი ყველაზე წარმატებული ტესტები, რომლებიც აგებულია კონკრეტული სიტუაციისთვის, დამოკიდებულია ენის სწავლების სხვადასხვა დონეზე ამა თუ იმ ინსტიტუციაში საკვანძო მახასიათებლების ამოცნობაზე.

პირდაპირი და არაპირდაპირი ტესტირება

აქამდე ამ თავში ჩვენ განვიხილეთ იმ შემთხვევათა რაოდენობა, როცა გამოიყენებოდა ტესტის შედეგები. ახლა ვისაუბრებთ ტესტის შექმნის ორ მიდგომაზე.

ტესტირება არის პირდაპირი, როცა ის მოითხოვს კანდიდატისაგან წარმოადგინოს ჩვენთვის საინტერესო და შესაფასებელი უნარები. თუ ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რამდენად კარგად შეუძლიათ კანდიდატებს თხზულების დაწერა, ჩვენ ვავალებთ მათ თხზულების შექმნას. თუ ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რამდენად კარგი გამოთქმა აქვთ ენაში, ჩვენ მათ ვალაპარაკებთ. იმ შემთხვევაში, როცა კანდიდატები აცნობიერებენ, რომ არიან საგამოცდო ვითარებაში, ტესტირების ამოცანები ვერ იქნება ჭეშმარიტად ავთენტური. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მცდელობა მიმართულია მათთვის შეძლებისდაგვარად რეალისტური ვითარების შექმნისაკენ.

პირდაპირი ტესტირება უფრო მარტივი მოსაწყობია, რადგან ამ დროს ნამდვილად ხდება პროდუქციების უნარების შემოწმება, კერძოდ, წერისა და ლაპარაკისა. წერისა და ლაპარაკის ყოველი აქტი გვაძლევს წარმოდგენას კანდიდატის ენობრივ შესაძლებლობებზე. მოსმენისა და კითხვის შემოწმებისას, აუცილებელია მას მოვთხოვოთ არა მხოლოდ მოსმენა და წაკითხვა, არამედ იმის დემონსტრირებაც, თუ რა გაიგეს. ტესტის შემქმნელმა უნდა შეარჩიოს სათანადო მეთოდი, რომელიც ამ უნარების ეფექტურ წარმოჩენას შეუწყობს ხელს. ამ მიზნის მისაღწევი სათანადო მეთოდები განხილულია მე-11 და მე-12 თავებში. საკმაოდ საინტერესოა, რომ ზოგი ტესტი ადეკვატურად ვერ ამოწმებს პროდუქციების უნარებს; ეს განსაკუთრებით პრობლემატური საკითხია, რადგან უკავშირდება სანდოობას.

პირდაპირ ტესტირებას აქვს რამდენიმე მიმზიდველი მხარე. პირველ რიგში, ნათელს ხდის, რა უნარები უნდა შევავასოთ, უშუალოდ ქმნის პირობებს, რომლებშიც კარგად ჩანს კანდიდატის შესაფასებელი ქცევა. მეორეც, სტუდენტის პროდუქციების უნარების შეფასებისა და სტუდენტის პრეზენტაციის ინტერპრეტირებისას ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ პირდაპირები. გარდა ამისა, რადგან ტესტის პრაქტიკა მოიცავს უნარების პრაქტიკას, ეს შეიძლება იყოს წარმატებული უკუკავშირების ეფექტი.

არაპირდაპირი ტესტირება ამოწმებს ჩვენთვის საინტერესო უნარებს. TOEFL-ის ერთი სექცია, მაგალითად, შექმნილი იყო წერიტი უნარების არაპირდაპირი გაზომვის მიზნით. ის მოიცავს შემდეგი სახის აქტივობებს, რომლებშიც კანდიდატმა უნდა განსაზღვროს, ხაზგასმული ელემენტებიდან რომელია მცდარი ან მიუღებელი ფორმალური სტანდარტული ინგლისური ენისათვის:

At first the old woman seemed unwilling to accept anything that was offered her by my friend and I.

მაშინ როცა ასეთი სავარჯიშოების შესრულების შესაძლებლობებია წარმოჩენილი, რათა სტატისტიკური კავშირი გამოვლინდეს თხზულების წერის უნარებთან (თუმცა კავშირი არც ისე დიდია), ორი შესაძლებლობა/უნარი ნამდვილად არ არის იდენტური. არაპირდაპირი ტესტირების მეორე მაგალითი მოცემული აქვს ლადოს (1961), როდესაც გვთავაზობს გამოთქმის შესაძლებლობის ტესტირების მეთოდს კალმის და ფურცლის

მეშვეობით. ტესტის ჩამბარებელმა უნდა ამოიცნოს სიტყვათა წყვილი, რომელიც ერთიმემა ერთმანეთს.

შესაძლოა, ირიბი ტესტის მთავარი ღირსება არის ის, რომ ის გვთავაზობს სასრული რაოდენობის უნარების ტესტირების შესაძლებლობას, რომელიც ხაზს უსვამს მათი უსაზღვროდ დიდი რაოდენობის სახესხვაობებს. თუ, მაგალითად, ჩვენ ავიღებთ გრამატიკული სტრუქტურის ნიმუშს, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ჩვენი ნიმუში რელევანტურია თუ არა ყველა სიტუაციისთვის, როდესაც გრამატიკის კონტროლი აუცილებელია. ამის საპირისპიროდ, პირდაპირი ტესტირება არის გარდაუვლად შეზღუდული ამოცანების შედარებით მცირე ნიმუშებით, რომლებიც შეიძლება მიემართებოდეს დაუშვებელ გრამატიკულ სტრუქტურებს. ამ არგუმენტის მიხედვით, ირიბი ტესტირება აღემატება პირდაპირ ტესტირებას, რადგან მისი შედეგები უფრო ექვემდებარება განზოგადებას.

ირიბი ტესტების მთავარი პრობლემა არის ურთიერთდამოკიდებულება მათში წარმოდგენილი უნარებსა მათზე მუშაობას შორის. ეს ურთიერთდამოკიდებულება არის შედარებით სუსტი და გაურკვეველი თავისი ბუნებით. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით საკმარისად შემადგენელი ნაწილების შესახებ. თხზულების წერა მოითხოვს თხზულების შექმნის ზუსტ უნარებს, რომლებიც ფასდება ტესტის მეშვეობით შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. ჩვენ შეიძლება შევადგინოთ გრამატიკის, ლექსიკური, დისკურსის მარკერების, ხელწერის, პუნქტუაციის ტესტები. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შევიმუშავეთ თხზულების შეფასების ზუსტი კრიტერიუმები (მაშინაც კი, თუ ჩვენ დარწმუნებულები ვართ თხზულების ქულების მართებულობაში, რადგან ისინი დაწერეს კომპეტენტურმა პირებმა და გამოირჩევიან მაღალი სანდოობითა და მართებულობით).

მე მგონია, რომ არსებული ცოდნიდან გამომდინარე, თუ გვსურს მივიღოთ ეფექტური შედეგი, უფრო მისაღებია დავეყრდნოთ პირდაპირ ტესტირებას. თუ წარვადგენთ საკმარისად ფართო და ტევად ნიმუშს (მაგალითად, სხვადასხვა თემაზე სხვადასხვა მოთხოვნის მიხედვით ორი თხზულების შექმნა), პირდაპირი ტესტი ზოგადად უფრო მარტივია შესადგენად, ამას ამტკიცებს ინსტიტუციური ტესტირების შედეგების უმრავლესობა და მიღებული წარმატებული უკუგების ეფექტი. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გამომცდელთა უმეტესობა უხალისოდ ერთვება პირდაპირი ტესტირების პროცესში და ყოველთვის რთავს ირიბი ტესტების ელემენტებს. რა თქმა უნდა, დიაგნოსტიკური ინფორმაციის მიღება ხაზგასმული უნარების შესახებ (მაგალითად, კონკრეტული გრამატიკული სტრუქტურის კონტროლი) უნდა შეესაბამებოდეს ირიბი ტესტირების ფორმას.

ამ ნაწილის დასრულებამდე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ტესტი არის ნახევრად პირდაპირი. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია სალაპარაკო ტესტები, როდესაც კანდიდატები პასუხობენ ჩანაწერით მოცემულ შეკითხვებს და როდესაც მათი პასუხებიც იწერება და მოგვიანებით ფასდება. ასეთი ტესტები ნახევრად პირდაპირია იმ გაგებით, რომ, მართალია, არ არის პირდაპირი, მაგრამ პირდაპირი ტესტირების სიმულირებას ახდენენ.

ცალკეულკომპონენტებიანი/დისკრეტული ~ ინტეგრაციული ტესტირება

ცალკეულკომპონენტებიანი ტესტირება გულისხმობს მოცემულ მომენტში ერთი ელემენტის შემოწმებას, როდესაც თითოეული ელემენტი მოსდევს ერთიმეორეს. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, ელემენტების ჯგუფი, რომელშიც ყოველი შემადგენელი ნაწილი ასახავს კონკრეტულ გრამატიკულ სტრუქტურას. ინტეგრაციული ტესტირება, ამისგან განსხვავებით, მოითხოვს კანდიდატისაგან ენის მრავალი სხვადასხვა ელემენტის კომბინირებას ერთი კონკრეტული ამოცანის ფარგლებში. ეს შეიძლება ჩართული იყოს თხზულების შექმნის პროცესში, ლექციის მოსმენისას ჩანაწერების შექმნაში, კარნახის წერისას, ან მოცემული პასაჟის დასრულებისას. ცხადია, რომ ეს განსხვავება არ არის ისეთივე, როგორც პირდაპირი და არაპირდაპირი ტესტების შემთხვევაში. დისკრეტული ტესტები უმეტესად არაპირდაპირია, მაშინ როცა ინტეგრაციული ტესტები - პირდაპირი. თუმცა, ზოგიერთ ინტეგრაციული ტესტის მეთოდი, როგორცაა პროცედურის დასრულება, არაპირდაპირია. გრამატიკის სადიაგნოსტიკო ტესტი, განხილული წიგნის წინა ნაწილში, ამჟღავნებს დისკრეტული ტესტის მახასიათებლებს.

ნორმაზე ორიენტირებული ~ კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტირება

წარმოდგინეთ, რომ კითხვის ტესტირება ტარდება ერთი სტუდენტისთვის. როდესაც ჩვენ ვკითხულობთ, როგორ წარმოადგინა მან ტესტი, ჩვენ შეიძლება მივიღოთ ორი პასუხი. პირველი პასუხი შემდეგი შეიძლება იყოს: სტუდენტმა მიიღო ქულა, რომლითაც ის მოხვდა 10 საუკეთესო სტუდენტს შორის, რომლებმაც ჩააბარეს ეს ტესტი, ან ბოლო ხუთეულში. ან სულაც 60%-ით უკეთესი შეფასება მიიღო სხვებზე. ტესტს, რომელიც შექმნილია ასეთი ინფორმაციის მისაღებად, ეწოდება **ნორმაზე ორიენტირებული**. ის უკავშირდება ერთი კანდიდატის შედეგებს სხვა კანდიდატებთან მიმართებით. ის არ ამბობს ზუსტად, რა ენობრივ შესაძლებლობებს ავლენს სტუდენტი ტესტში.

მეორე სახის პასუხი შეიძლება მივიღოთ შემდეგი მაგალითიდან, რომელსაც მოვიყვანთ ინტერსააგენტო ენის მრავალი მაგიდის მიერ (ILR) ენის უნარების დონის აღწერიდან:

საფუძვლიანი თანმიმდევრულობა ნაცნობ თემაზე შექმნილი პუბლიცისტური სტილის მარტივი ავთენტური წერილობითი მასალის კითხვისას. პირდაპირი, ნაცნობი, ფაქტობრივი მასალის წაკითხვის უნარი, დასაშვებია გარკვეულ შემთხვევებში ტექსტის ვერგაგება, მაგრამ ზოგადად, მიუხედავად არასაკმარისი ენობრივი გამოცდილებისა, ტექსტის ლინგვისტური ასპექტების საფუძველზე დასკვნების გამოტანა. ზოგადად მკითხველისთვის განკუთვნილი ტექსტიდან იდეებისა და დეტალების გაგება და განთავსება... ინდივიდს შეუძლია ნაცნობ თემაზე ნაკლები სირთულის, მაგრამ ავთენტური პროზაული ტექსტის წაკითხვა. ტესტს უნდა ჰქონდეს პროგნოზირებადი თანმიმდევრულობა, რაც საგრძნობლად დაეხმარება მკითხველს. ტექსტი შეიძლება შეიცავდეს თხრობას ან აღწერას, რაც

უკავშირდება ზოგადად მკითხველისათვის შექმნილ სიახლეებს, ხშირად მომხდარ მოვლენებს, მარტივ ბიოგრაფიულ ინფორმაციას, სოციალურ შენიშვნებს, საქმიან წერილებს და მარტივ ტექნიკურ ინფორმაციას. ზოგადად პროზაული ნაწარმოების წაკითხვა, რომელშიც არის ხშირად გამოყენებადი წინადადებების ნიმუშები. იმედიდეს არ აქვს ფართო და აქტიური ლექსიკური მარაგი... მაგრამ შეუძლია კონტექსტუალური და რეალურ გარემოსთან დაკავშირებული მითითებები ტექსტის გასაგებად.

ანალოგიურად, გერმანული პირველი დონის ცოდნის ბერშირის სერტიფიკატის მფლობელს შეუძლია ილაპარაკოს და გამოხატოს შესაბამისი რეაქცია მარტივი ენის გამოყენებისას შესაბამის კონტექსტში:

- ინტერაქცია მისაღმებისა და დამშვიდობების დროს; პირადი ხასიათის, სკოლის, სახლისა და ინტერესების შესახებ ინფორმაციის გაცვლა;
- დისკუსია და არჩევანის გაკეთება, გადაწყვეტილება და გეგმები; - მოსაზრების გამოთქმა, თხოვნისა და შეთავაზების გადმოცემა; - ინფორმაციის გამოთხოვა და ინსტრუქციების გაგება.

ამ ორ შემთხვევაში ჩვენ არაფერს ვსწავლობთ იმის შესახებ, თუ როგორ შევადაროთ ერთი კანდიდატი სხვებს. სამაგიეროდ, ჩვენ ვსწავლობთ იმას, თუ რის გაკეთება შეძლია მას ამ ენაზე. ტესტებს, რომლებიც შექმნილია ამ ტიპის ინფორმაციის უზრუნველსაყოფად, ეწოდება კრიტერიუმებზე ორიენტირებული (2).

კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტის მიზანია ადამიანების დახარისხება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლიათ მათ ამა თუ იმ ამოცანის ან ამოცანათა რიგის დამაკმაყოფილებლად შესრულება. ამოცანები შემუშავებულია, ხოლო მათი შესრულება ფასდება. საერთოდ, ნაკლებად აქვს მნიშვნელობა, ყველა კანდიდატი წარმატებით აბარებს ტესტს, თუ ყველა კანდიდატი ჩააგდება გამოცდას. ამოცანები შემუშავებულია, ხოლო ისინი, ვინც ვერ ჩააბარებენ ტესტს დამაკმაყოფილებლად, ვერ გადალახავენ ზღვარს. ეს იმას ნიშნავს, რომ სტუდენტებისთვის უფრო წამახალისებელია პროგრესის შემოწმება შინაარსობრივი კრიტერიუმების მიხედვით, წარუმატებლობის განცდის გარეშე, იმ განცდის გარეშე, რომ ისინი ჩამორჩებიან თავიანთ მეგობრებს და განწირულნი არიან დამარცხებისათვის. ბერკშირის გერმანული სერტიფიკატის შემთხვევაში, მაგალითად, ყოველი სტუდენტი, რომელიც აბარებს ამ გამოცდას, იქნება წარმატებული. კრიტერიუმზე ორიენტირებულ ტესტს, ამდენად, აქვს ორი ძლიერი მხარე: ისინი წარმოადგენენ გარკვეული შინაარსის მქონე სტანდარტს იმის შესაფასებლად, თუ რის გაკეთება შეუძლია ადამიანს, ხოლო ის, რაც გადაულახავი რჩება, ექვემდებარება შეცვლას; ამ ტიპის ტესტები ძლიერი მოტივაციაა სტუდენტებისთვის, რათა მიაღწიონ ნახსენებ სტანდარტს.

შესრულებული სამუშაოს პირდაპირი ინტერპრეტაციის საჭიროება გულისხმობს იმას, რომ კრიტერიუმზე ორიენტირებული ტესტის შექმნა იმავე მიზნის მქონე ნორმაზე ორიენტირებული ტესტის შემუშავებისგან საკმაოდ განსხვავებული პროცესია. მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი მიზანია ინგლისურ ენაში სტუდენტების კომპეტენციის შეფასება საშუალო ინგლისურენოვანი უნივერსიტეტების მოთხოვნების შესაბამისად.

კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტი უნდა ეფუძნებოდეს იმ უნარებსა და მოთხოვნებს, რომლებსაც შეეჯახება სტუდენტი ამა თუ იმ ინგლისურენოვან უნივერსიტეტში. თუ ეს ასე არ მოხდა, შესრულებული სამუშაოს პირდაპირი ინტერპრეტაცია შეუძლებელი გახდება. მეორე მხრივ, ნორმაზე მიმართული ტესტი, რომელიც იმავე მოცემულობის ანალიზს ისახავს მიზნად, ნაკლებად შეზღუდული იქნება. ინგლისური ენის შემამოწმებელი მიჩიგანის ტესტში, მაგალითად, წარმოდგენილია ღია გრამატიკული შეკითხვები, ლექსიკური სავარჯიშოები და კითხვის კომპონენტები. მიღებული ქულები სულაც არ ასახავს სტუდენტის ინგლისური ენის იმ კომპეტენციას, რომელიც შეესაბამება ამა თუ იმ ინგლისური უნივერსიტეტის მოთხოვნებს. ვიცით რა ეს, ჩვენ უნდა გავმართოთ კონსულტაციები, რომლის დროსაც გავცემთ აკადემიური ხასიათის რეკომენდაციებს სტუდენტების ქულების შესახებ. აღნიშნული რეკომენდაციები არ იქნება ქულების უბრალო შეფასება, არამედ დაეფუძნება მსგავსი ქულების მრავალწლიან ანალიზს. ამის მსგავსად, უნივერსიტეტის ადმინისტრატორები მიღებული გამოცდილებიდან სწავლობენ იმას, თუ როგორ მოახდინონ TOEFL-ის ქულების ინტერპრეტაცია და როგორ გამოიყვანონ მათი ინსტიტუტისთვის საჭირო მინიმალური ქულა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მინიმალური ქულები შეიძლება გამოდგეს სტუდენტის მიღების საფუძველი, სულაც არ გულისხმობს იმას, რომ TOEFL-ის ტესტი არის კრიტერიუმებზე დაფუძნებული.

წიგნებში ენის ტესტირების შესახებ ხშირად არის მოცემული რჩევები იმის შესახებ, რომ უფრო მისაღებია ნორმაზე, ვიდრე კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტირება. ამის ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ნორმაზე ორიენტირებული ტესტირება (განსაკუთრებით სხვადასხვა ნაწილის ანალიზი და სანდოობის შეფასება) უკვე კარგად ჩამოყალიბებული პროცესია კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტირებასთან შედარებით. წიგნის მეექვსე თავში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ კრიტერიუმზე ორიენტირებულ ტესტებს ხშირად ანიჭებენ უპირატესობას არა მხოლოდ იმის გამო, რომ, სავარაუდოდ, მათ წარმატებული უკუგების ეფექტი აქვთ. შეთანხმებული პროცედურული საკითხების ნაკლებობა სულაც არ არის მიზეზი იმისათვის, რომ ისინი არ განვიხილოთ. მეხუთე თავში მოცემულია კრიტერიუმებზე დაფუძნებული ტესტების თანმიმდევრულობის შეფასება (მეტ-ნაკლებად სანდო).

ევროსაბჭოს გამოცემები (წარმოდგენილი შემდგომში დასამუშავებელ მასალაში) მნიშვნელოვანი საშუალებაა კრიტერიუმებზე დაფუძნებული ტესტების თავისებურებების შესახებ მასალების გამოსაქვეყნებლად. ამ გამოცემებში დეტალურადაა მოცემული კონკრეტული სასწავლო მიზნები, ცნებები და ფუნქციები, ამას მკითხველი მიჰყავს იმის გააზრებამდე, რომ ამ ტესტის წარმატებით შესრულება შესაძლებელია და ეს შეიძლება იყოს ჩართული საკუთრივ ტესტის მახასიათებლებში.

ობიექტური ტესტირება ~ სუბიექტური ტესტირება

ეს განსხვავება ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ შეფასების მეთოდებს. თუ შემფასებლის მხრიდან არ არის საჭირო გადაწყვეტილების მიღება, მაშინ შეფასება

ობიექტურია. ამის მაგალითია დახურული ტიპის ტესტური დავალება სწორი პასუხით, რომელიც არ წარმოშობს ორაზროვნებას. თუ აუცილებელია გადაწყვეტილების მიღება, შეფასება არის სუბიექტური. სუბიექტურობის სხვადასხვა ხარისხი არსებობს ტესტირების პროცესში. თხზულების შთაბეჭდილებაზე დაფუძნებული შეფასება უფრო სუბიექტურია, ვიდრე ერთი აზრის წაკითხვისას შეკითხვაზე გაცემული მოკლე პასუხების შეფასება. ობიექტურობა შეფასებაში ძალიან მოთხოვნილია ტესტების გამსწორებლებს შორის, რადგან გულისხმობს მაღალ სანდოობას. ზოგადად, რაც უფრო ნაკლებია სუბიექტურობა, მით უფრო მეტია თანხვედრა ორი შემფასებლის ქულებს შორის (მაშინაც კი, როცა ერთი და იგივე გამსწორებელი სხვადასხვა გარემოში ამოწმებს ერთსა და იმავე ტესტს). თუმცა, არსებობს სხვადასხვა გზა სუბიექტური შეფასების სანდოობის მისაღწევად თხზულების შეფასების შემთხვევაშიც კი. ამაზე საუბარი იქნება მეხუთე თავში.

კომპიუტერთან ადაპტირებული ტესტირება

ხელით შესავსებ ტესტში კანდიდატი აკეთებს ყველა დავალებას სირთულის გაზრდის მიხედვით და ის ვალდებულია, უპასუხოთ რაც შეიძლება მეტ შეკითხვას. ეს არ არის ყველაზე ეკონომიური გზა პიროვნების კომპეტენციისა და შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად. მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე პირები (მთლიანი ტესტის შემთხვევაშიც კი) ფუჭად დახარჯავენ დროს მათთვის მარტივი დავალებების შესრულებაში, რომელთა უმეტესობასაც (ან ყველას) ისინი სწორად გაცემენ პასუხს. ჩვენ შეგვიძლია წინასწარ გამოვიცნოთ მათ მიერ უფრო რთული დავალებების შესრულებული ხარისხი სწორად გაცემული პასუხებიდან გამომდინარე. ზუსტად ასევე შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ სუსტი მონაცემების მქონე კანდიდატების მიერ შესრულებული ტესტის ხარისხი.

ამ ტიპის ტესტი გვამღებს ადამიანის ენობრივი უნარების შესახებ ზუსტ ინფორმაციას. ყველა კანდიდატს ეძლევა საშუალო სირთულის ერთი და იგივე ნიმუში. მათ, ვინც სწორად უპასუხებს საკითხებს, ეძლევათ უფრო რთული დავალებები. მათ, ვინც ვერ უპასუხებს სწორად დავალებებს, ეძლევათ ტესტის უფრო მარტივი ვარიანტი. კომპიუტერი უზრუნველყოფს კანდიდატებისთვის მათი ცოდნის დონის შესაფერისი ტესტების მიწოდებას (წინა დავალებების შესრულების ხარისხიდან გამომდინარე), უფრო მარტივი ან რთული დავალებების წარმოდგენას, მიღებული შედეგების მიხედვით. ეს შეფასება დამოკიდებულია გარკვეულ პირობებზე და იგი მიიღება შედარებით ნაკლები მოცულობის პასუხების შეჯამების შედეგად, ეფუძნება სტატისტიკურ ანალიზს (საკითხებზე დაფუძნებული თეორია), ეს ენის მასწავლებელთა უმეტესობას აშინებს, თუმცა იგი წარმოდგენილია პირველ დანართში. ვიდრე დავასრულებდეთ ამ საკითხებზე საუბარს, ალბათ სასურველია აღინიშნოს, რომ ზეპირი ინტერვიუს დროს, როგორც წესი, გამოიყენება ადაპტირებული ტესტირება. ეს ბიძგს აძლევს ინტერვიუერს და ენის ადაპტირება ხდება კანდიდატის შესაბამისი ენობრივი ცოდნის მიხედვით.

ენის კომუნიკაციური ტესტირება

ბევრი დაწერილა ენის კომუნიკაციური ტესტირების შესახებ. დისკუსია ძირითადად ეხება კომუნიკაციურ აქტში მონაწილეობის უნარის გაზომვას (კითხვისა და მოსმენის ჩათვლით) და ამის მიღწევის გზების გააზრებას. წინამდებარე წიგნში გამოთქმულია ვარაუდი იმის შესახებ, რომ ჩვენ, როგორც წესი, გვინდა გამოვცადოთ კომუნიკაციური უნარ-ჩვევები. შედეგად, მე ვფიქრობ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი დაკვირვებები შეიძლება გაკეთდეს მთლიანი ტესტის შედეგების გადახედვისას. ამდენად, დასკვნების გამოტანა ცალკეული ნაწილების საფუძველზე სრულიად ზედმეტია.

მკითხველის აქტივობები

განვიხილოთ რამდენიმე ენის ტესტი, რომელთაც თქვენ იცნობთ. თითოეული მათგანისათვის პასუხი გავცეთ შემდეგ შეკითხვებს:

1. რა არის ამ ტესტის მიზანი?
2. ეს პირდაპირი თუ ირიბი ტესტია (თუ ორივეს ნაზავი)?
3. ტესტები დისკრეტულია თუ ინტეგრაციული (თუ ორივეს ნაზავი)?
4. რომელი ნაწილია ობიექტური და რომელი - სუბიექტური? შეგიძლიათ თუ არა სუბიექტურობის ხარისხის მიხედვით სუბიექტური ტესტების დალაგება?
5. ტესტი ნორმაზეა ორიენტირებული თუ კრიტერიუმებზეა ორიენტირებული?
6. ტესტი აფასებს კომუნიკაციურ უნარებს? შეგიძლიათ თუ არა აღწეროთ კომუნიკაციური ტესტი? პასუხი დააკონკრეტეთ.
7. რა კავშირი არსებობს მეექვსე და დანარჩენ კითხვებზე გაცემულ პასუხებს შორის?

შემდგომში დასამუშავებელი მასალა:

სახელმძღვანელოები კემბრიჯის სხვადასხვა ტესტისათვის ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: UCLES, Syndicate Buildings, 1 Hills Road, Cambridge, cb1 2eu. ინფორმაციის მოძიება ასევე შესაძლებელია საიტზე: website www.cambridge-efl.org. დისკუსია ტესტის შინაარსის შემუშავების ორი მიდგომის შესახებ იხილეთ: Pilliner (1968). ნიტკომ (2001) ჩართო თავი დიაგნოსტიკურ შეფასებაში. DIALANG-ის მოძიება შესაძლებელია ვებგვერდზე: www.dialang.org. ევროსაბჭო (2001) წარმოგიდგენს დეტალებს უკუკავშირის შესახებ, რომლებიც მოცემულია DIALANG-ი ფლუჩერის მიერ (2000) და რომლებშიც საუბარია კომპიუტერების როლზე ტესტირების პროცესში. ვოლი (1994), ფლუჩერი (1997) და სხვები განიხილავენ ადგილის განმსაზღვრელი ტესტების განვითარებას. ტესტებში მოცემული ტექსტები და ამოცანები უნდა იყოს ავთენტური, რამდენადაც ესაა შესაძლებელი: ჟურნალი „ენის ტესტირება“ ეძღვნება ენის ტესტირების ავთენტურობის საკითხებს (ტომი 2, N1, 1985). ენის ტესტირებისას ავთენტურობის პრობლემატიკაზე მსჯელობს ასევე ლევკოვიჩი (2000). ირიბი ტესტის შესახებ ინფორმაცია მოცემულია გოდშელკისა (1966) და სხვების ნაშრომებში. ერთ-ერთი პირველები კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტების შესახებ მსჯელობაში იყვნენ

ჰუდსონი და ლინჩი (1984). ბრაუნისა და ჰუდსონის (2002) წიგნი ერთ-ერთი პირველი სრული კვლევაა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კლასიკური მცირე ზომის შრომები კრიტერიუმებზე ორიენტირებული და ნორმებზე ორიენტირებული ტესტირების შესახებ ეკუთვნის პოპამს (1978). იგი მხარს უჭერს კრიტერიუმებზე ორიენტირებულ ტესტებს, მაშინ, როდესაც ებელი (1978) ამტკიცებს ნორმებზე ორიენტირებული ტესტების უპირატესობას. კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტების გამოყენების შესახებ მოსაზრება აქვს გამოთქმული სკეპანს (1984). განსხვავებული მოსაზრებისათვის გაეცანით ჰუგის ნაშრომებს (1986). კრიტერიუმებზე დაფუძნებული ტესტის ნიმუშები მოცემულია The ACTFL Oral Proficiency Interview (<http://www.actfl.org>); the FBI Listening summary translation exam (Scott et al, 1996); the Canadian Academic English Language (CAEL) Assessment (Jennings et al, 1999).

ამ თავში წარმდგენილი კითხვის უანრების აღწერა მოცემულია შემდეგი წყაროს მიხედვით: Interagency Language Roundtable Language Skill Level Descriptions. ოთხივე უნარის სხვადასხვა დონის შედარებითი აღწერა, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების შეფასებას აკადემიური კონტექსტის მიხედვით, შექმნილია უცხო ენის სწავლების აკადემიური საბჭოს მიერ the American Council for the teaching of Foreign Languages (ACTFL). ILR-ისა და

ACTFL-ის შკალა ხელმისაწვდომია ინტერნეტში. ALTE-ის დონეები, რომლებიც გამოიყენება ტესტირების 18 ევროპული ინსტიტუტის მიერ და რომლებიც მოცემულია 15 ენაზე (მათ შორის ქართულადაც), ასევე განთავსებულია ვებგვერდზე. კაროლმა გამოკვება განსხვავება აღწერით და ინტეგრაციულ ტესტებს შორის (1961). ოლერი (1979) მსჯელობს ინტეგრაციული ტესტირების ტექნიკებზე. ჩალჰუბ-დევილი და დევილი (1999) გვიჩვენებენ კომპიუტერთან ადაპტირებულ ტესტებს. ჩალჰუბ-დევილი (1999) არის სტატიების კრებული, რომელშიც საუბარია კომპიუტერთან ადაპტირებულ ტესტებში კითხვის უნარების განვითარებაზე. მოროუ (1979) არის პირველწყარო კომპიუტერული ენის ტესტირების თვალსაზრისით. განხილულ საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მოძიება ასევე შესაძლებელია: კანალი და სვეინი (1980), ალდერსონი და ჰუგისი (1981, ნაწილი 1), ჰუგისი და პორტერი (1983), დევისი (1988). ვეიერსის წიგნის (1990) სათაურია: ენის კომუნიკაციური ტესტირება.

- (1) რა თქმა უნდა, თუ მიზანი არარეალისტურია, ამ შემთხვევაში ტესტი განწირულია წარუმატებლობისთვის. ეს, ასევე, შეიძლება იყოს მხოლოდ სასარგებლო. შეიძლება ამგვარი ტესტის მოსალოდნელმა წარუმატებლობამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს, თუმცა, ეს შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მსჯელობის დასაწყისი, მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში აღნიშნული საკითხები არც განიხილებოდა.
- (2) „კრიტერიუმებზე ორიენტირებული“ - ამ ტერმინთან დაკავშირებით ადამიანებს სხვადასხვა აზრი შეიძლება გაუჩნდეს. არ აქვს მნიშვნელობა, რა გაგებით არის ის ნახმარი. ის მნიშვნელობა, რომლითაც აღნიშნული ტერმინი აქ არის გამოყენებული, ჩემი აზრით, ყველაზე სასარგებლო იქნება მკითხველისათვის ტესტირებასთან დაკავშირებული პრობლემების გააზრებისთვის.

მართებულობა

მეორე თავიდან ჩვენ უკვე ვიცით, რომ ტესტი ჩაითვლება სანდოდ, როდესაც იგი ზუსტად აფასებს იმას, რის გაზომვასაც ისახავს მიზნად. ჩვენ ვქმნით ენის ტესტებს იმისათვის რომ შევაფასოთ ისეთი არსებითი თეორიული კონსტრუქტები, როგორებიცაა კითხვის უნარები, თავისუფლად ლაპარაკი, გრამატიკის კონტროლი და ა. შ. სწორედ ამის გამო, თანამედროვე კვლევებში სულ უფრო ხშირად იყენებენ ტერმინს კონსტრუქტების მართებულობა, რომელიც მიემართება უფრო ზოგად, ყოვლისმომცველ მართებულობას. ჩვენ, ჩვენი მხრივ, დავიწყებთ მსჯელობას შესაბამისი მტკიცებულებების გადახედვით და ვეცდებით წარმოვადგინოთ მათი რელევანტურობა ენის ტესტირების პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით. შემდეგ კი გადავალთ სხვა თვალსაზრისო მასალაზე.

შინაარსის მართებულობა

პირველი მტკიცებულება უკავშირდება ტესტის შინაარსს. ტესტის შინაარსი მართებულია, თუ იგი წარმოადგენს განსახილველი ენობრივი უნარებისა და სტრუქტურებისა და ა. შ. ნიმუშს. ნათელია, რომ, მაგალითად, გრამატიკული ტესტი უნდა შედგებოდეს გრამატიკის ცოდნისა ან კონტროლთან დაკავშირებული ნაწილებისაგან. მაგრამ ეს, თავის მხრივ, სულაც არ უზრუნველყოფს შინაარსის მართებულობას. ტესტს აქვს შინაარსის მართებულობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მოიცავს რელევანტური სტრუქტურების შესაბამის მაგალითებს. ხოლო ის, თუ რა არის რელევანტური სტრუქტურა, დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, ტესტის მიზანზე. არ უნდა მოვითხოვოთ საშუალო დონის შესამოწმებელ ტესტში იმავე სტრუქტურების არსებობა, რომელთა მეშვეობითაც მოწმდება ენის ფლობის მაღალი დონე. თავის მხრივ, იმისათვის, რომ შევამოწმოთ ტესტის შინაარსის მართებულობა, ჩვენ უნდა დავაკონკრეტოთ ის უნარები ან სტრუქტურები, რომელთა მიღწევასაც ისახავს მიზნად ტესტი. ამგვარი დაკონკრეტება უნდა მოხდეს ტესტის შედგენის ადრეულ პერიოდში. რა თქმა უნდა, ამგვარი დაკონკრეტების დროს ყველაფერი არ მოხდება ტესტში, შესაძლოა განხილვის პროცესში უამრავმა დეტალმა იჩინოს თავი, რომელთა მოთავსებაც ერთ ტესტში შეუძლებელ იქნება. მაგრამ ეს ბაზა საშუალებას მისცემს ტესტის შემქმნელს, აირჩიოს არსებითი ელემენტები და ჩართოს ისინი ტესტში.

4. ტესტის ვალიდურობა

მეორე თავიდან უკვე ვიცით, რომ ტესტი ვალიდურია, თუ ზუსტად ზომავს იმას, რის შეფასებასაც ისახავს მიზნად. ჩვენ შევქმენით ენის ტესტები იმისათვის, რომ შევაფასოთ ისეთი მნიშვნელოვანი თეორიული კონსტრუქტები (ცნებების კომბინაცია), როგორებიცაა „კითხვის უნარი“, „თავისუფლად ლაპარაკი“, „გრამატიკის კონტროლი“ და ა. შ. სწორედ ამიტომ, მიმდინარე პერიოდში ტერმინი კონსტრუქტების (ცნებათა კომბინაციების) ვალიდურობა უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება ზოგადი, ყოვლისმომცველი ცნების ვალიდურობის გადმოსაცემად.

არ არის საკმარისი ვამტკიცოთ, რომ ტესტს აქვს კონსტრუქტის ვალიდურობა, საჭიროა ემპირიული მტკიცებულებაც. ამგვარი მტკიცებულება შეიძლება იყოს რამდენიმე სახის, ფორმის, ვალიდურობის დაქვემდებარებული ფორმების, შინაარსობრივი ვალიდურობისა და კრიტერიუმებზე ორიენტირებული ვალიდურობის ჩათვლით. ჩვენ, ჩვენი მხრივ, დავიწყებთ მტკიცებულებების ამ ორი ფორმის მოძიებით და ვეცდებით გიჩვენოთ მათი მნიშვნელობა ენის ტესტირების პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით. შემდეგ გადავალთ მტკიცებულების სხვა ფორმაზე.

შინაარსობრივი ვალიდურობა

ვალიდურობის პირველი ფორმა უკავშირდება ტესტის შინაარსს. ითვლება, რომ ტესტს აქვს შინაარსობრივი ვალიდურობა, თუ მისი შიგთავსი მოიცავს იმ ენობრივი უნარების, სტრუქტურებისა და ა. შ. ნიმუშებს, რომელთაც ის მიემართება. ცხადია, რომ, მაგალითად, გრამატიკის ტესტი უნდა შედგებოდეს იმ ერთეულებისაგან, რომლებიც უკავშირდება გრამატიკის კონტროლის ცოდნას. მაგრამ მხოლოდ ეს თავისთავად არ უზრუნველყოფს შინაარსის ვალიდურობას. ტესტს ექნებოდა შინაარსობრივი ვალიდურობა, თუ იგი შეიცავდა ღირებული სტრუქტურების სათანადო კრებულს. თავის მხრივ, ის, თუ რა არის ღირებული სტრუქტურები, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია ტესტის მიზანზე. ჩვენ არ ველოდებით იმას, რომ ტესტი ენის საშუალო დონის შემსწავლელთათვის შეიცავს სტრუქტურების იმავე წყებას, რომლებსაც მოიცავს მაღალი დონის შემსწავლელთათვის განკუთვნილი ტესტი. იმისათვის, რომ განვსაჯოთ შეიცავს თუ არა ტესტი შინაარსის ვალიდურობას, ჩვენ უნდა დავაკონკრეტოთ ის უნარები ან სტრუქტურები და ა. შ., რომელთა ათვისებაც იგულისხმება ტესტის მონაცემების მიხედვით. ეს უნდა დაკონკრეტდეს ტესტის შედგენის ადრეულ ეტაპზე, რადგან ერთი ტესტისთვის ძალიან დიდი მასალის წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ. მაგრამ ამის შესაძლებლობას იძლევა

ტესტის შემქმნელი საბაზისო მონაცემებით, რომლებიც წარმოადგენს ტესტში განსათავსებელი ელემენტების პრინციპულ არჩევანს. ტესტის დაკონკრეტებისა და ტესტის შინაარსის შედარება არის ამოსავალი ტესტის შინაარსობრივი ვალიდურობის შესაფასებლად. იდეალურ შემთხვევაში ეს უნდა შეაფასონ იმ ადამიანებმა, რომლებიც ჩართულები არიან ენის საწვლებისა და ტესტირების პროცესში, მაგრამ რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას უშუალოდ ტესტის შექმნაში.

რით არის მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ვალიდურობა? უპირველეს ყოვლისა, რაც უფრო დიდია ტესტის შინაარსობრივი ვალიდურობა, მით უფრო სავარაუდოა ზუსტი საზომის არსებობა იმისათვის, რის შეფასებასა და გაზომვასაც ისახავს მიზნად ტესტი, რათა მიღებულ იქნას კონსტრუქტის ვალიდურობა. ტესტი, რომლის უმეტეს ნაწილშიც დაკონკრეტება არასაკმარისად არის წარმოდგენილი ან საერთოდ არ ჩანს, მიიჩნევა არაზუსტ ნაშრომად. უფრო მეტიც, ამგვარ ტესტს აქვს საზიანო **უკუგების ეფექტი**. ის სფეროები, რომლებშიც არ ტარდება ტესტირება, შეიძლება ითქვას, რომ უგულებელყოფილია სწავლისა და სწავლების პროცესში. ხშირ შემთხვევაში, ტესტის შინაარსი განისაზღვრება იმით, თუ რა უფრო ადვილია მოვათავსოთ ტესტში, ვიდრე იმით, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია ტესტისთვის. ამის თავიდან აცილება შესაძლებელია იმით, თუ დავწერთ ტესტის დაკონკრეტებას, დაწვრილებით აღწერილობას, ხოლო ამის შემდეგ დავრწმუნდებით, რომ ტესტის შიგთავსი ბოლომდე ასახავს ამას. ამის გამო შინაარსობრივი ვალიდურობა ბოლომდე უნდა ჩამოყალიბდეს, სანამ დაიწყება ტესტის შექმნის პროცესი. არ უნდა ველოდოთ, სანამ ტესტს უკვე პრაქტიკული დანიშნულება მიეცემა და მას გამოიყენებენ. რჩევები დაკონკრეტებისა და სრული აღწერილობის შექმნისთვის მოცემული იქნება მეშვიდე თავში.

კრიტერიუმზე ორიენტირებული ვალიდურობა

ტესტის კონსტრუქტის ვალიდურობის მტკიცებულების მეორე ფორმა უკავშირდება შემდეგ ფაქტორს: ტესტის რომელი შედეგის ხარისხი ეთანხმება კანდიდატის უნარების დამოუკიდებელ და ზედმეტად დამოკიდებულ შეფასებებს. ამდენად, ეს დამოუკიდებელი შეფასება არის საზომი კრიტერიუმი, რომლის საწინააღმდეგოდაც შექმნილია ტესტი.

არსებითად, გვაქვს კრიტერიუმებზე ორიენტირებული ვალიდურობის ორი ფორმა: კონკურენტული ვალიდურობა და პროგნოზირებადი ვალიდურობა. კონკურენტული ვალიდურობა იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც ტესტისა და კრიტერიუმების ადმინისტრირება ერთდროულად ხდება. იმისათვის, რომ კონკრეტულად წარმოვიდგინოთ ამგვარი ვალიდურობა შედეგის მიღწევაზე ორიენტირებული ტესტის შემთხვევაში, მოდით, განვიხილოთ სიტუაცია, რომელშიც კურსის მიზნები საბოლოო ტესტირებისას მოიცავს ზეპირ კომპონენტს. მიზნების გრაფაში შეიძლება ჩაიწეროს უამრავი „ფუნქცია“, რომელთა ზეპირად წარმოდგენასაც ელოდებიან სტუდენტებისაგან. თითოეული სტუდენტის სრული ტესტირება შეიძლება გაგრძელდეს 45 წუთი. ეს შეიძლება არაპრაქტიკული იყოს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თითოეული სტუდენტის

შემოწმება ზეპირი კომპონენტის მიხედვით შესაძლებელია 10 წუთშიც. ამ შემთხვევაში ისმის ერთი შეკითხვა: შეიძლება თუ არა ამგვარი ათწუთიანი ტესტირების შედეგად სტუდენტის შესაძლებლობების ზედმიწევნით ზუსტად შეფასება კურსის მიზნებთან მიმართებით? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ვალიდური საზომია?

შინაარსობრივი ვალიდურობის გადმოსახედიდან, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ფუნქცია მოწმდება თითოეულ კომპონენტში და რამდენად წარმომადგენლობითადაა ისინი მოცემული მიზნებში ჩართული ფუნქციების მიღწევის თვალსაზრისით? თუმცა, თუ ეს შესრულდება ჩვენ შეგვიძლია წინ წავიწიოთ. ჩვენ შეგვიძლია ვეცადოთ ჩამოვყალიბოთ კომპონენტის კონკურენტული ვალიდურობა.

ამის მისაღწევად, ჩვენ შემთხვევითობის პრინციპით უნდა ავირჩიოთ სტუდენტები. ისინი გაივლით სრულ 45-წუთიანი ტესტის ზეპირ კომპონენტს, რომელიც აუცილებელია ყველა ფუნქციის დასაფარად. წარმოდგენილი უნდა იყოს ოთხი შემფასებელი, ზუსტი და სანდო შეფასების მისაღებად (იხილე შემდეგი თავი). ეს იქნება კრიტერიუმების ტესტი, რომლის საწინააღმდეგოდაც განიხილება უფრო მოკლე ტესტი. სტუდენტების მიერ სრული ტესტირებისას მიღებული ქულები უნდა შევუდაროთ ათწუთიან ტესტირებას. მოკლე ტესტირება უნდა ჩატარდეს ჩვეულ რეჟიმში, იმის ახსნის გარეშე, თუ რა უპირატესობები და პირობები აქვს სრულ ტესტირებას. იმ შემთხვევაში თუ ორივე ტიპის ტესტირების ქულები მაქსიმალურად დაემთხვევა ერთმანეთს, მოკლე ზეპირი ტესტი შეიძლება ჩაითვალოს ვალიდურად, იმდენად რამდენადაც იგი აჩვენებს უფრო ხანგრძლივი ტესტირების მსგავს ქულებს. თუ მეორე მხრივ, ორივე ტიპის ტესტის შეფასებებს შორის დიდი სხვაობაა, მოკლე ვარიანტი ვერ განიხილება ვალიდურად. ის ვერ გამოიყენება როგორც შედეგის მიღწევის სანდო საზომი მიზნებში გაწერილი ფუნქციების შესაბამისად. რა თქმა უნდა, თუ თითოეული სტუდენტის ზეპირ გამოცდას მხოლოდ 10 წუთი სჭირდება, თუმცა, არ შეიძლება მას ვუწოდოთ ზუსტი საზომი.

მიმართება „დამთხვევის მაღალი დონე“ და „დამთხვევის დაბალი დონე“ წარმოშობს შეკითხვას, თუ როგორ იზომება დამთხვევის დონე? ამ მხრივ, არსებობს სტანდარტული პროცედურა ქულების შედარებისათვის, რომლითაც ვიღებთ ე. წ. „კორელაციურ კოეფიციენტს“ (ან როდესაც ჩვენ განვიხილავთ ვალიდურობას - „ვალიდურობის კოეფიციენტს“. ეს არის მსგავსების მათემატიკური საზომი. ქულათა დამთხვევის ყველაზე მაღალი მონაცემი შეფასდება კოეფიციენტით 1. დამთხვევის არარსებობა შეფასდება კოეფიციენტით 0. ორი სახეობის კოეფიციენტის არსის გასაგებად წაიკითხეთ 29-ე გვერდზე ცხრილში მოცემული ინფორმაცია.

დამთხვევა დამაკმაყოფილებელია თუ არა, ეს დამოკიდებულია ტესტის მიზანზე და ამის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების მნიშვნელობაზე. თუ, მაგალითად, ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევების შესაფასებელი ტესტი შექმნილია მაღალი დონის დიპლომატიურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატების შესარჩევად, ამ შემთხვევაში კოეფიციენტი 0.7 შეიძლება ძალიან დაბალ მაჩვენებლად განიხილებოდეს მოკლე ტესტისთვის, რათა ჩაანაცვლოს ზეპირი გადმოცემის უნარ-ჩვევების უფრო ვრცელი და ამომწურავი ტესტი. დროის დაზოგვა არ ღირს უცხო ენის არასათანადოდ მცოდნე

კანდიდატის შერჩევად. მეორე მხრივ, იგივე კოეფიციენტი შეიძლება მისაღები იყოს მოკლე ინტერვიუსთვის, რომელიც ხანგრძლივი ტესტირების ნაწილი იქნება.

იმისათვის, რომ გავიგოთ, რას ნიშნავს კოეფიციენტი ქულათა ორი მონაცემის დამთხვევის ალბათობის თვალსაზრისით, უმჯობესი იქნება ამ კოეფიციენტის კვადრატში აყვანა. წარმოვიდგინოთ, რომ მთავარ ტესტთან მიმართებით ორ ზეპირ ტესტს შორის არსებული კოეფიციენტია 0.7. თუ ავიყვანთ ამ ციფრს კვადრატში, მივიღებთ 0.49-ს. თუ ამ ციფრს გადავიყვანთ პროცენტებში, მივიღებთ 49 პროცენტს. ამის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოკლე ტესტის ქულები სავარაუდოდ გვიჩვენებს ხანგრძლივ ტესტში ქულათა მერყეობის 49 პროცენტს. რომ განვაზოგადოთ, ქულათა ორ მონაცემს შორის დაახლოებით 50-პროცენტია თანხვედრა. კოეფიციენტი 0.5 ნიშნავს 25-პროცენტთან დამთხვევას. კოეფიციენტი 0.8 ნიშნავს 64-პროცენტთან დამთხვევას. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 50-პროცენტია დამთხვევა განზოგადდება ყველა სტუდენტის მონაცემზე. ჩვენ საქმე გვაქვს დამთხვევის ზოგად საზომზე, რომელიც არ უკავშირდება სტუდენტის ინდივიდუალურ შეფასებებს. ეს არის ვალიდურობის კოეფიციენტის ინტერპრეტაციის მოკლე და აუცილებელი ახსნის მცდელობა. საკითხის უფრო კარგად გაგებისთვის მკითხველს შეუძლია იხილოს თავის ბოლოს მოცემული შემდგომი საკითხავი.

უნდა ითქვას, რომ კონკურენტული ვალიდურობის კრიტერიუმი აუცილებელი არ არის, იყოს დამტკიცებული უფრო ვრცელი ტესტის მეშვეობით. ტესტი შეიძლება იყოს დამტკიცებული, მაგალითად, მასწავლებლების მიერ სტუდენტების შეფასების წინააღმდეგ, იმის გათვალისწინებით, რომ თვითშეფასება სარწმუნო იყოს. ეს მისაღები გახდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ტესტი შეიქმნებოდა ყველა არსებული ტესტისაგან განსხვავებული მონაცემების შესაფასებლად/გასაზომად.

კრიტერიუმებზე ორიენტირებული ვალიდურობის მეორე ფორმა არის პროგნოზირებადი ვალიდურობა. ის განსაზღვრავს დონეს, რომლის მიხედვითაც ტესტმა შეიძლება გამოიღოს კანდიდატის მომავალი პრეზენტაციის დონე. ამისი მაგალითი იქნებოდა ის, თუ რამდენად კარგად შეუძლია ცოდნის დონის განმსაზღვრელ ტესტს განსაზღვროს სტუდენტის ენობრივი უნარები ბრიტანულ უნივერსიტეტში დამამთავრებელი კურსის ფარგლებში. კრიტერიუმის საზომი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს პროფესორის/ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის შეფასება ინგლისურ ენაში ან ეს შეიძლება იყოს კურსის შედეგებში მოცემული ინფორმაცია (ჩათვლა/არჩათვლა). კრიტერიუმის საზომის არჩევანი საინტერესო საკითხის წინაშე გვაყენებს. უნდა ვენდოთ თუ არა ხელმძღვანელის სუბიექტურ და დოკუმენტირებულად დაუსაბუთებელ შეფასებებს? რამდენად შეიძლება იყოს სასარგებლო კურსის შედეგებში მოცემული ინფორმაცია, როგორც კრიტერიუმის საზომი, მაშინ როცა ენობრივი მონაცემის გარდა ბევრი სხვა ფაქტორი (როგორებიცაა ცოდნა, მოტივაცია, ჭკუა, ჯანმრთელობა და ბედნიერება) შეიძლება იყოს კურსის ფარგლებში მიღებული შედეგის განმსაზღვრელი?

როდესაც კურსის შედეგი გამოიყენება საზომ კრიტერიუმად, 0.4 (დამთხვევის მხოლოდ 20 პროცენტი) ვალიდურობის კოეფიციენტი ისეთივე მაღალია, როგორც ჩვენი მოლოდინის შემთხვევაში. ეს ასეა ნაწილობრივ სხვა ფაქტორების წყალობით და ნაწილობრივ იმიტომ, რომ სტუდენტები, რომლებიც ვერ აბარებენ ინგლისური ენის დონის განმსაზღვრელ ტესტს, როგორც წესი, არ დაიშვებიან კურსზე. ამდენად ტესტის სავარაუდო სიზუსტე ამ სტუდენტების ენის დონის გამოსაცნობად უცნობია.

შედეგად, ვალიდურობის კოეფიციენტი ზოგადად შეიძლება მივიჩნიოთ დამაკმაყოფილებლად. თავის ბოლოს წარმოდგენილ შემდგომ საკითხავში მოცემულია ინფორმაცია და ანგარიშები ბრიტანეთის საკონსულოს ELTS ტესტის ვალიდურობის შესახებ (IELTS-ის წინამორბედი). ზემოხსენებულ ნაწილში ვრცლად არის საუბარი აღნიშნულ საკითხებზე.

პროგნოზირებადი ვალიდურობის კიდევ ერთი მაგალითი შეიძლება იყოს ადგილის განმსაზღვრელი ტესტის ვალიდურობის დადგენა. ადგილის განმსაზღვრელი ტესტი ადგენს ყოველი სტუდენტისათვის შესაბამის კლასს. ამ პროცესში შეიძლება იყოს ჩართული გამოკითხვა, რაც მიზნად ისახავს იმ სტუდენტების რაოდენობის გარკვევას, რომელთა ცოდნის დონეც, მიჩნეულია, რომ არ შეესაბამება კლასს. ამ შემთხვევაში უნდა შევუდაროთ ერთმანეთს შეუსაბამოების რაოდენობა (და მათი გავლენა სწავლებისა და სწავლის პროცესზე) და ტესტის ადმინისტრირებისა და განვითარების ხარჯები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების ადგილის უფრო ზუსტად განსაზღვრას.

შინაარსობრივი ვალიდურობა, კონკურენტული ვალიდურობა და პროგნოზირებადი ვალიდურობა - თითოეული მათგანი თამაშობს თავის როლს ტესტის განვითარების საკითხში. მაგალითად, ენის სკოლებისთვის ინგლისური ენის ადგილის განმსაზღვრელი ტესტის განვითარებისას ჰუგესმა და სხვებმა (1996), მხარი დაუჭირეს რა ტესტის შინაარსს სამი პოპულარული სახელმძღვანელოს შინაარსის საწინააღმდეგოდ, ენის რამდენიმე სკოლაში შეუდარეს ერთმანეთს სტუდენტების ტესტირების შედეგები ადგილის განმსაზღვრელი ტესტის მათსავე უკვე არსებულ შედეგებს. შემდეგ კი შეამოწმა სტუდენტების ადგილის განმსაზღვრელი ტესტის წარმატებულობა. მხოლოდ ამ პროცესის დასრულების შემდეგ (და მიღებული შედეგების საფუძველზე მცირე ცვლილებების შეტანის შემდეგ) გამოქვეყნდა ეს ტესტი.

ვალიდურობის შექმნისათვის აუცილებელი მტკიცებულებების სხვა სახეები

ტესტის შინაარსობრივი ვალიდურობისა და კრიტერიუმებზე ორიენტირებული ვალიდურობის კვლევა უზრუნველყოფს მთლიანად კონსტრუქტულ ვალიდურობას. თუმცა, მხოლოდ ეს ორი არ არის მტკიცებულების ძირითადი წყარო. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ტესტი, რომელიც განკუთვნილია კითხვის უნარ-ჩვევების გასაზომად, რაც მოიცავს ასევე კითხვის ქვეუნარების მრავალფეროვნებას, მაგალითად, უცნობი სიტყვების მნიშვნელობის გამოცნობა კონტექსტის მიხედვით. ტესტის შინაარსის ვალიდურობამ შეიძლება დაადასტუროს, რამდენად კარგად არის წარმოდგენილი ეს ქვეუნარები ტესტში. მიმდინარე ვალიდურობამ შეიძლება გამოავლინოს ძლიერი კავშირი

სტუდენტის მიერ ტესტის შესრულებასა და მისი კითხვის უნარ-ჩვევების ხელმძღვანელისეულ შეფასებას შორის. თუმცა ბოლომდე დარწმუნებული მაინც ვერ ვიქნებით, რომ ტესტის ნაწილები „ნამდვილად“ იმ ზომავს ქვეუნარებს, რომლებიც სპეციფიკაციების ჩამონათვალშია მოცემული. სიტყვა „კონსტრუქტი“ მიემართება ყველა ხაზგასმულ უნარს (ან ნიშანს), რომლებიც ჰიპოთეტურადაა წამოყენებული ენობრივი უნარების თეორიაში. ზემოთ აღნიშნული ტექსტის მიხედვით, უცხო სიტყვის გამოცნობის უნარი ამის კარგი მაგალითი შეიძლება იყოს. ემპირიული კვლევის ამოცანაა დაამტკიცოს, არსებობს თუ არა ამგვარი უნარი, შეიძლება თუ არა მისი გაზომვა და არის თუ არა აუცილებელი მისი გაზომვა ამგვარ ტესტში. ამგვარი კვლევის შედეგად მიღებული მტკიცებულების გარეშე შეუძლებელია იმის თქმა, რომ ტესტის ის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ამ უნარის გაზომვას, შეიცავს კონსტრუქტის ვალიდურობას. თუ ტესტის ყოველი ნაწილი გულისხმობს სპეციფიკური უნარების გაზომვას, მაშინ, იმის მტკიცებულების გარეშე, რომ ისინი ნამდვილად ზომავს ამგვარ უნარებს, მთლიანი ტესტის კონსტრუქტის ვალიდურობა კითხვის ნიშნის გარეშე დადგება.

მკითხველმა შეიძლება იკითხოს, რამდენადაა შესაბამისი ვალიდურობის ასეთი კატეგორიული მოთხოვნა პრაქტიკული ტესტირებისთვის? ადვილია დავინახოთ შინაარსის ვალიდურობა ტესტის განვითარების პროცესში. თუ ტესტს აქვს კრიტერიუმებზე ორიენტირებული ვალიდურობა, კონკურენტული ან პროგნოზირებადი, რა თქმა უნდა, ის კარგად ასრულებს თავის ფუნქციას. მაგრამ აქვს თუ არა მნიშვნელობა, როცა ჩვენ არ შეგვიძლია იმის ჩვენება, რომ ტესტის სხვადასხვა ნაწილი ზუსტად ზომავს იმას, რის გაზომვასაც ისახავს მიზნად.

ამ შეხედულებას, გარკვეულწილად, თანავუგრძნობ. უფრო მეტიც, მე მჯერა, რომ ზოგადი, მთლიანი კონსტრუქტები, ისეთები, როგორებიცაა „კითხვის უნარი“ და „წერის უნარი“ არაა პრობლემატური. ასევე, მაგალითად, წერის უნარის პირდაპირმა საზომმა არ უნდა გაგვიჩინოს დიდი თავსატეხი. კვლევის გარეშეც კი შეგვიძლია ვიყოთ დარწმუნებულები, რომ ჩვენ ვზომავთ მკაფიო და მრავალმნიშვნელოვან უნარს (თუმცა ძალიან ზოგად და დაწვრილებით განსაზღვრულ უნარს)⁴ თუ გადავწყვეტთ ირიბად გავზომოთ ასეთი უნარი, მაშინ, ველარ ვიქნებით უპირობოდ დარწმუნებულები იმაში, რასაც ვაკეთებთ. ჩვენ სახელმძღვანელოდ უნდა გადავხედოთ წერის უნარის თეორიას, რათა გავარკვიოთ, როგორი ფორმა, შინაარსი და ტექნიკები უნდა ჰქონდეს ირიბ ტესტს. მოდით წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ მართლაც ვგეგმავთ ირიბი წერითი უნარის ტესტის შექმნას, რომელიც პრაქტიკული მიგნებიდან გამომდინარე, უნდა იყოს დახურული სახის. წერის თეორია გვეუბნება, რომ წერის დროს ხაზგასმის უნარი არის ქვეუნარების რიცხვი, როგორებიცაა პუნქტუაცია, სტილი და ა. შ. ჩვენ ვქმნით ნაწილებს, რომლებიც, იგულისხმება, რომ გაზომავს ამ ქვეუნარებს და მოგვემსახურება, როგორც საპილოტე ტესტი. საიდან ვიცით, რომ ეს ტესტი ნამდვილად ზომავს წერის უნარს? ერთ ნაბიჯი, რომელიც აუცილებლად უნდა გადავდგათ, არის ფოკუსჯგუფის (სტუდენტები, რომლებთანაც გამოიცდება ეს ტესტი) მიერ შესრულებული წერითი უნარების ამსახველი ვრცელი ნამუშევრების გადახედვა და ქულების შემოწმება. ამდენად, ჩვენ შევადარებთ საპილოტე ტესტის ქულებს წინა წერილობით ნამუშევრებში მიღებულ ქულებთან. თუ

მათ შორის დამთხვევის მაღალი დონეა (და წინა თავში დეტალურად აღწერილი კოეფიციენტი გამოითვლება), ჩვენ გვექნება მტკიცებულება, რომ ჩვენ ვზომავთ წერის უნარს აღნიშნული ტესტის მეშვეობით.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აქამდე ჩვენ განვავითარეთ დამაკმაყოფილებელი ირიბი ტესტი წერაში, ჩვენ არ წარმოგვიდგენია ძირითადი კონსტრუქტების ნამდვილი სახე (პუნქტუაციის წესების კონტროლი და ა. შ.). თუ ამას გავაკეთებთ, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ სპეციალური ტესტები, რომლებიც ზომავს თითოეულ კონსტრუქტს რამდენიმე სხვადასხვა მეთოდით. გარდა ამისა, ტესტირებაში მონაწილეთა თხზულებები შეიძლება შეფასდეს ცალკე, რათა წარმოვაჩინოთ ჰიპოთეტურ კონსტრუქტებთან დამოკიდებულებაში (მაგალითად, პუნქტუაციის წესების კონტროლი). ამ გზით, ჩვენ მივიღებთ ქულათა ბადეს თითოეული კონსტრუქტისთვის. კოეფიციენტები შეიძლება გამოითვალოს სხვადასხვა საზომების მეშვეობით. თუ ერთი და იმავე კონსტრუქტის ქულებს შორის კოეფიციენტები თანმიმდევრულად მაღალია სხვადასხვა კონსტრუქტების ქულებს შორის არსებულ მონაცემებთან, ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მტკიცებულება, რომ ჩვენ ნამდვილად ვზომავთ სხვადასხვა და ჩვენთვის ცნობილ კონსტრუქტებს. ეს ცოდნა ღირებული იქნება, თუ ჩვენ გვინდა გამოვიყენოთ ტესტი დიაგნოსტიკის მიზნით.

ტესტის კონსტრუქტის ვალიდურობის შესახებ მტკიცებულების მიღების კიდევ ერთი საშუალებაა იმის გარკვევა, თუ რა გზებს მიმართავენ სტუდენტები, როდესაც ასრულებენ ტესტის დავალებებს. ამ ინფორმაციის მიღების ორი ძირითადი მეთოდი არსებობს: ხმამაღლა ფიქრი და რეტროსპექტივა. ხმამაღლა ფიქრის მეთოდის შემთხვევაში სტუდენტები ტესტში მითითებული დავალების შესრულებისას ახმოვანებენ თავიანთ ფიქრებს, რეტროსპექციის შემთხვევაში, ისინი ცდილობენ გაიხსენონ, რას ფიქრობდნენ, როდესაც პასუხობდნენ დავალებებს. ორივე შემთხვევაში პროცესი იწერება კამერით, თუმცა კითხვარიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ უკანასკნელისთვის. ხმამაღლა ფიქრის მეთოდის შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ფიქრების გახმოვანებამ შეიძლება ხელი შეუშალოს დავალების შესრულების ბუნებრივ პროცესს. რეტროსპექციის უარყოფითი მახასიათებელი არის ის, რომ ფიქრები შემსრულებელს შეიძლება დაავიწყდეს ან რამე ვერ გაიხსენოს. მიუხედავად ამ სუსტი მხარეებისა, კვლევამ შეიძლება ნათლად დაგვანახოს, თუ როგორ მუშაობს ტესტის თითოეული ნაწილი (რაც შეიძლება სრულიად განსხვავდებოდეს ტესტის შემქმნელის თავდაპირველი განზრახვისაგან). ყოველი ტესტის შემოწმება ერთგვარი კვლევითი აქტივობაა. როცა ის სცილდება შინაარს და კრიტერიუმზე ორიენტირებულ ვალიდურობას, თეორიები ერთვება ტესტში და მოწმდება, იხვეწება ან საერთოდ უარს ამბობენ მასზე. სწორედ ამ მიზნით ახმოვანებენ ტესტირების პროცესს, რათა უფრო მეტად მიეცეს სამეცნიერო კვლევის სახე. მაგრამ ეს არ ხდება ერთ ღამეში. ეს ხანგრძლივი პროცესია. მთელი ამ ხნის განმავლობაში ენის პრაქტიკოსი ტესტის შემდგენელი უნდა ცდილობდეს, იყოს საქმის კურსში და ფლობდეს არსებულ ინფორმაციას. ეჭვის არსებობისა და ამის შესაძლებლობის შემთხვევაში, უნარების შემმოწმებელი პირდაპირი ტესტირება რეკომენდებულია.

ქულების ვალიდურობა:

აღნიშვნის ღირსია ის, რომ თუ ტესტს აქვს ვალიდურობა, არა მარტო მისი თითოეული ნაწილი, არამედ პასუხების შეფასებების გზებიც უნდა იყოს ვალიდური. უსარგებლოა არაჩვეულებრივად შედგენილი ტესტი და მისი თითოეული ნაწილი, თუ შეფასებისა და ქულების დაჯამების პროცესი არავალიდურია. კითხვის ტესტში შეიძლება იყოს მოკლე წერითი პასუხები. თუ ამგვარი პასუხების შეფასებისას გათვალისწინებული იქნება გრამატიკული და პუნქტუაციური შეცდომები, ამ შემთხვევაში შეფასება არავალიდურია (ტესტი კითხვაში ზომავს მხოლოდ კითხვის უნარებს). ერთი შეკითხვის ფარგლებში ერთზე მეტი უნარის გაზომვის შემთხვევაში ტესტი არაზუსტია. შეიძლება იყოს შემთხვევები, როცა გრამატიკული ან ორთოგრაფიული შეცდომის გამო პასუხის წაკითხვა და გაგება შეუძლებელია. ასეთ დროს პრობლემა პასუხშია და არა დაწერილ ქულაში. ასევე, თუ ჩვენ გვინტერესებს ლაპარაკის ან წერის უნარების გაზომვა, არ არის საკმარისი ლაპარაკის ან წერის მართებულად ჩვენება. წერისა და ლაპარაკის რეიტინგის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია. მაგალითად, მექანიკურ და პუნქტუაციურ შეცდომებზე ზედმეტად ყურადღების გამახვილებამ შეიძლება წერით ნამუშევარში დაწერილი ქულის გაუქმება გამოიწვიოს (ისევე როგორც მთლიანი წერითი ტესტის).

სახის ვალიდურობა

ტესტს აქვს სახის ვალიდურობა, თუ ის ზომავს იმას, რის გაზომვასაც გულისხმობს. მაგალითად, ტესტი, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ ამოწმებს პუნქტუაციის უნარებს, მაგრამ რომელიც არ მოითხოვს სტუდენტისაგან ლაპარაკს (თუმცა შეიცავს ამგვარ ნაწილს), შეიძლება მოკლებული იყოს სახის ვალიდურობას. ეს სიმართლე იქნება მაშინაც კი, თუ მასში წარმოდგენილი იქნება ტესტის კონსტრუქტი და კრიტერიუმებზე ორიენტირებული ვალიდურობა. სახის ვალიდურობა არ არის მეცნიერული ცნება და არ განიხილება, როგორც კონსტრუქტული ვალიდურობის მტკიცებულების წყარო. და მაინც, ის შეიძლება იყოს ძალიან მნიშვნელოვანი. ტესტი, რომელსაც არ აქვს სახის ვალიდურობა, შეიძლება მიუღებელი იყოს კანდიდატებისთვის, მასწავლებლებისთვის, განათლების დარგის წამყვანი სპეციალისტებისა და დამქირავებლებისთვის. ის უბრალოდ შეიძლება არ გამოიყენონ და თუ გამოიყენებენ, ამ შემთხვევაში მან შეიძლება ვერ ასახოს კანდიდატების რეალური უნარები. ახალი ტექნოლოგიები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც უზრუნველყოფს ირიბ საზომებს, უნდა დაინერგოს ნელ-ნელა, ფრთხილად და დამაჯერებელი ახსნა-განმარტებებით.

როგორ ვაქციოთ ტესტი ვალიდურად?

მაღალი დონის ტესტის შექმნისათვის, რომელიც მნიშვნელოვნად იმოქმედებს შემქმნელების ცხოვრებაზე, აუცილებელია ვალიდურობის სრული გამოცდა, ვიდრე ტესტი ჩაეშვება სასწავლო სისტემაში. მასწავლებლის მიერ შექმნილი ტესტის

შემთხვევაში, სრული ვალიდურობა ნაკლებადაა შესაძლებელი. ამ პირობებში, მე შემდეგ რეკომენდაციებს გავცემდი: პირველ რიგში, ჩამოწერეთ ტესტისათვის (იხილე მეშვიდე თავი) საჭირო ექსპლიციტური სპეციფიკაციები (კონკრეტული მახასიათებლები), რომლებიც გაითვალისწინებს კონსტრუქტების შესახებ არსებულ გასაზომ ცოდნას. დარწმუნდით, რომ ტესტში თქვენ ჩართეთ ამგვარი შინაარსის საჩვენებელი მაგალითი. გარდა ამისა, როდესაც შესაძლებელია, გამოიყენეთ პირდაპირი ტესტირება. თუ გარკვეული მიზეზების გამო, გადაწყდა, რომ ირიბი ტესტირება აუცილებელია, გასათვალისწინებელია ამ მიმართულებით არსებული სამეცნიერო კვლევები იმისათვის, რომ დარწმუნდეთ, ტესტში წარმოდგენილი (ამან შეიძლება ხშირად გამოიწვიოს იმედგაცრუება და პირდაპირი ტესტირების არჩევანი) რელევანტური ფუნდამენტური კონსტრუქტების საზომი წარმოდგენილია ტესტირების ტექნიკების გამოყენებით. მესამეც, დარწმუნდით, რომ პასუხების ქულები პირდაპირ მიემართება იმას, რასაც ისახავს ტესტი მიზნად. დაბოლოს, ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ ტესტი იყოს სანდო. თუ ტესტი არაა სანდო, ის ვერ იქნება ვალიდური. სანდოობის საკითხი განხილულია შემდეგ თავში.

მკითხველის აქტივობები:

განიხილეთ თქვენთვის ნაცნობი ყველა ტესტი. შეაფასეთ თითოეული მათგანი ამ თავში განხილული ვალიდურობის ყველა სახის გათვალისწინებით. რა ემპირიული მტკიცებულებები არსებობს იმის დასასაბუთებლად, რომ ტესტი ვალიდურია? თუ მტკიცებულება არასაკმარისია, როგორ შეავსებ მას?

შემდგომი დასამუშავებელი მასალა:

ერთი შეხედვით, ვალიდურობა საკმაოდ პირდაპირი კონცეპტია. მაგრამ თუ დავაკვირდებით, ის შეიძლება მოგვეჩვენოს ძალიან კომპლექსურად, იმდენად, რომ ზოგიერთი ავტორი გარკვეულ შემთხვევებში ხშირად ვერ მიჯნავს მას სანდოობის ცნებისაგან. მოცემულ თავში ვეცადე წარმომედგინა ვალიდურობა იმ ფორმით, რომლითაც ის ხელჩასაჭიდი იქნებოდა დარგის ახალბედა სპეციალისტებისთვის და რომელიც სასაგებლო იქნებოდა ტესტის შექმნისა და დამუშავებისათვის. მათ, ვისაც სურს უფრო შეისწავლოს აღნიშნული კონცეპტი, მე ვურჩევდი შემდეგ შრომებს: ანასტასი და ურბინა (1997) ტესტის ვალიდურობისა და მისი გაზომვის ზოგადი მსჯელობისათვის; ნიტკო (2001) ვალიდურობის მნიშვნელობის შესახებ საგანმანათლებლო საზომის კონტექსტში; მესიკი (1989) წარმოგვიდგენს ვრცელ და მრავალმხრივ თავს ვალიდურობის შესახებ, რომელსაც ხშირად იმოწმებენ ტესტირების შესახებ ლიტერატურაში. მისი 1996 წელს შექმნილი ნაშრომი განიხილავს ვალიდურობისა და უკუგების ეფექტის ურთიერთკავშირს. ბახმანი და პალმერი (1981) ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი მცდელობაა ვალიდურობის ენის ტესტირებაში კონსტრუქტის წარმოდგენის თვალსაზრისით. კვლავ საინტერესო მაგალითად რჩება ტესტის ვალიდაცია (ბრიტანეთის საკონსულოს ტესტი British Council ELTS test), რომელშიც მთელი რიგი საინტერესო საკითხია წამოჭრილი, აღწერილი და შეფასებული კრიპერისა და დევისის (1988), ჰუგესის, პორტერისა და ვაირის (1988) მიერ. ვალიდურობის შედარებით თანამედროვე ხედვები შეიძლება მოვიძიოთ ვოლისა და სხვების (1994) და ფულჩერის შრომებში (1997).

კოჰენი (1984) აღწერს ხმამაღლა ფიქრისა და რეტროსპექციის ადრეულ გამოყენებას. ბუკი (1991) და ვუ (1998) წარმოგვიდგენენ ინტროსპექციის გამოყენების შედარებით თანამედროვე მაგალითებს. სტორი (1997) იყენებს „ხმამაღლა ფიქრს“. ბრადშოუ (1990) იკვლევს სახის ვალიდურობას ადგილის განმსაზღვრელ ტესტში. ვაირი და სხვები (1993) და ვაირი და პორტერი (1995) არ ეთანხმებიან ანდერსონს (1990ა, 1990ბ) კითხვის გაგების უნარებისთვის წარმოდგენილი მტკიცებულებების შესახებ. კუმინგი და ბერვიკი (1996) არის ენის ტესტირების პროცესში ვალიდაციის შესახებ ნაშრომთა კრებული. ბახმანი და კოჰენი (1998) წარმოადგენს ნაშრომებს მეორე ენის დაუფლებისა და ენის ტესტირების შესახებ კვლევების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. იმ არგუმენტისთვის (რომელსაც მე არ ვეთანხმები), რომლის მიხედვითაც არ არსებობს ენის კომუნიკაციური ტესტის ვალიდურობის (კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტის გაგებით) კრიტერიუმი, იხილ მოროუ (1986). ბახმანის წიგნში (1990) მოცემულია სიღრმისეული მსჯელობა ვალიდურობისა და სხვა თეორიული საკითხების შესახებ.

1. პირველად ტერმინი „კონსტრუქტის ვალიდურობა“ გამოყენებული იქნა ფსიქოლოგიური ტესტების კონტექსტში, განსაკუთრებით კი პიროვნული მახასიათებლების დასადგენად. იმ პერიოდში განიხილებოდა მთელი რიგი ამგვარი ტესტები, რომლებიც ადასტურებდნენ ფსიქოლოგიური კონსტრუქტების საზომებს მტკიცებულებების შეთავაზების გარეშე, რომელთა მიხედვითაც ეს კონსტრუქტები არსებობდნენ გასაზომი ფორმით. მოთხოვნის მიხედვით ამ კონსტრუქტების ამგვარი მტკიცებულება წარმოადგენს ტესტის ვალიდურობის დემონსტრირების ნაწილს.
2. ხანდახან კორელაციის კოეფიციენტი შეიძლება იყოს მცდარი, ტესტების ნიმუშების შემთხვევითი შერჩევა. თუ, მაგალითად, მოცემულია განსაკუთრებით ძლიერი ან განსაკუთრებით სუსტი მონაწილეების „უკიდურესი“ ქულები, კოეფიციენტი შეიძლება იყოს უფრო მაღალი, ვიდრე ჯგუფის რეალური მაჩვენებელი. დეტალებისთვის იხილ ნიტკო (2001).
3. რადგან უნარების სრული სპექტრი არ არის ჩართული, ვალიდურობის კოეფიციენტი არ ექვემდებარება შეფასებას (იხილე წინა სქოლიო).
4. თუმცა, ვიღაცამ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს შკალა, რომელიც გამოიყენება, ვთქვათ, წერითი ტესტის შეფასების დროს. რამდენად სიღრმისეულად ასახავს ის ენის ფლობის შესაფასებელ უნარებს? ეს შეიძლება არ იყოს მნიშვნელოვანი ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტის შემთხვევაში, რომელშიც ქულების შკალა შეიძლება განისაზღვროს საჭირო უნარ-ჩვევების დონის საფუძველზე კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე (მაგალითად, სამსხური). ცოდნის მისაღწევი ტესტის შემთხვევაში, ქულები, რომლებიც არ შეესაბამება განვითარების საფეხურებს, მოკლებულია ვალიდურობას.

5. სანდოობა

წარმოიდგინეთ, რომ ასობით სტუდენტი წერს 100-ქულიან ტესტს ხუთშაბათს, დღის სამ საათზე. ტესტი არ არის ზედმეტად რთული ან სასაცილოდ ადვილი ამ სტუდენტებისთვის, შესაბამისად, ისინი ვერ მიიღებენ ნულოვან შეფასებას ან ზედმეტად მაღალ, თუნდაც 100 ქულას. რა მოხდება, თუ მათ ეს ტესტი რომ დაეწერათ არა ხუთშაბათს, არამედ წინა დღეს სამ საათზე? მოსალოდნელი იქნებოდა თუ არა, რომ თითოეულ სტუდენტს იგივე ქულები მიეღო ოთხშაბათს, რომლებსაც ხუთშაბათს მიიღებდნენ? ამ კითხვაზე ერთადერთ პასუხია - არა. თუნდაც გაგვეკეთებინა დასკვნა, რომ ტესტი საუკეთესოდ არის შედგენილი და ტესტის ადმინისტრირება იდენტურია ორივე დღეს, რომ ქულებსაც ერთი და იგივე ადამიანები წერენ ერთი და იგივე კრიტერიუმებითა და ერთნაირი პასუხისმგებლობით, რომ მასალის სწავლისათვის ან დავიწყებისათვის მხოლოდ ერთი დღის ინტერვალია, ჩვენ მაინც არ უნდა ველოდოთ იდენტურ ქულებს ოთხშაბათსა და ხუთშაბათს დაწერილ ტესტში. ადამიანები ასე არიან მოწყობილები, ისინი სხვადასხვაგვარად იქცევიან სხვადასხვა დროს და ვითარებაში მიუხედავად იმისა, რომ გარემო პირობები იდენტურია ყველა შემთხვევაში.

მაგრამ, მეორე მხრივ, თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ჩვენ ვერასდროს ვერ უნდა ვენდოთ ბოლომდე ტესტის შეფასებებს. ჩვენ ვიცით, რომ ქულები განსხვავებული იქნება სხვადასხვა დროს, წინა და მომდევნო დღეს, ჩატარებული ტესტირების შემთხვევაში. ეს გარდაუვალია და ჩვენ ეს უნდა მივიღოთ. ჩვენ ერთადერთი რამის გაკეთება შეგვიძლია: ისე შევქმნათ და შევაფასოთ ტესტები, ისე ჩავატაროთ ტესტირება, რომ ერთმა და იმავე სტუდენტებმა სხვადასხვა დროს დაწერილ ტესტში მიახლოებით მსგავსი ქულები მიიღონ. რაც უფრო მსგავსი იქნება ქულები, მით უფრო სანდო ტესტთან გვაქვს საქმე.

ჩაზედოთ პირველი ცხრილის 1(ა) ჰოპოთეტურ მონაცემებს. აქ წარმოდგენილია ათი სტუდენტის მიერ 100-ქულიან ტესტში მიღებული ქულები (A) და მოცემულია ის ქულები, რომლებსაც მიიღებდნენ ერთი დღის შემდეგ შესრულებულ ტესტში. შეადარეთ ქულათა ორი მონაცემი (არ იღელვოთ იმაზე, რომ ამ ინფორმაციას ვერასდროს მივიღებთ. ტესტის შეფასების ხერხებზე მოგვიანებით იქნება მსჯელობა. აქედან თვალნათლივ ჩანს, რომ ადამიანებმა დაწერეს ერთი და იგივე ტესტი ორჯერ). მიაქციეთ ყურადღება თითოეული სტუდენტის ქულებს შორის განსხვავებას.

ცხრილი 1 (ა). ტესტში (A) მიღებული ქულები (გამოგონილი მონაცემები)

სტუდენტი	მიღებული ქულები	ქულები, რომლებსაც სტუდენტები მიიღებდნენ მომდევნო დღეს
ბილი	68	82
მერი	46	28
ანა	19	34

ჰარი	89	67
სირილი	43	63
პაულინი	56	59
დონი	43	35
კოლინი	27	23
ირენი	76	62
სუი	62	49

დააკვირდით ცხრილს 1 (ბ), რომელშიც წარმოდგენილია იმავე ტიპის ინფორმაცია მეორე ასქულიანი ტესტის შემთხვევაში (B). ისევ დააკვირდით თითოეული სტუდენტის განსხვავებულ მონაცემებს.

ცხრილი 1 (ბ). ტესტი (B) მიღებული ქულები (გამოგონილი მონაცემები)

სტუდენტი	მიღებული ქულები	ქულები, რომლებსაც სტუდენტები მიიღებდნენ მომდევნო დღეს
ბილი	65	69
მერი	48	52
ანა	23	21
ჰარი	85	90
სირილი	44	39
პაულინი	56	59
დონი	38	35
კოლინი	19	16
ირენი	67	62
სუი	52	57

რომელი ტესტი უფრო სანდოდ გამოიყურება? ქულების ორ მონაცემს შორის უფრო ნაკლებია განსხვავება B ტესტში A ტესტთან შედარებით. მოცემული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ B ტესტი უფრო სანდოა, ვიდრე A ტესტი (თუმცა, პრაქტიკაში, რა თქმა უნდა, არ დავეყრდნობით სტუდენტთა ასეთ მცირე რაოდენობას).

დააკვირდით ცხრილს ა (გ), რომელშიც წარმოდგენილია იმავე სტუდენტების გასაუბრების შედეგები, მიღებული ხუთქულიანი შეფასების სისტემით:

ცხრილი 1 (გ). გასაუბრების შედეგად მიღებული ქულები (გამოგონილი მონაცემები)

სტუდენტი	მიღებული ქულები	ქულები, რომლებსაც სტუდენტები მიიღებდნენ მომდევნო დღეს
ბილი	5	3

მერი	4	5
ანა	2	4
ჰარი	5	2
სირილი	2	4
პაულინი	3	5
დონი	3	1
კოლინი	1	2
ირენი	4	5
სუი	3	1

ერთი შეხედვით, ინტერვიუს ქულების ორი მონაცემი ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან. ყველაზე დიდი განსხვავება წინა და მომდევნო დღეებში მიღებულ ქულებს შორის არის 3. მაგრამ მოსალოდნელი ყველაზე დიდი განსხვავებაა 4. მართლაც, ქულათა ეს ორი მონაცემი ძალიან განსხვავებულია. ეს ნათელი ხდება, როცა ჩვენ ვადარებთ სტუდენტებს შორის განსხვავებას თითოეული სტუდენტის მიერ მიღებულ ქულებს შორის განსხვავებას. ისინი დაახლოებით ერთ სიდიდეს წარმოადგენენ. შედეგები თვალსაჩინო ხდება, თუ დავალაგებთ თანმიმდევრობით მაღლიდან დაბალი შეფასებებისკენ. არსებული ქულების საფუძველზე მიღებული თანმიმდევრობა განსხვავებული იქნებოდა მომდევნო დღეს ჩატარებული გასაუბრების შედეგად მიღებულ ქულებს შორის. ამდენად ჩანს, რომ ინტერვიუ სულაც არ არის სანდრო ამ მხრივ.

სანდოობის კოეფიციენტი:

ტესტის სანდოობის გამოთვლა შესაძლებელია სანდოობის კოეფიციენტის ფორმით. სანდოობის კოეფიციენტი ჰგავს ვალიდურობის კოეფიციენტს (თავი 4). სანდოობის იდეალური კოეფიციენტი არის 1. სანდოობის კოეფიციენტი 1 აქვს იმ ტესტს, რომელიც გვიჩვენებს თითქმის მსგავს შედეგებს მიუხედავად იმისა, თუ როდის არის ის შესრულებული ერთი და იგივე სტუდენტების მიერ. ტესტი, რომელსაც აქვს 0 სანდოობის კოეფიციენტი (და მოდით, იმედი ვიქონიოთ, რომ ასეთი ტესტი არ არსებობს) მოგვცემდა ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებულ შედეგებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ წინა დღეს მიღებული ქულა არ მოგვცემდა მომდევნო დღეს მოსალოდნელი შედეგის გამოცნობის საშუალებას. სანდოობის კოეფიციენტი მაშინ არსებობს, თუ ორ მონაცემს შორის მაჩვენებელი მერყეობს ერთსა და ნულს შორის.

ზოგიერთი ავტორი გვიჩვენებს რამდენად მაღალი შეიძლება იყოს მოსალოდნელი სანდოობის კოეფიციენტი ენის სხვადასხვა ტიპის ტესტის შემთხვევაში. ლადო (1961), მაგალითად, კარგი კითხვის, სტრუქტურული და ლექსიკის შემმოწმებელი ტესტი მერყეობს 90-99-ს შორის, მაშინ როდესაც აუდიალური, გაგების შემმოწმებელი ტესტის მონაცემები შეიძლება იყოს 80-89-ის ფარგლებში. ლაპარაკის უნარ-ჩვევების შემმოწმებელი ტესტი შეიძლება გვიჩვენებდეს მონაცემებს 70-79. ის დასძენს, რომ

სანდოობის კოეფიციენტი 85 შეიძლება იყოს მაღალი ზეპირი ტესტისთვის, მაგრამ იყოს ძალიან დაბალი მაჩვენებელი კითხვის უნარ-ჩვევების შემმოწმებელი ტესტისთვის. სწორედ ამას გულისხმობს ლადო, როდესაც საუბრობს სხვადასხვა უნარების შემმოწმებელი ტესტის სანდოობის მიღწევის საკითხზე.

სინამშვილეში, სანდოობის კოეფიციენტი კიდევ სხვა მოსაზრებებს ეფუძნება, რომელთაგანაც ყველაზე აღსანიშნავია იმ გადაწყვეტილებების მნიშვნელობა, რომლებიც მიიღება ტესტის საფუძველზე. რაც უფრო მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება, უფრო მეტი სანდოობა უნდა მოვითხოვოთ: თუ ჩვენ არ ვაძლევთ ვინმეს საშუალებას, ისწავლოს საზღვარგარეთ ენის ტესტში მიღებული ქულის გამო, მაშინ ჩვენ აბსოლუტურად უნდა ვიყოთ დარწმუნებულები იმაში, რომ ტესტირებისას მიღებული ქულა არ იქნება ძალიან განსხვავებული მომდევნო ან წინა დღეს მიღებული ქულისაგან. შემდეგ ნაწილში განმარტებულია, თუ როგორ მიიღება სანდოობის კოეფიციენტი სხვა სქემის მიხედვით (გადაცდომათა საზომის სტანდარტი), რათა შევაფასოთ ამ სახის მოსალოდნელი სხვაობები. სანამ ამას გავაკეთებდეთ, ცალკე უნდა ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ მიიღება სანდოობის კოეფიციენტი. პირველი მოთხოვნაა ქულების ორი მონაცემის არსებობა შედარებისათვის. ამის მიღების ყველაზე კარგი საშუალებაა სხვადასხვა საგანში ერთი და იგივე ტესტირების ორჯერ ჩატარება. ეს ცნობილია როგორც ტესტის რეტესტირების მეთოდი. უარყოფითი შედეგების ხილვა არაა რთული. თუ მეორე ტესტირება პირველი ტესტირების შემდეგ მალევე ტარდება, საგნებში ნაწილები მეორდება თითქმის და სტუდენტების პასუხების საფუძველზე მიღებული სანდოობის კოეფიციენტი ფიქტიურად მაღალი იქნება. თუ ტესტირებებს შორის დიდი დროის ინტერვალია, მაშინ სტუდენტები ისწავლიან ან დაავიწყდებათ მონაცემები, ამ შემთხვევაში კი განსხვავება უფრო დაბალი იქნება, ვიდრე უნდა იყოს. თუმცა, დიდი დროის ინტერვალის შემთხვევაში ერთი და იგივე ტესტის ორჯერ შევსების მოტივაცია ძალიან დაბალი იქნება, რაც ასევე დასწევს ქვემოთ სანდოობის კოეფიციენტს. ამდენად, ორივე შემთხვევაში ეფექტი უფრო დაბალია და, შესაბამისად, არასანდო.

რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს, ყველაზე გავრცელებული მეთოდი ორი მონაცემის შედარებისა გულისხმობს ერთჯერადი ტესტირების ადმინისტრირებას. ამგვარი მეთოდები გვაწვდის შიდა თანმიმდევრულობის კოეფიციენტს. ყველაზე ძირითადი მათ შორის არის ნახევრად გაყოფის მეთოდი. ამ შემთხვევაში კანდიდატები ავსებენ ტესტს ჩვეულებრივად, მაგრამ თითოეულ კანდიდატს ენიჭება ორი ქულა. ერთი ქულა იწერება ტესტის ერთ ნაწილში, ხოლო მეორე ქულა მეორე ნაწილში. ორივე მონაცემი გამოიყენება სანდოობის კოეფიციენტის გამოსათვლელად ისე, როგორც ერთი მთლიანი ტესტი შეივსებოდა ორჯერ. იმისათვის, რომ ამ მეთოდმა იმუშაოს, ჩვენ ფრთხილად ვარჩევთ და ვყოფთ ტესტს ორ ნამდვილად ეკვივალენტურ ნაწილად სირთულისა და დავალებების რაოდენობის მიხედვით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არის ალტერნატიული მეთოდი, იმის გამოკლებით, რომ ორივე ფორმა ერთი მთლიანის თანაბარი ნაწილია. ემპირიულად გამოჩნდა, რომ ეს გაერთიანებული მეთოდი უფრო ეკონომიურია და კოეფიციენტის

ალტერნატიული ფორმების კარგი შეფასება შეიძლება მოგვცეს, იმის გათვალისწინებით, რომ ალტერნატიული ფორმები ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

გაზომვის სტანდარტული შეცდომები და რეალური ქულები

მაშინ როდესაც სანდოობის კოეფიციენტი საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ტესტის სანდოობა, ეს პირდაპირ არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ რამდენად ახლოს არის კანდიდატის მიერ მიღებული ქულა სხვა სხვა შემთხვევაში შესრულებულ ტესტში მიღებულ ქულასთან. მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით, შეიძლება გამოვითვალოთ რამდენად ახლოსაა კანდიდატის მიერ მიღებული ქულა მის ე. წ. „რეალური ქულასთან“.

წარმოიდგინეთ, რომ შესაძლებელია კანდიდატმა შეავსოს ერთი და იგივე ტესტი ზედიზედ რამდენჯერმე ან სულაც უზომო რაოდენობით, თუ ტესტი სრულყოფილად სანდოა და არ არის ზედმეტად რთული ან ადვილი, ისე რომ სტუდენტი მუდმივად იღებს ნულ ან ას ქულას, ჩვენ უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ ყოველ ჯერზე ამ კანდიდატის მიერ მიღებული ქულა სხვადასხვა იქნება. რომ აგველო ყველა ეს ქულა და გამოგვეთვალა საშუალო არითმეტიკული, არ იქნებოდა მიზეზმოკლებული გვეფიქრა, რომ ის ასახავს სტუდენტის უნარებს და არის ე. წ. კანდიდატის რეალური ქულა.

ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ განცხადება იმ ალბათობის შესახებ, რომ კანდიდატის რეალური ქულა (ქულა, რომელიც საუკეთესოდ წარმოაჩენს მის უნარებს) არის ტესტში მიღებული ქულების განსაზღვრული რაოდენობა. ეს რომ გავაკეთოთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ კონკრეტული ტესტის გაზომვის სტანდარტული გადაცდომა. გაზომვის სტანდარტული გადაცდომის გამოთვლა ეფუძნება სანდოობის კოეფიციენტს და ტესტში მიღებული ყველა ქულების გაზომვას (ქულების მოცემული გადანაწილება, რაც უფრო მეტია სანდოობის კოეფიციენტი, მით უფრო ნაკლებია გაზომვის სტანდარტული გადაცდომა). როგორ შეიძლება ამის მიღწევა გაზომვის სტანდარტული გადაცდომის გამოყენებით, კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდან: წარმოვიდგინოთ, რომ ტესტს აქვს გაზომვის სტანდარტული გადაცდომა 5. ტესტში მიღებული ინდივიდუალური ქულაა 56. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია შემდეგის მტკიცება: დაახლოებით 68 პროცენტით შეგვიძლია ვიყოთ დარწმუნებულები, რომ კანდიდატის რეალური ქულა მერყეობს 51-62 ქულებს შორის (ე. ი. ერთი სტანდარტული გადაცდომის გაზომვის ქულა მიიღება ამ ვითარებაში). ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით 95 პროცენტით ვიყოთ დარწმუნებულები, რომ მათი რეალური ქულები მერყეობს 46-66 მაჩვენებლებს შორის (ე. ი. ორი სტანდარტული გადაცდომის გაზომვის ქულა მიიღება ამ ვითარებაში). ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით 99,7 პროცენტით ვიყოთ დარწმუნებულები, რომ მათი რეალური ქულები მერყეობს 41-71 მაჩვენებლებს შორის (ე. ი. სამი სტანდარტული გადაცდომის გაზომვის ქულა მიიღება ამ ვითარებაში). ამის მტკიცების საფუძველია ის, თუ რა არის ცნობილი ქულების ზოგადი მონაცემების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი კანდიდატი ტესტს შეავსებდა რამდენჯერმე გამეორებით ზემოთ აღწერილ ვითარებაში. მათი ქულების დაახლოებით 68 პროცენტი იქნებოდა გაზომვის ერთი სტანდარტული გადაცდომის ფარგლებში და ა. შ. თუ ისინი ტესტირებას გაივლიდნენ მხოლოდ ერთხელ, ჩვენ ვერ ვიქნებით დარწმუნებულები იმაში, თუ მიღებული ქულები

ასახავს მათ რეალურ ქულას, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია გავაკეთოთ ალბათობითი განცხადება ზემოთ განხილული შემთხვევის მსგავსად⁴.

დაბოლოს, სტატისტიკური დასაბუთება არ არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია ამოვიცნოთ, როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ გაზომვის სტანდარტული გადაცდომა ტესტის ქულებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის გასაცნობად. მაგალითად, ფრთხილად უნდა ვიყოთ, როდესაც ვიღებთ მნიშვნელოვან უარყოფით გადაწყვეტილებას ადამიანის მომავალთან დაკავშირებით. კერძოდ, არის შემთხვევა, როდესაც გაზომვის სტანდარტული გადაცდომა გვიჩვენებს, რომ კანდიდატების რეალური ქულა ახლოს დგას იმ ქულასთან, რომელიც პოზიტიური გადაწყვეტილების საფუძველი შეიძლება გახდეს მაშინაც კი, თუ მათ მიერ მიღებული ქულები უფრო დაბალია. ამდენად, ყველა გამოქვეყნებული ტესტი უნდა უზრუნველყოფდეს გამომყენებლებს არა მხოლოდ სანდოობის კოეფიციენტით, არამედ სტანდარტული გადაცდომის გაზომვით. მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის შედარებით თანამედროვე მიდგომაა ცნობილი სახელწოდებით საკითხთან დაკავშირებული თორია *Item Response Theory (IRT)*. ეს თეორია საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო უკეთესად შევავსოთ, თუ რამდენად შეიძლება დამოკიდებული ტესტირების კანდიდატების მიერ მიღებული ქულა მათ რეალურ ქულებს. მაშინ როდესაც კლასიკური ანალიზი გვაძლევს ტესტირების კანდიდატების მხოლოდ ერთ შეფასებას, საკითხთან დაკავშირებული თეორია გვაძლევს თითოეული ინდივიდის შეფასებას მათ მიერ შესრულებული ტესტის თითოეული დავალების მონაცემების საფუძველზე.

ამის დამამტკიცებელი მაგალითები, როგორც წესი, მიემართება ინდივიდების ქულების სტანდარტულ გადაცდომებს და მათი ნახვა შეიძლება დანართში N1. ის, რაზეც აქამდე იყო მოცემულ თავში საუბარი, მიემართებოდა შევსებული ტესტის შედეგად კანდიდატების მიერ მიღებული ქულების თანმიმდევრულობას. კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტირებისას ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს ქულები, უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ იმს, თუ რამდენად დააკმაყოფილა კანდიდატმა ტესტში წარმოდგენილი კრიტერიუმები. ამ შემთხვევაში, თანმიმდევრულობა, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, შეიძლება მოვიხსენიოთ როგორც გადაწყვეტილების თანმიმდევრობა (ვიდრე „სანდოობა“) ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რამდენად თანმიმდევრულია ტესტი გადაწყვეტილებების მიღების მხრივ, რამდენად მიაღწია ან ვერ მიაღწია კანდიდატმა ტესტის კრიტერიუმებს. წარმოიდგინეთ ასეთი შემთხვევა: 50 კანდიდატი გადის ტესტირებას (შესაძლოა მათ აქვთ ტესტის ორი ალტერნატიული ფორმა) ორჯერ. მათ, ვინც მიაღწიეს კრიტერიუმებს, შეიძლება ვუწოდოთ „გაწაფულები“ (იმ გაგებით, რომ მათ აქვთ ნებისმიერი ტესტის შევსების უნარები), ხოლო მათ, ვინც ვერ მიაღწია ამას, შეიძლება ვუწოდოთ „გაუწაფავები“.

ორმოცდაათი კანდიდატიდან:

18 არის გაწაფული ორივე შემთხვევაში

15 არის გაუწაფავი ორივე შემთხვევაში

9 არის გაწაფული პირველ შემთხვევაში, ხოლო მეორე შემთხვევაში არა

8 არის პირველ შემთხვევაში გაუწაფავი, ხოლო მეორე შემთხვევაში გაწაფული.

ამდენად, 50 კანდიდატიდან 33-ს ენიჭება ერთი და იგივე კატეგორია (გაწაფული ან გაუწაფავი ორივე შემთხვევაში). 33 კანდიდატი ორმოცდაათიდან პროცენტული მაჩვენებლებით იქნება 66%, ხოლო პროპორციული წესით 0.66. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი ცნობილია როგორც „პროცენტული თანხვედრა“ და მიღებული შეფასებაა გადაწყვეტილებების თანმიმდევრობის გამოსავლენად.

ინფორმაცია მეორე მეთოდის შესახებ, რომლითაც ჩვენ ვაფასებთ გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობას (და ისინი არ არის შეზღუდული მხოლოდ ორი ჯგუფით - გაწაფულები და გაუწაფავები), იხილეთ შემდგომ დასამუშავებელი მასალის ნაწილში.

ჩვენ გავეცანით სანდოობის მნიშვნელობას. თუ ტესტი არ არის სანდო, მაშინ ცალკეული ინდივიდების მიერ ტესტში მიღებული ქულები არ დაემთხვევა მათ რეალურ ქულებს. ეს კი ნიშნავს იმას, ჩვენ ნაკლებად უნდა ვენდოთ ამ მონაცემებს. მაშინაც კი თუ სანდოობის ხარისხი ძალიან მაღალია, გაზომვის სტანდარტული გადაცდომა (ან IRT-ს მეშვეობით მიღებული სტანდარტული გადაცდომა) გვემსახურება, რათა გაგვახსენოს, რამდენად ადვილადაა შესაძლებელი სხვაობის არსებობა მიღებულ და რეალურ ქულებს შორის. ამან უნდა დაგვაფიქროს მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას, როდესაც კანდიდატს ქულების საფუძველზე ვანიჭებთ სტატუსს (ჩათვლა/ვერ გაიარა). ასეთ შემთხვევაში ამ კანდიდატების ენობრივი უნარების შესახებ დამატებითი ინფორმაცია უნდა მოვიძიოთ. ამის გათვალისწინებით შემდგომ ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა უნდა გავაკეთოთ ტესტის სანდოობის მისაღწევად. მანამდე კი სანდოობის სხვა ასპექტზე გავამახვილოთ ყურადღება

გამსწორებლის სანდოობა

მოცემულ თავში მოყვანილ პირველ მაგალითში ჩვენ ვსაუბრობდით დახურული ტიპის ტესტში მიღებულ ქულებზე. დაუჯერებელი იყო ის ფაქტი, რომ კანდიდატები სხვადასხვა ვითარებაში ერთსა და იმავე ქულებს მიიღებენ ერთსა და იმავე ტესტში.

თუმცა, ჩვენ წარმოვიდგინეთ, რომ ტესტის შეფასებაც შეიძლება იყოს სრულყოფილი. ვითომ კანდიდატმა ზუსტად იმავე პირობებში ზუსტად იგივე ქულა მიიღო ორივე შემთხვევაში. ვითომ ერთმა და იმავე შემფასებელმა ზუსტად იგივე ქულა დაწერა და ეს ქულა დაემთხვევა იმ შეფასებას, რომლისაც მისცემდა ნებისმიერი გამსწორებელი.⁶

შესაძლებელია თანხვედრის დონის გამოთვლა იგივე ან სხვა ქულების მინიჭებით სხვადასხვა ვითარებაში გამსწორებლის სანდოობის კოეფიციენტის საშუალებით, რომელიც ისევე შეიძლება ავხსნათ, როგორც სანდოობის სხვ კოეფიციენტები. აღწერილი დახურული ტესტის შემთხვევაში გამსწორებლის სანდოობის კოეფიციენტი იქნება 1. როგორც მესამე თავში აღვნიშნეთ, როდესაც შეფასება არ მოითხოვს განაჩენს ან დასაბუთებას, ის შეიძლება გასწორდეს კომპიუტერის მეშვეობით. ასეთ ტესტს ეწოდება ობიექტური. მხოლოდ უყურადღებობის გამო შეიძლება ითქვას, რომ გამსწორებლის კოეფიციენტი არის ერთის ქვემოთ. თუმცა, წინა თავში ჩვენ არ დავასკვნით, რომ ინტერვიუს შედეგები სრულყოფილად არის წარმოდგენილი. ეს შეიძლება მკითხველს უმიზეზო დასკვნად მოეჩვენოს. ჩვენ შეიძლება მივიღოთ ის, რომ გამსწორებლებს უნდა

შეეძლოთ იყვნენ თანმიმდევრულები, როცა საქმე ეხება მარტივ და ადვილად გამოსაცნობ პასუხს. მაგრამ როდესაც გამსწორებელს მოეთხოვება დასაბუთებული გასწორება, როგორც ინტერვიუს შემთხვევაში იყო საუბარი, სრულყოფილი თანმიმდევრულობა არაა მოსალოდნელი. ასეთი სუბიექტური ტესტები ვერ უზრუნველყოფს გამსწორებლის სანდოობის კოეფიციენტს 1-ის ოდენობით. მართლაც, იყო დრო, როდესაც ხალხი თვლიდა, რომ გამსწორებლის სანდოობის კოეფიციენტი (და ასევე ტესტის სანდოობა) ყოველთვის დაბალი იყო დაბალი იმისათვის, რომ გაემართლებინათ სერიოზულ ტესტში ენობრივი უნარების შეფასების სუბიექტური საზომები. დღეს ეს მოსაზრება ისე ნაკლებადაა გავრცელებული. მაშინ როდესაც ობიექტური ტესტის სრულყოფილი სანდოობის მიღწევა შეუძლებელია სუბიექტურ ტესტში, არსებობს გზები მაღალი და სანდო შედეგების მისაღწევად ამ თვალსაზრისით. მაგალითად, შესაძლებელია გამსწორებლის 0.9-ზე მეტი სანდოობის კოეფიციენტის მოპოვება თხზულების გასწორებისას. სავარაუდოდ, უფრო ექსპლიციტური იქნება ვისაუბროთ გამსწორებლის სანდოობასა და ტესტის სანდოობას შორის კავშირზე

თუ ტესტში დაწერილი ქულები არ არის სანდო, მაშინ ტესტის შედეგებიც არ იქნება სანდო. მართლაც, ტესტის სანდოობის კოეფიციენტი ყოველთვის უფრო დაბალია, ვიდრე გამსწორებლის სანდოობის კოეფიციენტი, რადგან არასანდოობის სხვა წყაროები იქნება დამატებითი შემადგენელი ფაქტორები არასრულყოფილი შეფასებისთვის. მე ვიცი შემთხვევა, როდესაც ტესტში თხზულების გამსწორებლის სანდოობის კოეფიციენტი იყო .92, მაშინ როდესაც ტესტის სანდოობის კოეფიციენტი წარმოადგენდა .84-ს. ცალკეული კანდიდატების მიერ შესრულებული დავალებების განსხვავებულობა აისახებოდა ორ კოეფიციენტს შორის.

როგორ შევქმნათ უფრო სანდო ტესტი

როგორც ვნახეთ, არსებობს ტესტის სანდოობის ორი კომპონენტი: კანდიდატების მიერ შესრულებული დავალებები სხვადასხვა ვითარებაში და შეფასების სანდოობა. პირველ რიგში, შემოგთავაზებთ კანდიდატების მიერ ტესტის შევსების თანმიმდევრულობის მიღწევის იდეას, შემდეგ კი გადავიტანთ ყურადღებას შემფასებლის სანდოობაზე.

შეაგროვეთ ქცევის საკმარისი ნიმუშები

რაც უფრო თანაბარია ტესტის ნაწილები, მით უფრო სანდო იქნება ტესტი. ინტუიციურად ეს მართებული იდეაა. თუ გვინდა გავიგოთ, რამდენად კარგი მშვილდოსანია ადამიანი, არ უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ მიზანში ერთი გასროლის შედეგებს. ეს ერთი გასროლა შეიძლება სულაც არ წარმოაჩენდეს მის უნარებს სათანადოდ. იმისათვის რომ დავრწმუნდეთ, ჩვენ უნარების ნამდვილად სანდო საზომი გვაქვს, ჩვენ მიზანში გასროლის საკმაოდ ბევრი შემთხვევა უნდა განვიხილოთ.

იგივე ითქმის ენის ტესტირების მიმართაც. ემპირიულად ნაჩვენებია, რომ შემდგომი ნაწილების დამატება ტესტს აქცევს უფრო სანდოდ. ფორმულაც კი არის შემუშავებული (სპირმენ-ბრაუნის ფორმულა, იხილე დანართი N1), რომელიც საშუალებას გვაძლევს

შევაფასოთ, თუ ერთი ნაწილის მსგავსი რამდენი დავალებაა საჭირო იმისათვის, რომ მივაღწიოთ სანდოობის კოეფიციენტის მოთხოვნილ დონეს. ერთი რამ დაიმახსოვრეთ, დამატებითი ნაწილები უნდა იყოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი. წარმოიდგინეთ კითხვის უნარების შემმოწმებელი ტესტი, რომელშიც დასმულია შეკითხვა: „სად დამალა ქურდმა სამკაული?“. თუ ამ შეკითხვას მოსდევს მომდევნო ამ სახის დავალება: „რა იყო უჩვეულო სამალავ ადგილში?“, ეს ტესტი არ აღწევს სანდოობას. ისმის შეკითხვა: რატომ?

იმიტომ რომ თითქმის შეუძლებელია კანდიდატმა გასცეს არასწორი პასუხი შეკითხვას, რომელზე მინიშნებასაც შეიცავს წინამდებარე შეკითხვა. ასეთ კანდიდატები კარგად არიან დაცულები დამატებითი შეკითხვებზე პასუხის გაცემისაგან. სინამდვილეში, მათთვის, არ არსებობს დამატებითი შეკითხვა. აღარ წარმოვადგენთ მათი ქცევის დამატებით ნიმუშებს, ამდენად მათი უნარების ჩვენეული შეფასების სანდოობა არ გაიზრდება ამგვარ შემთხვევაში. ყოველი დამატებითი შეკითხვა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა წარმოადგენდეს კანდიდატისათვის ახალ დასაწყისს. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია მოვიპოვოთ დამატებითი ინფორმაცია ამა თუ იმ კანდიდატის შესახებ - ინფორმაცია, რომელიც ტესტს უფრო სანდოდ აქცევს. სიტყვა „ნაწილი“ არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ მოკლე შეკითხვასა და პასუხს.

ტესტის წერისას, მაგალითად, როდესაც კანდიდატებს მოეთხოვებათ რამდენიმე პასაჟის შექმნა, თითოეული ეს პასაჟი ტესტის ნაწილად აღიქმება. რაც უფრო დამოუკიდებელი იქნება ეს პასაჟები, მით უფრო სანდო იქნება ტესტი. ანალოგიურად, ინტერვიუში გამოყენებულია ზეპირი უნარები, კანდიდატს უნდა მივცეთ რაც შეიძლება მეტი „ახალი დასაწყისი/სტარტი“. ამგვარი მოქცევის უფრო მეტი დაწვრილებითი მაგალითი მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი წიგნში, თავებში, რომლებიც ეძღვნება ტესტირების კონკრეტულ უნარებს. სანამ მნიშვნელოვანია დამაკმაყოფილებელი სანდოობის მიღწევის მიზნით გრძელი ტესტის შექმნა, ტესტი არ უნდა იყოს იმდენად ვრცელი, რომ მოსაწყენი ან დამღლელი გახდეს კანდიდატისთვის. ეს შეიძლება აისახოს მის ქცევაზე და უნარების წარმოჩენაზე. ამავე დროს, ხშირად საჭიროა გავუძლოთ ზეწოლას, შევქმნათ მოკლე ტესტი, რამდენადაც შეიძლება. როგორც წესი, ტესტის შემოკლების მხარდამჭერი არგუმენტია მისი პრაქტიკულობა. ამის პასუხია ის, რომ ზუსტი ინფორმაციის მიღწევა არ ჯდება იაფი: თუ ასეთი ინფორმაციის მიღებაა საჭირო, მაშინ საჭიროა სათანადო საფასურის გადახდაც. ზოგადად, რაც უფრო მნიშვნელოვანია ტესტის საფუძველზე მისაღები გადაწყვეტილება, მით უფრო გრძელი უნდა იყოს ტესტი. იფთახმა გამოიყენა სიტყვის „shibboleth“ (პაროლი) წარმოთქმა, რათა გამოერჩია თავისი ხალხი ეფრემელებისაგან, რომლებსაც არ შეეძლოთ „შ“ ბგერის წარმოთქმა. ვინც ვერ გაიარა ტესტი, დასჯილ იქნა. იფთახის ყოველი თანამემამულე, რომელიც დაისჯებოდა ამ დროს, ინატრებდა უფრო გრძელ და სანდო ტესტს.

გამორიცხეთ ნაწილები, რომლებიც კარგად ვერ განარჩევს სუსტ და ძლიერ სტუდენტს ერთმანეთისაგან.

ნაწილები, რომლებშიც სუსტი და ძლიერი სტუდენტები იმავე შედეგს გვიჩვენებენ, ნაკლებად უწყობს ხელს ტესტის სანდოობას. ცალკეული ნაწილის სტატისტიკური ანალიზი (დანართი N1) გამოავლენს ნაწილებს, რომლებიც კარგად ვერ განარჩევს ამ ინფორმაციას. სავარაუდოდ, ესენი მოიცავს ნაწილებს, რომლებიც ან ძალიან ადვილია ან ძალიან რთული კანდიდატებისთვის, მაგრამ არა მხოლოდ ასეთ ნაწილებს. ტესტის დასაწყისში შეიძლება დავტოვოთ მცირე რაოდენობის ადვილი, არადისკრიმინაციული ნაწილები, რითაც კანდიდატებს მივცემთ თავში დარწმუნებისა და სტრესის მოხსნის საშუალებას.

არ მიანიჭოთ კანდიდატებს ზედმეტად მეტი თავისუფლება.

ენის ზოგიერთ ტესტში არის ტენდენცია, მივცეთ კანდიდატებს კითხვის არჩევის საშუალება, რითაც მათ მივანიჭებთ დიდ თავისუფლებას, თვითონ შეარჩიონ პასუხები. ამის მაგალითი შეიძლება იყოს წერის უნარების გამოსავლენი ტესტი, რომელშიც კანდიდატებს ეძლევათ რამდენიმე სათაური ასარჩევად. ამგვარი პროცედურა შეიძლება ვნებდეს ტესტის სანდოობას. რაც უფრო მეტი თავისუფლებაა, მით უფრო მეტი ალბათობაა მივიღოთ განსხვავება ფაქტობრივად გამოვლენილ შედეგებსა და მომდევნო დღეს ჩატარებულ ტესტში მიღებულ მოსალოდნელ შედეგებს შორის. ამდენად, ზოგადად, კანდიდატებს არ უნდა მივცეთ არჩევანი, ასევე უნდა შეიზღუდოს შესარჩევი პასუხების ჩამონათვალი. შეადარეთ შემდეგი წერითი დავალებები:

1. დაწერეთ თხზულება ტურიზმის თემაზე.
2. დაწერეთ თხზულება თქვენს ქვეყანაში ტურიზმის თემაზე.
3. დაწერეთ თხზულება თემაზე, თუ როგორ უნდა განვავითაროთ ტურისტული ინდუსტრია ქვეყანაში.
4. იმსჯელეთ ქვემოთ ჩამოთვლილ ზომებზე, რომელთა გატარებაც შეუწყობს ქვეყანაში უცხოელი ტურისტების რაოდენობის გაზრდას:
 - 1) მეტი/უკეთესი რეკლამა და/ან ინფორმაცია (საიდან? საიდან უნდა მივიღოთ ეს?)
 - 2) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (სასტუმროები, ტრანსპორტი, კომუნიკაცია და ა. შ.)
 - 3) ტრენინგები პერსონალისთვის (ექსკურსიამდოლოები, სასტუმროს მენეჯერები და ა. შ.)

თანმიმდევრული დავალებები უფრო და უფრო მეტ კონტროლს აწესებს წერის პროცესზე. მეოთხე დავალება, სავარაუდოდ, უფრო სანდო ინდიკატორია წერის უნარების გამოსავლენად, ვიდრე პირველი. კანდიდატის თავისუფლების შეზღუდვის ზოგადი პრინციპი განხილული იქნება შემდგომ თავებში კონკრეტული უნარების შესახებ. თუმცა, ალბათ, აქ უნდა ითქვას, რომ ფრთხილად უნდა ვიყოთ სტუდენტების შეზღუდვისას, რათა არ მივცეთ არასწორი მიმართულება სამიზნე უნარების გამოვლენის მხრივ. პოტენციური დამაბულობა სანდოობასა და ვალიდურობას შორის განხილული იქნება თავის ბოლოს.

შექმნით არაორაზროვანი ნაწილები

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატებს არ მივაწოდოთ ტესტის ნაწილები, რომელთა შინაარსიც არ არის ნათელი ან მასში მოცემულია მისაღები პასუხი, რომელიც ვერ განჭვრიტა ტესტის შემქმნელმა. კითხვის უნარების შემმოწმებელ ტესტში ერთხელ ჩავსვი ასეთი ღია შეკითხვა, რომელიც ეფუძნებოდა პასაჟს ინგლისური აქცენტისა და დიალექტების შესახებ. სად მიმართავს ავტორი მკითხველს, რომელიც დაინტერესებულია ინგლისური ენის არასტანდარტული დიალექტებით? მოსალოდნელი პასუხი მოცემული იყო წიგნის შემდგომ ნაწილში. კანდიდატების დიდმა ნაწილმა უპასუხა გვერდი 3; ეს იყო ადგილი, რომელშიც ავტორი ცალსახად ამბობდა, რომ დაინტერესებულმა მკითხველმა უნდა ნახოს წიგნის შემდგომი ნაწილი. მხოლოდ ძალიან დაკვირვებულებმა შენიშნეს, რომ ეს არ იყო მოსალოდნელი სწორი პასუხი შეკითხვაზე. ეს რომ არ მომხდარიყო, სწორი პასუხი ჩაითვლებოდა არასწორ ვარიანტად. ის ფაქტი, რომ ინდივიდუალურმა კანდიდატმა შეიძლება პასუხის თავისებური ინტერპრეტაცია მოახდინოს სხვადასხვა ვითარებაში, ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ნაწილი არ ქმნის მთლიანად ტესტის სანდოობას. საუკეთესო საშუალება არაორაზროვანი ნაწილების შესაქმნელად არის შავი ვარიანტის შექმნა, მისი სკრუპულოზურად განხილვა კოლეგებთან, რომლებიც გულდასმით შეეცდებიან პასუხების ალტერნატიულ ინტერპრეტაციას. თუ ეს ამოცანა სათანადოდ - დაჟინებული სიჯიუტით - შესრულდება, პრობლემათა უმეტესობა გამოვლინდება ტესტირებამდე. ტესტის ნაწილების პრეტესტირება სავარაუდო ფოკუსჯგუფთან (იხ მეშვიდე თავი) გამოვალნეს დარჩენილ ნაკლოვანებებს. სადაც პრეტესტირება არარეალურია, შემფასებლებმა უნდა ეძებონ პასუხების სახესხვაობები, რათა გამოავლინონ პრობლემური ნაწილები.

უზრუნველყავით ნათელი და ცხადი ინსტრუქციები

ეს ეხება ორივე წერით და ზეპირ ინსტრუქციებს. თუ კანდიდატები შეძლებენ შეკითხვის მათეულ ინტერპრეტაციას, მაშინ გარკვეულ ვითარებაში ზოგიერთი მათგანი ამას იზამს. როგორც წესი, ესენი არიან ყველაზე სუსტი კანდიდატები, რომლებსაც ორაზროვანი ინსტრუქციები აზნევს. მართლაც, უკეთეს კანდიდატებს შეუძლიათ ალტერნატიული ინტერპრეტაციის უზრუნველყოფა. სტუდენტებისთვის შექმნილი ტესტის საერთო და გავრცელებული შეცდომაა იმის დაშვება, რომ სტუდენტებმა იციან, რა იგულისხმება ზოგად ინსტრუქციებში, სიტყვათა არაცალსახა თანმიმდევრობაში. ხშირია ჩივილი, რომ სტუდენტები არ არიან ჭკვიანები, არიან სულებები, თავი მოიკატუნეს, ვითომ ვერ გაიგეს, რას ითხოვდნენ მათგან. ეს კი გვიჩვენებს, რომ დაშვება ხშირად გარანტიას არ იძლევა. ტესტის შემქმნელები არ უნდა ეყრდნობოდნენ სტუდენტების ტელეპათიურ მონაცემებს მათთვის სასურველი ქცევის მისაღებად. კოლეგების (მათ შორის მათი, ვის შესახებაც ისაუბრებენ) დახმარება ტესტის შავი ვარიანტის განხილვაში ამ პრობლემების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. ზეპირი ინსტრუქციები აუცილებლად უნდა წაიკითხონ მომზადებული ტექსტიდან, რათა თავიდან იქნეს აცილებული უხერხულობა.

დარწმუნდით, რომ ტესტი არის გადმოცემული და აბსოლუტურად ზუსტია.

ძალიან ხშირად, ინსტიტუციური ტესტები ცუდად არის დაბეჭდილი (ან ხელით დაწერილი), პატარა სივრცეში დიდი მოცულობის ტექსტია ჩასმული და ცუდად ჩანს. შედეგად, სტუდენტს უწევს დამატებითი ამოცანების შესრულება, რომლებიც არ ზომავს ენობრივ უნარებს. მათი მოსალოდნელი პასუხები და ქმედებები დაბლა დასწევს ტესტის სანდოობას.

გააცანით კანდიდატებს ფორმატი და ტესტის შევსების ტექნიკები

თუ ტესტის რომელიმე ასპექტი უცნობია კანდიდატისთვის, ისინი შედარებით ცუდად შეავსებენ ტესტს, ვიდრე სხვა შემთხვევაში (მაგალითად, პარალელური ვერსიის შემთხვევაში). ამიტომ ყოველი მცდელობისას უნდა დავრწმუნდეთ, რომ ყველა კანდიდატს უნდა ჰქონდეს საშუალება, გაიგოს, რას მოითხოვენ მისგან. ეს ნიშნავს იმას, რომ შესაძლოა დარიგდეს სანიმუშო ტესტი (ან ძველი ტესტები) ან სულაც მისცენ პრაქტიკული მასალა სასწავლო ინსტრუქციებით.

უზრუნველყავით ერთგვაროვნება და ტესტირების დამაკმაყოფილებელი პირობები

რაც უფრო დიდია განსხვავება სხვადასხვა ტესტირების ადმინისტრირებას შორის, უფრო დიდია ალბათობა სხვადასხვა ვითარებაში განსხვავებული შედეგის მიღების თვალსაზრისით. დიდი ყურადღება და ძალისხმევა უნდა დაეთმოს ერთგვაროვნების დასაცავად. მაგალითად, დროის მონაკვეთის მკაცრი განსაზღვრა და დაცვა, სმენითი უნარების გამოსავლენი ტესტირების შემთხვევაში აკუსტიკური პირობები ყველგან თანაბარი უნდა იყოს. სიფრთხილის ყველა ზომა უნდა გატარდეს, რათა იყოს სიჩუმე ზედმეტი ხმაურისა და მოძრაობების გარეშე. ახლა დავუბრუნდეთ შემსწორებლის სანდოობის მიღწევის გზებს, რაც, როგორც ვნახეთ ზემოთ, ტესტის სანდოობისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

გამოიყენეთ ნაწილები, რომლებიც შეძლებისდაგვარად იძლევა ობიექტური ქულების დაწერის საშუალებას

ეს შეიძლება ჰგავდეს რეკომენდაციას, გამოყენონ დახურული ტიპის ნაწილები, რაც უზრუნველყოფს აბსოლუტურად ობიექტურ შეფასებას. ამას არ ვაპირებთ. სანამ ვიტყოდეთ, შეცდომაა აზრი იმის შესახებ, დახურული ტიპის ტესტები არასოდესაა მისაღები, მანამდე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევებში ამ ტიპის ტესტების გამოყენება მართლაც მიუღებელია.

უფრო მეტიც, კარგი დახურული ტესტი რთული დასაწერია და ყოველთვის მოითხოვს ხანგრძლივ პრეტესტირებას. მერვე თავის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება დახურული ტესტის ტექნიკის უქონლობას. დახურული ტესტის ალტერნატივა არის ღია ნაწილი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული, თუნდაც ერთსიტყვიანი, ზუსტი პასუხი, რომელსაც კანდიდატი თვითონ ქმნის. ამან, ასევე, უნდა უზრუნველყოფს ზუსტი შეფასება, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი საკითხი, როგორიც მექანიკური შეცდომებია,

ხშირად ხდის კანდიდატის პასუხს გაუგებარს (მაგალითად მოსმენის ტესტში) და ხშირად აქცევს დამოკიდებულს შემფასებლის დასაბუთებაზე.

რაც უფრო გრძელია მოთხოვნილი პასუხი, მით უფრო მეტი სირთულეა. ერთ-ერთი გამოსავალია, ისეთი პასუხის შექმნა, რომლის ერთი ნაწილიც უკვე მოცემულია. მაგალითად, ღია შეკითხვა: *რა განსხვავებაა შედეგებს შორის?* შეიძლება შეიქმნას შემდეგი პასუხის მოლოდინით: *წარმატება მჭიდროდ ასოცირდება მაღალ მოტივაციასთან.* სავარაუდოდ, სწორედ ეს იწვევს ქულების დაწერის პრობლემას. გამსწორებლის სანდოობის მიღწევა ალბათ შეიძლება, თუ ზემოთ დასმულ შეკითხვას მოსდევს შემდეგ ფრაზა: *მჭიდროდ უკავშირდება შემდეგს* ამგვარი ნაწილები შემდეგ თავებშია განხილული წიგნში.

შეადარეთ კანდიდატები რაც შეიძლება ზუსტად

ეს კიდეც უფრო ამყარებს ზემოთ ჩამოყალიბებულ დებულებას, რომ კანდიდატებს არ უნდა მიეცეთ ტესტის ნაწილების არჩევანის საშუალება და უნდა მიეცეთ პასუხების შეზღუდული არჩევანი. მხოლოდ ერთ თემაზე შექმნილი თხზულების შეფასება უფრო სანდო იქნება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა კანდიდატებს ასარჩევად მიეცემათ ექვსი თემა. ეს შექმნის პირობას, რომ ზოგიერთმა კანდიდატმა უფრო კარგად იცის თემა და ტესტი. ქულები უფრო სანდო იქნება, თუ თხზულებას ექნება ზემოთ განხილული ინსტრუქციები და წინაპირობები, ისე როგორც მაგალითში იყო წარმოდგენილი. არ მისცეთ კანდიდატებს ზედმეტი თავისუფლება.

უზრუნველყავით შეფასებისთვის და ქულების დასაწერად დეტალური პასუხები

ეს დააკონკრეტებს მისაღებ პასუხებს და ნაწილობრივ მისაღებ პასუხებს. გამსწორებლის მაღალი სანდოობისთვის პასუხები უნდა იყოს რაც შეიძლება დეტალური. ეს უნდა იყოს მოსალოდნელი პასუხებისა და ჯგუფური განხილვის შედეგი (ეს რჩევა ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც პასუხები შეიძლება იყოს დაყოფილი როგორც ნაწილობრივ ან მთლიანად „არასწორი“. ეს არ მიესადაგება თხზულების გასწორებას).

გამსწორებლების ტრენინგი

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც გასწორება სუბიექტურია. თხზულებების გასწორების საშუალება, მაგალითად, არ უნდა მიეცეს იმ ადამიანს, რომელიც კარგად არ იცნობს წინა ტესტირების შედეგად თხზულებებში მიღებულ ქულებს. ყოველი ტესტირების შემდეგ, ქულების მონაცემები უნდა გაანალიზდეს. ის თემები, რომელთა მონაცემების განსაკუთრებით განსხვავებულია, თავიდან უნდა იქნეს განხილული.

შეთანხმდით მისაღებ პასუხებსა და სათანადო ქულებზე

ნაწერების ნიმუშები ტესტირების შემდეგ უმაღლეს უნდა მოვიპოვოთ. თხზულებების შემთხვევაში, წერის უნარების სხვადასხვა დონის არქექტიპული წარმომადგენლები უნდა შეირჩნენ. მხოლოდ ყველა მიღებული ქულის მოსალოდნელ ქულებთან შეთანხმების

შემდეგ იწყება რეალური შეფასება. უფრო ვრცლად ამაზე მეცხრე თავში გავამახვილებთ ყურადღებას თხზულების შეფასებაზე საუბრისას. მოკლე კითხვებზე გაცემული პასუხების შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ქულების წერისას წარმოქმნილი ყველა სირთულე (ნაკლებად მოსალოდნელია, რომ საკვანძო პასუხად ყველა ვარიანტი გამოდგეს).

ეს უნდა გაითვალისწინოს ყველა გამსწორებელმა. მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ხელმძღვანელმა ეს უნდა გააცნოს ყველა გამსწორებელს.

კანდიდატების იდენტიფიკაცია მოახდინეთ ნომრებით და არა სახელებით

შესაძლოა გამსწორებლები იცნობდნენ რომელიმე კანდიდატს. წმინდა ობიექტური ტესტის გარდა, სხვა დანარჩენ შემთხვევაში ეს ნამდვილად იმოქმედებს მათ ქულებზე. კვლევებმა გვიჩვენა, რომ როდესაც კანდიდატები უცნობები არიან გამსწორებლებისთვის, სახელები და გვარები (ან სურათი) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მინიჭებულ ქულებზე. მაგალითად, გამსწორებელზე შეიძლება გავლენა მოახდინოს კანდიდატის სქესმა ან ეროვნებამ. კანდიდატების ნომრებიც გადანაწილება მნიშვნელოვნად შეამცირებს ამგვარ ეფექტს.

გამოიყენეთ მრავალჯერადი დამოუკიდებელი გასწორება

როგორც წესი, ძირითადად მაშინ, როდესაც ტესტი სუბიექტურია, ყოველი ნაშრომი მინიმუმ ორჯერ უნდა გასწორდეს. არც ერთმა გამსწორებელმა არ უნდა იცოდეს მეორე გამსწორებლის ქულა. ქულები უნდა დაიწეროს სხვადასხვა გვერდებზე და გადაეცეს მესამე მთავარ გამსწორებელს, რომელიც შეადარებს ქულებს და გამოიკვლევს შეუსაბამობებს.

სანდოობა და ვალიდურობა

იმისათვის რომ ტესტი იყოს ვალიდური, მან თანმიმდევრულად უნდა უზრუნველყოს ზუსტ საზომები. ამ შემთხვევაში იქნება ის სანდო. თუმცა, სანდო ტესტი შეიძლება არ იყოს ვალიდური საერთოდაც. მაგალითად, წერიტი უნარების შემმოწმებელი ტესტის შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება მოვთხოვოთ კანდიდატებს თარგმნონ მშობლიურ ენაზე 500-სიტყვიანი ტექსტი. ეს თავისუფლად შეიძლება იყოს სანდო ტესტი. მაგრამ ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ ეს იქნება წერის ვალიდური ტესტი. როდესაც ვზრუნავთ ტესტის სანდოობაზე, ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ არ შევამციროთ მისი ვალიდურობა. ამ თავში ვსაუბრობდით იმაზე, რომ თუ კანდიდატს შევუზღუდავთ თხზულების წერისას არჩევანს, ამით შეიძლება შევამციროთ დავალების ვალიდურობა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რის გაზომვა გვინდა მოცემული დავალებით. თუ ჩვენ გვინტერესებს კანდიდატის უნარი ააგოს თხზულება, მაშინ რთული იქნება ამის მიღწევა მხოლოდ სტრუქტურის მიწოდებით სანდოობის გაზრდის მიზნით. ამავე დროს, ჩვენ კვლავ უნდა განვაგრძოთ კანდიდატების შეზღუდვა იმ მხრივ, რომ მათ არ მოუწიოთ არასრულყოფილი დავალების შესრულება. ყოველთვის იარსებებს გარკვეული

დაძაბულობა სანდოობასა და ვალიდურობას შორის. ტესტის შემქმნელმა უნდა დააბალანსოს ეს ორი ფაქტორი.

მკითხველის აქტივობები:

1. რომელ გამოქვეყნებულ ტესტს იცნობთ? ეცადეთ, გამოიცნოთ მათი სანდოობის კოეფიციენტი. რომელი მეთოდი იქნა გამოყენებული ამის მისაღწევად? რა არის სტანდარტული გადაცდომის საზომი?

2. TOEFL-ის ტესტს აქვს სტანდარტული გადაცდომის გაზომვა -15. კერძო ამერიკული კოლეჯის მოთხოვნების მიხედვით კოლეჯში მიღებისთვის აუცილებელი ქულა არის 600. რას ფიქრობთ სტუდენტებზე, რომლებიც აბარებენ ამ კოლეჯში და აქვთ ქულები 605, 600, 595, 590, 575?

3. როგორ ფიქრობთ, რომელ მაგალითში არის დაძაბულობა სანდოობასა და ვალიდურობას შორის? თუ იცით ასეთი შემთხვევები, ფიქრობთ, რომ აქ მიღწეულია სწორი ბალანსი?

შემდგომში დასამუშავებელი მასალა

ზოგადად სანდოობისა და სანდოობის სხვადასხვა შეფასებისა და ფაქტორის შესახებ გაეცანით ანასტასისა და ურბინას შრომებს (1997). საგანმანათლებლო გაზომვაში სანდოობის საკითხის შესახებ იხილეთ ნიტკო (2001) და ფელდტი და ბრენანი (1989) – წერილი ზედმეტად ტექნიკურია. ჩვენი ოთხი „შედარებით ადვილი კალკულაციისა“ და გადაწყვეტილებების თანმიმდევრობის შესაფასებლად იხილეთ ბრაუნი (1990). კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტის შესახებ იხილეთ ბრაუნი და ჰუდსონი (2002). ნიტკო (2001) ასევე საუბრობს გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობაზე. ჩემი აზრით, კომუნიკაციური ამოცანების შესრულებისას მაღალი სანდოობის მიღწევის საკითხი გადაჭარბებული ხედვაა მოცემული ლადოსთან (1961). ეს შეიძლება შეიქმნა ორმოცი წლის წინ, მაგრამ ახლაც აქტუალურია ზოგიერთ წრეში.

1. სიგრძის შემცირების გამო, რაც კოეფიციენტს ქვემო სწევს და ეს კი აისახება მთლიან ტესტზე, სტატისტიკური რეგულაცია იქნა შემუშავებული, რომელიც იყენებს სპირმენისა და ბრაუნის ფორმულას (იხილეთ დანართი 1).

2. მიაქციეთ ყურადღება, რომ სანდოობის კოეფიციენტი შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს, თუ რამდენიმე კანდიდატს მაინც აქვს სხვებთან შედარებით განსაკუთრებით მაღალი (ან დაბალი) ქულები. მსგავსმა შემთხვევებმა შეიძლება არასწორად გვიჩვენოს სანდოობის მაღალი ქულა. ეს იმიტომ, რომ სანდოობის შესაფასებელი სტატისტიკური მეთოდი უტოლებს სხვაობებს კანდიდატებს შორის სხვაობებს კანდიდატების ნაშრომებს შორის (ე. ი. კანდიდატების ორ ქულებს). რაც უფრო დიდია კანდიდატებს შორის სხვაობა, მით უფრო მაღალი იქნება სანდოობის კოეფიციენტი. კანდიდატებს შორის სხვაობა გადაჭარბებულია არატიპიური კანდიდატების მონაცემების ჩართვის გამო, რაზეც ზემოთ იყო საუბარი. ამის გამო ხდება სანდოობის მიუღებელი შეფასება. დეტალებისათვის იხილეთ ნიტკო (2002).

3. ეს სტატისტიკური განაცხადები ეფუძნება იმას, თუ რა ვიცი პიროვნების ქულების შესახებ, როგორ გადანაწილდება ეს მონაცემი იმ შემთხვევაში თუ ისინი შეავსებენ იმავე ტესტს მრავალჯერ. ქულები მიყვება იმას, რასაც ვუწოდებთ ნორმალურ დისტრიბუციას (იხილე ვუდი, ფლეჩერი და ჰუგესი, 1986, თუ გადაწყვეტილი გაქვთ უფრო მეტი ინფორმაციის გაცნობა, ვიდრე წიგნშია მოცემული).

ეს ნორმალური დისტრიბუციის ცნობილი სტრუქტურაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ ქულების პროცენტულ გადანაწილებაზე გარკვეულ ვითარებაში (მაგალითად ქულათა დაახლოებით 68 პროცენტი იქნება ერთი სტანდარტული გადაცდომის გაზომვის შემთხვევაში რეალური ქულა). რადგან დაახლოებით 68 პროცენტი მიღებული ქულებისა იქნება რეალური ქულის სტანდარტული გადაცდომის გაზომვის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ 68 პროცენტით დარწმუნებულები, რომ ყოველი კერძო მიღებული ქულა იქნება ერთი სტანდარტული გადაცდომის გაზომვის რეალური ქულა.

4. ნათელი უნდა იყოს რომ არ არსებობს კარგი ან ცუდი სტანდარტული გადაცდომის გაზომვა. ეს არის კონკრეტული ქულების კერძო გამოყენების შემთხვევა კონკრეტული სტანდარტული გადაცდომის გაზომვის მიმართ. ეს კი შეიძლება განიხილებოდეს როგორც მისაღები ან მიუღებელი.

5. კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტი შიძლება იყოს ძალიან თანმიმდევრული, თუმცა მაინც გვიჩვენებდეს სანდოობის დაბალ კოეფიციენტს. ეს იმიტომ ხდება, რომ კანდიდატის ქულები, მიუხედავად იმის, რომ თანმიმდევრულადაა შეფასებული, შეიძლება იყოს შეზღუდული დიაპაზონით (იხ. სქოლიო 2). ამ მიზეზის გამო, რეკომენდებულია სპეციალურად კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტის მეთოდების გამოყენება.

6. ერთი პიროვნების მიერ დაწერილი ქულების სანდოობას ერთსა და იმავე ტესტში სხვადასხვა ვითარებაში ეწოდება „ინტრა-შემფასებლის სანდოობა“. სხვადასხვა პიროვნებების მიერ ერთი და იგივე ტესტის შეფასებას ეწოდება „ინტერ-შემფასებლის სანდოობა“.

6. გაზომვის სტანდარტული გადაცდომა

ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ განცხადება იმ ალბათობის შესახებ, რომ კანდიდატის რეალური ქულა (ქულა, რომელიც საუკეთესოდ წარმოაჩენს მის უნარებს) არის ტესტში მიღებული ქულების განსაზღვრული რაოდენობა. ეს რომ გავაკეთოთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ კონკრეტული ტესტის გაზომვის სტანდარტული გადაცდომა. გაზომვის სტანდარტული გადაცდომის გამოთვლა ეფუძნება სანდოობის კოეფიციენტს და ტესტში მიღებული ყველა ქულების გაზომვას (ქულების მოცემული გადანაწილება, რაც უფრო მეტია სანდოობის კოეფიციენტი, მით უფრო ნაკლებია გაზომვის სტანდარტული გადაცდომა). როგორ შეიძლება ამის მიღწევა გაზომვის სტანდარტული გადაცდომის გამოყენებით, კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდან: წარმოვიდგინოთ, რომ ტესტს აქვს გაზომვის სტანდარტული გადაცდომა 5. ტესტში მიღებული ინდივიდუალური ქულაა 56. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია შემდეგის მტკიცება: დაახლოებით 68 პროცენტით შეგვიძლია ვიყოთ დარწმუნებულები, რომ კანდიდატის რეალური ქულა მერყეობს 51-62 ქულებს შორის (ე. ი. ერთი სტანდარტული გადაცდომის გაზომვის ქულა მიიღება ამ ვითარებაში). ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით 95 პროცენტით ვიყოთ დარწმუნებულები, რომ მათი რეალური ქულები მერყეობს 46-66 მაჩვენებლებს შორის (ე. ი. ორი სტანდარტული გადაცდომის გაზომვის ქულა მიიღება ამ ვითარებაში). ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით 99,7 პროცენტით ვიყოთ დარწმუნებულები, რომ მათი რეალური ქულები მერყეობს 41-71 მაჩვენებლებს შორის (ე. ი. სამი სტანდარტული გადაცდომის გაზომვის ქულა მიიღება ამ ვითარებაში). ამის მტკიცების საფუძველია ის, თუ რა არის ცნობილი ქულების ზოგადი მონაცემების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი კანდიდატი ტესტს შეავსებდა რამდენჯერმე გამეორებით ზემოთ აღწერილ ვითარებაში. მათი ქულების დაახლოებით 68 პროცენტი იქნებოდა გაზომვის ერთი სტანდარტული გადაცდომის ფარგლებში და ა. შ. თუ ისინი ტესტირებას გაივლიდნენ მხოლოდ ერთხელ, ჩვენ ვერ ვიქნებით დარწმუნებულები იმაში, თუ მიღებული ქულები ასახავს მათ რეალურ ქულას, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია გავაკეთოთ ალბათობითი განცხადება ზემოთ განხილული შემთხვევის მსგავსად⁴.

დაბოლოს, სტატისტიკური დასაბუთება არ არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია ამოვიცნოთ, როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ გაზომვის სტანდარტული გადაცდომა ტესტის ქულებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის გასაცნობად. მაგალითად, ფრთხილად უნდა ვიყოთ, როდესაც ვიღებთ მნიშვნელოვან

უარყოფით გადაწყვეტილებას ადამიანის მომავალთან დაკავშირებით. კერძოდ, არის შემთხვევა, როდესაც გაზომვის სტანდარტული გადაცდომა გვიჩვენებს, რომ კანდიდატების რეალური ქულა ახლოს დგას იმ ქულასთან, რომელიც პოზიტიური გადაწყვეტილების საფუძველი შეიძლება გახდეს მაშინაც კი, თუ მათ მიერ მიღებული ქულები უფრო დაბალია. ამდენად, ყველა გამოქვეყნებული ტესტი უნდა უზრუნველყოფდეს გამომყენებლებს არა მხოლოდ სანდოობის კოეფიციენტით, არამედ სტანდარტული გადაცდომის გაზომვით. მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის შედეგებით თანამედროვე მიდგომა ცნობილი სახელწოდებით საკითხთან დაკავშირებული თორია *Item Response Theory (IRT)*. ეს თეორია საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო უკეთესად შევაფასოთ, თუ რამდენად შეიძლება დაშორდეს ტესტირების კანდიდატების მიერ მიღებული ქულა მათ რეალურ ქულებს. მაშინ როდესაც კლასიკური ანალიზი გვაძლევს ტესტირების კანდიდატების მხოლოდ ერთ შეფასებას, საკითხთან დაკავშირებული თეორია გვაძლევს თითოეული ინდივიდის შეფასებას მათ მიერ შესრულებული ტესტის თითოეული დავალების მონაცემების საფუძველზე.

ამის დამამტკიცებელი მაგალითები, როგორც წესი, მიემართება ინდივიდების ქულების სტანდარტულ გადაცდომებს და მათი ნახვა შეიძლება დანართში N1. ის, რაზეც აქამდე იყო მოცემულ თავში საუბარი, მიემართებოდა შევსებული ტესტის შედეგად კანდიდატების მიერ მიღებული ქულების თანმიმდევრულობას. კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტირებისას ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს ქულები, უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ იმს, თუ რამდენად დააკმაყოფილა კანდიდატმა ტესტში წარმოდგენილი კრიტერიუმები. ამ შემთხვევაში, თანმიმდევრულობა, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, შეიძლება მოვიხსენიოთ როგორც გადაწყვეტილების თანმიმდევრობა (ვიდრე „სანდოობა“) ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რამდენად თანმიმდევრულია ტესტი გადაწყვეტილებების მიღების მხრივ, რამდენად მიაღწია ან ვერ მიაღწია კანდიდატმა ტესტის კრიტერიუმებს. წარმოიდგინეთ ასეთი შემთხვევა: 50 კანდიდატი გადის ტესტირებას (შესაძლოა მათ აქვთ ტესტის ორი ალტერნატიული ფორმა) ორჯერ. მათ, ვინც მიაღწიეს კრიტერიუმებს, შეიძლება ვუწოდოთ „გაწაფულები“ (იმ გაგებით, რომ მათ აქვთ ნებისმიერი ტესტის შევსების უნარები), ხოლო მათ, ვინც ვერ მიაღწია ამას, შეიძლება ვუწოდოთ „გაუწაფავები“.

ორმოცდაათი კანდიდატიდან:

18 არის გაწაფული ორივე შემთხვევაში

15 არის გაუწაფავი ორივე შემთხვევაში

9 არის გაწაფული პირველ შემთხვევაში, ხოლო მეორე შემთხვევაში არა

8 არის პირველ შემთხვევაში გაუწაფავი, ხოლო მეორე შემთხვევაში გაწაფული.

ამდენად, 50 კანდიდატიდან 33-ს ენიჭება ერთი და იგივე კატეგორია (გაწაფული ან გაუწაფავი ორივე შემთხვევაში. 33 კანდიდატი ორმოცდაათიდან პროცენტული მაჩვენებლებით იქნება 66%, ხოლო პროპორციული წესით 0.66. ეს უკანასკნელი

მაჩვენებელი ცნობილია როგორც „პროცენტული თანხვედრა“ და მიღებული შეფასებაა გადაწყვეტილებების თანმიმდევრობის გამოსავლენად.

ინფორმაცია მეორე მეთოდის შესახებ, რომლითაც ჩვენ ვაფასებთ გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობას (და ისინი არ არის შეზღუდული მხოლოდ ორი ჯგუფით - გაწაფულები და გაუწაფავები), იხილეთ შემდგომ დასამუშავებელი მასალის ნაწილში.

ჩვენ გავეცანით სანდოობის მნიშვნელობას. თუ ტესტი არ არის სანდო, მაშინ ცალკეული ინდივიდების მიერ ტესტში მიღებული ქულები არ დაემთხვევა მათ რეალურ ქულებს. ეს კი ნიშნავს იმას, ჩვენ ნაკლებად უნდა ვენდოთ ამ მონაცემებს. მაშინაც კი თუ სანდოობის ხარისხი ძალიან მაღალია, გაზომვის სტანდარტული გადაცდომა (ან IRT-ს მეშვეობით მიღებული სტანდარტული გადაცდომა) გვემსახურება, რათა გაგვახსენოს, რამდენად ადვილად შესაძლებელია სხვაობის არსებობა მიღებულ და რეალურ ქულებს შორის. ამან უნდა დაგვაფიქროს მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას, როდესაც კანდიდატს ქულების საფუძველზე ვანიჭებთ სტატუსს (ჩათვლა/ვერ გაიარა). ასეთ შემთხვევაში ამ კანდიდატების ენობრივი უნარების შესახებ დამატებითი ინფორმაცია უნდა მოვიძიოთ. ამის გათვალისწინებით შემდგომ ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა უნდა გავაკეთოთ ტესტის სანდოობის მისაღწევად. მანამდე კი სანდოობის სხვა ასპექტზე გავამახვილოთ ყურადღება

გამსწორებლის სანდოობა

მოცემულ თავში მოყვანილ პირველ მაგალითში ჩვენ ვსაუბრობდით დახურული ტიპის ტესტში მიღებულ ქულებზე. დაუჯერებელი იყო ის ფაქტი, რომ კანდიდატები სხვადასხვა ვითარებაში ერთსა და იმავე ქულებს მიიღებენ ერთსა და იმავე ტესტში.

თუმცა, ჩვენ წარმოვიდგინეთ, რომ ტესტის შეფასებაც შეიძლება იყოს სრულყოფილი. ვითომ კანდიდატმა ზუსტად იმავე პირობებში ზუსტად იგივე ქულა მიიღო ორივე შემთხვევაში. ვითომ ერთმა და იმავე შემფასებელმა ზუსტად იგივე ქულა დაწერა და ეს ქულა დაემთხვევა იმ შეფასებას, რომელსაც მისცემდა ნებისმიერი გამსწორებელი.⁶

შესაძლებელია თანხვედრის დონის გამოთვლა იგივე ან სხვა ქულების მინიჭებით სხვადასხვა ვითარებაში გამსწორებლის სანდოობის კოეფიციენტის საშუალებით, რომელიც ისევე შეიძლება ავხსნათ, როგორც სანდოობის სხვ კოეფიციენტები. აღწერილი დახურული ტესტის შემთხვევაში გამსწორებლის სანდოობის კოეფიციენტი იქნება 1. როგორც მესამე თავში აღვნიშნეთ, როდესაც შეფასება არ მოითხოვს განაჩენს ან დასაბუთებას, ის შეიძლება გასწორდეს კომპიუტერის მეშვეობით. ასეთ ტესტს ეწოდება ობიექტური. მხოლოდ უყურადღებობის გამო შეიძლება ითქვას, რომ გამსწორებლის კოეფიციენტი არის ერთის ქვემოთ. თუმცა, წინა თავში ჩვენ არ დავასკვნით, რომ ინტერვიუს შედეგები სრულყოფილად არის წარმოდგენილი. ეს შეიძლება მკითხველს უმიზეზოდ დასკვნად მოეჩვენოს. ჩვენ შეიძლება მივიღოთ ის, რომ გამსწორებლებს უნდა შეეძლოთ იყვნენ თანმიმდევრულები, როცა საქმე ეხება მარტივ და ადვილად გამოსაცნობ პასუხს. მაგრამ როდესაც გამსწორებელს მოეთხოვება დასაბუთებული გასწორება, როგორც ინტერვიუს შემთხვევაში იყო საუბარი, სრულყოფილი თანმიმდევრულობა არაა

მოსალოდნელი. ასეთი სუბიექტური ტესტები ვერ უზრუნველყოფს გამსწორებლის სანდოობის კოეფიციენტს 1-ის ოდენობით. მართლაც, იყო დრო, როდესაც ხალხი თვლიდა, რომ გამსწორებლის სანდოობის კოეფიციენტი (და ასევე ტესტის სანდოობა) ყოველთვის დაბალი იყო დაბალი იმისათვის, რომ გაემართლებინათ სერიოზულ ტესტში ენობრივი უნარების შეფასების სუბიექტური საზომები. დღეს ეს მოსაზრება ისე ნაკლებადაა გავრცელებული. მაშინ როდესაც ობიექტური ტესტის სრულყოფილი სანდოობის მიღწევა შეუძლებელია სუბიექტურ ტესტში, არსებობს გზები მაღალი და სანდო შედეგების მისაღწევად ამ თვალსაზრისით. მაგალითად, შესაძლებელია გამსწორებლის 0.9-ზე მეტი სანდოობის კოეფიციენტის მოპოვება თხზულების გასწორებისას. სავარაუდოდ, უფრო ექსპლიციტური იქნება ვისაუბროთ გამსწორებლის სანდოობასა და ტესტის სანდოობას შორის კავშირზე

თუ ტესტში დაწერილი ქულები არ არის სანდო, მაშინ ტესტის შედეგებიც არ იქნება სანდო. მართლაც, ტესტის სანდოობის კოეფიციენტი ყოველთვის უფრო დაბალია, ვიდრე გამსწორებლის სანდოობის კოეფიციენტი, რადგან არასანდოობის სხვა წყაროები იქნება დამატებითი შემაფერხებელი ფაქტორები არასრულყოფილი შეფასებისთვის. მე ვიცი შემთხვევა, როდესაც ტესტში თხზულების გამსწორებლის სანდოობის კოეფიციენტი იყო .92, მაშინ როდესაც ტესტის სანდოობის კოეფიციენტი წარმოადგენდა .84-ს. ცალკეული კანდიდატების მიერ შესრულებული დავალებების განსხვავებულობა აისახებოდა ორ კოეფიციენტს შორის.

როგორ შევქმნათ უფრო სანდო ტესტი

როგორც ვნახეთ, არსებობს ტესტის სანდოობის ორი კომპონენტი: კანდიდატების მიერ შესრულებული დავალებები სხვადასხვა ვითარებაში და შეფასების სანდოობა. პირველ რიგში, შემოგთავაზებთ კანდიდატების მიერ ტესტის შევსების თანმიმდევრულობის მიღწევის იდეას, შემდეგ კი გადავიტანთ ყურადღებას შემფასებლის სანდოობაზე.

შეაგროვეთ ქცევის საკმარისი ნიმუშები

რაც უფრო თანაბარია ტესტის ნაწილები, მით უფრო სანდო იქნება ტესტი. ინტუიციურად ეს მართებული იდეაა. თუ გვინდა გავიგოთ, რამდენად კარგი მშვილდოსანია ადამიანი, არ უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ მიზანში ერთი გასროლის შედეგებს. ეს ერთი გასროლა შეიძლება სულაც არ წარმოაჩენდეს მის უნარებს სათანადოდ. იმისათვის რომ დავრწმუნდეთ, ჩვენ უნარების ნამდვილად სანდო საზომი გვაქვს, ჩვენ მიზანში გასროლის საკმაოდ ბევრი შემთხვევა უნდა განვიხილოთ.

იგივე ითქმის ენის ტესტირების მიმართაც. ემპირიულად ნაჩვენებია, რომ შემდგომი ნაწილების დამატება ტესტს აქცევს უფრო სანდოდ. ფორმულაც კი არის შემუშავებული (სპირმენ-ბრაუნის ფორმულა, იხილე დანართი N1), რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ, თუ ერთი ნაწილის მსგავსი რამდენი დავალებაა საჭირო იმისათვის, რომ მივაღწიოთ სანდოობის კოეფიციენტის მოთხოვნილ დონეს. ერთი რამ დაიმახსოვრეთ, დამატებითი ნაწილები უნდა იყოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი. წარმოიდგინეთ

კითხვის უნარების შემმოწმებელი ტესტი, რომელშიც დასმულია შეკითხვა: „სად დამალა ქურდმა სამკაული?“. თუ ამ შეკითხვას მოსდევს მომდევნო ამ სახის დავალება: „რა იყო უჩვეულო სამალავ ადგილში?“, ეს ტესტი არ აღწევს სანდოობას. ისმის შეკითხვა: რატომ?

იმიტომ რომ თითქმის შეუძლებელია კანდიდატმა გასცეს არასწორი პასუხი შეკითხვას, რომელზე მინიშნებასაც შეიცავს წინამდებარე შეკითხვა. ასეთ კანდიდატები კარგად არიან დაცულები დამატებით შეკითხვებზე პასუხის გაცემისაგან. სინამდვილეში, მათთვის, არ არსებობს დამატებითი შეკითხვა. აღარ წარმოვადგენთ მათი ქცევის დამატებით ნიმუშებს, ამდენად მათი უნარების ჩვენული შეფასების სანდოობა არ გაიზრდება ამგვარ შემთხვევაში. ყოველი დამატებითი შეკითხვა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა წარმოადგენდეს კანდიდატისათვის ახალ დასაწყისს. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია მოვიპოვოთ დამატებითი ინფორმაცია ამა თუ იმ კანდიდატის შესახებ - ინფორმაცია, რომელიც ტესტს უფრო სანდოდ აქცევს. სიტყვა „ნაწილი“ არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ მოკლე შეკითხვასა და პასუხს.

ტესტის წერისას, მაგალითად, როდესაც კანდიდატებს მოეთხოვებათ რამდენიმე პასაჟის შექმნა, თითოეული ეს პასაჟი ტესტის ნაწილად აღიქმება. რაც უფრო დამოუკიდებელი იქნება ეს პასაჟები, მით უფრო სანდო იქნება ტესტი. ანალოგიურად, ინტერვიუში გამოყენებულია ზეპირი უნარები, კანდიდატს უნდა მივცეთ რაც შეიძლება მეტი „ახალი დასაწყისი/სტარტი“. ამგვარი მოქცევის უფრო მეტი დაწვრილებითი მაგალითი მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი წიგნში, თავებში, რომლებიც ეძღვნება ტესტირების კონკრეტულ უნარებს. სანამ მნიშვნელოვანია დამაკმაყოფილებელი სანდოობის მიღწევის მიზნით გრძელი ტესტის შექმნა, ტესტი არ უნდა იყოს იმდენად ვრცელი, რომ მოსაწყენი ან დამღლელი გახდეს კანდიდატისთვის. ეს შეიძლება აისახოს მის ქცევაზე და უნარების წარმოჩენაზე. ამავე დროს, ხშირად საჭიროა გავუძლოთ ზეწოლას, შევქმნათ მოკლე ტესტი, რამდენადაც შეიძლება. როგორც წესი, ტესტის შემოკლების მხარდამჭერი არგუმენტია მისი პრაქტიკულობა. ამის პასუხია ის, რომ ზუსტი ინფორმაციის მიღწევა არ ჯდება იაფი: თუ ასეთი ინფორმაციის მიღება საჭირო, მაშინ საჭიროა სათანადო საფასურის გადახდაც. ზოგადად, რაც უფრო მნიშვნელოვანია ტესტის საფუძველზე მისაღები გადაწყვეტილება, მით უფრო გრძელი უნდა იყოს ტესტი. იფთახმა გამოიყენა სიტყვის „shibboleth“ (პაროლი) წარმოთქმა, რათა გამოერჩია თავისი ხალხი ეფრემელებისაგან, რომლებსაც არ შეეძლოთ „შ“ ბგერის წარმოთქმა. ვინც ვერ გაიარა ტესტი, დასჯილ იქნა. იფთახის ყოველი თანამემამულე, რომელიც დაისჯებოდა ამ დროს, ინატრებდა უფრო გრძელ და სანდო ტესტს.

გამორიცხეთ ნაწილები, რომლებიც კარგად ვერ განარჩევს სუსტ და ძლიერ სტუდენტს ერთმანეთისაგან.

ნაწილები, რომლებშიც სუსტი და ძლიერი სტუდენტები იმავე შედეგს გვიჩვენებენ, ნაკლებად უწყობს ხელს ტესტის სანდოობას. ცალკეული ნაწილის სტატისტიკური ანალიზი (დანართი N1) გამოავლენს ნაწილებს, რომლებიც კარგად ვერ განარჩევს ამ ინფორმაციას. სავარაუდოდ, ესენი მოიცავს ნაწილებს, რომლებიც ან ძალიან ადვილია ან ძალიან რთული კანდიდატებისთვის, მაგრამ არა მხოლოდ ასეთ ნაწილებს. ტესტის

დასაწყისში შეიძლება დავტოვოთ მცირე რაოდენობის ადვილი, არადისკრიმინაციული ნაწილები, რითაც კანდიდატებს მივცემთ თავში დარწმუნებისა და სტრესის მოხსნის საშუალებას.

არ მიანიჭოთ კანდიდატებს ზედმეტად მეტი თავისუფლება.

ენის ზოგიერთ ტესტში არის ტენდენცია, მივცეთ კანდიდატებს კითხვის არჩევის საშუალება, რითაც მათ მივანიჭებთ დიდ თავისუფლებას, თვითონ შეარჩიონ პასუხები. ამის მაგალითი შეიძლება იყოს წერის უნარების გამოსავლენი ტესტი, რომელშიც კანდიდატებს ეძლევათ რამდენიმე სათაური ასარჩევად. ამგვარი პროცედურა შეიძლება ვნებდეს ტესტის სანდოობას. რაც უფრო მეტი თავისუფლებაა, მით უფრო მეტი ალბათობაა მივიღოთ განსხვავება ფაქტობრივად გამოვლენილ შედეგებსა და მომდევნო დღეს ჩატარებულ ტესტში მიღებულ მოსალოდნელ შედეგებს შორის. ამდენად, ზოგადად, კანდიდატებს არ უნდა მივცეთ არჩევანი, ასევე უნდა შეიზღუდოს შესარჩევი პასუხების ჩამონათვალი. შეადარეთ შემდეგი წერითი დავალებები:

1. დაწერეთ თხზულება ტურიზმის თემაზე.
2. დაწერეთ თხზულება თქვენს ქვეყანაში ტურიზმის თემაზე.
3. დაწერეთ თხზულება თემაზე, თუ როგორ უნდა განვავითაროთ ტურისტული ინდუსტრია ქვეყანაში.
4. იმსჯელეთ ქვემოთ ჩამოთვლილ ზომებზე, რომელთა გატარებაც შეუწყობს ქვეყანაში უცხოელი ტურისტების რაოდენობის გაზრდას:
 - 1) მეტი/უკეთესი რეკლამა და/ან ინფორმაცია (საიდან? საიდან უნდა მივიღოთ ეს?)
 - 2) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (სასტუმროები, ტრანსპორტი, კომუნიკაცია და ა. შ.)
 - 3) ტრენინგები პერსონალისთვის (ექსკურსიამდოლები, სასტუმროს მენეჯერები და ა. შ.)

თანმიმდევრული დავალებები უფრო და უფრო მეტ კონტროლს აწესებს წერის პროცესზე. მეოთხე დავალება, სავარაუდოდ, უფრო სანდო ინდიკატორია წერის უნარების გამოსავლენად, ვიდრე პირველი. კანდიდატის თავისუფლების შეზღუდვის ზოგადი პრინციპი განხილული იქნება შემდგომ თავებში კონკრეტული უნარების შესახებ. თუმცა, ალბათ, აქ უნდა ითქვას, რომ ფრთხილად უნდა ვიყოთ სტუდენტების შეზღუდვისას, რათა არ მივცეთ არასწორი მიმართულება სამიზნე უნარების გამოვლენის მხრივ. პოტენციური დამაბულობა სანდოობასა და ვალიდურობას შორის განხილული იქნება თავის ბოლოს.

შექმენით არაორაზროვანი ნაწილები

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატებს არ მივაწოდოთ ტესტის ნაწილები, რომელთა შინაარსიც არ არის ნათელი ან მასში მოცემულია მისაღები პასუხი, რომელიც ვერ განჭვრიტა ტესტის შემქმნელმა. კითხვის უნარების შემმოწმებელ ტესტში ერთხელ ჩავსვი ასეთი ღია შეკითხვა, რომელიც ეფუძნებოდა პასაჟს ინგლისური აქცენტისა და დიალექტების შესახებ. სად მიმართავს ავტორი მკითხველს, რომელიც

დაინტერესებულია ინგლისური ენის არასტანდარტული დიალექტებით? მოსალოდნელი პასუხი მოცემული იყო წიგნის შემდგომ ნაწილში. კანდიდატების დიდმა ნაწილმა უპასუხა გვერდი 3; ეს იყო ადგილი, რომელშიც ავტორი ცალსახად ამბობდა, რომ დაინტერესებულმა მკითხველმა უნდა ნახოს წიგნის შემდგომი ნაწილი. მხოლოდ ძალიან დაკვირვებულებმა შენიშნეს, რომ ეს არ იყო მოსალოდნელი სწორი პასუხი შეკითხვაზე. ეს რომ არ მომხდარიყო, სწორი პასუხი ჩაითვლებოდა არასწორ ვარიანტად. ის ფაქტი, რომ ინდივიდუალურმა კანდიდატმა შეიძლება პასუხის თავისებური ინტერპრეტაცია მოახდინოს სხვადასხვა ვითარებაში, ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ნაწილი არ ქმნის მთლიანად ტესტის სანდოობას. საუკეთესო საშუალება არაორაზროვანი ნაწილების შესაქმნელად არის შავი ვარიანტის შექმნა, მისი სკრუპულოზურად განხილვა კოლეგებთან, რომლებიც გულდასმით შეეცდებიან პასუხების ალტერნატიულ ინტერპრეტაციას. თუ ეს ამოცანა სათანადოდ - დაჟინებული სიჯიუტით - შესრულდება, პრობლემათა უმეტესობა გამოვლინდება ტესტირებამდე. ტესტის ნაწილების პრეტესტირება სავარაუდო ფოკუსჯგუფთან (იხ მეშვიდე თავი) გამოვალნეს დარჩენილ ნაკლოვანებებს. სადაც პრეტესტირება არარეალურია, შემფასებლებმა უნდა ეძებონ პასუხების სახესხვაობები, რათა გამოავლინონ პრობლემური ნაწილები.

უზრუნველყავით ნათელი და ცხადი ინსტრუქციები

ეს ეხება ორივე წერით და ზეპირ ინსტრუქციებს. თუ კანდიდატები შეძლებენ შეკითხვის მათეულ ინტერპრეტაციას, მაშინ გარკვეულ ვითარებაში ზოგიერთი მათგანი ამას იზამს. როგორც წესი, ესენი არიან ყველაზე სუსტი კანდიდატები, რომლებსაც ორაზროვანი ინსტრუქციები აზნევს. მართლაც, უკეთეს კანდიდატებს შეუძლიათ ალტერნატიული ინტერპრეტაციის უზრუნველყოფა. სტუდენტებისთვის შექმნილი ტესტის საერთო და გავრცელებული შეცდომაა იმის დაშვება, რომ სტუდენტებმა იციან, რა იგულისხმება ზოგად ინსტრუქციებში, სიტყვათა არაცალსახა თანმიმდევრობაში. ხშირია ჩივილი, რომ სტუდენტები არ არიან ჭკვიანები, არიან სულელები, თავი მოიკატუნეს, ვითომ ვერ გაიგეს, რას ითხოვდნენ მათგან. ეს კი გვიჩვენებს, რომ დაშვება ხშირად გარანტიას არ იძლევა. ტესტის შემქმნელები არ უნდა ეყრდნობოდნენ სტუდენტების ტელეპათიურ მონაცემებს მათთვის სასურველი ქცევის მისაღებად. კოლეგების (მათ შორის მათი, ვის შესახებაც ისაუბრებენ) დახმარება ტესტის შავი ვარიანტის განხილვაში ამ პრობლემების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. ზეპირი ინსტრუქციები აუცილებლად უნდა წაიკითხონ მომზადებული ტექსტიდან, რათა თავიდან იქნეს აცილებული უხერხულობა.

დარწმუნდით, რომ ტესტი არის გადმოცემული და აბსოლუტურად ზუსტია.

ძალიან ხშირად, ინსტიტუციური ტესტები ცუდად არის დაბეჭდილი (ან ხელით დაწერილი), პატარა სივრცეში დიდი მოცულობის ტექსტია ჩასმული და ცუდად ჩანს. შედეგად, სტუდენტს უწევს დამატებითი ამოცანების შესრულება, რომლებიც არ ზომავს

ენობრივ უნარებს. მათი მოსალოდნელი პასუხები და ქმედებები დაბლა დასწევს ტესტის სანდოობას.

გააცანით კანდიდატებს ფორმატი და ტესტის შევსების ტექნიკები

თუ ტესტის რომელიმე ასპექტი უცნობია კანდიდატისთვის, ისინი შედარებით ცუდად შეავსებენ ტესტს, ვიდრე სხვა შემთხვევაში (მაგალითად, პარალელური ვერსიის შემთხვევაში). ამიტომ ყოველი მცდელობისას უნდა დავრწმუნდეთ, რომ ყველა კანდიდატს უნდა ჰქონდეს საშუალება, გაიგოს, რას მოითხოვენ მისგან. ეს ნიშნავს იმას, რომ შესაძლოა დარიგდეს სანიმუშო ტესტი (ან ძველი ტესტები) ან სულაც მისცენ პრაქტიკული მასალა სასწავლო ინსტრუქციებით.

უზრუნველყავით ერთგვაროვნება და ტესტირების დამაკმაყოფილებელი პირობები

რაც უფრო დიდია განსხვავება სხვადასხვა ტესტირების ადმინისტრირებას შორის, უფრო დიდია ალბათობა სხვადასხვა ვითარებაში განსხვავებული შედეგის მიღების თვალსაზრისით. დიდი ყურადღება და ძალისხმევა უნდა დაეთმოს ერთგვაროვნების დასაცავად. მაგალითად, დროის მონაკვეთის მკაცრი განსაზღვრა და დაცვა, სმენითი უნარების გამოსავლენი ტესტირების შემთხვევაში აკუსტიკური პირობები ყველგან თანაბარი უნდა იყოს. სიფრთხილის ყველა ზომა უნდა გატარდეს, რათა იყოს სიჩუმე ზედმეტი ხმაურისა და მოძრაობების გარეშე. ახლა დავუბრუნდეთ შემსწორებლის სანდოობის მიღწევის გზებს, რაც, როგორც ვნახეთ ზემოთ, ტესტის სანდოობისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

გამოიყენეთ ნაწილები, რომლებიც შეძლებისდაგვარად იძლევა ობიექტური ქულების დაწერის საშუალებას

ეს შეიძლება ჰგავდეს რეკომენდაციას, გამოყენონ დახურული ტიპის ნაწილები, რაც უზრუნველყოფს აბსოლუტურად ობიექტურ შეფასებას. ამას არ ვაპირებთ. სანამ ვიტყოდეთ, შეცდომაა აზრი იმის შესახებ, დახურული ტიპის ტესტები არასოდესაა მისაღები, მანამდე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევებში ამ ტიპის ტესტების გამოყენება მართლაც მიუღებელია.

უფრო მეტიც, კარგი დახურული ტესტი რთული დასაწერია და ყოველთვის მოითხოვს ხანგრძლივ პრეტესტირებას. მერვე თავის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძვნება დახურული ტესტის ტექნიკის უქონლობას. დახურული ტესტის ალტერნატივა არის ღია ნაწილი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული, თუნდაც ერთსიტყვიანი, ზუსტი პასუხი, რომელსაც კანდიდატი თვითონ ქმნის. ამან, ასევე, უნდა უზრუნველყოფს ზუსტი შეფასება, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი საკითხი, როგორიც მექანიკური შეცდომებია, ხშირად ხდის კანდიდატის პასუხს გაუგებარს (მაგალითად მოსმენის ტესტში) და ხშირად აქცევს დამოკიდებულს შემფასებლის დასაბუთებაზე.

რაც უფრო გრძელია მოთხოვნილი პასუხი, მით უფრო მეტი სირთულეა. ერთ-ერთი გამოსავალია, ისეთი პასუხის შექმნა, რომლის ერთი ნაწილიც უკვე მოცემულია. მაგალითად, ღია შეკითხვა: *რა განსხვავებაა შედეგებს შორის?* შეიძლება შეიქმნას შემდეგი პასუხის მოლოდინით: *წარმატება მჭიდროდ ასოცირდება მაღალ მოტივაციასთან.* სავარაუდოდ, სწორედ ეს იწვევს ქულების დაწერის პრობლემას. გამსწორებლის სანდოობის მიღწევა ალბათ შეიძლება, თუ ზემოთ დასმულ შეკითხვას მოსდევს შემდეგ ფრაზა: *მჭიდროდ უკავშირდება შემდეგს* ამგვარი ნაწილები შემდეგ თავებშია განხილული წიგნში.

შეადარეთ კანდიდატები რაც შეიძლება ზუსტად

ეს კიდეც უფრო ამყარებს ზემოთ ჩამოყალიბებულ დებულებას, რომ კანდიდატებს არ უნდა მიეცეთ ტესტის ნაწილების არჩევანის საშუალება და უნდა მიეცეთ პასუხების შეზღუდული არჩევანი. მხოლოდ ერთ თემაზე შექმნილი თხზულების შეფასება უფრო სანდო იქნება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა კანდიდატებს ასარჩევად მიეცემათ ექვსი თემა. ეს შექმნის პირობას, რომ ზოგიერთმა კანდიდატმა უფრო კარგად იცის თემა და ტესტი. ქულები უფრო სანდო იქნება, თუ თხზულებას ექნება ზემოთ განხილული ინსტრუქციები და წინაპირობები, ისე როგორც მაგალითში იყო წარმოდგენილი. არ მისცეთ კანდიდატებს ზედმეტი თავისუფლება.

უზრუნველყავით შეფასებისთვის და ქულების დასაწერად დეტალური პასუხები

ეს დააკონკრეტებს მისაღებ პასუხებს და ნაწილობრივ მისაღებ პასუხებს. გამსწორებლის მაღალი სანდოობისთვის პასუხები უნდა იყოს რაც შეიძლება დეტალური. ეს უნდა იყოს მოსალოდნელი პასუხებისა და ჯგუფური განხილვის შედეგი (ეს რჩევა ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც პასუხები შეიძლება იყოს დაყოფილი როგორც ნაწილობრივ ან მთლიანად „არასწორი“. ეს არ მიესადაგება თხზულების გასწორებას).

გამსწორებლების ტრენინგი

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც გასწორება სუბიექტურია. თხზულებების გასწორების საშუალება, მაგალითად, არ უნდა მიეცეს იმ ადამიანს, რომელიც კარგად არ იცნობს წინა ტესტირების შედეგად თხზულებებში მიღებულ ქულებს. ყოველი ტესტირების შემდეგ, ქულების მონაცემები უნდა გაანალიზდეს. ის თემები, რომელთა მონაცემების განსაკუთრებით განსხვავებულია, თავიდან უნდა იქნეს განხილული.

შეთანხმდით მისაღებ პასუხებსა და სათანადო ქულებზე

ნაწერების ნიმუშები ტესტირების შემდეგ უმაღლეს უნდა მოვიპოვოთ. თხზულებების შემთხვევაში, წერის უნარების სხვადასხვა დონის არქტიკული წარმომადგენლები უნდა შეირჩნენ. მხოლოდ ყველა მიღებული ქულის მოსალოდნელ ქულებთან შეთანხმების

შემდეგ იწყება რეალური შეფასება. უფრო ვრცლად ამაზე მეცხრე თავში გავამახვილებთ ყურადღებას თხზულების შეფასებაზე საუბრისას. მოკლე კითხვებზე გაცემული პასუხების შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ქულების წერისას წარმოქმნილი ყველა სირთულე (ნაკლებად მოსალოდნელია, რომ საკვანძო პასუხად ყველა ვარიანტი გამოდგეს).

ეს უნდა გაითვალისწინოს ყველა გამსწორებელმა. მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ხელმძღვანელმა ეს უნდა გააცნოს ყველა გამსწორებელს.

კანდიდატების იდენტიფიკაცია მოახდინეთ ნომრებით და არა სახელებით

შესაძლოა გამსწორებლები იცნობდნენ რომელიმე კანდიდატს. წმინდა ობიექტური ტესტის გარდა, სხვა დანარჩენ შემთხვევაში ეს ნამდვილად იმოქმედებს მათ ქულებზე. კვლევებმა გვიჩვენა, რომ როდესაც კანდიდატები უცნობები არიან გამსწორებლებისთვის, სახელები და გვარები (ან სურათი) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მინიჭებულ ქულებზე. მაგალითად, გამსწორებელზე შეიძლება გავლენა მოახდინოს კანდიდატის სქესმა ან ეროვნებამ. კანდიდატების ნომრებიც გადანაწილება მნიშვნელოვნად შეამცირებს ამგვარ ეფექტს.

გამოიყენეთ მრავალჯერადი დამოუკიდებელი გასწორება

როგორც წესი, ძირითადად მაშინ, როდესაც ტესტი სუბიექტურია, ყოველი ნაშრომი მინიმუმ ორჯერ უნდა გასწორდეს. არც ერთმა გამსწორებელმა არ უნდა იცოდეს მეორე გამსწორებლის ქულა. ქულები უნდა დაიწეროს სხვადასხვა გვერდებზე და გადაეცეს მესამე მთავარ გამსწორებელს, რომელიც შეადარებს ქულებს და გამომიკვლევს შეუსაბამობებს.

სანდოობა და ვალიდურობა

იმისათვის რომ ტესტი იყოს ვალიდური, მან თანმიმდევრულად უნდა უზრუნველყოს ზუსტ საზომები. ამ შემთხვევაში იქნება ის სანდო. თუმცა, სანდო ტესტი შეიძლება არ იყოს ვალიდური საერთოდაც. მაგალითად, წერითი უნარების შემმოწმებელი ტესტის შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება მოვთხოვოთ კანდიდატებს თარგმნონ მშობლიურ ენაზე 500-სიტყვიანი ტექსტი. ეს თავისუფლად შეიძლება იყოს სანდო ტესტი. მაგრამ ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ ეს იქნება წერის ვალიდური ტესტი. როდესაც ვზრუნავთ ტესტის სანდოობაზე, ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ არ შევამციროთ მისი ვალიდურობა. ამ თავში ვსაუბრობდით იმაზე, რომ თუ კანდიდატს შევუზღუდავთ თხზულების წერისას არჩევანს, ამით შეიძლება შევამციროთ დავალების ვალიდურობა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რის გაზომვა გვინდა მოცემული დავალებით. თუ ჩვენ გვაინტერესებს კანდიდატის უნარი ააგოს თხზულება, მაშინ რთული იქნება ამის მიღწევა მხოლოდ სტრუქტურის მიწოდებით სანდოობის გაზრდის მიზნით. ამავე დროს, ჩვენ

კვლავ უნდა განვაგრძოთ კანდიდატების შეზღუდვა იმ მხრივ, რომ მათ არ მოუწიოთ არასრულყოფილი დავალების შესრულება. ყოველთვის იარსებებს გარკვეული დამაბულობა სანდოობასა და ვალიდურობას შორის. ტესტის შემქმნელმა უნდა დააბალანსოს ეს ორი ფაქტორი.

მკითხველის აქტივობები:

1. რომელ გამოქვეყნებულ ტესტს იცნობთ? ეცადეთ, გამოიცნოთ მათი სანდოობის კოეფიციენტი. რომელი მეთოდი იქნა გამოყენებული ამის მისაღწევად? რა არის სტანდარტული გადაცდომის საზომი?

2. TOEFL-ის ტესტს აქვს სტანდარტული გადაცდომის გაზომვა -15. კერძო ამერიკული კოლეჯის მოთხოვნების მიხედვით კოლეჯში მიღებისთვის აუცილებელი ქულა არის 600. რას ფიქრობთ სტუდენტებზე, რომლებიც აბარებენ ამ კოლეჯში და აქვთ ქულები 605, 600, 595, 590, 575?

3. როგორ ფიქრობთ, რომელ მაგალითში არის დამაბულობა სანდოობასა და ვალიდურობას შორის? თუ იცით ასეთი შემთხვევები, ფიქრობთ, რომ აქ მიღწეულია სწორი ბალანსი?

შემდგომში დასამუშავებელი მასალა

ზოგადად სანდოობისა და სანდოობის სხვადასხვა შეფასებისა და ფაქტორის შესახებ გაეცანით ანასტასისა და ურბინას შრომებს (1997). საგანმანათლებლო გაზომვაში სანდოობის საკითხის შესახებ იხილეთ ნიტკო (2001) და ფელდტი და ბრენანი (1989) – წერილი ზედმეტად ტექნიკურია. ჩვენი ოთხი „შედარებით ადვილი კალკულაციისა“ და გადაწყვეტილებების თანმიმდევრობის შესაფასებლად იხილეთ ბრაუნი (1990). კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტის შესახებ იხილეთ ბრაუნი და ჰუდსონი (2002). ნიტკო (2001) ასევე საუბრობს გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობაზე. ჩემი აზრით, კომუნიკაციური ამოცანების შესრულებისას მაღალი სანდოობის მიღწევის საკითხი გადაჭარბებული ხედვაა მოცემული ლადოსთან (1961). ეს შეიძლება შეიქმნა ორმოცი წლის წინ, მაგრამ ახლაც აქტუალურია ზოგიერთ წრეში.

1. სიგრძის შემცირების გამო, რაც კოეფიციენტს ქვემო სწევს და ეს კი აისახება მთლიან ტესტზე, სტატისტიკური რეგულაცია იქნა შემუშავებული, რომელიც იყენებს სპირმენისა და ბრაუნის ფორმულას (იხილეთ დანართი 1).

2. მიაქციეთ ყურადღება, რომ სანდოობის კოეფიციენტი შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს, თუ რამდენიმე კანდიდატს მაინც აქვს სხვებთან შედარებით განსაკუთრებით მაღალი (ან დაბალი) ქულები. მსგავსმა შემთხვევებმა შეიძლება არასწორად გვიჩვენოს სანდოობის მაღალი ქულა. ეს იმიტომ, რომ სანდოობის შესაფასებელი სტატისტიკური მეთოდი უტოლებს სხვაობებს კანდიდატებს შორის სხვაობებს კანდიდატების ნაშრომებს შორის (ე. ი. კანდიდატების ორ ქულებს). რაც უფრო დიდია კანდიდატებს შორის სხვაობა, მით უფრო მაღლი იქნება სანდოობის კოეფიციენტი. კანდიდატებს შორის სხვაობა გადაჭარბებულია არატიპიური კანდიდატების მონაცემების ჩართვის გამო,

რაზეც ზემოთ იყო საუბარი. ამის გამო ხდება სანდოობის მიუღებელი შეფასება. დეტალებისათვის იხილე ნიტიკო (2002).

3. ეს სტატისტიკური განაცხადები ეფუძნება იმას, თუ რა ვიცი პიროვნების ქულების შესახებ, როგორ გადანაწილდება ეს მონაცემი იმ შემთხვევაში თუ ისინი შეავსებენ იმავე ტესტს მრავალჯერ. ქულები მიყვება იმას, რასაც ვუწოდებთ ნორმალურ დისტრიბუციას (იხილე ვუდი, ფლეჩერი და ჰუგესი, 1986, თუ გადაწყვეტილი გაქვთ უფრო მეტი ინფორმაციის გაცნობა, ვიდრე წიგნშია მოცემული).

ეს ნორმალური დისტრიბუციის ცნობილი სტრუქტურაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ ქულების პროცენტულ გადანაწილებაზე გარკვეულ ვითარებაში (მაგალითად ქულათა დაახლოებით 68 პროცენტი იქნება ერთი სტანდარტული გადაცდომის გაზომვის შემთხვევაში რეალური ქულა). რადგან დაახლოებით 68 პროცენტი მიღებული ქულებისა იქნება რეალური ქულის სტანდარტული გადაცდომის გაზომვის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ 68 პროცენტით დარწმუნებულები, რომ ყოველი კერძო მიღებული ქულა იქნება ერთი სტანდარტული გადაცდომის გაზომვის რეალური ქულა.

4. ნათელი უნდა იყოს რომ არ არსებობს კარგი ან ცუდი სტანდარტული გადაცდომის გაზომვა. ეს არის კონკრეტული ქულების კერძო გამოყენების შემთხვევა კონკრეტული სტანდარტული გადაცდომის გაზომვის მიმართ. ეს კი შეიძლება განიხილებოდეს როგორც მისაღები ან მიუღებელი.

5. კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტი შეიძლება იყოს ძალიან თანმიმდევრული, თუმცა მაინც გვიჩვენებდეს სანდოობის დაბალ კოეფიციენტს. ეს იმიტომ ხდება, რომ კანდიდატის ქულები, მიუხედავად იმის, რომ თანმიმდევრულადაა შეფასებული, შეიძლება იყოს შეზღუდული დიაპაზონით (იხ. სქოლიო 2). ამ მიზეზის გამო, რეკომენდებულია სპეციალურად კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტის მეთოდების გამოყენება.

6. ერთი პიროვნების მიერ დაწერილი ქულების სანდოობას ერთსა და იმავე ტესტში სხვადასხვა ვითარებაში ეწოდება „ინტრა-შემფასებლის სანდოობა“. სხვადასხვა პიროვნებების მიერ ერთი და იგივე ტესტის შეფასებას ეწოდება „ინტერ-შემფასებლის სანდოობა“.

სასარგებლო უკუკითხვის ეფექტის მიღწევა

უკუკითხვა არის ეფექტი, რომელიც ტესტს აქვს სწავლებასა და სწავლის პროცესზე. ამ წიგნის პირველი გამოცემის შემდეგ, საკმაოდ დიდი იყო ინტერესი უკუკითხვის ეფექტის შესახებ, ვიდრე მანამდე, ამდენად მისი მნიშვნელობა ენის ტესტირებისათვის ზოგადად გახდა მისაღები. იყო კვლევა, იყო მოთხოვნა უკუკითხვის ეფექტის ექსპლიციტური მოდელის შექმნისა, რომელიც გამოიცდებოდა ემპირიულად, და ენის ტესტირების მთლიანი საკითხი იქცა ძირითად თემად. უკუკითხვა ახლა განიხილება როგორც ტესტის შედეგი, რომელიც ტესტს შეიძლება ჰქონდეს მოსწავლესა და მასწავლებელზე, ზოგადად განათლების სისტემასა და მთლიანად საზოგადოებაზე.

მე ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ რამდენიმე წლის შემდეგ უკუგების შემდგომი კვლევა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ადვილად გასაგები საკითხი გახდება შემდგომ კვლევებში, იმას გავიაზრებთ, თუ რა სახის წვლილი შეიძლება შეიტანოს მისმა ეფექტმა სხვადასხვა ვითარებაში. მიუხედავად ამისა, მე მჯერა, რომ საბაზისო პრაქტიკული რჩევა, რომელიც მე გავეცი ამ წიგის პირველ გამოცემაში უკუგების სასარგებლო ეფექტის პოპულარიზაციის მიზნით, მისაღებია. სწორედ ამის გამო, ახლაც ვიმეორებ ამას. ეს მკითხველის გადასაწყვეტია, როგორ დანერგავენ ჩემს შეთავაზებებს თავიანთ სიტუაციაში.

შეამოწმეთ უნარები, რომელთა განვითარების ხელშეწყობაც გასურთ

მაგალითად, თუ თქვენ გასურთ ზეპირი უნარების ხელშეწყობა, მაშინ შეამოწმეთ ზეპირი უნარები². ეს ნათელია, თუმცა ჯერ კიდევ გასაოცარია, რამდენად ხშირად ხდება ეს. შიმჩნევა ტენდენცია ტესტით გამოიცადოს უფრო ადვილი რამ, ვიდრე ის, რაც უფრო მნიშვნელოვანია. ამაზე შეიძლება მოიძებნოს რამდენიმე პასუხი. მაგალითად, ხშირად ამბობენ, რომ განსაკუთრებით მაღალი სანდოობა ვერ მიიღწევა ტესტის სუბიექტური შეფასების მოთხოვნის შემთხვევაში (როგორც ზეპირი ინტერვიუს/გასაუბრების შემთხვევაში). ეს უბრალოდ არ განიხილება, უფრო დაწვრილებით უკვე ვისაუბრეთ წინა თავში. უფრო დეტალური რჩევები დამაკმაყოფილებელი სანდოობის მისაღწევად სუბიექტური ტესტის შემთხვევაში შეგიძლიათ იხილოთ მეცხრე და მეათე თავებში.

მეორე ყველაზე გავრცელებული მიზეზი არის ტესტირებასთან დაკავშირებული დრო და ხარჯები. ამაზე საუბარი მოგვიანებით იქნება ამ თავში. მნიშვნელოვანია, რომ გამოიცადოს არა მარტო ეს გარკვეული უნარები, არამედ ისინიც, რომლებიც მნიშვნელოვანია სხვა უნარებთან კავშირის თვალსაზრისითაც. მე კარგად მახსოვს ფრანგი მასწავლებელი, რომელიც ეუბნებოდა კლასს შემდეგ ფრაზას: ფრანგულ ენაში განათლების საერთო სასერტიფიკატო გამოცდის (რომელიც წლის ბოლოს ჩავაბარეთ) ზეპირი კომპონენტი შეიცავს იმდენად დაბალ ნიშნებს, რომ არც კი ღირს მისთვის მომზადება. საგამოცდო კომისია ნაკლებად უჭერდა მხარს სასარგებლო უკუგების ეფექტს.

შექმენით ფართო და არაპროგნოზერაბადი ნიმუშები

როგორც წესი, ტესტმა შეიძლება გაზომოს ყველაფერი, რაც ჩართულია ცალკეულ ნაწილებში. მნიშვნელოვანია, რომ ნიმუშში რაც შეიძლება ფართოდ იყოს წარმოდგენილი ის, რასაც ეხება ტესტი. თუ ეს ასე არ არის, თუ ტესტი ასახავს სპეციფიკაციების მხოლოდ შეზღუდულ ნაწილს, მაშინ უკუგების ეფექტი მიემართება მხოლოდ ამ ნაწილს. თუ, მაგალითად, წერითი უნარების შემმოწმებელი ტესტი ყოველ წელს მეორედებოდა და მოიცავდა მხოლოდ ორ დავალებას: გრაფიკული გამოსახულების შედარება/დაპირისპირება და აღწერა/ინტერპრეტაცია, შედეგი იქნება ის, რომ სტუდენტები დროს დახარჯავენ მხოლოდ ამ ორი ტიპის დავალებისთვის მოსამზადებლად. უკუგების ეფექტი შეიძლება არ იყოს ისეთი დადებითი, როგორც დავალებების ფართო დიაპაზონის შემთხვევაში. თუ ტესტის შიგთავსი ადვილად

გამოსანობია, სწავლება და სწავლა იმაზე იქნება კონცენტრირებული, თუ როგორ გამოიყენოს კანდიდატმა ესა თუ ის დავალება. ძალისხმევა კი უნდა იყოს მიმართული ტესტის მთლიან სპეციფიკაციებზე (ტესტის შესრულების შემთხვევაში, ეს უნდა იყოს ეკვივალენტური შემუშავებული მიზნებისა), მაშინაც კი, თუ იგი შეიცავს ტესტისათვის ნაკლებად წასაკითხ ელემენტებს.

გამოიყენეთ პირდაპირი ტესტირება

როგორც მესამე თავში ვნახეთ, მოიცავს ტესტის შესრულების უნარებს, ტექსტებსა და შეძლებისდაგვარად ავთენტურ დავალებებს. თუ ჩვენ გვინდა პირდაპირ ჩვენთვის საინტერესო და წასახალისებელი უნარების გამოცდა, მაშინ შექმენით ისეთი ტესტი, რომელიც მიემართება ამ უნარების გამოვლენას. თუ ჩვენ გვინდა სტუდენტებმა ისწავლონ თხზულებების წერა, ჩვენ უნდა ჩავუერთოთ ტესტში ასეთი დავალება და დავაწერინოთ თხზულება. თუ კურსის ამოცანაა, სტუდენტებმა წაიკითხონ სამეცნიერო სტატია, მაშინ ეს უნდა დავალოთ ტესტის შესრულების დროსაც. როდესაც ვიწყებთ არაპირდაპირ ტესტირებას, ჩვენ ვართევეთ სტუდენტებს წამახალისებელ საშუალებებს და ვაიძულებთ ისე იმუშაონ, როგორც ჩვენ გვსურს.

შექმენით კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტი

თუ ტესტის სპეციფიკაციები ნათელს ხდის, რა უნდა გააკეთოს კანდიდატმა და წარმატების როგორი დონით, ამ შემთხვევაში სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა ექმნებათ იმაზე, თუ რას უნდა მიაღწიონ. უფრო მეტიც, მათ იციან, რომ ისინი შეასრულებენ დავალებას კრიტერიუმების მიხედვით, მაშინ წარმატებით გაივლიან ტესტირებას, მიუხედავად იმისა, თუ როგორ შეასრულეს იგივე დავალებები დანარჩენმა სტუდენტებმა. ეს ორი ფაქტორი ხელს უწყობს სტუდენტების მოტივირებას. როდესაც ტესტი არ არის კრიტერიუმებზე ორიენტირებული, ადვილია სტუდენტებისთვისაც და მასწავლებლებისთვისაც, დაასკვნან, რომ სტუდენტების გარკვეული პროცენტი (ან შესაძლოა უმეტესობა) ჩააბარებს გამოცდას იმისგან დამოუკიდებლად, მიაღწიეს თუ არა მათ აბსოლუტურ სტანდარტს. მიუხედავად იმისა, რომ კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტების სერიების არსებობის შესაძლებლობა, თითოეული მათგანი წარმოადგენს ენის ცოდნის მიღწევის სხვადასხვა დონეს. ტესტები, რომლებშიც დაიწერება ჩათვლა, დავალებების უმეტესობა შესრულდება წარმატებით. სტუდენტები აბარებენ მხოლოდ ისეთ ტესტს (ან ტესტებს), რომლის წარმატებით ჩაბარებასაც ელიან. მე მჯერა, რომ ამ ტიპის ტესტები წახალისებს ყველას შეისწავლონ ენა. ეს შეიძლება იყოს საფუძველი ბრიტანეთში შემდეგი ტიპის გამოცდისა GCSE (General Certificate of Secondary Education - საშუალო განათლების გენერალური სერტიფიკატი)

მიზნების მისაღწევი საბაზისო ტესტი

თუ ცოდნის მისაღწევი ტესტი ეფუძნება მიზნებს, ვიდრე დეტალებს, სწავლებისა და სახელმძღვანელოების შიგთავსს, ისინი უფრო გვიჩვენებენ იმის რეალურ სურათს, რაც ფაქტობრივად ისწავლეს მოსწავლეებმა. შედეგად, ისინი ეცდებიან ყველანაირად ამის მიღწევას. ამაზე უფრო დეტალურად მესამე თავში იყო საუბარი.

დარწმუნდით, რომ ტესტი კარგად იცინ და კარგად ესმის სტუდენტებსა და მასწავლებლებს

შეიძლება ტესტს ჰქონდეს დადებითი უკუკავშირის ეფექტი, მაგრამ ამ ეფექტის სრულად გააზრება არ მოხდება, თუ სტუდენტებმა და მათმა მასწავლებლებმა ვერ გაიგეს, რას მოითხოვს მათგან ტესტი.

ტესტის დასაბუთება, სპეციფიკაციები და ნიმუშები უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი მომზადების პერიოდში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ხდება ახალი ტესტის წარდგენა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ხდება ახალი მეთოდების დანერგვა. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი ამგვარი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის არის ტესტის სანდოობის გაზრდა, რაზეც ვსაუბრობდით წინა თავში.

საჭიროების შემთხვევაში გაუწიეთ დახმარება მასწავლებლებს

ახალი ტესტის დანერგვამ შეიძლება მასწავლებლებს გაუღვივოს უთანასწორობის გრძნობა. მაგალითად, თუ გრამატიკული სტრუქტურისა და სიტყვების მარაგის შემმოწმებელი ხანგრძლივი ეროვნული ტესტი ჩანაცვლებული იქნება პირდაპირი ტესტირებით, რომელსაც ექნება უფრო კომუნიკაციური ბუნება, ადვილად მოსალოდნელია, მასწავლებლებს ჰქონდეთ განცდა, რომ მათ არ იცინ, როგორ გამოუმუშავონ კომუნიკაციური უნარები თავიანთ მოსწავლეებს. ახალი ტესტის წარმოდგენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი შეიძლება იყოს ენის კომუნიკაციური სწავლების წახალისება, მაგრამ თუ მასწავლებლებს სჭირდებათ სახელმძღვანელო მითითებები ან შესაძლო ტრენინგები, ხოლო ეს არ არის უზრუნველყოფილი, მაშინ ტესტი ვერ მიაღწევს გამიზნულ შედეგებსა და ეფექტს. ამან უბრალოდ შეიძლება გამოიწვიოს ქაოსი და უკმაყოფილება. თუ ახალი ტესტი ხელს უწყობს სწავლების პრინციპების შეცვლას, მასწავლებლებს უნდა გაეწიოთ სათანადო დახმარება ცვლილებების მისაღებად.

დათვალით ხარჯები

ტესტის ერთ-ერთი სასურველი მახასიათებელი, ვალიდურობისა და სანდოობის შემდეგ, ტესტის შემქმნელებისათვის არის მისი პრაქტიკულობა. კარგია, როცა ტესტი

არის ადვილი და იაფი შესაქმნელი, ჩასატარებელი, შესაფასებელი და განსახილველი. არ უნდა დაგვავიწყეს, რომ ტესტირებას სჭირდება დრო და ფული, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს ალტერნატიულ გამოყენებამდე. ნაკლებად სავარაუდოა, რომ შესაძლებელია მკითხველისთვის საჭირო ინფორმაციისათვის თავის არიდება იმის შესახებ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციებში მითითებულია მცირე ხარჯების საჭიროება მაინც. გარკვეული უნარების ინდივიდუალური პირდაპირი ტესტირება მოითხოვს დიდ დროს, რათა მივიღოთ სანდო შეფასებები სუბიექტურ ტესტში. ასევე ხარჯებს მოითხოვს ტესტის ნიმუშების შექმნა და განაწილება და მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარება. შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ ასეთი პროცედურები არაპრაქტიკულია. ჩემი აზრით, ამან შეიძლება გამოავლინოს არასრული გაგება იმისა, თუ რა არის ჩართული ამ იდეაში. სანამ გადაწყვეტდეთ, რომ თავს ვერ მივცემთ ასეთი ტესტის საშუალებას, რომელიც ავითარებს დადებითი უკუგებას, უნდა დავუსვათ ჩვენს თავს შეკითხვა: რა ეღირება დადებითი უკუგების ეფექტის მიუღწევლობა? როდესაც ჩვენ ვადარებთ ტესტის ღირებულებას მასწავლებლებისა და სტუდენტების მხარდასაჭერად (რათა მათ მიაღწიონ სასურველ შედეგებს) დაკარგულ დროს (მაშინ როდესაც საყოველთაო ეკონომიის გამო ვერ ვრთავთ მეტ ხალხს უცხო ენის კომპეტენციის გაზრდის მიზნით), ჩვენ ვიღებთ სავარაუდოდ გადაწყვეტილებას, რომ არ გვაქვს ფუფუნება, წარმოვადგინოთ დადებითი უკუგების ეფექტის მქონე ტესტი.

მკითხველის აქტივობები:

1. როგორ გაზრდით ტესტის უკუგების ეფექტს და რა იცით ამის შესახებ. იყავით რაც შეიძლება უფრო კონკრეტულები (ეს არის პირველი თავის ბოლოში მოცემული 1 აქტივობის გაგრძელება).
2. შეისწავლეთ არგუმენტები, რომლებიც გამოგადგებათ თქვენი პოზიციის გასამყარებლად და რეკომენდაციების გასაწევად ახალი ცვლილებების დანერგვის თვალსაზრისით.

შემდგომი დასამუშავებელი მასალა:

ანდერსონი და ვოლი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ უკუგების ეფექტის არსებობას (1993). ვოლი და ანდერსონი იკვლევდნენ უკუგების ეფექტს შრილანკის პროექტის ფარგლებში (1993). ისინი ამტკიცებენ, რომ უკუგების ეფექტში ჩართული პროცესები არ არის პირდაპირი და აქვეყნებენ უკუგების მოდელს შემდგომი კვლევისათვის. ენის ტესტირება 13, 3 (1996) არის უკუგების ეფექტისადმი მიძღვნილი სპეციალური საკითხი. მასში მესიკი მსჯელობს უკუგების ეფექტის დამოკიდებულებას ვალიდურობისადმი. ბაილი (1996) განიხილავს ენის ტესტირებაში უკუგების ეფექტის კონცეპტს, ჰუგესის (1993), ალდერსონისა და ვოლის (1993) შემოთავაზებული მოდელის ჩათვლით თხუთმეტი ჰიპოთეზა არსებობს უკუგების ეფექტთან დაკავშირებით. შოემი და სხვები (1996) აცხადებენ, რომ ორ სხვადასხვა ტესტს აქვს უკუგების ეფექტის სხვადასხვა სახე. ვოლი ყურადღებას ამახვილებს (1996) ზოგადი განათლების განვითარებაზე და უკუგების

ეფექტისთვის ინოვაციური თეორიის მნიშვნელობაზე. ვატანაზე (1996) იკვლევს საუნივერსიტეტო მისაღებ გამოცდაზე იაპონიაში საკლასო მეთოდოლოგიაში შესაძლო ეფექტებს. ალდერსონი და ჰამპ-ლაიონსი (1996) გვამცნობენ თავიანთ დამოკიდებულებას TOEFL-ის მოსამზადებელი კურსისა და უკუგების ეფექტის შესახებ. ჰანპი და ლაიონსი (1997ა) განიხილავენ ენის მასწავლებლებისთვის შეფასების შესაძლებლობებს და მსჯელობენ იმის შესახებ, რომ შეფასების მეთოდების კრიტერიუმთაგან ერთ-ერთი არის პოტენციური უკუგების ეფექტის მატარებელი.

(2) დაიმახსოვრეთ ის, რაც ითქვა მეოთხე თავში, მნიშვნელოვანია ტესტის ქულების რეიტინგი იყოს ვალიდური (ისევე, როგორც მისი გამოვლენა)ს

7. ტესტის განვითარების საფეხურები

ეს თავი იწყება ტესტის აგების ზოგადი პროცედურების მოკლე ჩამონათვალით. ეს ხშირად ორი მაგალითითაა წარმოდგენილი: ცოდნის დონის მისაღწევი ტესტი და ადგილის განმსაზღვრელი ტესტი.

მოკლედ, მე რეკომენდაციას ვუწევ შემდეგ პროცედურებს:

1. სრულად და ზუსტად განსაზღვრეთ ტესტირების პრობლემა;
2. დაწერეთ ტესტის სრული ტექნიკური მოთხოვნები;
3. დაწერეთ და განიხილეთ ტესტის ნაწილები;
4. შეავსებინეთ და განიხილეთ ტესტი მშობლიური ენის მატარებლებთან და საჭიროების მიხედვით ამოაგდეთ ან შეცვალეთ პრობლემატური ნაწილები.
6. მიღებული შედეგები გააანალიზეთ და შეიტანეთ საჭირო ცვლილებები.
7. მოახდინეთ სკალირება.
8. განსაზღვრეთ ვალიდურობა.
9. დაწერეთ სახელმძღვანელო ტესტის მომხმარებლებისთვის, სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის, ტესტირებაში მონაწილე პირებისთვის.
10. დაატენიანეთ თანამშრომლები (ინტერვიუერები, შემფასებლები და ა. შ.)

ვიდრე ამ პროცედურებს უფრო ღრმად გავეცნობოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ ტესტის განვითარება და დამუშავება არის ჯგუფური სამუშაო. ცალკეული პირისთვის ძალიან რთულია ტესტის დამუშავება, რადგან ყოველი ეტაპი მოითხოვს ობიექტურ შეფასებას. ეს სირთულე ყველაზე მეტად იჩენს თავს ტესტის ნაწილების შექმნის ეტაპზე, რადგან ნაკლის შენიშვნა ავტორისთვის ძალიან რთულია. ტესტის ნაწილების შექმნა შემოქმედებითი პროცესია და ხანდახან ჩვენთვის ეს ხელოვნების მცირე ნიმუშის ტოლფასია ან ხანდახან შვილივით გვიყვარდება. ჩვენთვის ძნელია იმის აღიარება, რომ ჩვენი შვილი არ არის ისეთი ლამაზი, როგორიც ჩვენ გვგონია. ერთ-ერთი მახასიათებელი ტესტის ავტორისთვის არის ჯანსაღი კრიტიკის მიღების უნარი. მეორე სასურველი თვისება არა მხოლოდ ტესტის ავტორებისთვის, არამედ ზოგადად, არის ენის მშობლიურ ან მშობლიურთან მიახლოებულ დონეზე ცოდნა, საზრიანობა და წარმოსახვის უნარი (კონტექსტის მიხედვით დავალების შექმნა და შესაძლო არასწორი ინტერპრეტაციის განჭვრეტა).

1. პრობლემის განსაზღვრა

არ არის საჭირო იმის ბევრჯერ გამეორება, რომ ტესტირების პირველი ეტაპი არის იმის ზუსტად განსაზღვრა რა უნდა ვიცოდეთ და რა მიზნით უნდა ვიცოდეთ ეს. უნდა ვუპასუხოთ შემდეგ შეკითხვებს, რომელთა მნიშვნელობის შესახებაც ვრცლად ვისაუბრეთ წინა თავში:

- 1) როგორი ტესტის შექმნა გვსურს? ცოდნის დონის განმსაზღვრელი, ცოდნის დონის მისაღწევი (საბოლოო თუ პროგრესული), დიაგნოსტიკური თუ ადგილის განმსაზღვრელი?
- 2) რა არის მისი პრაქტიკული დანიშნულება?
- 3) რა უნარების გამოცდას ისახავს ტესტი?
- 4) რამდენად დეტალური უნდა იყოს შედეგები?
- 5) რამდენად ზუსტი უნდა იყოს შედეგები?
- 6) რამდენად მნიშვნელოვანია უკუგების ეფექტი?
- 7) რა შეზღუდვებია დაწესებული: ექსპერტები, საშუალებები, დრო (ტესტის შექმნისთვის, ადმინისტრირებისა და შეფასებისთვის)?

მას შემდეგ, რაც პრობლემა გარკვეულია, შეიძლება მის გადასაჭრელად შესაბამისი ნაბიჯების გადადგმაც. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სახელმძღვანელო ვრცლად გააცნობს მკითხველს გადაჭრის შესაბამის გზებს. გარდა ამისა, უნდა ვეცადოთ ტესტის შესახებ იმ ინფორმაციის შეგროვებას, რომელიც უკავშირდება მსგავსი ტიპის ტესტებს. თუ შესაძლებელია, მსგავსი ტესტების ნიმუშები უნდა მოვიძიოთ. ეს არ არის უდიდესი საცდელი. ამას აკეთებს ყველა ტესტის შექმნის პროცესში ჩართული ყველა პროფესიონალი, რომელიც პირველად ქმნის მისთვის უცხო ტესტს. ეს არ ეწინააღმდეგება ზემოთ მოყვანილ განცხადებას, რომ ტესტირების ყოველი სიტუაცია განსაკუთრებულია. ეს არ გულისხმობს იმას, რომ ტესტი პირდაპირ და შეუცვლელად უნდა გადმოვიღოთ. ტესტის დამუშავება მხოლოდ იმას ემსახურება, რომ „ბოროალი თავიდან არ იქნას აღმოჩენილი“.

2. ტესტის ტექნიკური მოთხოვნების შექმნა

ტესტის ტექნიკური მოთხოვნების ნაკრები უნდა შეიქმნას დასაწყისში (1). უნდა ჩავრთოთ შემდეგი ინფორმაცია: შიგთავსი, ტესტის სტრუქტურა, დრო, გამოსაყენებელი ტექნიკები, გარემო/არხი, ტესტის შევსების კრიტერიუმების დონე და შეფასების პროცედურები.

1) შიგთავსი

ეს უკავშირდება არა ცალკეულად შიგთავსს, ტესტის კონკრეტულ ვერსიას, არამედ მთლიანად ტესტს და მის ყოველ ვერსიას. ამ შიგთავსის ნიმუში გამოვლინდება ამ ტესტის ინდივიდუალურ ვერსიაში. რაც უფრო ვრცელია ინფორმაცია შიგთავსის შესახებ, მით უფრო ნაკლებად თვითნებური იქნება გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა უნდა

შევიტანოთ ტესტში. რა თქმა უნდა, არსებობს საფრთხე, რომ ზედმეტად დაკონკრეტების სურვილიდან გამომდინარე, ავცდეთ ენის უნარების კომპონენტებს და დაგვაფიქვდეს, თუ რა დამოკიდებულება არსებობს მათ შორის. მაგალითად, სანამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვრცელი პროზაული პასაჟის წაკითხვისას კარგად გამოვლინდება ბევრი ქვეუნარი, გაგვიჭირდება თითოეული მათგანის გააზრება, განსაზღვრა და მათი როლის შეფასება კითხვის ზოგადი უნარის განვითარების მხრივ. ჩვენ ვერ ვიქნებით დარწმუნებულები, რომ ცალკეული ნაწილების ჯამი იქნება ჩართული ერთიან უნარში, რომლის მიღწევაც ჩვენ გვსურს.

ამავე დროს, სწავლების პრაქტიკა ყოველთვის ვარაუდობს ასეთი ცოდნის არსებობას, როდესაც ერთი ქვეუნარი ისწავლება ერთდროულად. მე მგონია, რომ ყველაზე უსაფრთხო პროცედურაა ტექნიკური მოთხოვნებში მხოლოდ იმ ელემენტების ჩართვა, რომელთა წვლილიც კარგადაა ჩამოყალიბებული.

შიგთავსის აღწერილობა შეიძლება განსხვავდებოდეს მისი ბუნებისაგან. გრამატიკის ტესტის შიგთავსში, მაგალითად, შეიძლება იყოს უბრალო ჩამონათვალი ყველა ღირებული სტრუქტურებისა. ენობრივი უნარების ყველა ტესტის შიგთავსი, მეორე მხრივ, შეიძლება იყოს დაკონკრეტებული სხვადასხვა განზომილებებით. გთავაზობთ სავარაუდო ჩარჩოს. ეს სულაც არ არის დირექტიული. მკითხველმა შეიძლება სხვაგვარად აღწეროს ტესტის შიგთავსი. მნიშვნელოვანია ის, რომ შიგთავსი იყოს რაც შეიძლება მეტად დაკონკრეტებული.

ოპერაციები (დავალებები, რომლებიც კანდიდატებმა უნდა შეასრულონ). კითხვის უნარების შემმოწმებელ ტესტში შეიძლება იყოს ჩართული, მაგალითად, ტესტის ყურადღებით წაკითხვა სპეციფიკური ინფორმაციის ადგილის განსაზღვრის მიზნით, უცნობი სიტყვების მნიშვნელობის გამოცნობა კონტექსტიდან.

ტექსტის ტიპები წერის უნარების შემმოწმებელი ტესტის შემთხვევაში შეიძლება იყოს: წერილები, ფორმები, აკადემიური ესე სამი აზზაცის ოდენობით.

ტექსტის ადრესატები. ტესტის ადრესატები გულისხმობს იმ სავარაუდო ადამიანებს, რომელთათვისაც კანდიდატი ქმნის წერილობით ნაშრომს ან რომელსაც ესაუბრება (მაგალითად, მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე იმავე ასაკისა და სტატუსის ადამიანი) ან ადამიანები, რომელთათვისაც პირდაპირაა განკუთვნილი საკითხავი ან მოსასმენი მასალა (მაგალითად, უნივერსიტეტის სტუდენტი, მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე).

ტექსტის/ტექსტების სიდიდე. კითხვის უნარების გამოსავლენი ტესტისთვის ეს შეიძლება იყოს ორი აზზაცი. მოსმენის ტესტისთვის ეს შეიძლება იყოს მოყოლილი ტექსტის ზომის. წერის უნარების შემმოწმებელი ტესტისთვის - დასაწერი დავალებების ზომის.

თემები. თემების დაკონკრეტება თავისუფლად შეიძლება. თემები ისე უნდა შეირჩეს, რომ იყოს კანდიდატისთვის და ტესტის ტიპისთვის მისაღები.

სანდოობა. სანდოობა კითხვის უნარების შემმოწმებელ ტესტში შეიძლება იყოს მოყვანილი პასაჟის საშუალო სიდიდის სანდოობა.

სტრუქტურა.

ან (ა) ტესტში ჩასართავი სტრუქტურების ჩამონათვალი, ან (ბ) სტრუქტურების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა გამოირიცხოს, ან (გ) სტრუქტურების ზოგადი ჩამონათვალი (ენაში გამოვლენილი ხშირი შემთხვევები).

ლექსიკა. ეს შეიძლება იყოს თავისუფალი ან ზედმეტად დაკონკრეტებული. მაგალითები შეიძლება მოვიძიოთ კემბრიჯის ახალგაზრდა შემსწავლელთა ტექტებში, სადაც პირდაპირაა მოცემული სიტყვების ჩამონათვალი.

დიალექტი, აქცენტი, სტილი. ეს შეიძლება იყოს მიმართული ტესტის კანდიდატებისთვის აქცენტისა და დიალექტების გამოსაცნობად, რომლითაც მათ უნდა დაწერონ ან ისაუბრონ. სტილი შეიძლება იყოს ფორმალური, არაფორმალური, სასაუბრო და ა. შ.

სიჩქარე. ამაში შეიძლება იგულისხმებოდეს წუთში წასაკითხი სიტყვების რაოდენობა (და შეიძლება ვარიერებდეს წასაკითხი დავალების მიხედვით). ზეპირი ტესტის შემთხვევაში ეს ფასდება საუბრისას, ასევე წუთში წარმოთქმული სიტყვების რაოდენობის მიხედვით. მოსასმენი ტესტის შემთხვევაში ეს დამოკიდებულია მოსასმენი ტექსტის სიჩქარეზე.

2) სტრუქტურა, დრო, გარემო/არხი და ტექნიკები

შემდეგი რამ უნდა დავაკონკრეტოთ:

ტესტის სტრუქტურა: რა ნაწილებს შეიცავს ტესტი და რა გამოიცდება თითოეულ მათგანში? (მაგალითად: 3 განყოფილება - გრამატიკა, ყურადღებით წაკითხვა, სწრაფად წაკითხვა);

დავალებების რაოდენობა (მთლიანად და ყოველ ნაწილში);

პასაჟების რაოდენობა (და მათთან დაკავშირებული დავალებების რაოდენობა);

გარემო/არხები (ფურცელი და კალამი, აუდიოჩანაწერები, კომპიუტერი, უშუალო გასაუბრება, ტელეფონი და ა. შ.);

დრო (თითოეული ნაწილისათვის და მთლიანად ტესტისთვის);

ტექნიკები: რა ტექნიკები გამოიყენება უნარებისა და ქვეუნარების გასაზომად?

3) ტესტის დავალებების შესრულების კრიტერიუმები

ტესტის შესრულების მოთხოვნილი დონე (ან სხვადასხვა დონე) უნდა იყოს დაკონკრეტებული. ამაში შეიძლება იგულისხმებოდეს ერთი მარტივი რამ, კერძოდ, იმისათვის, რომ კარგი შედეგები იყოს ნაჩვენები, პასუხების ოთხმოცი პროცენტი უნდა იყოს სწორად შესრულებული. თუმცა, წერისა და ლაპარაკის შემთხვევაში, უნდა ველოდოთ კრიტერიუმების დონის კომპლექსურობას. მაგალითად, კემბრიჯის სერტიფიკატის ინგლისური ენის კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ცნობარში (CCSE) (3) დაკონკრეტებულია უნარ-ჩვევების შემდეგი დონე (რომლის მიხედვითაც ხდება სერტიფიკატის ზეპირი ინტერაქციის მეორე დონის სერტიფიკატის მინიჭება):

სიზუსტე: წარმოთქმა უნდა იყოს ნათლად გასაგები მაშინაც კი, თუ იგრძნობა პირველი ენის გავლენა. გრამატიკული და ლექსიკური სიზუსტე, როგორც წესი, მაღალია, თუმცა ზოგიერთი შეცდომა, რომლებიც არ უშლიან ხელს კომუნიკაციას, მისაღებია.

შესაბამისობა: ენის გამოყენება უნდა იყოს ზოგადად ფუნქციის შესაბამისი. მოსაუბრის განზრახვა ნათელი უნდა იყოს

დიაპაზონი: ენის სამართლიანი დიაპაზონი კანდიდატისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. მხოლოდ კომპლექსურ ფრაზებში არის საჭირო სიტყვების მოძებნა.

მოქნილობა: უნდა იყოს შესაძლებლობა საუბრის წამოწყებისათვის, უნდა არსებობდეს ასევე ახალი თემის ან თემის შეცვლის საშუალება.

ზომა: სადაც საჭიროა, უნდა იყოს არა მხოლოდ მოკლე პასუხის გაცემის შესაძლებლობა. კანდიდატს უნდა შეეძლოს მარტივი ფრაზის/ სალაპარაკო თემის განვრცობა.

4) ქულების წერის პროცედურა

ეს ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შეფასება სუბიექტურია. ტესტის შემქმნელებმა თავიდანვე ნათლად უნდა წარმოაჩინონ, თუ როგორ აპირებენ შეფასების სანდოობისა და ვალიდურობის მიღწევას. ქულების რა სიდიდე გამოიყენება? რამდენი ადამიანი შეაფასებს თითოეულ ნაშრომს? რა მოხდება, როდესაც ორი ან მეტი გამსწორებელი ვერ შეთანხმდება ქულებზე კონკრეტული ნაშრომის შემთხვევაში?

3. დავალებების შექმნა და მოდერაცია

მას შემდეგ, რაც ტესტის ტექნიკური მოთხოვნები მოცემულია, დავალებების შექმნის დაწყებაც შეიძლება.

1) ნიმუშების შექმნა

ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ყველაფერი, რაც ტექნიკური მოთხოვნებში წარმოდგენილია გრაფაში „შიგთავსი“, შეგვხვდეს ტესტის დავალებებში. უნდა გაკეთდეს არჩევანი. შინაარსობრივი ვალიდურობისა და სასარგებლო უკუგების ეფექტისთვის, მნიშვნელოვანია დავალებების მთლიანი შიგთავსიდან ამორჩევა. არ უნდა ვიყოთ კონცენტრირებული მხოლოდ მარტივ ელემენტებზე. ტესტის ყოველი შემდგომი ვერსია ასევე უნდა გამოიცადოს ფართოდ და არაპროგნოზირებადად, თუმცა, ყოველთვის უნდა ვისურვოთ, ჩავრთოთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ელემენტები.

2) დავალებების შექმნა:

დავალებების წერის დროს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ტესტის ტექნიკური მოთხოვნები. უშედეგოა „კარგი“ დავალებების შექმნა, თუ ისინი არ შეესაბამება ტესტის ტექნიკურ მოთხოვნებს. როდესაც ვქმნით დავალებებს, მნიშვნელოვანია, გადავხედოთ მათ ტესტის დამწერის თვალით და წარმოვიდგინოთ, რომ შეიძლება თუ არა მათ

არასწორად გაიგონ დავალება (ამ შემთხვევაში დავალება თავიდან უნდა დაიწეროს). მაშინაც კი, თუ არ არსებობს არასწორი გაგების შესაძლებლობა, კანდიდატმა (განსკუთრებით გონიერმა კანდიდატმა) გასცეს ისეთი განსხვავებული, მაგრამ ვალიდური პასუხი, რომელსაც ჩვენ არ დაგვისახავს მიზნად. მოსალოდნელი პასუხების გათვალისწინება შეგვახსენებს იმას, რომ დავალებების პასუხები (განაცხადი იმის შესახებ, სწორია თუ არასწორი პასუხი) არის დავალების არსებითი ნაწილი.

დავალება სათანადო პასუხის გარეშე არასრულია. წარმატებული დავალებების შექმნა (ფართო გაგებით, მაგალითად, წერითი ამოცანების ჩართვა) განსაკუთრებით რთულია. არავის აქვს პრეტენზია, რომ შექმნის სრულყოფილ დავალებას. ზოგიერთი დავალება უნდა უარვყოთ, ზოგიერთი უნდა გადავამუშავოთ. დავალებების იდენტიფიცირების, მათი მიღების ან უარყოფის, ყველაზე კარგი საშუალება მოდერაციაა.

3) დავალებების მოდერაცია.

მოდერაცია არის დავალებების კრიტიკული განხილვა (იდეალურ შემთხვევაში) სულ მცირე ორი კოლეგას მიერ, რომელთაგან არც ერთია ავტორი და გამომცემელი. მათი ამოცანაა დავალების სუსტი ადგილის პოვნა და, სადაც შესაძლებელია, გასწორება. თუ შეცდომის წარმატებით გასწორება შეუძლებელია, ასეთი დავალება უნდა უარვყოთ. რა თქმა უნდა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოდერაციის დროს დავალებათა უმეტესობაში ისინი ვერ იპოვიან ასეთ შეცდომას და მიიღებენ დავალებებს. 1 ცხრილში (გრამატიკული დავალებების მოდერაციისთვის შექმნილი) მოცემული ამ ტიპის ჩამონათვალი სია სასარგებლოა მოდერაციისთვის.

4. დავალებების არაფორმალური გამოცდა მშობლიური ენის მატარებლებთან

დავალებები, რომლებმაც გაიარეს მოდერაციის პროცესი, უნდა წარვუდგინოთ ტესტის ფორმით (ან ტესტების ფორმით) მშობლიური ენის მატარებლებს, ოცს ან, თუ შესაძლებელია, მეტ ადამიანს. აუცილებელი არაა ამის ოფიციალურად გაკეთება. ტესტი შეიძლება შეავსონ მონაწილეებმა თავიანთი დროის მიხედვით. მშობლიური ენის მატარებლები ტესტირების პოტენციური კანდიდატების მსგავსად უნდა იყვნენ შერჩეულნი: იგივე ასაკი, განათლება და ზოგადი დონე. აუცილებელი არაა, ისინი იყვნენ ენის ან ტესტირების სპეციალისტები. მართლაც, უმჯობესია, ისინი არ იყვნენ ექსპერტები, რადგან ნაკლებადაა მოსალოდნელი ისინი ისევე მოიქცნენ, როგორც ტესტირების გამოუცდელი კანდიდატები.

დავალებები, რომლებიც რთულად დასაძლევია მშობლიური ენის მატარებლებისთვის, უნდა გადამუშავდეს ან ჩანაცვლდეს. ასევე უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ მივიღებთ მოულოდნელი ან მიუღებელი პასუხები. რა თქმა უნდა, ადამიანებს, რომლებიც მშობლიურ ენაზე ავსებენ ტესტს, შეიძლება რამე გამოეპაროთ. ასეთ შემთხვევაში, ასეთი პასუხები არ უნდა გავითვალისწინოთ

5. ტესტის გამოცდა არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთა ჯგუფში, რომლებიც შერჩეულები იქნებიან ტესტირების კანდიდატების მსგავსი ნიშნებით.

ის დავალებები, რომლებიც გადაურჩა მოდერაციას და არაფორმალურ გამოცდას მშობლიური ენის მატარებლებთან, უნდა შეიკრას ტესტის სახით და ჩატარდეს ტესტირება არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთა იმ ჯგუფთან, რომლის მონაწილეებიც შერჩეულები იქნებიან ტესტირების კანდიდატების მსგავსი მონაცემების მიხედვით (3).

ცხრილი N1. გრამატიკული დავალებების მოდერაცია.

	კი	არ
1. ინგლისური ვარიანტი გრამატიკულად გამართულია?		
2. ინგლისური ვარიანტი ბუნებრივია და მისაღები?		
3. ინგლისური ვარიანტი შეესაბამება ტესტის ტექნიკურ მოთხოვნებს?		
4. ტესტის დავალება, რომელიც უნდა გამოიცადოს, საკმარისად დაკონკრეტებულია?		
5. სწორი პასუხი ვერ მიიღება გრამატიკის სათანადო ცოდნის გარეშე (შემთხვევითი სწორი პასუხების გარდა)		
6. დავალებები ეკონომიურია?		
7. ა) დახურული ტესტი - მხოლოდ ერთი სწორი პასუხია მოცემული? ბ) გამოტოვებული ადგილების შევსება - მოცემულია მხოლოდ ერთი თუ ორი სწორი პასუხი?		

უნდა აღინიშნოს ადმინისტრირებისა და ქულების დაწერისას წარმოთქმული პრობლემები. უნდა მივიღოთ ის, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო, ტესტის ამგვარი გამოცდა ხშირად მიუღებელია. გარკვეულ ვითარებაში, ასეთი ჯგუფები შეიძლება არ არსებობდეს. სხვა ვითარებაში, მართალია შეიძლება შეიკრას ასეთი ჯგუფი, მაგრამ ტესტის უსაფრთხოების საკითხი შეიძლება დადგეს. ამდენად, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ტესტის შექმნისას დაშვებული შეცდომების აღმოჩენა შესაძლებელია მხოლოდ სამიზნე ჯგუფთან ტესტირების ადმინისტრირების შემდეგ. სანამ გადაწყდება, რომ ტესტის ნაწილი ამოღებულ იქნას, მანამდე არაა პრობლემა, თუ ამ დავალებების პასუხები შემოწმდება და შესაბამისი ქულებიც დაიწერება, შემდეგ კი ჩატარდება სტატისტიკური ანალიზი ქვემოთ მოყვანილი ნიმუშის მსგავსად, დანართი N1.

6. ტესტის წინასწარი გამოცდის შედეგების ანალიზი, საჭირო ცვლილებების შეტანა

ორი ტიპის ანალიზი უნდა ჩატარდეს. პირველი - სტატისტიკური, რაც აღწერილია დანართში N1. ეს მთლიანობაში გამოავლენს ტესტისა და ცალკეული დავალებების თვისებებს (მაგალითად სანდოობას. გამოვლინდება, მაგალითად, რამდენად რთულია ეს დავალებები, რამდენად კარგად განარჩევს ისინი ძლიერ და სუსტ კანდიდატებს).

მეორე ტიპის ანალიზი არის თვისობრივი. პასუხები უნდა გამოვიკვლიოთ იმ მიზნით, რომ აღმოვაჩინოთ არასწორი ინტერპრეტაცია, გაუთვალისწინებელი, მაგრამ შესაძლებელი სწორი პასუხები, ასევე დანარჩენი ინდიკატორები, არასწორი პასუხების განმარტებელი. ანალიზის შედეგად გამოვლენილი არამართებული დავალებები უნდა გასწორდეს ან ამოვარდეს ტესტიდან. მას შემდეგ რაც დავასკვნით, რომ საჭიროზე მეტმა დავალებამ გაიარა წინასწარი გამოცდა, შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავიწყოთ დავალებების საბოლოოდ შერჩევა.

7. სკალირება

ზეპირი ან წერითი ტესტირების შედეგების მიღების შემდეგ, უნდა მოვახდინოთ სკალირება. ძირითადად, ეს ნიშნავს პასუხების ნიმუშების შეგროვებას (მაგალითად ნაწერები). ექსპერტების ჯგუფი შეისწავლის ამ ნიმუშებს და გადაწყვეტს, რომელია რელევანტური სკალირებისთვის. დანიშნული ნიმუშები ამოსავალი იქნება შემდგომი სკალირებისთვის, ისევე როგორც ტრენინგის მასალებისთვის.

8. ვალიდურობის განსაზღვრა

შესაძლებელია ტესტის საბოლოო ვერსიის ვალიდურობის განსაზღვრა. მაღალი მოთხოვნების ან გამოქვეყნებული ტესტის შემთხვევაში, ეს არსებითია. შედარებით დაბალი მოთხოვნების შემთხვევაში ტესტი შეიძლება გამოვიყენოთ ინსტიტუტის შიგნით, ამგვარი ტესტი შეიძლება რამდენჯერმე იქნეს გამოყენებული, თუმცა, არაფორმალურად, მცირე დოზით ვალიდურობის განსაზღვრა მაინც სასურველია.

9. ტესტირების კანდიდატებისთვის, ტესტების მომხმარებლებისა და ტესტირების ადმინისტრირებაში მონაწილე პერსონალისათვის შექმენით ცნობარი.

ცნობარი (აუდიტორიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა ინფორმაციას) შეიძლება შეიცავდეს შემდეგს:

- ტესტის დასაბუთება;
- ტესტის დამუშავებისა და ვალიდურობის განსაზღვრის ანგარიში;
- ტესტის აღწერილობა (მათ შორის ტექნიკური მოთხოვნების ვერსია);
- დავალებების ნიმუშები (ან ტესტის ნიმუში);
- ტესტისთვის მომზადების რჩევები;
- ქულების დეტალური დასაბუთება;

- ტრენინგის მასალები (ინტერვიუერებისთვის, შემფასებლებისთვის და ა. შ.);
- ტესტის ადმინისტრირების დეტალები.

10. პერსონალის ტრენინგი

ცნობარისა და სხვა მასალების გამოყენება და ტრენინგების ჩატარება ტესტირების ადმინისტრირების პროცესში ჩართული პერსონალისათვის მნიშვნელოვანია. ესენი შეიძლება იყვნენ გამომცდელები, შემფასებლები, ტექნიკური ოპერატორები და დამკვირვებლები.

ტესტის დამუშავების ნიმუში (1): ცოდნის მისაღწევი ტესტი
პრობლემის განსაზღვრა

საჭიროა ცოდნის მისაღწევი ტესტის ადმინისტრირება

წინასაგამოცდო კურსის (აკადემიური ტექსტების კითხვა) ტრენინგის დროს სოციალური მეცნიერებებისა და ბიზნესის სასწავლო პროგრამაში (კურსდამთავრებულები აბარებენ სწავლების შემდგომ საფეხურზე ინგლისურენოვან უნივერსიტეტებში). სასწავლო უნივერსიტეტს (ისევე როგორც სტუდენტების სპონსორები) უნდა იცოდეს, თუ რა პროგრესს მიაღწიეს სტუდენტებმა სამი თვის განმავლობაში. ამდენად, ტესტი უნდა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ზომავდეს მიღწევებს ასეთი მოკლე პერიოდში. ვიდრე ასეთი მოთხოვნა არ იქნება ცალკეული ინდივიდების მხრიდან, სასარგებლო იქნება, ამგვარი ინფორმაციის მოძიება ჯგუფისთვის, როდესაც ყველაზე რთული ნაწილი რჩება კურსის ბოლოს. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ ეს სირთულეები ახალი კურსის დაგეგმვისას. უკუგება ძალიან მნიშვნელოვანია. ტესტმა ხელი უნდა შეუწყოს კითხვის უნარ-ჩვევების გამომჟღავნებას, რომლებიც მათ გამოადგებათ უნივერსიტეტში სწავლის დროს. გვრჩება ტესტის ერთი ნაკრები და მაქსიმუმ ორი საათი მის შესავსებად. შეუძლებელი იქნება დასაწყისში სხვადასხვა საგანში სხვადასხვა ტესტების შექმნა.

ტექნიკური მოთხოვნები

შიგთავსი

ოპერაციები: ისინი ეფუძნება კურსის გამოცხადებულ მიზნებს და მოიცავს სწრაფად და ნელა, ყურადღებით კითხვას.

სწრაფად კითხვა: გადახედეთ ძირითად იდეებს, ეძებთ ძირითადი ინფორმაცია, მოძებნეთ კონკრეტული ინფორმაცია ჩამონათვალში, ინდექსები და ა. შ.

ნელა, ყურადღებით წაკითხვა: განმარტეთ რთული, დეტალურად განხილული პასაჟები.

ხაზი გაუსვით იმ უნარ-ჩვევებს, რომლებზეც გამახვილებულია განსაკუთრებული ყურადღება კურსში:

- უცნობი სიტყვების მნიშვნელობის გამოცნობა ფართო კონტექსტიდან
- იმის გამოცნობა, თუ ვის მიემართება ესა თუ ის ნაცვალსახელი ვრცელ

ტექსტში

ტექსტის ტიპები: ტექსტი უნდა იყოს ავთენტური, აკადემიური (სახელმძღვანელოებიდან ან ჟურნალის სტატიებიდან).

ადრესატები: ასპირანტები, მკვლევრები.

ტექსტების მოცულობა: სწრაფი კითხვა: დაახლოებით 3000 სიტყვა. დაკვირვებით კითხვა: დაახლოებით 800 სიტყვა.

თემები: თემების სფერო რაც შეიძლება „ბუნებრივი“ უნდა იყოს, რადგან სტუდენტები არიან სოციალური მეცნიერებებისა და ბიზნესის დისციპლინების წარმომადგენლები (ეკონომიკა, სოციოლოგია, მენეჯმენტი და ა. შ.).

სანდოობა: არ არის დაკონკრეტებული.

სტრუქტურული მრავალფეროვნება: შეუზღუდავი.

ლექსიკა: ზოგადი, აკადემიური, არატექნიკური.

დიალექტი და სტილი: სტანდარტული ამერიკული ან ბრიტანული ინგლისურის დიალექტი. ფორმალური, აკადემიური სტილი.

სწრაფი კითხვისთვის განსაზღვრული დრო: 300 სიტყვა წუთში (არ არის აუცილებელი ყველა სიტყვის წაკითხვა).

დაკვირვებით კითხვა: 100 სიტყვა წუთში.

სტრუქტურა, დრო, გარემო და ტექნიკები:

ტექსტის სტრუქტურა: ორი ნაწილი: სწრაფად კითხვა, დაკვირვებით კითხვა.

დავალებების რაოდენობა: 30 სწრაფად კითხვისთვის; 20 დაკვირვებით კითხვისთვის. სულ: 50 დავალება.

პასაჟების რაოდენობა: 3 - სწრაფად კითხვა; 2 - დაკვირვებით კითხვა.

დრო სწრაფად კითხვისთვის: 15 წუთი თითო პასაჟის წასაკითხად (თითო პასაჟი მოითხოვს 15 წუთს).

დრო დაკვირვებით კითხვისთვის: 30 წუთი თითო პასაჟის წასაკითხად (პასაჟის გააზრება შესაძლებელია მხოლოდ 45 წუთის შემდეგ, როდესაც სწრაფი წაკითხვის პროცესი დასრულდება).

სულ: 75 წუთი.

გარემო და საშუალებები: ფურცელი და კალამი. თითოეული პასაჟი მოცემულია ცალკე ფურცელზე.

ტექნიკები: მოკლე პასუხი, გამოტოვებული ადგილების შევსება ორივე ნაწილისთვის.

მაგალითები:

კონტექსტიდან მნიშვნელობის გამოცნობა:

ამისათვის, მოძებნეთ ერთი და იგივე მნიშვნელობის მქონე ცალკეული სიტყვები ტექსტში. შენიშვნა: სიტყვას ტექსტში შეიძლება ჰქონდეს შემდეგი დაბოლოებები: -ing, -s, etc.

უმაღლესი მაჩვენებელი (ხაზი 20-35).

რეფერენტების იდენტიფიკაციისთვის:

რას მიემართება ყოველი მომდევნო სიტყვა ტექსტში? გაეცით ძალიან ზუსტი პასუხი.

ფორმალური (ხაზი 43)

ტესტის შესრულების კრიტერიუმების დონე:

ტესტის დამაკმაყოფილებელი შესრულება გამოიხატება 80-პროცენტთან სიზუსტეში თითოეული ნაწილის მიხედვით.

სტუდენტების რიცხვი, რომლებიც მიაღწევნ ამ დონეს, იქნება ის რაოდენობა, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს კურსის მიზნები.

შეფასების პროცედურები:

იქნება დამოუკიდებელი ორმაგი შეფასება. გამსწორებლები წინასწარ გაივლიან ტრენინგებს და შეთანხმდებიან, რომ არ მიიღონ მხედველობაში არარელევანტური (მაგალითად გრამატიკული) არაზუსტი პასუხები.

ნიმუში:

ტექსტები შეირჩევა მრავალფეროვანი თემების მიხედვით და იმის მიხედვით, თუ რამდენად შეიძლება წერითი პასუხების გაცემა ტესტის ტექნიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე. დავალებების შავი ვარიანტები მხოლოდ მას შემდეგ შეიქმნება, რაც დავრწმუნდებით და შევთანხმდებით იმაში, რომ ტექსტი აბსოლუტურად მისაღებია.

დავალებების შექმნა და მოდერაცია

დავალებები დაეფუძნება იმ მოსაზრებას, თუ რისი გაგება და გააზრება შეუძლია არასპეციალისტს მიწოდებული ტექსტიდან. მნიშვნელოვანი დრო დაეთმობა მოდერაციასა და დავალებების გადამუშავებას.

ტესტების არაფორმალური გამოცდა

ამ პროცესში მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტის 20 მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე დოქტორანტურის სტუდენტი.

წინასწარი გამოცდა და ანალიზი

ტექსტებისა და დავალებების ორი ვარიანტის გამოცდა მნიშვნელოვანია და ეს უნდა გაკეთდეს კურსის სტუდენტებთან, უნდა ჩატარდეს სრული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა. აუცილებელია სანდოობის კოეფიციენტი 0.90 და თანხვედრის პროცენტი (იხ. მეხუთე თავი) 0.85.

ვალიდურობა

მყისიერად უნდა განისაზღვროთ შინაარსობრივი ვალიდურობა.

ვალიდურობის მიმდინარე განსაზღვრა იქნება სტუდენტების მიერ პედაგოგების შეფასების საწინააღმდეგო.

პროგნოზირებადი ვალიდურობის განსაზღვრა იქნება ხელმძღვანელების შეფასების საწინააღმდეგო. ეს უნდა მოხდეს სტუდენტის მიერ დოქტორანტურაში სწავლის დაწყებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ.

ცნობარები

ერთი ცნობარი უნდა დაიწეროს სტუდენტებისთვის, მათი მხარდამჭერებისთვის და ერთი მომავალი ხელმძღვანელებისთვის.

კიდევ ერთი ცნობარი უნდა შეიქმნას შიდა მოხმარებისთვის.

ტესტის დამუშავების მაგალითი (2): ადგილის განმსაზღვრელი ტესტი:

პრობლემის განსაზღვრა:

ინგლისური ენის სწავლების კომერციულ ორგანიზაციას (რომელსაც აქვს არაერთი სკოლა) ესაჭიროება ადგილის განმსაზღვრელი ტესტი. მისი მიზანია, განსაზღვროს სტუდენტების ადგილი სხვადასხვა კლასში ხუთი დონის მიხედვით: დაწყებითი დონე, საშუალოზე დაბალი დონე, საშუალო დონე, საშუალოზე მაღალი დონე, მაღალი დონე. კურსის მიზნები ყველა დონეზე წარმოდგენილია ზოგადი „კომუნიკაციური“ ტერმინებით, არ არის ყურადღება დათმობილი კონკრეტულ უნარ-ჩვევაზე.

ისევე როგორც ზოგადი ენობრივი უნარების შესახებ ინფორმაცია, სასარგებლო იქნება ზეპირი უნარების ზოგიერთი კრიტერიუმის ჩვენება. საკმარისი სიზუსტე არის აუცილებელი იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლის პროცესში რაღაც იცვლება. უკუგება არ არის სერიოზულად განსახილველი. ორიათასზე მეტი სტუდენტი რეგისტრირდება ამ დღეებში. ტესტი უნდა იყოს მოკლე (ისეთი მოცულობის, რომ მის შევსებას არ დასჭირდეს 45 წუთზე მეტი), უნდა შეიძლებოდეს მისი სწრაფად და ადვილად ადმინისტრირება, შეფასება და განხილვა. ქულები შეიძლება დაწერონ კანცელარიის თანამშრომლებმაც. წინა პერიოდში ორგანიზაცია გასაუბრებებსაც ატარებდა, მაგრამ მათი გაზრდილი რაოდენობის გამო ახლა ეს შეუძლებელია.

ტექნიკური მოთხოვნები

შიგთავსი

Specifications

ოპერაციები: უნარებში იგულისხმება გამოტოვებული სიტყვების გამოცნობა (ეფუძნება ცნებას „შემცირებული სიჭარბე“ (5)).

ტექსტის ტიპები: რადგან მიზნად ისახავს ლაპარაკს, მოითხოვს ორი ადამიანის ჩართულობას. ამგვარი დანიშნულების გამო, ყურადღება ირიბად მახვილდება სტუდენტების ზეპირი გადმოცემის უნარებზე.

ტექსტის მოცულობა: ერთი ჯერი (არაუმეტეს 20 სიტყვისა) - ერთი ადამიანი.

თემები: ყოველდღიური. ეს ტექსტები არის ორგანიზაციის მიერ გამოყენებული სახელმძღვანელოდან.

სტრუქტურა: ეს ტექსტები მოიპოვება სახელმძღვანელოებში (მოცემულია ტექნიკური მოთხოვნების გრაფაში, ამიტომ აქ არ მოგვყავს სივრცის ნაკლებობის გამო).

ლექსიკა: სახელმძღვანელოებში მოცემული ლექსიკა, ასევე ზოგადი ლექსიკა.
დიალექტები და სტილი: სტანდარტული ინგლისური, უმეტესად არაფორმალური სტილი, ზოგჯერ ფორმალური სტილი.

სტრუქტურა, დრო, საშუალებები და ტექნიკები

ტექსტის სტრუქტურა: არ არის გამოყოფილი ნაწილები.

დავალებების რაოდენობა: 100 (თუმცა ეს რაოდენობა შეიძლება შემცირდეს, თუ ტექსტი ასრულებს თავის ფუნქციას უფრო ნაკლები დავალებების შემთხვევაშიც).

დრო: 30 წუთი (შენიშვნა: ეს ცოტა დრო ჩანს, მაგრამ ენის კარგად მცოდნე სტუდენტებისთვის წინა პასაჟები ძალიან ადვილი იყო, ამიტომ მათ ცოტა დრო დასჭირდათ ამ დავალების შესასრულებლად. არ აქვს მნიშვნელობა გადავიდნენ თუ არა შედარებით დაბალი დონის მქონე სტუდენტები შემდეგ პასაჟზე).

საშუალებები: ფურცელი და ფანქარი.

ტექნიკები: მუდმივად შესავსები იქნება გამოტოვებული ადგილები. ერთი სიტყვა ერთ ადგილას. აბრევიატურები და შემოკლებები ითვლება ერთ სიტყვად. გამოტოვებულ ადგილები უკავშირდება როგორც ლექსიკას, ისე სტრუქტურას (ყოველთვის არ არის შესაძლებელი იმის გარჩევა, თუ რას გულისხმობს ტესტი).

მაგალითი:

A: ვისი წიგნი ----- ეს?

B: ეს ჩემია.

A: როგორ ისწავლე ფრანტული?

B: მე -----, ----- ვიყავი იქ.

ტესტის შესრულების კრიტერიუმების დონე

ამის გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ტესტის შევსების, გასაუბრების, მასწავლებლების შეფასებების მოხდება შესწავლა და შედარება.

ქულების წერის პროცედურები:

პასუხები დაიწერება პასუხების ცალკე ფურცელზე. სწორი პასუხების ფურცელი ცალკე იქნება შექმნილი, ამდენად ქულები დაიწერება სწრაფად კანცელარიის თანამშრომლების მიერ.

არაფორმალური ტესტირება

ეს პროცედურა ჩატარდება 20 პირველკურსელ მშობლიური ენის მატარებელ დოქტორანტთან.

პრეტესტირება და ანალიზი

ბევრი დავალება ჩასწორდება და შეიქმნება, ვიდრე საბოლოოდ იქნება გამოყენებული. ყოველი მათგანი (სამი სხვადასხვა ტესტის ფორმით, რომელთაც საერთო

ექნებათ ძირითადი დავალებების ტიპი) ორგანიზაციაში წინასწარ გამოიცდება ამ სტუდენტებთან ყველა დონეზე . ადმინისტრირებისა და შეფასების პრობლემები გამოვლინდება. სტატისტიკური და თვისებრივი ანალიზის შემდეგ, შედეგა ერთი ტესტი, რომელიც შეიცავს საუკეთესო დავალებებს და რომელიც ისევ გამოიცდება ამჯერად სხვა სტუდენტებთან. ყოველი სტუდენტის საერთო ქულები შეუდარდება ინსტიტუტში დაფიქსირებულ ენის ფლობის მათ დონეს, შედეგად მიიღება გადაწყვეტილება ტესტის შესრულების კრიტერიუმების დონის შესახებ.

ვალიდურობის განსაზღვრა:

ტესტის საბოლოო ვერსია შემოწმდება ტექნიკური მოთხოვნების სტრუქტურების ჩამონათვალის საპირისპიროდ. გულახდილად რომ ვილაპარაკოთ, ამ ეტაპზე შინაარსობრივი ვალიდურობა მხოლოდ აკადემიური ინტერესის საგანი იქნება. მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ასრულებს ტესტი იმ ფუნქციას, რომლისთვისაც განკუთვნილია. ამდენად, ვალიდაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმა იქნება კრიტერიუმებზე ორიენტირებული, სწორედ კრიტერიუმები განათავსებს სტუდენტებს სათანადო დონეზე/კლასში ისე, როგორც ამას გადაწყვეტენ მათი მასწავლებლები (და შესაძლოა თავად სტუდენტებიც). რაც უფრო მცირეა სტუდენტების დონის არასწორი განსაზღვრის შემთხვევები, მით უფრო ვალიდურია ტესტი.

ცნობარი

ცნობარი დაიწერება ორგანიზაციის მიერ მის სხვადასხვა სკოლაში გასავრცელებლად.

მკითხველის აქტივობები

გამოცდილების ან ინსტიტუციის საფუძველზე, ეცადეთ, შექმნათ ტექნიკური მოთხოვნები ტესტისთვის, რომელიც განკუთვნილია იმ სტუდენტების უცხო ენის ცოდნის დონის განსასაზღვრად, რომლებიც აბარებენ ენას საზღვარგარეთის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მიზნით.

შეადარეთ თქვენი სპეციფიკაციები იმ ტესტების ტექნიკურ მოთხოვნებს, რომლებიც შექმნილია ამავე მიზნით.

შემდგომში დასამუშავებელი მასალა

სასარგებლოა არსებული სპეციფიკაციების შესწავლა. სპეციფიკაციები UCLES ტესტისთვის შეიძლება მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: 1 ჰილს როუდი, კემბრიჯი, cb1 2eu და მათ ვებგვერდზე. იმისათვის, რომ გაეცნოთ იმ ტესტის სპეციფიკაციებს, რომელიც შექმნილია დიდ ბრიტანეთში დოქტორანტურაში სწავლის მსურველი სტუდენტების ინგლისური ენის დონის შესაფასებლად. ეს არის ტესტი ინგლისურ ენაში საგანმანათლებლო მიზნებით (Test of English for Educational Purposes (TEEP). ეს ინფორმაცია მოიძიება ვაირთან (1988, 1990). ALTE (Association of Language Testers in

Europe - ევროპაში ენის ტესტის ავტორების ასოციაცია) ვებგვერდი გვამცნობს ტესტის დეტალებს სხვადასხვა ევროპული ენებიდან. ევროპის საკონსულტო (2001) და ვან ეკი და ტრიმი (2001ა, 2001ბ, 2001გ) საუკეთესო წყაროებია ტექნიკური მოთხოვნების შინაარსის გასაცნობად. ინგლისური ენის წერის ტესტებისთვის, ბრიტანეთის ნაციონალური კორპუსი და COBUILD კორპუსი (ორივე წყაროს შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ინტერნეტში) გვამცნობს მილიონობით ნიმუშებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია საბაზისო დავალებების გასაცნობად. ტესტის დამუშავების სხვა მოდელებისთვის იხილეთ ალდერსონი და სხვები (1995) და ბახმანი და პალმერი (1996). ბახმანისა და პალმერის მიერ მოწოდებული მოდელი საკმაოდ დეტალურია და კომპლექსური, მაგრამ მათ წიგნი გვამცნობს ინფორმაციას ტესტის დამუშავების ათი პროექტის შესახებ. ალდერსონი და ბუკი (1993) გვაწვდის ანგარიშს ბრიტანული ტესტირების ინსტიტუტების მიერ ტესტის დამუშავების პროცედურების შესახებ. რჩევები იმის შესახებ, თუ რა უნდა განთავსდეს ცნობარში, იხილეთ AERA (1999), რომელიც განხილულია დევიდსონის მიერ (2000).

(1) ეს არ ნიშნავს იმას, რომ ტექნიკური მოთხოვნები არასოდეს არ უნდა გადამუშავდეს და შეიცვალოს. პრეტესტმა შეიძლება გამოავლინოს, მაგალითად ის, რომ ძალიან ბევრი დავალება უნდა შესრულდეს ტესტირების დროს. პირობები, რომლებშიც მოხდება ტესტის ადმინისტრირება, შეიძლება შეიცვალოს. ასევე მართალია ის, რომ სპეციფიკაციების შექმნის დროს ზოგიერთი დეტალი შეიძლება უცნობი იყოს. მაგალითად, ჩვენ შეიძლება არ ვიცოდეთ, თუ რამდენი დავალებაა საჭირო ტესტში იმისათვის, რომ ის იყოს სანდო და ვალიდური მისი მიზნებიდან გამომდინარე.

(2) წყარო Flesch Reading Ease Score and the Flesch-Kincaid Grade Level Score ხელმისაწვდომია ნებისმიერი პასაჟის გასაზომად Microsoft Word-ში. ეს საზომები ეფუძნება წინადადების საშუალო ზომას და სიტყვაში მარცვლების საშუალო ზომას. თუ ისინი არ შეიძლება იყოს ბოლომდე ვალიდური საზომები, ობიექტური მაინც არის.

(3) 1999 წელს UCLES-მა გადაწყვიტა გამიჯნოს CCSE and Oxford EFL გამოცდები. სერტიფიკატები ინგლისური ენის უნარ-ჩვევებში (CELS) ახლა უკვე ანაცვლებს მათ.

(4) თუ ერთი ჯგუფისთვის ერთ ჯერზე ზედმეტად ბევრი დავალებებია, შეიძლება შეიქმნას ტესტის ერთზე მეტი ფორმა. ყოველი ფორმა შეიცავს ორივე ნაწილისთვის დავალებების საერთო ქვეჯგუფს (ცნობილი როგორც ფიქსირებული დავალებები). ამგვარი ფიქსირებული დავალებები გამოიყენება როგორც შედარების საბაზისო ელემენტები. თუ ეს არ მოხდა, ჯგუფებს შორის შესაძლო განსხვავებები შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ერთი ჯგუფის მიერ შესრულებული დავალებების სირთულის დონეს ვერ შევადარებთ მეორე ჯგუფის მიერ შესრულებული დავალებების სირთულეს. იხილეთ დანართი 1 შედეგების სტატისტიკური დამუშავებისთვის, სადაც გამოყენებულია ფიქსირებული დავალებები.

(5) იხილეთ თავი 14 სიჭარბის შემცირების საკითხზე მსჯელობის გასაცნობად.

8. ტესტის საერთო ტექნიკები

რა არის ტესტის ტექნიკები? (1)

მარტივად რომ ვთქვათ, ტესტის ტექნიკები ნიშნავს კანდიდატების მიერ გამოვლენის ქცევას, რომელიც გვაძლევს ინფორმაციას მათი ენობრივი უნარების შესახებ. ჩვენთვის საჭირო ტექნიკების მახასიათებლებია:

- ქცევის გამოვლენა, რომელიც არის ჩვენთვის საინტერესო ენობრივი უნარის სანდო და ვალიდური ინდიკატორი;
- ქცევის გამოვლენა, რომელიც შეიძლება შეფსდეს სანდოდ;
- შეძლებისდაგვარად დროისა და საშუალებების დაზოგვა;
- აქვს სასარგებლო უკუგების ეფექტი.

მეცხრე თავიდან მეცამეტე თავის ჩათვლით, ტექნიკები განხილულია კონკრეტულ უნარებთან კავშირში. საყოველთაო უნარების გამოსაცდელი ტექნიკები დამუშავებულია მეთოთხმეტე თავში. მიმდინარე თავი წარმოგიდგენთ ზოგად ტექნიკებს, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა უნარის, მათ შორის კითხვის, მოსმენის, გრამატიკისა და ლექსიკის გამოსაცდელად. ამით ჩვენ თავს ავარიდებთ ამ უნარებზე განმეორებით მსჯელობას შემდგომ. დავიწყეთ დახურული ტესტის ტექნიკების შესწავლით და შემდეგ განვიხილავთ ტენიკებს, რომლებიც აუცილებელია კანდიდატისთვის პასუხის ასაგებად.

დახურული კითხვები

დახურული კითხვების ტიპის დავალებები ბევრი სხვადასხვა ფორმისაა, მაგრამ მათი ამოსავალი, საბაზისო სტრუქტურა შემდეგია:

მოცემულია ძირითადი წინადადება:

ენიდი აქ არის ნახევარი საათის -----.

მოცემულია ასევე ვარიანტები, რომელთაგანაც მხოლოდ ერთია სწორი, დანარჩენი შეცდომაში შემყვანი:

ა. განმავლობაში; ბ. -თვის; გ. პერიოდში; დ. -დან.

კანდიდატის ამოცანაა, გამოიცნოს სწორი ან ყველაზე მისაღები პასუხი (ამ შემთხვევაში ა.). შეიძლება ყველაზე დადებითი მხარე დახურული ტიპის კითხვების შემთხვევაში, რაც ადრე იყო განხილული წიგნში, არის შეფასების ზედმიწევნითი

სანდოობა. ქულების წერის პროცესი ასევე არის სწრაფი და ეკონომიური. შემდგომი გასათვალისწინებელი დადებითი მხარე არის ის, რომ კანდიდატმა მხოლოდ მონიშვნა უნდა გააკეთოს ფურცელზე, ამდენად შესაძლებელია ბევრი დავალების ჩართვა ტესტის ამ ტიპის ნაწილში დროის მოცემული მონაკვეთისთვის.

როგორც უკვე ვიცით მეხუთე თავიდან, მოსალოდნელია ამ ტიპის ტესტის მაღალი სანდოობის მიღწევა. დაბოლოს, ეს საშუალებას გვაძლევს გამოვცადოთ კანდიდატის ამთვისებელი უნარები ენის წერილობითი ან ზეპირი ფორმის გამოყენების გარეშე.

დახურული ტიპის ტესტის ტექნიკის უპირატესობები იმდენად დადებითად განიხილებოდა, რომ შეიძლება მოგვჩვენებოდა, ეს ტესტირების ერთადერთი საშუალებაა. არასპეციალისტები ყოველთვის სკეპტიკურად უყურებდნენ იმას, თუ რისი მიღწევა შეიძლება ამ ტიპის ტესტის მეშვეობით, მხოლოდ ბოლო პერიოდში მიექცა ამ ტექნიკას ტესტების პროფესიონალი შემქმნელების ყურადღება. დახურული ტიპის ტესტებს უკავშირდება შემდეგი სირთულეები:

ტექნიკა ამოწმებს მხოლოდ აღიარებით ცოდნას

თუ გვაქვს ზოგიერთი კანდიდატის პროდუცირებისა და რეცეფციულ უნარ-ჩვევებს შორის სუსტი კავშირი, მაშინ დახურული ტიპის ტესტების შევსებამ შეიძლება მოგვცეს მათი უნარების არაზუსტი სურათი. მაგალითად, დახურული კითხვების შემცველი გრამატიკული ტესტის ქულები შეიძლება იყოს სუსტი ინდიკატორი რომელიმე კანდიდატის გრამატიკული სტრუქტურის ფლობის შემოწმების მიზნით. ადამიანი, რომელსაც შეუძლია სწორად გასცეს პასუხები ამ ტიპის ტესტში, ვერ წარმოადგენს კარგად თავის ცოდნას წერის ან ლაპარაკის დროს. ეს არის ერთგვარად კონსტრუქტული ვალიდურობის საკითხი. წარმოჩნდება თუ არა გრამატიკული ცოდნა დახურული ტიპის კითხვების შემცველ ტესტში, ტესტი მაინც ამოწმებს გრამატიკას. რომც არ იყოს ასე, მაინც არსებობს დაშორება ცოდნასა და მის გამოყენებას შორის. თუ ჩვენ გვაინტერესებს ცოდნის გამოყენება, ეს დაშორება ნიშნავს იმას, რომ დაწერილი ქულები მოგვცემენ არასრულ ინფორმაციას.

გამოცნობის ტექნიკამ ტესტის ქულებზე შეიძლება იქონიოს მნიშვნელოვანი, მაგრამ უცნობი ეფექტი

სამი პასუხის შემცველ დახურულ ტესტში სწორი პასუხის გამოცნობის ალბათობა არის სამიდან ერთი, ან უხეშად რომ ვთქვათ, ოცდაცამეტი პროცენტი. საშუალოდ უნდა ველოდოთ იმას, რომ იმან, ვინც 100 ქულიდან მიიღო 33 ქულა, ეს მოახერხა მხოლოდ გამოცნობის ხარჯზე. ასევე, ვინც უფრო ნაკლები ქულა მიიღო, გამოიცნო სწორი პასუხები. პრობლემა ის არის, რომ ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, რომელი ნაწილი უბრალოდ გამოიცნო კანდიდატმა. არის ხოლმე მცდელობა, რომ არასწორი პასუხები ასევე გამოცნობის ტექნიკას მიაწერონ და დაასკვნან, რომ მას უბრალოდ გაუმართლა. ამდენად ქულები დაიწევს იმის მიხედვით, თუ რამდენი ქულა ივარაუდება შემთხვევით სწორად გაცემულად.

თუმცა, დასკვნა არ არის აუცილებელი იყოს სწორი, არც იმის გაგება შეგვიძლია, რამდენად შეესაბამება შევსებული ტესტი და მიღებული ქულები იმ მონაცემებს, რომელსაც კანდიდატი გვიჩვენებდა შემთხვევით გამოცნობის ტექნიკის გარეშე. თუ ტესტირების სხვა მეთოდებიც შეიცავს გამოცნობას, როგორც წესი, ჩვენ ველოდებით ნაკლებ ეფექტს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც კანდიდატებს აქვთ მოცემული პასუხების შეზღუდული რაოდენობა (იმ ინფორმაციით, რომ ერთ-ერთი მათგანი სწორია). თუ გამოვიყენებთ დახურულ ტესტს, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისთვის, რომ კანდიდატებს მივცეთ სულ მცირე ოთხი არჩევანის საშუალება (რათა შევამციროთ გამოცნობის ეფექტი). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა სავარაუდო პასუხიდან ამორჩეული არასწორი პასუხი არჩეულ უნდა იქნეს ტესტირების კანდიდატების დიდი რაოდენობის მიერ, რომლებსაც არ აქვთ ტესტირების ცოდნა და უნარები. თუ იქნება ოთხი სავარაუდო პასუხი, მაგრამ მხოლოდ ძალიან ცოტა კანდიდატი გასცემს სავარაუდო პასუხიდან ამორჩეული არასწორ პასუხს, მაშინ მხოლოდ სამი პასუხის მქონე დავალებაა ეფექტური.

ტექნიკა მკაცრად ზღუდავს იმას, რის გამოცდასაც ვაპირებთ

ძირითადი პრობლემა აქ არის ის, რომ დახურული ტესტური დავალებები მოითხოვს სავარაუდო პასუხებიდან ამოსარჩევ არასწორ პასუხებს, ამის მოძიება და ჩართვა კი ყოველთვის არაა შესაძლებელი. გრამატიკულ ტესტში, შეიძლება ვერ ჩავსვათ სამი ან ოთხი სავარაუდო პასუხი, რომლებიც იქნება სწორი პასუხის ალტერნატიული ვარიანტები. შედეგად, მნიშვნელოვანი გრამატიკული სტრუქტურები საერთოდ ვერ მოვაქციოთ ტესტში. მაგალითისთვის მოვიყვანთ ინგლისურ ენაში წარსული დროისა და აწმყო პერფექტული ფორმებს შორის განსხვავებას. უნარების ფლობის გარკვეულ დონეზე, შემსწავლელებისთვის მოცემულ კონტექსტში ფაქტობრივად არ არსებობს ალტერნატივა და ე. წ. სავარაუდო არასწორი ვარიანტები.

ძალიან რთულია წარმატებული დავალებების შექმნა

დახურულ ტესტთან დაკავშირებულია კიდევ ერთი პრობლემა, მაშინაც კი, როდესაც დავალებების შექმნა შესაძლებელია, კარგი დავალებების შედგენა ძალიან რთული ამოცანაა.

ტესტის პროფესიონალები მიიჩნევენ, რომ უნდა შექმნან იმაზე მეტი დახურული შეკითხვა, ვიდრე ეს მათ სჭირდებათ. მხოლოდ დავალებების წინასწარი გამოცდისა და სტატისტიკური ანალიზის შემდეგ შეიძლება იმის გამოთვლა, თუ რომელი დავალებაა გამოსაყენებელი. ჩემი გამოცდილებით, დახურული ტესტები, რომლებიც იქმნება შიდა საინსტიტუციო მოხმარებისთვის, ხშირად ბევრი შეცდომითაა გაჯერებული. მათ შორის ყველაზე ხშირია: ერთზე მეტი სწორი პასუხი, ყველა არასწორი პასუხი, სწორი პასუხი მინიშნებულია (მაგალითად, სწორი პასუხი იყოს დანარჩენ პასუხებზე გრძელი); არაეფექტური არასწორი ვარიანტები. დიდი შრომა და გამოცდილებაა საჭირო კარგი დახურული ტესტის მოსამზადებლად, მაშინაც კი, თუ ვიღაც არ მიაქცევს ტექნიკასთან დაკავშირებულ პრობლემებს ყურადღებას, ის მაინც ვერ გაუწევს ასეთ ტესტს

რეკომენდაციას გამოიყენონ ერთ ინსტიტუციაში როგორც ჩვეულებრივი ცოდნის მიღწევის შემმოწმებელი ტესტი (როდესაც ერთი და იგივე ტესტი არ გამოიყენება განმეორებით). ტესტირების დროის დაზოგვასა და შეფასებას გადასწონის წარმატებული ტესტის მომზადებაში დახარჯული დრო. დავალებების ბანკის განვითარება და გამოყენება, საიდანაც შემდგომ აირჩევა ტესტის კონკრეტული ვერსია, უფრო საყურადღებოს ხდის პროცესს, მაგრამ მაინც დიდი მოთხოვნა რჩება დროსა და ექსპერტების მიერ შეფასებაზე.

უკუგება შეიძლება იყოს საზიანო

ნაკლებადაა საჭირო იმის აღნიშვნა, რომ თუ სტუდენტებისთვის საჭირო ტესტი დახურული ტიპისაა, არსებობს იმის საშიშროება, რომ ტესტისთვის მომზადებას შეიძლება ჰქონდეს საზიანო ეფექტი სწავლებასა და სწავლაზე. დახურული ტიპის დავალებებში ვარჯიში (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დიდი ყურადღება ექცევა გამოცნობას, ვიდრე ტესტის შინაარსს) ხშირად არ არის სტუდენტების ცოდნის დონის ამაღლების საუკეთესო გზა.

ტყუილი შეიძლება იყოს შემსუბუქებული

ის, რომ დახურული ტესტის პასუხები (a, b, c, d) ასეთი მარტივია, საშუალებას აძლევს კანდიდატებს ერთმანეთში აწარმოონ არავერბალური კომუნიკაცია. ამისგან თავის დაცვა შეიძლება ტესტის სულ მცირე ორი ვერსიის უზრუნველყოფით, რომელთა შორისაც ერთადერთი განსხვავება იქნება პასუხების შეცვლილი თანმიმდევრობა.

ზოგადად, დახურული შეკითხვების შემცველი ტესტი საუკეთესო შესაძლებლობაა კანდიდატების დიდი რაოდენობის ტესტირების შედარებით იშვიათი პროცესისთვის.

რა თქმა უნდა, არ ვამბობთ იმას, რომ დახურული ტესტში დახურული ტიპის დავალებები არ უნდა იყოს რეგულარულად გამოყენებული დაწესებულებებში. კითხვის უნარების გამოსავლენ ტესტში, მაგალითად, შეიძლება იყოს გარკვეული დავალებები, რომლებიც ძალიან კარგად მოერგება დახურული ტიპის შეკითხვებს, როდესაც არასწორი ვარიანტები ტექსტშივეა მოცემული. ესენია რეალური ცხოვრებისეული ამოცანები (ვთქვათ, მაღაზიის გამყიდველმა უნდა გამოიცნოს, რომელ კაბას აღწერს მყიდველი), რომლებიც არის არსებითად დახურული ტიპის. ტესტში ამგვარი სიტუაციის სიმულაცია კარგად გამოდგება. მკითხველმა ერთადერთი თავი უნდა აარიდოს, ამ ტექნიკის შედმევ, გაუაზრებელ და საზიანო გამოყენებას.

კი/არა და სწორია/არასწორია ტიპის დავალებები

დავალებები, რომლებშიც კანდიდატებმა უნდა გააკეთონ არჩევანი კი-სა და არა-ს შორის, ან სწორია-სა და არასწორია-ს შორის, არის ეფექტური დახურული ტიპის ტესტი მხოლოდ ორი სავარაუდო პასუხით. ასეთი დავალების თვალსაჩინო სუსტი მხარე არის ის, რომ კანდიდატს აქვს 50%-იანი შესაძლებლობა იმისა, რომ შემთხვევით აირჩევს სწორ პასუხს. ჩემი თვალთახედვით, ამ ტიპის დავალებების ადგილი არაა ფორმალურ ტესტში,

თუმცა, მათ შეიძლება გამოიყენონ ისეთი შეფასების დროს, სადაც შედეგების სიზუსტე არ არის გადამწყვეტი. სწორია/არასწორია ტიპის დავალებები ხანდახან იცვლება ტესტირების კანდიდატების მოთხოვნებიდან გამომდინარე. თუმცა, დამატებითი მოთხოვნების გათვალისწინება პრობლემატური საკითხია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ემატება ის წერითი აქტივობები, რომელთა შესრულებაც პოტენციურად რთულია და რომელთა შემოწმებასაც არ გულისხმობს ტესტი (ვალიდურობის პრობლემა) და მეორეც, ხშირად ასეთი პასუხები ძნელი შესაფასებელია (სანდოობისა და ვალიდურობის პრობლემა).

დავალებები მოკლე პასუხებით:

დავალებები, რომლებზეც ტესტირების კანდიდატმა უნდა გასცეს მოკლე პასუხები, ძალიან გავრცელებულია, განსაკუთრებით მოსმენისა და კითხვის უნარების შემოწმებულ ტესტში.

მაგალითები:

- 1) რას მიემართება ბოლო წინადადებაში მოცემული ნაცვალსახელი *ის*?
- 2) რამდენი წლის იყო ჰანიბალი, როდესაც დაიწყო ადამიანების ჭამა?
- 3) რატომ მოსწონდა ჰანიბალს ასე ძალიან ადამიანის ტვინის ჭამა?

დახურული ტიპის ტესტის უპირატესობებია:

- შემთხვევით გამოცნობილი პასუხები ნაკლებად აისახება (ან უნდა აისახოს) ქულებზე;
- ტექნიკა არ შემოიფარგლება სავარაუდო არასწორი პასუხების აუცილებლობით (თუმცა პოტენციურად შეიძლება შეიცავდნენ ალტერნატიულ პასუხებს);
- ტყუილი და გამოსავლის მოძებნა უფრო რთულია;
- თუმცა, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს დავალებებს, დავალებები ადვილად შესასრულებელი უნდა იყოს.

სუსტი მხარეებია:

- პასუხების დაწერას შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს, რაც ამცირებს გაცემული პასუხების რაოდენობას;
- პასუხის გაცემის დროს კანდიდატმა უნდა გამოიყენოს ენობრივი უნარები, შექმნას თავისი პასუხი;
- შეფასება შეიძლება იყოს არასანდო და არავალიდურობა, თუ დასაბუთებაა მოთხოვნილი;
- ქულების დაწერის პროცესი შეიძლება გაგრძელდეს.

ამ ჩამონათვალიდან პირველი ორი შეიძლება არ იყოს არსებითი, თუ მოთხოვნილი პასუხი ნამდვილად ძალიან მოკლეა (ან კანდიდატებმა არ უნდა აწონ-დაწონონ ოთხივე პასუხი, რომელთაგანაც სამი პოტენციურად არასწორი ვარიანტია). დანარჩენი ორი

დაიძლევა ინდივიდუალური მოთხოვნილი პასუხის ჩამოყალიბებით (ე. ი. არსებობს მხოლოდ ერთი შესაძლო პასუხი), რომლის მოძებნაც შეიძლება ტექსტში (ან არ მოითხოვს ენობრივად გამართულ და დახვეწილ პასუხს. რომ გადავხედოთ ზემოთ მოყვანილ მაგალითებს, ტექსტში ჩახედვის გარეშეც ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ სწორი პასუხი პირველ დავალებაზე შეიძლება იყოს ერთადერთი და მოცემული იყოს ტექსტში.

იგივე შეიძლება ითქვას მეორე დავალების შემთხვევაშიც. თუმცა, მესამე დავალებამ შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები (რომელიც შეიძლება გადაიჭრას ქვემოთ მოცემული გამოტოვებული ადგილების შევსებით).

მე მჯერა, რომ შეკითხვები მოკლე პასუხებით დიდ როლს თამაშობს ენის სერიოზული ტესტირების პროცესში. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ტესტირება უნდა ჩატარდეს დიდი მასშტაბით, უნდა ვიფიქროთ მოკლეპასუხებიანი ტესტი ერთ-ერთი შესაძლო ტექნიკაა, რადგან ქულების წერას შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს. ტესტირებისას კომპიუტერის უფრო და უფრო ხშირად გამოყენების პირობებში (მაგალითად, TOEFL ტესტი), როდესაც წერილობითი პასუხები შეიძლება გასწორდეს სწრაფად და სანდოდ, არ არსებობს იმის მიზეზი, რომ მოკლე პასუხები არ ჩავსვათ ტესტირების ძალიან ვრცელ პროგრამებში.

გამოტოვებული ადგილების შესავსები დავალებები

დავალებები, რომლებშიც ტესტირების კანდიდატებმა უნდა შეავსონ გამოტოვებული ადგილები ცალკეული სიტყვებით, ასევე საკმაოდ გავრცელებულია.

მაგალითად:

ჰანიბალს განსაკუთრებით მოსწონდა ტვინის ჭამა მისი ----- და მისი -----.

ამ მაგალითიდან ჩანს, რომ გამოტოვებული სიტყვები (ვთქვათ, ეს სიტყვებია ფაქტურა და გემო) შეიძლება მოვიძიოთ ტექსტში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მესამე სავარაუდო და არასწორი პასუხის მოფიქრება პრობლემური საკითხია. გამოტოვებული ადგილების შევსება წაკითხვისა და მოსმენის ტესტებში კარგად მუშაობს, თუ გამოტოვებული ადგილები მოცემულია ტექსტში ან მათი გამოყვანა ადვილია, თუ ეს არის ხშირად გამოყენებული სიტყვები, რომლებიც არ შექმნიან სწორად დაწერის პრობლემას. გამოტოვებული ადგილების შევსება კარგი დავალებებია გრამატიკისა და ლექსიკის შემმოწმებელი ნაწილებისთვის.

მაგალითები:

მან მთხოვა ფული, -----იცის, რომ მე მასზე ბევრად ნაკლები შემოსავალი მაქვს.

ჩვენმა ვაჟიშვილმა კიდევ ერთი გამოცდა ვერ ჩააბარა. მას ნამდვილად სჭირდება -----
---.

მაგრამ ეს არ მუშაობს კარგად, როდესაც გრამატიკული ელემენტები არის წყვეტილი და არ საჭიროებს ერთზე მეტ გამოტოვებულ ადგილს. ამის მაგალითი შეიძლება იყოს შემდეგი, როდესაც ჩვენ გვსურს შევამოწმოთ, რამდენად შესაბამისად იყენებს ტესტირების კანდიდატი წარსულ განგრძობით დროს. არც ერთი მომდევნო მაგალითი არ არის დამაკმაყოფილებელი:

- 1) სანამ ისინი ----- ტელევიზორს, ტელევიზორში -----, რომ გარეთ რაღაცამ უეცრად დაიგრუხუნა.
- 2) სანამ ისინი ----- ტელევიზორს, გარეთ უცებ რაღაცამ დაიგრუხუნა.

პირველ ორ შემთხვევაში, გამორიცხულია ტესტირების კანდიდატმა გამოიყენოს ალტერნატიული სტრუქტურები (მაგალითად მარტივი წარსული დრო). იგივე ითქმის მესამე შემთხვევაშიც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანდიდატი გამოიყენებს ზმნიზებას და ჩაწერს, მაგალითსაც ჩუმად უყურებდნენ, რაც მოულოდნელი პასუხი იქნება. სამივე შემთხვევაში მოცემულია ძლიერი გასაღები, რომელსაც საჭიროებს შესაბამისი გრამატიკული სტრუქტურა.

გამოტოვებული ადგილების შევსების ტიპის დავალებას ყოველთვის არ აქვს კარგი შედეგი მაგალითად გრამატიკისა და ლექსიკური დავალებებისთვის, სადაც მცირე ან ქვე განსხვავებები მნიშვნელობის მხრივ შეიძლება შეგვხვდეს, როგორც ამას წარმოგვიდგენს ქვემოთ მოყვანილი დავალება:

- 1) A: ის რას გააკეთებს?

B: მე ვფიქრობ, მან ----- თქვას უარი.

მოდალური ზმნების მრავალფეროვნება (უნდა, შეიძლება, შეეძლო და ა. შ.) შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი გამოტოვებული ადგილის შევსებისთვის.

კონტექსტის მოწოდებამ შეიძლება გაგვიწიოს დახმარება:

- 2) A: ნეტა ვინ იყო?

B: ეს ----- იყოს ექიმი.

ამ დავალებას იგივე პრობლემა აქვს, რაც ზემოთ განხილულ შემთხვევას. მაგრამ ემატება შემდეგიც:

A: რატომ ხარ ასეთი დარწმუნებული?

ეს კი ნიშნავს იმას, რომ გამოტოვებულ ადგილას აუცილებლად უნდა ჩაიწეროს მოდალური ფორმა (უნდა). მაგრამ დამატებითი კონტექსტის შემთხვევაშიც კი, შეიძლება აღმოჩნდეს სხვა ვარიანტიც (შეიძლება). როდესაც ვიყენებთ გამოტოვებული ადგილის შევსების ტექნიკას, აუცილებელია, ტესტირების კანდიდატებს მკაფიოდ და ცალსახად ავუხსნათ, რომ ერთ ადგილას მხოლოდ ერთი სიტყვა/ფორმა უნდა ჩაწერონ. მათ ასევე უნდა ვუთხრათ, რომ შემოკლებები (I'm, isn't, it's და ა.შ.) ითვლება ერთ სიტყვად (ჩემი გამოცდილებით, მე ვურჩევდი ყველას ამ შემოკლებების ერთ სიტყვად ჩათვლას, რადგან ეს გაცილებით აადვილებს ტესტის აგებას). გამოტოვებული ადგილების შევსება

ღირებული ტექნიკაა. მას აქვს მოკლე პასუხების გაცემის ტექნიკის უპირატესობები, მაგრამ გამოცდის დროს რაც უფრო დიდ კონტროლს აწესებს ტესტირების კანდიდატებზე, მით უფრო ნაკლებად ვიგებთ მნიშვნელოვან პროდუქციების უნარ-ჩვევებს.

არ არსებობს მიზეზი იმისათვის, რომ ვიფიქროთ გამოტოვებული ადგილების შევსება არ შეიძლება იყოს მაღალი სანდოობის მქონე, რადგან ის იქმნება ძალიან ყურადღებით, შესაბამისი სწორი პასუხების შემუშავებით, რომელთა მიხედვითაც გამსწორებლები სავსებით სანდონი შეიძლება იყვნენ (და არ იყოს საჭირო მათი საკუთარი დასაბუთების წარმოჩენა).

ამ თავში წარმოვადგინეთ ტესტირების გარკვეული ზოგადი ტექნიკების მხოლოდ შესავალი. ტესტირების ტექნიკები უფრო დეტალურად არის განხილული შემდეგ თავებში, სხვა ტექნიკებთან ერთად, რომლებიც რელევანტურია ტესტირების კონკრეტული უნარებისათვის.

მკითხველის აქტივობები:

1. შეისწავლეთ შემდეგი სამი დავალება. თუ დავალება პრობლემურია, რაში მდგომარეობს ეს პრობლემა? შეგიძლიათ პრობლემის მოგვარება დავალების ტექნიკის შეცვლის გარეშე?
 - 1) როდესაც მან ითხოვა გაგრძელება, ისინი დასთანხმდნენ ----- მისცენ კიდევ ერთი თვე ანგარიშის დასამთავრებლად.
ა) მას; ბ) ის; გ) მან
პასუხი: ა)
 - 2) A: რატომ აკეთებ ამას შენ თვითონ?
B: როდესაც მე ვთოვე ბილს, მან მიპასუხა რომ მას ----- ამის გაკეთება.
პასუხი: შეეძლო
 - 3) A: ძალიან ადვილია ახალგაზრდებისთვის ფულის შოვნა ჩვენს დროში.
B: მე ----- დაგეთანხმები მეტს.
პასუხი: ვერ
2. გადაამუშავეთ თითოეული დავალება სხვა ტექნიკის გამოყენებით. რას სწავლობთ ამ აქტივობით?
3. თქვენთვის ხელმისაწვდომ ტესტებში ჩახედეთ ათ დავალებას. თუ რომელიმე მათგანი პრობლემურია, შეგიძლიათ მათი ხარვეზების გამოსწორება იმავე ტექნიკის გამოყენებით? დააკვირდით, ათიდან რამდენი დავალების წარმატებით დამუშავება შესაძლებელი სხვა ტექნიკის გამოყენებით?

შემდგომში დასამუშავებელი მასალა:

ჰიტონი (1975) მსჯელობს დავალებების სხვადასხვა ტიპზე და გვამღევს ბევრ მაგალითას გასაანალიზებლად.

(1) ტესტირების ტექნიკები ხშირად მიემართება „ფორმატს“. მე ვამჯობინებ სიტყვას „ტექნიკა“, ხოლო ფორმას „ფორმატი“ ვიტოვებ ტესტის უფრო ზოგადი ასპექტების აღსაწერად.

9. წერიტი ტესტირება

წინამდებარე თავში დავუშვებთ ვარაუდს, რომ ადამიანების წერიტი უნარების გამოცდის საუკეთესო გზაა, მივცეთ მათ წერის საშუალება (1). ეს არ არის უმიზეზო ვარაუდი. ტესტირების პროფესიული ინსტიტუტებიც კი უძღურები არიან შექმნან ირიბი ტესტები, რომლებიც ზუსტად გაზომავს წერის უნარებს (იხ. შემდგომი დასამუშავებელი მასალა, გოდშელკი და სხვები). და თუ რეალურად არის შესაძლებელი დამაკმაყოფილებელი სიზუსტის მიღწევა, უკუგების ეფექტისა და კონსტრუქციის სიმარტივის საკითხი კვლავ მოითხოვს პირდაპირ ტესტირებას სწავლების ინსტრუქციების მიხედვით.

როდესაც ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომ გამოვიყენოთ წერიტი უნარების შემმოწმებელი პირდაპირი ტესტირება, ჩვენ ვააშკარავებთ წერიტი უნარების ტესტირების პრობლემას ზოგადი ფორმით. გამოვყოფთ სამ ნაწილს:

1. უნდა დავაჯგუფოთ ის წერიტი დავალებები. ეს დავალებები ასახავს იმ ამოცანებს, რომლებსაც, ჩვენი ვარაუდით, სტუდენტები შეასრულებენ.
2. დავალებებმა უნდა გამოავლინოს წერიტი აქტივობების ვალიდური ნიმუშები (რომლებიც ნამდვილად წარმოაჩენენ სტუდენტების უნარებს).
3. არსებითია ის, რომ ნიმუშები შეიძლება და უნდა შეფასდეს ვალიდურად და სანდოდ.

ჩვენ სათითაოდ განვიხილავთ თითოეულ მათგანს, წარმოვადგენთ რჩევებსა და მაგალითებს.

წარმომადგენლობითი დავალებები

1) ყველა შესაძლო შიგთავსის დაკონკრეტება

იმისათვის, რომ განვსაჯოთ, წარმოადგენს თუ არა დავალებები იმ ამოცანებს, რომელთა შესრულებასაც ველოდებით სტუდენტებისაგან, ჩვენ ნათლად უნდა განვსაზღვროთ, რას წარმოადგენს ეს დავალებები და რა უნარები უნდა წარმოაჩინოს. ეს შეიძლება განისაზღვროს ტესტის სპეციფიკაციებში/ტექნიკურ მოთხოვნებში. შემდეგი

ელემენტები, განხილული მეშვიდე თავში, აქაც ღირებულია: ოპერაციები, ტექსტის ტიპები, ადრესატები, ტექსტის მოცულობა, თემები, დიალექტები და სტილი.

მოდით ჩავიხედოთ ინგლისური ენის კომუნიკაციური უნარ-ჩვევების კემბრიჯის სერტიფიკატის (CCSE) ცნობარში. წერაში მისაღები სერტიფიკატის აღწერა (პირველი დონე) შეიძლება არ მოიცავდეს ასეთი ტესტის სპეციფიკაციების სრულ აღწერილობას, მაგრამ ეს გვიჩვენებს, თუ როგორი შეიძლება იყოს წერითი უნარების შემმოწმებელი ტესტის ტექნიკური აღწერილობა.

ოპერაციები (2)

ექსპრესიული სამეტყველო აქტების ამსახველი ფრაზები: მადლობა, მოთხოვნა, აზრის გამოთქმა, შეფასება, კომენტარი, დამოკიდებულება, დამოწმება, ბოდიში, თხოვნა/საჭიროება, ინფორმირება, ჩივილი, მიზეზების ჩვენება, გამართლება.

პირდაპირი სამეტყველო აქტების ამსახველი ფრაზები: ბრძანება, ინსტრუქციების გაცემა, დარწმუნება, რჩევა, გაფრთხილება

აღწერისას საჭირო ფრაზები: მოქმედებები, მოვლენები, საგნები, ხალხი, პროცესები

გამოვლენა: ინფორმაცია, მიმართულებები, სერვისი, გარკვევა, დახმარება, ნებართვა.

ნარატივი: მოვლენათა თანმიმდევრობა

ანგარიში: აღწერა, კომენტარი, გადაწყვეტილება.

ტექსტის ტიპები:

ფორმა, წერილი (პირადი, საქმიანი), მესიჯი, ფაქსი, ნოტა, შენიშვნა, მისალოცი ბარათი, რეცეპტი, ანგარიში, ინსტრუქციები

ტექსტის ადრესატები:

გაურკვეველი, „ყოველი წერითი დავალების სამიზნე აუდიტორია ტესტირების კანდიდატისთვის ცნობილია“

თემები:

არ არის დაკონკრეტებული, თუმცა, ზოგიერთ ტესტში მოცემული დავალებები უკავშირდება ერთ საერთო თემატიკას.

დიალექტი და ტექსტის მოცულობა ასევე არ არის განსაზღვრული. შეიძლება სამართლიანი იყოს იმის თქმა, რომ CCSE სერტიფიკატის სპეციფიკაციებში (და შესაბამისად ეს აისახება ცნობარშიც) ჩამოთვლილია წერით დავალებების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელთა შესრულებაც შეიძლება მოეთხოვოთ სტუდენტებს ზოგადად ენის კურსების ფარგლებში.

ისინი უნდა იყოს სასარგებლო ამ წიგნის მკითხველისთვის, რომლებიც პასუხისმგებლები არიან შექმნან წერითი აქტივობის ტესტების საკუთარი ნიმუშები თავიანთი კურსის ფარგლებში. ყოველი სათაურის ქვეშ, ინსტიტუციური ტესტების

ავტორებმა შეიძლება წარმოადგინონ ელემენტები, რომლებსაც იყენებენ თავიანთ სიტუაციაში. შეიძლება იყოს შემთხვევები, სადაც უფრო მეტი დეტალის ჩვენებაა საჭირო, ზოგიერთ შემთხვევაში დამატებითი ელემენტის საჭიროება დგას. ნამდვილად არ არის იმის მიზეზი, რომ მათ თავი შეზღუდულად იგრძნონ კონკრეტულ ჩარჩოებში ან შინაარსის მიხედვით. მთლიანობაში ამ სპეციფიკაციებმა უნდა მოგვაწოდონ კარგი დასაწყისი ტესტირების ბევრი სხვა მიზნისთვის. იმავე მიზეზით, სპეციფიკაციების შემდგომი მაგალითები წარმოდგენილია შემდეგ თავებში.

მეორე მაგალითი, ამჯერად უფრო შეზღუდული, განიხილავს აკადემიური ინგლისურის ტესტის წერით კომპონენტებს. ამ პროცესში მეც ვარ ჩართული. ტესტის მიზანი იყო იმის გამოვლენა, თუ რამდენად ადეკვატური იყო სტუდენტის წერითი ინგლისური კონკრეტულ უცხოურ უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. საჭიროებების ანალიზმა გამოავლინა, რომ წერითი ინგლისურის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოყენების ფორმა იყო ლექციებზე ჩანიშვნების გაკეთება და ორაზრობიანი საგამოცდო პასუხების დაწერა. პირველი ამ ამოცანათაგანი ჩავრთეთ ტესტის მოსმენით კომპონენტში. უნივერსიტეტში საგამოცდო კითხვების ანალიზმა გამოავლინა, რომ სტუდენტებს სთხოვდნენ აღწერას, განმარტებას, შედარებასა და დაპირისპირებას, პოზიციის დაცვასა და საპირისპირო მსჯელობას. იმის გამო, რომ იმ უნივერსიტეტში საბაკალავრო კურსი ძალიან ზოგადია (ყველა სტუდენტი სწავლობს ხელოვნებას, ტექნიკურ და სოციალურ მეცნიერებათა საგნებს), თითქმის ყველა აზრიანი აკადემიური თემა მისაღები იყო. ადრესატები იყვნენ უნივერსიტეტის ლექტორები, ინგლისურის, როგორც მშობლიური, ისე უცხო ენის მატარებლები. შემოთავაზებული ჩარჩოს გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია აღწეროთ რელევანტური ამოცანები ძალიან მოკლედ:

ოპერაციები

აღწერა, ახსნა, შედარება და დაპირისპირება, პოზიციის დაცვა და კონტრარგუმენტის გამოყენება.

ტექსტის ტიპები

ორაზრობიანი საგამოცდო პასუხები.

ტექსტის ადრესატები

უნივერსიტეტის მშობლიური და უცხოური ენის მატარებელი ლექტორები.

თემები

აკადემიური გარემოსთვის მისაღები თემები. არასპეციალისტებისთვის. ტესტირების კანდიდატებისთვის რელევანტური.

დიალექტი და სტილი

ინგლისური ენის ნებისმიერი სტანდარტული სახესხვაობა (მაგალითად ამერიკული, ბრიტანული) ან მათი ნაზავი.

ფორმალური სტილი

ტექსტის მოცემულობა

დაახლოებით ერთი გვერდი

2) კონკრეტულ შიგთავსში წარმომადგენლობითი ნიმუშის ჩართვა

შინაარსობრივი ვალიდურობის თვალსაზრისით, იდეალური ტესტი იქნებოდა ის, რომელიც მოსთხოვდა კანდიდატებს წერის ყველა პოტენციური დავალების შესრულებას. ამ ტესტში მიღებული საბოლოო ქულა (ყოველი დავალების ქულათა ჯამი) იქნებოდა კანდიდატის წერითი უნარების საუკეთესო შემფასებელი. თუ ამის გაკეთება ოდესმე შეიძლება, რა თქმა უნდა, არ უნდა ველოდოთ, რომ ყველა კანდიდატს ერთნაირი ქულები ექნება, მაშინაც კი, თუ საუკეთესოდ შეფასდებოდა თითოეული მათგანის ნაწერი ერთი და იგივე კრიტერიუმების მიხედვით. ამდენად, თუ ჩვენ არ შეგვიძლია ტესტში ყველა ამოცანის ჩართვა (და რა თქმა უნდა ეს ნორმალურია) და ვირჩევთ მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ამოცანას, რომელშიც კანდიდატი გვიჩვენებს განსაკუთრებით კარგ (ან ცუდ შედეგებს), შესაბამისად, შედეგებიც განსხვავებულია. სწორედ ამიტომ ვირჩევთ ჩვენ ამოცანათა წარმომადგენლობით ბადეს. და რაც უფრო მეტ (იმავე მიზეზით) ამოცანას ვრთავთ ამ ბადეში, უფრო წარმომადგენლობითია კანდიდატის უნარები (ან უფრო ვალიდური) და ეს იქნება ნიმუშების საბოლოო ნაკრები, რომელსაც ჩვენ მივიღებთ. გარდა ამისა, თუ ტესტში ჩართულია მრავალფეროვანი და წარმომადგენლობითი ტექნიკური მოთხოვნები, ტესტს, სავარაუდოდ, უფრო ექნება დადებითი უკუფეფქტი.

მოდით, შევხედოთ ქვემოთ მოყვანილ ნიმუშს, რომელიც შეარჩიეს CCSE ტესტის გამომცდელებმა თავიანთი ტესტისთვის - პირველი დონე, მაისი/ივნისი, 2000.

წერითი უნარების შემმოწმებელი ეს ტესტი შექმნილია საზაფხულო ბანაკის ბავშვებისთვის ამერიკაში. დააკვირდით ყურადღებით ინფორმაციას ამ გვერდზე. შემდეგ გადადით მომდევნო გვერდზე.



AMERICAN SUMMER CAMPS FOR CHILDREN

VOLUNTEERS WANTED FOR AUGUST 2000

We are looking for people to work as Helpers in our Summer Camp in Florida. You will be responsible for organising games and activities for groups of children.

There is no salary, but travel and living expenses will be paid.

Write to us for more information and an application form:

American Summer Camps for Children
450 Sunny Date Avenue
Florida 70401
USA

Fax: 1-836-704-9732



ამოცანა 1

თქვენ ხედავთ რეკლამას დამხმარეთათვის. თქვენ სწერთ წერილს ამერიკის საზაფხულო ბანაკებს სარეკლამო განცხადებაში მითითებულ მისამართზე.

თქვენს წერილში უნდა მიუთითოთ:

- ინფორმაციის მოთხოვნა
- დაწყებისა და დასრულების თარიღები
- სამუშაო საათები
- საცხოვრებელი ბინის ტიპი
- აპლიკაციის ფორმის მოთხოვნა.

თქვენი წერილი დაწერეთ შემდეგ გვერდზე.

დავალება 2

ბავშვებისთვის ამერიკულმა საზაფხულო ბანაკებმა გამოგიგზავნეს სააპლიკაციო ფორმა. შეავსე ქვემოთ მოყვანილი სააპლიკაციო ფორმა

ამერიკული საზაფხულო ბანაკი ბავშვებისთვის

პირველი ნაწილი: ამ ნაწილის შესავსებად გამოიყენეთ დიდი ასოები.

სახელი: _____

გვერი (Mr/Mrs/Ms): _____

ასაკი: _____ დაბადების თარიღი: _____

ეროვნება: _____

მეორე ნაწილი

მონიშნეთ () ბავშვების ასაკობრივი ჯგუფი, რომელთანაც ისურვებდით მუშაობას.

(ყურადღება: აირჩიე მხოლოდ ერთი ჯგუფი)

9–10 11–13 14–16

რატომ აირჩიეთ ეს კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფი?

მესამე ნაწილი

დაახლოებით 30 სიტყვით დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ, რომ თქვენ განსაკუთრებით კარგი კანდიდატი ხართ ბავშვებისთვის თამაშებისა და სხვა აქტივობების ორგანიზებისთვის?

ხელმოწერა: _____ თარიღი: _____

ამოცანა 3

ახლა თქვენ მუშაობთ ამერიკის საზაფხულო საზაფხულო ბანაკებში ფლორიდაში. თქვენ სწერთ ბარათს თქვენს ინგლისურენოვან მეგობარს.

ბარათში თქვენ ეუბნებით თქვენს მეგობარს:

სად ხართ;

რატომ ხართ იქ;

ორი რამ, რაც მოგწონთ ბანაკში.

დაწერეთ თქვენი ბარათი აქ.


ბარათი	
	ქალბატონი ჯეინ კოლინსი 23, High Street ევრიტაუნი, ინგლისი

დავალება 4

დღეს სადამოს აპირებთ გასეირნებას გერისა და კერისთან, ბანაკის ორი სხვა დამხმარესთან ერთად. თქვენ უეცრად უნდა შეცვალოთ თქვენი გეგმები და ამის გამო ვერ შეხვდებით მათ. თქვენ მათ სწერთ:

თქვენს წერილში:

იხდით ბოდიშს და განმარტავთ, თუ რატომ ვერ ხვდებით მათ.



გამომცდელები სერიოზულად ცდილობენ შექმნან ამოცანათა რეპრეზენტაციული ნიმუში (მკითხველს შეიძლება უნდოდეს შეამოწმოს ტესტში წარმოდგენილი ტექნიკური მოთხოვნების ელემენტები). ნათელი ხდება ასევე ის, რომ ამდენი პოტენციური ამოცანით და შედარებით მცირე დავალებით, ტესტის ვალიდურობის საკითხი კითხვის ქვეშ დგება. ამოცანების საუკეთესო ნაკრების ერთ ტესტში მოთავსება შეუძლებელია. ეს არის პრობლემა, რომელსაც არ აქვს პასუხი. მხოლოდ კვლევა გვიჩვენებს, რამდენად შესაძლებელია ამოცანათა კრებულმა გვიჩვენოს იმ ქულების მსგავსი, რომლებსაც ეს კანდიდატები მიიღებდნენ სხვა უფრო პატარა და მოკლე ტესტის შევსებისას.

ინგლისურენოვანი უნივერსიტეტის შემთხვევაში არც ისე რთულია წარმომადგენლობითი წერილობითი ამოცანების შერჩევა. შინაარსობრივი ვალიდურობა პრობლემათაგან ყველაზე ნაკლებია, ვიდრე CCSE ტესტის უფრო ფართო მონაცემი. რადგან ეს მოქმედებს მხოლოდ „ოპერაციების“ გრაფაში, არსებობს მნიშვნელოვანი ცვალებადობა. ტესტი, რომელშიც სტუდენტებს მოეთხოვებათ ოთხიდან ერთი სწორი პასუხის არჩევა, ფარავს ამოცანათა მთელ წყებას და გვაპარაუდებინებს, რომ თემების

შეცვლას დიდად არ აქვს მნიშვნელობა. ფაქტობრივად, ტესტის თითოეული ვერსიის წერითი კომპონენტი შეიცავს წერის ორ უნარ-ჩვევას, ამდენად ამოცანათა მთლიანობის ორმოცდაათი პროცენტი შეიძლება შეგვხვდეს ტესტის თითოეულ ვერსიაში. თემები შეირჩა იმის მიხედვით, თუ რა საკითხები შეიძლებოდა ყოფილიყო სტუდენტებისთვის ნაცნობი და ინფორმაცია და არგუმენტები ხელმისაწვდომი (მაგალითად, იხილეთ გვერდი 93). რა თქმა უნდა, ტესტის სასურველი ნიმუში უნდა იყოს დაბალანსებული პრაქტიკულობით, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყოველთვის გვექნება მცდელობა ჩავრთოთ ტესტში ყველა პოტენციური ამოცანა (ან მათი უმეტესობა). თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ჩვენ გვინდა ადამიანის წერითი უნარების შესახებ ზუსტი და მრავალმნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება, ჩვენ უნდა მოვემზადოთ იმისთვის, რომ ამ ინფორმაციაში გადავიხადოთ სათანადო საფასური. ის, რის გაკეთებასაც ვაპირებთ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ზუსტია ინფორმაცია. ეს, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მაღალია ფსონები. თუ ტესტი გამოიყენება მხოლოდ სტუდენტების კლასებში გადასანაწილებლად, ისინი ადვილად შეიძლება გადავიდნენ ერთ კლასიდან მათთვის უფრო სასურველ ან შესაბამის კლასში. ამდენად სიზუსტე აქ არც ისე მნიშვნელოვანია.

ჩვენ შეიძლება დაგვაკმაყოფილოს წერის ერთადერთმა ნიმუშმა. მაგრამ თუ შედეგები კანდიდატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაგალითად, თუ ეს განსაზღვრავს, უნდა მიეცეს თუ არა მათ საშუალება ისწავლონ საზღვარგარეთ, მაშინ, რა თქმა უნდა, ერთზე მეტი ნიმუშია საჭირო, რათა არ დაიშვას სერიოზული უსამართლობა.

გამოავლინეთ წერის უნარების ვალიდური ნიმუში

შეკარით იმდენი ცალკეული ამოცანა, რამდენიც შესაძლებელია

ეს მოთხოვნა მჭიდროდ უკავშირდება კონკრეტული შინაარსის წარმომადგენლობითი ნიმუშის ჩართვის აუცილებლობას. როგორც ვნახეთ მეხუთე თავში, ერთი და იგივე ამოცანის წარმოდგენაც კი ნაკლებად შეიძლება იყოს თანმიმდევრული. ამდენად, კანდიდატებს უნდა შევთავაზოთ იმდენი „ახალი დასაწყისი“, რამდენიც შესაძლებელია. ამით ჩვენ მივალწევთ როგორც უმტრე მეტ სანდოობას, ისე უფრო მეტ ვალიდურობას. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, უნდა იყოს დაცული ბალანსი სასურველობასა და პრაქტიკულობას შორის.

გამოსცადეთ მხოლოდ წერის უნარები და არაფერი სხვა

ეს რჩევა გულისხმობს იმას, რომ ჩვენ არ გვინდა სხვა არაფრის გამოცდა, გარდა წერითი უნარებისა. ენის ტესტირების დროს, როგორც წესი, ჩვენ არ გვაინტერესებს არიან თუ არა სტუდენტები კრეატიულები, საზრიანები, რამდენად აქვთ ფანტაზიის უნარი ან ზოგადი ცოდნა, რამდენად საფუძვლიანია მათი მოსაზრებები. ამიტომ, ვალიდურობისთვის, ჩვენ არ უნდა წარმოვადგინოთ ამოცანები, რომლებიც ზომავს ამ უნარებს. დააკვირდით ქვემოთ მოყვანილ ამოცანებს, რომლებიც, მართალია მოგონილია, მაგრამ ეფუძნება სხვა ცნობილი ტესტების ამოცანებს.

1. დაწერეთ დიალოგი მეგობართან, რომელთან ერთადაც აპირებთ არდადეგების გატარებას.
2. თქვენ გაატარეთ ერთი წელი საზღვარგარეთ. სანამ იქ იმყოფებით, თქვენ გთხოვს ისაუბროთ ახალგაზრდების ჯგუფთან ცხოვრებაზე თქვენს ქვეყანაში. დაწერეთ, რას ეტყოდით მათ.
3. „შური ცოდვაა, რომელიც ყველაზე მეტს ცოდვილს ვნებს“. იმსჯელეთ ამ საკითხზე.
4. იმსჯელეთ, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება ჰქონდეს მდიდარი ოჯახის შვილობას.

პირველი ამოცანა მოითხოვს კრეატიულობას, ფანტაზიის უნარს და მართლაც რომ სცენარის წერის უნარებს. მეორე ამოცანის წარმატება, როგორც ჩანს, გარკვეულწილად, დამოკიდებულია საუბრის აგებისა და კომუნიკაციის უნარზე. სინამდვილეში ძნელი წარმოსადგენია, რომელი დავალება მომდინარეობს წერითი დავალების გამოწვევლივითი ტექნიკური მოთხოვნებიდან. მესამე და მეოთხე ამოცანები გაუადვილებათ იმ კანდიდატებს, რომელთაც შეუძლიათ შექმნან არგუმენტირებული ტექსტი ნებისმიერ თემაზე. ცალსახა პირობაა ის, რომ არა მარტო ენის უნარები გამოიცდება ამ შემთხვევაში, ამ ამოცანის დამაკმაყოფილებლად დაძლევა შეიძლება გაუჭირდეს მშობლიური ენის მატარებელსაც. ფრანცის ბეკონი შეძლებდა თავის გართმევას, თუ მისი პასუხები არ იქნებოდა ძალიან მოკლე. შემდეგი უნარი, რომელიც მიემართება წერის უნარის ზუსტ გაზომვას, არის კითხვა. თუ ჩვენ ველოდებით, რომ კანდიდატს შეუძლია მარტივი ინსტრუქციების წაკითხვა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ყველამ ზუსტად გაიგოს პირობები, რათა ადეკვატურად შეასრულოს წერითი ამოცანები. ინსტრუქციები არ უნდა იყოს ძალიან გრძელი. ქვემოთ მოყვანილი დავლების ნაწილი (b) შეიძლება შეიცავდეს ორივე ამ შეცდომას.

უპასუხეთ ერთ-ერთ ქვემოთ მოყვანილ შეკითხვას, დაწერეთ დაახლოებით 250

სიტყვა:

ან **(a)** თქვენ გთხოვს, რომ დაწეროთ სტატია საერთაშორისო ჟურნალისთვის, რომელიც გამოდის სერიით „კარგი კითხვა“. დაწერეთ ჟურნალისთვის თქვენი საყვარელი წიგნის მიმოხილვა.

ან **(b)** თქვენ ახლახან შეიტყვეთ, რომ აქსტელ კორპორაცია ყოველ წელს სთავაზობს შესაძლებლობებს ადამიანთა მცირე ჯგუფს, გაატარონ სამი ან ექვსი თვე და იმუშავონ ერთ-ერთ მათ ოფისში ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ან დიდ ბრიტანეთში. ამის მიზანია საერთაშორისო ურთიერთგაგების ხელშეწყობა და მუშაობის სხვადასხვა მეთოდის წახალისება. კანდიდატებს ამ სქემისთვის მოეთხოვებათ დაწერონ აპლიკაციის სამოტივაციო წერილი, მოკლედ აღწერონ თავიანთი მონაცემები და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, წარმოაჩინონ მიზეზები, რატომ ფიქრობენ, რომ ეს მათ გამოადგებათ. გარდა ამისა, მათ უნდა მიუთითონ, რომელ ქვეყანაში სურთ მუშაობა ამ წერილის საფუძველზე შეიძლება ისინი დაიბარონ გასაუბრებაზე და მიიღონ თანამდებობის შეთავაზება.

დაწერეთ სააპლიკაციო წერილი.

ერთ-ერთი გზა, რომ შევამციროთ კანდიდატის დამოკიდებულება კითხვის უნარებზე, არის საილუსტრაციო მასალის გამოყენება. ქვემოთ მოყვანილი ნიმუშები მოცემულია შეფასებისა და კვალიფიკაციის ალიანსის მასალებიდან და შექმნილი იყო საგანგებოდ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტებისთვის.

ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა გვიჩვენებს სამი ტიპის ფუტკარს:

 დედოფალი	 მუშა	 მამალი ფუტკარი
---	---	---

შეადარე და შეუპირისპირე ერთმანეთს ფუტკრის ეს სამი ტიპი.

შეავსე ფურცლის სამი მეოთხედი.


ნახატების სერია შეიძლება გამოვიყენოთ ნარატივის შესაქმნელად.



დააკვირდი სურათებს და შემდეგ მოყევი ამბავი.

თხრობა ასე დაიწყეთ: გუშინ დედაჩემს თავს ძალიან ამაღელვებელი ამბავი გადახდა. ამას შეიძლება ჰქონდეს ინფორმაციის საკმაოდ რეალისტური გარდაქმნის ფორმა - გრაფიკული გამოსახულების გარდასახვა პროზად.

ოთხი სამუშაო ჯგუფის ყოველწლიური საშუალო შემოსავალი: 1980–2000



გამოიყენეთ ზემოთ მოცემული ჩარტის მონაცემები, შექმენით აზრები, რომელშიც იმსჯელებთ 1980–2000 წლებში ოთხი სხვადასხვა ჯგუფის ყოველწლიური საშუალო შემოსავლის შესახებ.

კანდიდატების შეზღუდვა

ეს იმეორებს მეხუთე თავში მოცემულ ძირითად იდეას. შეკითხვას შურის შესახებ, მაგალითად, ერთმა და იმავე პიროვნებამ სხვადასხვა ვითარებაში შეიძლება სხვადასხვა პასუხები გასცეს. არსებობს ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი განსხვავებული გზა პასუხის სტიმულირებისთვის. წერითი ამოცანები უნდა იყოს კარგად განსაზღვრული: კანდიდატებმა უნდა იცოდნენ, რას მოითხოვენ მათგან. არ უნდა მიეცეთ მათ საშუალება შორს წავიდნენ და დაიკარგონ. დამხმარე საშუალებაა ინფორმაციის მიწოდება მინიშნებების სახით (მაგალითად სურათები, როგორც ეს ზემოთ გვექონდა ნაჩვენები). შემდგომი მაგალითი, ცოტათი გადამუშავებული, გამოყენებული იყო ტესტში, რომლის შექმნაში მეც მივიღე მონაწილეობა, როგორც ზემოთაც ვახსენე. შეადარეთ უნივერსიტეტში ინგლისურად მიღებული განათლება არაბულად მიღებულ განათლებას. გამოიყენეთ ყველა ქვემოთ მოცემული პუნქტი და დაწერეთ დასკვნა დაახლოებით ერთი ფურცლის ზომის.

ა) არაბული

1. სტუდენტებისთვის უფრო ადვილია
2. ადვილია მასწავლებელთა უმეტესობისთვის
3. უმეტეს შემთხვევებში ზოგავს ერთ წელს

ბ) ინგლისური

1. წიგნების და სახელმძღვანელოების უმეტესობა ინგლისურია

2. ინგლისური საერთაშორისო ენაა, შესაბამისად უფრო მეტია კარგი სამსახურის შოვის შესაძლებლობა

3. მეორე ენის შესწავლა განათლებისა და კულტურის ნაწილი

ყურადღებით უნდა ვიყოთ, როდესაც ამგვარ მინიშნებებს ვაძლევთ სტუდენტებს. არ უნდა მივაწოდოთ იმაზე მეტი ინფორმაცია, ვიდრე მათ სჭირდებათ, რათა არ ასცდნენ ამოცანას. სრული წინადადებებს, როგორც წესი თავი უნდა ავარიდოთ, რათა არ გამოიყენონ მათ თხზულებებში მცირეოდენით სახესხვაობით და შეუცვლელად.

კიდევ ერთი რამ, რაც მინდოდა მეთქვა ამოცანებთან დაკავშირებით არის ის, რომ ისინი არა მხოლოდ კარგად უნდა პასუხობდეს სპეციფიკაციებს, არამედ ისინი ასევე უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ავთენტური. როდესაც ვსაუბრობთ ავთენტურობაზე, კარგი იქნება გავითვალისწინოთ კანდიდატების ბუნება და მათი ურთიერთობა ხალხთან ან წერითი დავალების სამიზნე აუდიტორიასთან. ამოცანა, რომელიც კანდიდატების ერთი ჯგუფისთვის შეიძლება იყოს ავთენტური, მეორე ჯგუფისთვის შეიძლება სრულიად არ ასრულებდეს ამ ფუნქციას. მაგალითად, ზოგიერთ სიტუაციაში სავსებით ნორმალურია ენის მასწავლებელმა მისწეროს ხელმძღვანელს რჩევის თხოვნით, სხვა შემთხვევაში კი ეს წარმოუდგენელია შეიძლება იყოს.

დარწმუნდით, რომ დაწერილი ქულები სანდოა და ვალიდური

ამოცანათა ნაკრები, რომლის გასწორებაც და შეფასებაც შეიძლება იყოს სანდო

ბევრი შეთავაზება ტესტის წარმომადგენლობითი შევსებით მიზნით ასევე უზრუნველყოფს ქულების გამოთვლის სანდოობას.

წარმოადგინეთ რაც შეიძლება მეტი ამოცანა

რაც უფრო მეტი ქულაა თითოეული კანდიდატისთვის, მით უფრო სანდო უნდა იყოს ქულები.

შეზღუდეთ კანდიდატები

რაც უფრო მეტი შეზღუდვა დაუწესდება კანდიდატებს, მით უფრო უშუალოდ შედარებითი იქნება განსხვავებული კანდიდატების მიერ შესრულებული ტესტი.

არ მისცეთ ამოცანების არჩევის საშუალება

როდესაც კანდიდატებს ვაძლევთ ყველა ამოცანა შეასრულონ, ამით უფრო ვაიოლებთ მათი შედეგების შედარებას

დარწმუნდით, რომ ნიმუშები საკმარისი მოცულობისაა

მოცემული წერითი დავალებების ნიმუშები საკმარისად გრძელი უნდა იყოს, რათა მოგვეცეს დასაბუთების სანდოობის საშუალება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სადაც იძებნება დიაგნოსტიკური ინფორმაცია. მაგალითად, იმისათვის რომ წერაში სტუდენტების ორგანიზაციული უნარები შესახებ მოვიპოვოთ ღირებული ინფორმაცია, დავალებები უნდა იყოს საკმარისად გრძელი, რათა თავის გამოვლენის საშუალება მიეცეთ კანდიდატებს. მიეცით ფიქსირებული დრო ტესტის შევსებისთვის, არსებობს თითქმის გარდაუვალი დამაბულობა მოცემულ მოცულობასა და ნიმუშების სიმრავლის საჭიროებას შორის.

შექმენით ქულების მისაღები გრადაცია

ჩვენ გვაქვს მოლოდინი, ქულების გრადაციას ვნახავთ ტესტის სპეციფიკაციებში ქვეთავში „ტესტის შესრულების კრიტერიუმების დონეები“. ქულების დაწერის ორი ძირითადი მიდგომა არსებობს: ჰოლისტიკური და ანალიტიკური.

ჰოლისტიკური მიდგომა

როდესაც ქულები იწერება ჰოლისტიკურად (ხანდახან ამას უწოდებენ „იმპრესიონისტულ“ შეფასებას), ეს გულისხმობს ყოველ დავალებაში დაწერილი ყოველი ქულის შეჯამების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებას. ქულების წერის ამ ფორმის უპირატესობა არის სისწრაფე. გამოცდილს გამსწორებლებს შეუძლიათ გაასწორონ ერთფურცლიანი ტექსტი რამდენიმე წუთში ან კიდევ უფრო ნაკლებ დროში (TOEFL-ის წერითი ტესტის გამსწორებლებს თხზულების გასწორებისა და ქულების მინიჭებისთვის ესაჭიროებათ წუთ-ნახევარი). ეს ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია ნაშრომის თითოეული ნაწილი შეფასდეს რამდენჯერმე, როდესაც ეს საჭიროა. ჰარისი (1986) წარმოადგენს კვლევას. კვლევის მიხედვით, როდესაც სტუდენტების მიერ დაწერილი 20-წუთიანი თხზულება გასწორდა ერთხელ, სანდოობის კოეფიციენტი იყო მხოლოდ 0.25. სწორი ჩანაფიქრისა და ორგანიზების შემთხვევაში სტუდენტების ნაშრომების ჰოლისტიკური შეფასება ოთხი გამსწორებლის მიერ და მათი ქულები საკმაოდ სანდო შეიძლება იყოს. არაფერი ჯადოსნური არ არის დაკავშირებული რიცხვთან ოთხი. უბრალოდ კვლევამ საკმაოდ თანმიმდევრულად გვიჩვენა, რომ გამსწორებელთა მაღალი სანდოობა მაშინ ფიქსირდება, როდესაც ნაშრომი სწორდება ოთხჯერ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, გასწორების პროცესი კარგად უნდა იყოს ჩაფიქრებული. გასწორების ყველა სისტემა ვერ იქნება ვალიდური და სანდო ყველა სიტუაციაში. სისტემა უნდა იყოს კანდიდატების დონის შესაბამისი და პასუხობდეს ტესტის მიზანს. დააკვირდით გასწორების ქვემოთ მოყვანილ სისტემას, რომელიც გამოყენებული იყო ამ თავში უკვე მოხსენიებულ ინგლისურენოვან უნივერსიტეტში.

NS მშობლიური ენის მატარებლის სტანდარტი

NS- მშობლიურ ენის მატარებელთან დაახლოებული სტანდარტი

MA ცალსახად ადეკვატურზე მეტი

MA- ადეკვატურზე ოდნავ მეტი

A ამ უნივერსიტეტში სწავლისთვის ადეკვატური

D გაურკვეველი

NA ცალსახად არაადეკვატური

FBA გაცილებით არაადეკვატური

ეს გრადაცია სრულყოფილად მუშაობს იმ სიტუაციაში, რომლისთვისაც შეიქმნა. ტესტის წერით კომპონენტის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად ადეკვატური იყო კანდიდატის წერითი უნარები უნივერსიტეტში ინგლისურ ენაზე სწავლის გასაგრძელებლად. სტანდარტების ნაკრები შეიქმნა ბაკალავრიატის სტუდენტების წერითი ნამუშევრებისა და გამსწორებლების დასაბუთების დამუშავების საფუძველზე. სტუდენტებმა დაწერეს ორი თხზულება და თითოეული მათგანი შეფასდა ორჯერ ზემოთ მოყვანილი შკალის გამოყენებით, ამდენად გამსწორებლის სანდოობის კოეფიციენტი იყო 0.9. ეს ისეთივე მაღალი მაჩვენებელია, რომლის მიღწევაც შესაძლებელი იქნებოდა ჩვეულებრივ პირობებში (არაექსპერიმენტული გარემო ან კვლევა, რომელშიც პრაქტიკულობა გაცილებით მნიშვნელოვანია). ეს შეიქმნა კონკრეტული მიზნისთვის და ცალსახაა, რომ სხვა პირობებში მისი გამოყენება ნაკლებადაა შესაძლებელი. ტესტის შემქმნელები უნდა იყვნენ მზად, რომ გარდაქმნან შეფასების სქემა თავიანთი მიზნებისთვის. ახლა ვნახოთ შემდეგი მაგალითი, რომელიც არის TOEFL -ის (Educational Testing Services) კომპონენტი.

წერითი კომპონენტის ტესტი ინგლისურ ენაში

ქულების სქემა

ქულების მინიჭება მოხდება შეფასების შემდეგი სქემის მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ტესტირების კანდიდატებს სთხოვს, დაწერონ კონკრეტული თემის შესახებ, მაგრამ თემა ხშირად შეიძლება ირიბადაც განიხილებოდეს. გამსწორებლები კონცენტრირებულები უნდა იყვნენ იმაზე, თუ რა დაწერეს კანდიდატებმა კარგად.

[6] გვიჩვენებს წერის მაღალ კომპეტენციას როგორც რიტორიკულ, ისე სინტაქსურ დონეზე, თუმცა შეიძლება შეგვხვდეს უმნიშვნელო შეცდომები

თხზულება ამ კატეგორიაში:

- ეფექტურად პასუხობს წერით ამოცანას
- კარგად ორგანიზებულია და განვრცობილი
- ძირითადი დებულების გასამყარებლად ან იდეების წარმოსაჩენად იყენებს შესაბამის დეტალებს
- ენის გამოყენება თანმიმდევრულია
- იყენებს მრავალფეროვან სინტაქსურ კონსტრუქციებს და სათანადო მრავალფეროვან ლექსიკას

[5] გვიჩვენებს წერის კომპეტენციას როგორც რიტორიკულ, ისე სინტაქსურ დონეზე, თუმცა აუცილებლად შეგვხვდება უმნიშვნელო შეცდომები

თხზულება ამ კატეგორიაში:

- ზოგიერთი ნაწილი უფრო მეტად მიემართება წერით ამოცანას, ვიდრე დანარჩენი
- ზოგადად კარგად ორგანიზებულია და განვრცობილი
- ენის გამოყენება თანმიმდევრულია
- იყენებს სინტაქსურ კონსტრუქციებს და ლექსიკას

[4] გვიჩვენებს წერის მინიმალურ კომპეტენციას როგორც რიტორიკულ, ისე სინტაქსურ დონეზე.

თხზულება ამ კატეგორიაში:

- ადეკვატურად პასუხობს დავალებას, თუმცა ხანდახან დავალება არაადეკვატურადაა შესრულებული
- ორგანიზებულია და განვრცობილი ადეკვატურად
- ძირითადი დებულების გასამყარებლად ან იდეების წარმოსაჩენად იყენებს ზოგიერთ დეტალს
- ენის გამოყენება თანმიმდევრულია
- იყენებს ადეკვატურ, მაგრამ ხანდახან არათანმიმდევრულ სინტაქსურ კონსტრუქციებს
- შეიძლება შეიცავდეს შეცდომებს, რომლებიც იწვევს აზრის ბუნდოვანებას

[3] გვიჩვენებს წერის განვითარებად კომპეტენციას, მაგრამ არ ჩანს რიტორიკულ, ისე სინტაქსურ დონეზე/ორივე დონეზე.

თხზულებამ ამ კატეგორიაში შეიძლება გამოავლინოს ერთ ან რამდენიმე სუსტი მხარე:

- არაადეკვატური ორგანიზება და განვრცობა
- მიუღებელი ან არასათანადო დეტალების გამოყენება განზოგადების ჩვენების ან მხარდაჭერის მიზნით
- ცალსახად არასათანადო ლექსიკური ერთეულების გამოყენება
- წინადადებების აგებაში/ან გამოყენებაში დაშვებული შეცდომები

[2] გვიჩვენებს არაკომპეტენტურობას წერაში

თხზულება ამ კატეგორიაში ავლენს ერთ ან მეტ სუსტ მხარეს:

- სერიოზული დეზორგანიზება და იდეების განვითარების არარსებობა
- არ არის დასაბუთებული და დაკონკრეტებული ძირითადი იდეები
- წინადადების სტრუქტურისა და გამოყენების სერიოზული და ხშირი შეცდომები
- ბუნდოვანება

[1] გვიჩვენებს არაკომპეტენტურობას წერაში

თხზულება ამ კატეგორიაში

- შეიძლება იყოს არათანმიმდევრული
- შეიძლება არ იყოს განვითარებული
- შეიძლება შეიცავდეს სერიოზულ და მიუღებელ წერით შეცდომებს

ეს სქემა განსხვავებულია ორი თვალსაზრისით. პირველი, რადგან ინგლისურ ენაში წერის ტესტის ქულები გამოიყენება ბევრი სხვა ინსტიტუტის მიერ, ძირითადი კრიტერიუმები შედარებით ზოგადია. მეორეც, ეს გვაძლევს წერითი ნამუშევრის ენობრივი მახასიათებლების გარკვეულ კრიტერიუმებს ექვსივე დონეზე. ეს კი შეიძლება იყოს სასარგებლო როგორც გამსწორებლისთვის, ისე მომხმარებლისთვის.

თუმცა, თუ ეს კრიტერიუმები უფრო დაწვრილებითი იქნება, პრობლემაც წარმოიშობა. იხილეთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს ACTFL (American Council for the Teaching of Foreign Languages უცხო ენის მასწავლებლების ამერიკული საბჭო) წერის დესკრიპტორებს და წარმოგვიდგენს მცდელობას, შეიქმნას გარე კრიტერიუმი იმის სანაცვლოდ, რომლებსაც იყენებენ სკოლებში და კოლეჯებში უცხო ენის მასწავლებლები შეფასებისას (3). მთლიან სქემას აქვს 10 ქულა - ქვემოდან ზემოთ.

წინარე მაღალი დონე - ამ დონეზე ავტორებს შეუძლიათ გაუმკლავდნენ ძირითად სამუშაოს და აკადემიური წერის მოთხოვნებს, შექმნან ყოველდღიური სოციალური კორესპონდენცია, დაწერონ ბუნებრივი ტექსტები ნაცნობ თემაზე ნარატივისა და აღწერის მეშვეობით, ასევე შექმნან დასკვინი ნაწილები. წერის წინარე მაღალი დონე ასახავს წინადადებების დაკავშირებისა და კომბინირების უნარებს, ასევე ტექსტის აზრდებით განვრცობისა და სტრუქტურირების უნარებს. ავტორები ამ დონეზე გვიჩვენებენ უნარს, შექმნან ტექსტი შეზღუდული სიტყვათშეთანხმებებით, ასევე შეიძლება წარმოაჩინონ სიჭარბე და უხერხული გამეორებები. მოცემულია დამოკიდებული წინადადებების თანმიმდევრული გამოყენება, ეს კი ხშირად იწვევს მშობლიური ენის კონსტრუქციების გადმოტანას ნაწერში. ამ დონეზე წერის ან ზეპირი გასაუბრების პროცესში კანდიდატმა შეიძლება ვერ აიცილოს თავიდან მშობლიური ენის გავლენა. უფრო ხშირად, ლექსიკა, გრამატიკა და სტილი მნიშვნელოვნად ასახავს არაფორმალური წერის ელემენტებს. ავტორები აკონტროლებენ სამიზნე ენაზე შექმნილ მარტივ წინადადებებს, სტრუქტურებს, ნაწილობრივ აკონტროლებენ რთულ წინადადებებს. ენის ფლობის უფრო მაღალი დონის წარმოჩენის მცდელობისას მათი ნაწერი საგრძნობლად ზიანდება. წერისას ეს დონე გასაგებია მშობლიური ენის მატარებლებისთვის და არ უნდა გამოვიყენოთ არამშობლიური ენის მატარებლების შემთხვევაში.

საშუალოზე მაღალი დონე - ავტორები ამ დონეზე უმკლავდებიან პრაქტიკული

წერის საჭიროებებს, როგორებიცაა დაწვრილებითი შენიშვნების გაკეთება ნაცნობი თემის შესახებ; მარტივი წერილების დაწერა; სამსახურთან, სკოლის გამოცდილებასთან, მიმდინარე და ზოგად ინტერესებთან დაკავშირებულ თემებზე ტექსტების შექმნა. მათ ასევე შეუძლიათ დაწერონ ერთი აბზაცი, მარტივი აღწერა ან ნარატივი ყოველდღიური მოვლენებისა და სიტუაციების შესახებ სხვადასხვა დროის პერსპექტივიდან, თუმცა, მათ ნაწერებში შეიძლება შეგვხვდეს მცირე უზუსტობები და ლოგიკური ჯაჭვის დარღვევა. ამ დონეზე ავტორები აკავშირებენ წინადადებებს და ქმნიან პარაგრაფებს, იყენებენ მარტივ კავშირებს, თუმცა ხანდახან შეინიშნება შეცდომები. ხშირად წარმატებით იყენებენ პერიფრაზირებასა და გადამუშავებას. იმ ენებში, სადაც დროის გრამატიკული კატეგორია გამოიხატება აფიქსებით, შეინიშნება მცირე უზუსტობები. ლექსიკა, გრამატიკა და სტილი ასახავს სალაპარაკო ენას.
მათი ნაწერები ბევრი, მაგრამ უმნიშვნელო შეცდომით, არის ზოგადად თანმიმდევრული მშობლიური ენის მატარებლებისთვის, მაგრამ უჩვეულო არამშობლიური ენის მატარებლების ნაწერებისთვის.
საშუალო დონე - ავტორები ამ დონეზე უმკლავდებიან პრაქტიკული წერის არაერთ მოთხოვნას. მათ შეუძლიათ დაწერონ მოკლე, მარტივი წერილები; ესეები; აღწერა სუსტად დაკავშირებული ტექსტის ფარგლებში, რომელიც ასახავს პირად დამოკიდებულებას, ყოველდღიურ რუტინას, ზოგად მოვლენებს და პირად გამოცდილებასთან და უშუალო გარემოსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ნაწერების უმეტესობა შემოიფარგლება ახლანდელი დროის ფორმებით. მცირედ შეინიშნება გრამატიკული და სტილისტური თანმიმდევრობა - პირისა და კუთვნილების ნაცვალსახელები, დროის ზმნიზედები, შემაერთებელი კავშირები, დამოკიდებული წინადადებები. წერის სტილი ასახავს სალაპარაკო ენის ლექსიკასა და გრამატიკულ წყობას. ავტორები ამ დონეზე კარგად ფლობენ მარტივ სინტაქსურ კონსტრუქციებს და ძირითად ზმნურ ფორმებს, ბრუნვისა და უღლების პარადიგმებს. ნაწერები შეიძლება მოკლედ ასე დავახასიათოთ: წყვეტილი წინადადებების ნაკრები, შეინიშნება ტექსტის დამაკმაყოფილებელი ორგანიზება. ამ დონეზე ავტორების მიერ შესრულებული ნაწერების გაგება ადვილად შეუძლიათ მშობლიური ენის მატარებლებს, რომლებსაც აქვთ არამშობლიურ ენაზე წერის გამოცდილება.
საშუალოზე დაბალი დონე - საშუალოზე დაბალ დონეზე ავტორები უმკლავდებიან შეზღუდული პრაქტიკული წერის საჭიროებებს. მათ შეუძლიათ შექმნან დებულებები და ჩამოაყალიბონ შეკითხვები მათთვის ნაცნობ მასალაზე. წინადადებების უმრავლესობა არის ნასწავლი სიტყვებისა და სტრუქტურების გამოყენების მცდელობა. ისინი იყენებენ მოკლე და მარტივ სალაპარაკო სტილის წინადადებებს სუბიექტი-ზმნა-ობიექტი თანმიმდევრობით. წერენ უმეტესად ახლანდელ დროში წარსული და მომავალი დროების ხშირად შეცდომით გამოყენებით. ტექსტი არის ერთმანეთთან მჭიდროდ შეკავშირებული მარტივი წინადადებების ნაკრები. კონსტრუქციები ხშირად მეორდება. ლექსიკა შემოიფარგლება ცალკეული ნივთებითა და ყოველდღიური აქტივობებით, რაც

ადეკვატურია ელემენტარული საჭიროების გამოსახატავად. ნაწერს აქვს მექანიკური ხასიათი, თემებიც არის შეზღუდული და ადვილად გამოსაცნობია მათი გაშლა. შეიძლება შეგვხვდეს ძირითადი გავრცელებული შეცდომები გრამატიკაში, ლექსიკის შერჩევაში, პუნქტუაციაში, მართლწერაში, არაანბანური სიმბოლური გამოსახულებების გამოყენებაში. მათი ნაწერების გაგება შეუძლიათ მშობლიური ენის მატარებლებს, რომლებსაც აქვთ არამშობლიურ ენაზე წერის გამოცდილება.

აღწერილობა გულისხმობს ნიმუშის განვითარებას, რომელიც საერთოა ენის ყველა შემსწავლელისთვის. ისინი ასკვნიან, რომ გრამატიკული უნარების კონკრეტული დონე ყოველთვის იქნება დაკავშირებული ლექსიკური ნარების გარკვეულ დონესთან. ეს, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვოა და შეფასების სქემაზე კრიტიკის საგანია, რადგან იგი არ ეფუძნება სხვადასხვა ელემენტის დაუფლების პროცესის კვლევას. როდესაც შეფასების სქემა გამოიყენება ცოდნის დონის მიღწევის გასაზომად, ეს კრიტიკა, ჩემი რწმენით, გამართლებულია. თუ სხვადასხვა დონე არ ეფუძნება კვლევას კანდიდატების ქცევის ცვალებადობას, მაშინ მათი გამოყენება სავარაუდოდ ვერ მიგვიყვანს ცოდნის დონის მიღწევის ვალიდურ საზომთან. რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობთ, რომ შეფასების ყოველი სქემა უნდა ეფუძნებოდეს იმას თუ რა ვიციტ ენების შესწავლის გზების შესახებ. ILR-ის დონეები (Interagency Round Table) ბევრი პარამეტრით ჰგავს ACTFL-ის შეფასების სქემებს. განსხვავება ისაა, რომ ILR-ის დონეები შეიქმნა ინდივიდუალური კანდიდატების დონის განსასაზღვრად, საჭირო იყო იმის გაგება, თუ რამდენად შეესაბამებოდა მათი ენის ცოდნის დონე კონკრეტულ სამსახურს. მიზანი ნათელია, ენის ცოდნის გაზომვა იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ იქნა იგი მიღწეული. ILR-ის დონეები (ლაპარაკის) წარმოდგენილია შემდეგ თავში.

ACTFL-ის (და ILR-ის) შეფასების სქემების გამოყენებისას დგება შემდეგი საკითხი: როგორ უნდა დავადგინოთ პიროვნების ცოდნის დონე, რომლის ენობრივი უნარებიც ნაწილობრივ აღიწერება ერთ დონეზე და ნაწილობრივ მეორეზე? რასაც გადაწყვეტთ, უნდა ეფუძნებოდეს შეფასების მიზანს. თუ ჩვენ ვცდილობთ გავარკვიოთ, აქვს თუ არა ადამიანს, ვთქვათ, დიპლომატიური თანამდებობისათვის შესაფერისი ენობრივი უნარები, მაშინ შეიძლება გადაწყვიტოთ, რომ გავითვალისწინოთ ყველაზე დაბალი დონე, რომელიც ნაწილობრივ აღწერს მის ენას.

თუ მიზანი არის ენის ცოდნის დონის მიღწევა, ამ შემთხვევაში შეიძლება ვიყოთ ორიენტირებულები ძლიერ მხარეებზე სუსტი მხარეების საკომპენსაციოდ.

ანალიტიკური შეფასება

დავალების შემოწმებისა და ქულების წერის მეთოდები, რომლებიც მოითხოვს კონკრეტული ამოცანის ყოველი ასპექტის ცალკე შეფასებას, იწოდება ანალიტიკურად. ქვემოთ მოცემული სქემა, რომელიც შეიმუშავა ჯონ ანდერსონმა, ეფუძნება ჰარისის (1968) მიერ გამოგონებულ ზეპირი უნარების შემოწმების სქემას.

გრამატიკა

6. მათ ნაწერში შეინიშნება რამდენიმე გრამატიკული ან სიტყვების რიგთან დაკავშირებული შეცდომა.

5. შეინიშნება ზოგიერთი გრამატიკული ან სიტყვების რიგთან დაკავშირებული შეცდომა, რომლებიც არ უშლიან ხელს აზრის გაგებას.

4. საკმაოდ ხშირად დაშვებული გრამატიკული ან სიტყვების რიგთან დაკავშირებული შეცდომა. აზრის სრული გაგებისთვის საჭიროა ნაწერის რამდენჯერმე გადაკითხვა.

3. ხშირად დაშვებული გრამატიკული ან სიტყვების რიგთან დაკავშირებული შეცდომა. აზრის სრული გაგება ხანდახან შესაძლებელია მკითხველის ინტერპრეტაციით.

2. ძალიან ხშირად დაშვებული გრამატიკული ან სიტყვების რიგთან დაკავშირებული შეცდომა. მკითხველი ხშირად ეყრდნობა საკუთარ ინტერპრეტაციას.

1. გრამატიკული ან სიტყვების რიგთან დაკავშირებული შეცდომები იმდენად სერიოზულია, რომ შეუძლებელია აზრის გაგება.

ლექსიკონი

6. ლექსიკისა და იდიომების გამოყენება თითქმის არ განსხვავდება მშობლიური ენის მატარებლის დონისაგან.

5. უმნიშვნელო შემთხვევებში გამოიყენება არასათანადო ტერმინები ან გვხვდება ჭარბსიტყვიანობა. იდეების გამოხატვას ეს არ უშლის ხელს.

4. არასწორი ან არასათანადო სიტყვების საკმაოდ ხშირად გამოყენება. იდეების გამოხატვა შეიძლება იყოს შეზღუდული არაადეკვატური ლექსიკის გამოყენების გამო.

3. შეზღუდული ლექსიკური მარაგი და ხშირად დაშვებული შეცდომები ხელს უშლის იდეების გამოხატვას.

2. ლექსიკური მარაგი იმდენად შეზღუდულია და იმდენად ხშირად არასწორად გამოყენებული, რომ მკითხველი ეყრდნობა მისეულ ინტერპრეტაციას.

1. ლექსიკური მარაგი უკიდურესად შეზღუდულია და შეუძლებელს ხდის აზრის გაგებას.

მექანიკა

6. ძალიან ცოტა (ან საერთოდ არ არის) პუნქტუაციასა და მართლწერასთან დაკავშირებული მექანიკური შეცდომები.

5. პუნქტუაციაში ან მართლწერისას დაშვებული მექანიკური შეცდომები, რომლებიც არ უშლიან ხელს აზრის გაგებას.

4. ხშირად დაშვებული პუნქტუაციური და მართლწერის შეცდომები. რამდენჯერმე გადაკითხვა საჭირო აზრის გასაგებად.

3. ხშირად დაშვებული პუნქტუაციური და მართლწერის შეცდომები, რაც ხშირად იწვევს აზრის ბუნდოვანებას.

2. პუნქტუაციური და მართლწერის შეცდომები იმდენად ხშირად დაშვებული, რომ მკითხველი ხშირად ეყრდნობა საკუთარ ინტუიციას.

1. პუნქტუაციური და მართლწერის შეცდომები იმდენად სერიოზულია, რომ აზრის გაგება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

თავისუფლად ფლობა (სტილი და მარტივი კომუნიკაცია)

6. კონსტრუქციებისა და ლექსიკური ერთეულების შერჩევა არის თანმიმდევრული და მისაღები. მშობლიური ენის მატარებლის დონე.

5. კონსტრუქციებისა და ლექსიკური ერთეულების შერჩევის უმნიშვნელო არათანმიმდევრულობა. ეს არ ვნებს კომუნიკაციის ხარისხს.

4. 'არაერთგვაროვანი', ზოგიერთი კონსტრუქცია და ლექსიკური ერთეულები არ შეესაბამება ზოგად სტილს.

3. კონსტრუქციები და ლექსიკური ერთეულები ხანდახან არასწორადაა გამოყენებული. კომუნიკაცია გართულებულია.

2. კომუნიკაცია ხშირად გართულებულია კონსტრუქციებისა და ლექსიკური ერთეულების არასწორი ან შეუსაბამო გამოყენებით.

1. არეული ან ნახევრად ნასწავლი არასწორად გამოყენებული კონსტრუქციები და ლექსიკური ერთეულები კომუნიკაციას თითქმის შეუძლებელს ხდის.

ფორმა (ორგანიზება)

6. ზედმიწევნით კარგად ორგანიზებული, იდეები კარგად უკავშირდება ერთმანეთს და კარგად ვითარდება. მშობლიური ენის მატარებლის დონე.

5. კარგად ორგანიზებული, იდეების დაკავშირება შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო ცალსახა, მაგრამ ეს არ აკნინებს კომუნიკაციის ხარისხს.

4. ნაკლებად არის ორგანიზებული, საჭიროებს გადაკითხვას იდეების კარგად გააზრების მიზნით.

3. იდეებს შორის კავშირი ნაკლებია ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი, თუმცა, მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ ნაშრომი ორგანიზებულია კარგად.

2. შეიძლება ცალკეული იდეები ნათელია, მაგრამ მათ შორის კავშირის მოძებნა ძალიან ძნელია.

1. არაორგანიზებულია, ეს სერიოზულად აკნინებს კომუნიკაციის ხარისხს.

ქულები:

გრამატიკა: ____ + ლექსიკა: ____ + მექანიკა ____ + თავისუფალი ფლობა ____ + ფორმა = (საბოლოო)

ანალიტიკურ გასწორებასა და შეფასებას აქვს რამდენიმე უპირატესობა. უპირველეს ყოვლისა, ის გვათავისუფლებს ცალკეული პირების ქვეუნარების არასწორად განვითარების პრობლემისაგან. მეორეც, გამსწორებლები იძულებულები არიან გაითვალისწინონ შესრულების ასპექტები, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არც მიაქცევდნენ ყურადღებას. და მესამეც, ის ფაქტი, რომ გამსწორებელმა უნდა დაწეროს რამდენიმე ქულა, უფრო სანდოს ხდის გასწორების პროცესს. სანამ ექვს იწვევს ის ფაქტი, რომ გამსწორებლებმა უნდა შეაფასონ თითოეული ასპექტი სხვებისგან დამოუკიდებლად

(ამას ეწოდება მნათის ეფექტი), უბრალო ფაქტი, რომ თითოეული სტუდენტის ნაშრომი უნდა გასწორდეს ხუთჯერ, ბევრად ზრდის ტესტის სანდოობის ხარისხს.

ანდერსონის სქემაში, თითოეულ კომპონენტს ერთი წონა აქვს. სხვა სქემებში (მაგალითად, იაკობსი და სხვები (1981), ქვემოთ) სხვადასხვა ასპექტის შედარებითი მნიშვნელობა აღიქმება გამომცდელის მიერ (სტატისტიკური მონაცემების მხარდაჭერით ან მის გარეშე) და აისახება სხვადასხვა კომპონენტის წონაობაში. გრამატიკულ სიზუსტეს, მაგალითად, შეიძლება მიენიჭოს უფრო მეტი წონა, ვიდრე მართლწერის სიზუსტეს. კანდიდატის საბოლოო ქულა არის წონადი ქულების ჯამი.

ანალიტიკური მეთოდის ერთ-ერთი მთავარი უარყოფითი მხარე არის დრო. გასწორება და შეფასება ჰოლისტიკური მეთოდისაგან განსხვავებით უფრო მეტ დროს მოითხოვს. ფაქტობრივად, საკითხი ასე დგას, გამსწორებლის სანდოობის მოთხოვნილი დონის მისაღწევად ანალიტიკური მეთოდია უფრო ეკონომიური თუ ჰოლისტიკური მეთოდი. მეორე სუსტი წერტილია ის, რომ სხვადასხვა ასპექტზე კონცენტრაციამ შეიძლება მთლიანი ეფექტიდან ყურადღება გადაგვატანინოს ნაწერის ცალკეულ ნაწილზე. იმდენად რამდენადაც მთლიანის ეფექტი აღემატება ცალკეულ ნაწილებს, თხზულების ქულები შეიძლება იყოს ძალიან სანდო, მაგრამ არა ვალიდური. მართლაც, ასპექტები, რომლებიც სწორდება ცალკე (ნაწილები), სავარაუდოდ ემყარება ლინგვისტური შესრულების თეორიას, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ კონკრეტულ ანალიტიკურ ჩარჩოში ჩანს ავტორი, თუმცა, ეს შეიძლება არ იყოს სრული, სწორი ნაკრები ამგვარი ასპექტებისა.

გარდა ამისა, ამისგან თავის დასაცავად, გამსწორებლებს ხანდახან მოეთხოვებათ თითოეული თხზულების იმპრესიონისტული გასწორება. უნდა გამოვიკვლიოთ მნიშვნელოვანი შეუსაბამოები ამ ორი ტიპის გასწორების შედეგებს შორის.

აღნიშვნის ღირსია ანდერსონისეულ სქემის პოტენციური პრობლემა. ეს წარმოიშობება კომუნიკაციაში ხშირად დაშვებული შეცდომებისა და ამ შეცდომების ეფექტის დაკავშირებით. აუცილებელი არაა, ეს ორი ასპექტი მჭიდროდ მიემართებოდეს ერთმანეთს. ერთი ტიპის გრამატიკული შეცდომების მცირე რაოდენობას შეიძლება გაცილებით სერიოზული ეფექტი ჰქონდეს კომუნიკაციაზე, ვიდრე სხვა ტიპის შეცდომების დიდ რაოდენობას. პრობლემა არ არის შეზღუდული ანალიტიკური შეფასების სქემით, რა თქმა უნდა. ეს საკითხი უფრო რთულად დგას ჰოლისტიკური შეფასების სქემაში. გადაცდომათა ანალიზის სფეროში ჩატარებული კვლევა, განსაკუთრებით კი გადაცდომათა სერიოზულობა, გვთავაზობს ხედვას მათთვის, ვისაც სურს პრობლემის გადაჭრა მომავალში.

ანალიტიკური შეფასების სქემა ფართოდ გამოიყენებოდა კოლეჯის დონეზე ჩრდილოეთ ამერიკაში და ეკუთვნოდა ჯაკობს და სხვებს (1981), მოცემულია 104-ე გვერდზე. როგორც შეიძლება დავინახოთ, ის მოიცავს ხუთ კომპონენტს, ყველაზე მასშტაბურად მოცემულია დანამატები და ნაკლებად მექანიკა. დანამატები ასახავს კოლეჯის დონეზე წერის სხვადასხვა კომპონენტს. არ არის აუცილებელი, ისინი იყოს მისაღები ენის ელემენტარულ დონეზე ტესტირებისთვის, როდესაც მექანიკური შეცდომების კონტროლი უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს. შევნიშნავთ ასევე იმას, რომ მექანიკური შეცდომების შემთხვევების გარდა, ქულების დიაპაზონი უკავშირდება თითოეულ დესკრიპტორს, ეს კი აძლევს გამსწორებელს დაწეროს მრავალფეროვანი

ქულები იმის მიხედვით, თუ რამდენად კარგად ასახავს ტექსტის შესრულება დესკრიპტორს.

ESL COMPOSITION PROFILE				
STUDENT		DATE	TOPIC	
SCORE	LEVEL	CRITERIA		COMMENTS
CONTENT	30-27	EXCELLENT TO VERY GOOD: knowledgeable • substantive • thorough development of thesis • relevant to assigned topic		
	26-22	GOOD TO AVERAGE: some knowledge of subject • adequate range • limited development of thesis • mostly relevant to topic, but lacks detail		
	21-17	FAIR TO POOR: limited knowledge of subject • little substance • inadequate development of topic		
	16-13	VERY POOR: does not show knowledge of subject • non-substantive • not pertinent • OR not enough to evaluate		
ORGANIZATION	20-18	EXCELLENT TO VERY GOOD: fluent expression • ideas clearly stated/ supported • succinct • well-organized • logical sequencing • cohesive		
	17-14	GOOD TO AVERAGE: somewhat choppy • loosely organized but main ideas stand out • limited support • logical but incomplete sequencing		
	13-10	FAIR TO POOR: non-fluent • ideas confused or disconnected • lacks logical sequencing and development		
	9-7	VERY POOR: does not communicate • no organization • OR not enough to evaluate		
VOCABULARY	20-18	EXCELLENT TO VERY GOOD: sophisticated range • effective word/ idiom choice and usage • word form mastery • appropriate register		
	17-14	GOOD TO AVERAGE: adequate range • occasional errors of word/idiom form, choice, usage but meaning not obscured		
	13-10	FAIR TO POOR: limited range • frequent errors of word/idiom form, choice, usage • meaning confused or obscured		
	9-7	VERY POOR: essentially translation • little knowledge of English vocabulary, idioms, word form • OR not enough to evaluate		
LANGUAGE USE	25-22	EXCELLENT TO VERY GOOD: effective complex constructions • few errors of agreement, tense, number, word order/function, articles, pronouns, prepositions		
	21-18	GOOD TO AVERAGE: effective but simple constructions • minor problems in complex constructions • several errors of agreement, tense, number, word order/function, articles, pronouns, prepositions but meaning seldom obscured		
	17-11	FAIR TO POOR: major problems in simple/complex constructions • frequent errors of negation, agreement, tense, number, word order/function, articles, pronouns, prepositions and/or fragments, run-ons, deletions • meaning confused or obscured		
	10-5	VERY POOR: virtually no mastery of sentence construction rules • dominated by errors • does not communicate • OR not enough to evaluate		
MECHANICS	5	EXCELLENT TO VERY GOOD: demonstrates mastery of conventions • few errors of spelling, punctuation, capitalization, paragraphing		
	4	GOOD TO AVERAGE: occasional errors of spelling, punctuation, capitalization, paragraphing but meaning not obscured		
	3	FAIR TO POOR: frequent errors of spelling, punctuation, capitalization, paragraphing • poor handwriting • meaning confused or obscured		
	2	VERY POOR: no mastery of conventions • dominated by errors of spelling, punctuation, capitalization, paragraphing • handwriting illegible • OR not enough to evaluate		
TOTAL SCORE		READER	COMMENTS	

ანალიტიკურ და ჰოლისტიკურ შეფასებასა და გასწორებას შორის არჩევანი დამოკიდებულია ტესტირების მიზანზე. თუ მოთხოვნილია დიაგნოსტიკური

ინფორმაცია პირდაპირ ქულების მიხედვით, მაშინ ანალიტიკური შეფასება აუცილებელია (4). არჩევანი ასევე დამოკიდებულია გასწორების პირობებზე. თუ მას ახორციელებს ერთი პატარა ჯგუფი, მაშინ ჰოლისტიკური გასწორება, რომელიც, სავარაუდოდ, უფრო ნაკლებ დროს წაიღებს, უფრო მისაღები შეიძლება იყოს.

მაგრამ თუ ნაშრომები უნდა გასწორდეს ჰეტეროგენული და სავარაუდოდ ნაკლებად დატრენინგებული ჯგუფის მიერ ან რამდენიმე სხვადასხვა ადგილას, მაშინ უნდა მივმართოთ ანალიტიკურ შეფასებას. რომელიც არ უნდა გამოიყენებოდეს, თუ გვინდა მაღალი სიზუსტის მიღწევა, რამდენჯერმე გასწორებაა სასურველი.

შეფასების სქემის აგების ეტაპები

შეფასების ვალიდური სქემის შექმნა არაა მარტივი საქმე. საჭიროა პრაქტიკული სახელმძღვანელო სქემის ასაგებად, ასევე იმის გათვალისწინება, რომ ნაკლებადაა შესაძლებელი ვრცელი ემპირიული კვლევა ან გაფართოებული სტატისტიკური მეთოდების გამოყენება. ეს ასევე შეიძლება გამოვიყენოთ ზეპირი შეფასების სქემისთვის.

1. შეკითხვა: რა არის ტესტის მიზანი?

- რამდენი განსხვავება უნდა გაკეთდეს ერთი უნარის ფარგლებში?
- გამსწორებლებმა როგორ უნდა ჩააბარონ ანგარიში?
- ამა თუ იმ უნარის რომელი კომპონენტების გაზომვა გსურთ?
- იგულისხმება თუ არა უკუკავშირის მიღება? თუ კი, რამდენად დეტალური უნდა იყოს ეს?

2. ზემოთ მოყვანილი კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, გადაწყვიტეთ:

- ნაშრომების გასწორების პროცესი უნდა იყოს ანალიტიკური, ჰოლისტიკური თუ ორივე ერთად?
- გასწორების სქემაში რამდენი კომპონენტი უნდა იყოს წარმოდგენილი
- რამდენი ცალკეული დონე უნდა იყოს წარმოდგენილი შეფასების სქემაში?

3. მოძებნეთ არსებული სქემები, რომლებშიც თქვენი საჭიროებების მსგავსი ინფორმაციაა მოცემული, ეს დაგეხმარებათ თქვენი სქემის შექმნაში.

4. გადაამუშავეთ არსებული სქემები თქვენი მიზნების მიხედვით.

5. გამოსცადეთ თქვენ მიერ შეფასების შემუშავებული სქემა და ჩაასწოროთ საჭიროების შემთხვევაში. თუ გაქვთ ამის შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ გამოსცადეთ თქვენი სქემა, სანამ საბოლოო სკალირებას მოახდენდეთ.

ყოველი გამოყენებული სქემა, ჰოლისტიკური თუ ანალიტიკური, უნდა ასახავდეს ტესტის კონკრეტულ მიზანს და შეფასების ფორმას. შეფასების ვალიდური სქემის შემუშავება არაა ადვილი საქმე. უმჯობესია ჯერ არსებული სქემების შესწავლა და განხილვა და მათგან თქვენს საჭიროებებთან ყველაზე ახლოს მდგომი ვარიანტების ამორჩევა. თქმაც არ სჭირდება იმას, რომ არსებული სქემა უნდა გადაამუშავოთ და მოარგოთ იმ სიტუაციას, რომელშიც გამოიყენებთ მას. დაბოლოს, ამ ნაწილში, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სქემის შერჩევისა და დამუშავების შემდეგ, შეაწყობინეთ კანდიდატებს, რომ ეს არის მათი ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები. უკუგებისთვის მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატები იყვნენ ინფორმირებულები.

განახორციელოთ შეფასების გამოსაყენებელი სქემის სკალირება

შეფასების ყოველმა სქემამ, რომლის გამოყენებაც იგეგმება, პირველ რიგში, უნდა გაიაროს სკალირება. როგორც წინა თავში ვისაუბრეთ, ეს ნიშნავს ტესტირების პროცესში შესრულებული დავალებების ნიმუშების შეგროვებას და მთლიანი სქემის გადაფარვა. ტესტირების ჯგუფი (ან სხვა ექსპერტები) შემდეგ განიხილავენ ამ ნიმუშებს და დაადგენენ, რომელი მათგანი მიემართება სრულად რელევანტურ სქემას. დანიშნული ნიმუშები განსაზღვრავენ სქემის შემდგომი გამოყენების პირობებს და წარმოადგენენ მნიშვნელოვან სატრენინგო მასალებს.

გამსწორებლების შერჩევა და მათი ტრენინგი

ყველა არ გამოდგება წერილობით ნაშრომის გამსწორებლად ტრენინგის პირობებშიც კი. იდეალურ შემთხვევაში, დატრენინგებული გამსწორებლები უნდა იყვნენ ტესტის სამიზნე ენის მშობლიური დონის მატარებლები (ან მშობლიური ენის დონესთან მიახლოებულები). ისინი კარგად უნდა გრძნობდნენ ენას, უნდა ჰქონდეთ წერის სწავლებისა და წერით ნაშრომების შეფასების გამოცდილება. ასევე კარგი იქნება, თუ მათ ექნებათ გავლილი ტესტირების ტრენინგები. მე რეკომენდაციას ვუწევ იმას, რომ ტრენინგები ჩატარდეს სამ ეტაპად, რომელთაგანაც ყოველი უნდა გაიმართოს სხვადასხვა დრეს. თუ შესაძლებელია, ტრენინგები უნდა ჩატარდეს ერთმანეთის მიყოლებით, ყოველ მომდევნო დღეს.

ტრენინგის შესაძლო გეგმა ასეთია:

ტრენინგის პირველი ნაწილი: საფუძვლები და მიმოხილვა

- საფუძველი და დასაბუთება
- მონაწილეებს ეძლევათ წერითი აქტივობების ცნობარი, ისინი გადიან შინაარსს.
- მონაწილეებს აძლევენ წერითი დავალებების მაგალითებს, ყოველი დონიდან თითო დავალება. მონაწილეები რელევანტურ დესკრიპტორებს უდარებენ ნაშრომებს. მსჯელობა გაიმართება თითოეული დავალებისა და მისი შეფასების შესახებ. ტრენინგის შეათანხმებს დასრულებულ სქემას თითოეული ნაწილის შეფასებისათვის.
- ყოველი ნაშრომი უნდა ეხებოდეს ერთსა და იმავე თემას ტრენინგის ყველა ეტაპისთვის.
- ტრენინგის დროს უნდა განიხილებოდეს სულ მცირე ერთი შემთხვევა, როდესაც სრულიად ნაშრომის განსხვავებული ნაწილები წარმოდგენს იმავე დონეს. მაგალითად, ერთი შეიძლება იყოს კარგად შესრულებული, მაშინ როდესაც მეორეში კარგად არის წარმოდგენილი ნაშრომის სტრუქტურა და თანამიმდევრულობა, მაგრამ შეიცავს ძალიან ბევრ გრამატიკულ შეცდომას.
- მონაწილეებს უნდა ვთხოვოთ, შეისწავლონ ცნობარი და თხზულებების ნიმუშები, ვიდრე გადავლენ მეორე ეტაპზე.

ტრენინგის მეორე ეტაპი

- ცნობარის დამუშავების შედეგად წამოჭრილ შეკითხვებს გაეცემა პასუხი.

- ნაშრომის სკალირებული ნაწილები გადაეცემა ყოველ მონაწილეს (ყველა დონე უნდა იყოს მოცული, შუაში წარმოდგენილი უნდა იყოს დამატებითი მაგალითებიც). მონაწილეებს უნდა ვთხოვოთ, დაასრულონ შეფასების ფურცელი დამოუკიდებლად და განსაზღვრონ თითოეული ნაწილის დონე.
- დისკუსია უნდა გაიმართოს აღწერილი აქტივობის შემდეგ. ტრენერი ათანხმებს საბოლოო სქემას თითოეული დავალებისთვის. ეს შეიძლება არ იყოს გამომწვევი.
- შეფასების ყოველი დასრულებული ფურცელი ინახება როგორც მონაწილის მიერ შესრულებული აქტივობა

ტრენინგის მესამე ეტაპი შეფასება

- მეორე ეტაპის მსგავსად, ოღონდ დისკუსიის გარეშე.
- სიზუსტის შეთანხმებული დონის დაცვა აუცილებელია იმისთვის, ვინც იქნება გამსწორებელი. ის, ვინცა ამას ვერ მიაღწევს, ვერ გახდება გამსწორებელი.

მიჰყევით გასწორების მისაღებ პროცედურებს

უნდა დავუშვათ, რომ გამსწორებლებმა უკვე გაიარეს ტრენინგი. რადგან ტესტი უკვე დასრულებულია, უნდა მოვძებნოთ ამოსავალი ნაწერი, რომელიც მაგალითად გამოიყენება ყოველი დავალების უნარების საკვანძო დონისთვის (ზემოთ ხსენებული ინგლისურენოვანი უნივერსიტეტის შემთხვევაში ასეთია „ადეკვატური“, „არაადეკვატური“, სხვა ტესტმა შეიძლება მოითხოვოს სხვა მაგალითები ყველა დონისთვის). ასლები უნდა წარედგინოს გამსწორებლებს საწყისი ქულების დაწერისთვის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს ამოსავალი საკვანძო შეფასებები განიხილება და დადგინება, შეიძლება დაიწყოს გასწორების საბოლოო პროცესი. ყოველი სტუდენტის მიერ შესრულებული ყოველი დავალება უნდა გასწორდეს ორი ან მეტი გამსწორებლის მიერ (რაც შეიძლება მეტი გამსწორებელი იქნება ჩართული ამ პროცესში), ისინი წერენ ქულებს ცალკე ფურცლებზე. მესამეც, ჯგუფის ხელმძღვანელმა უნდა შეადაროს და შეაჯეროს ქულები და უნდა გამოავლინოს შეუსაბამობები ერთსა და იმავე წერით დავალებებში დაწერილ ქულებში. თუ შეუსაბამობა პატარაა, ორი გამსწორებლის მონაცემებიდან შეიძლება საშუალო ქულის გამოყვანა. როდესაც ეს განსხვავება დიდია, ჯგუფის ხელმძღვანელი წერს გადაწყვეტ ქულას. ასევე საინტერესოა კანდიდატების მიერ შესრულებულ სხვადასხვა დავალებას შორის მიღებული შეუსაბამობები. ამან შეიძლება ზუსტად გვიჩვენოს მათი შესრულება, მაგრამ ეს ასევე შეიძლება იყოს არაზუსტი გასწორების შედეგიც. მნიშვნელოვანია ის, რომ გასწორების პროცესი მიმდინარეობდეს მშვიდ, კარგად განათებულ გარემოში. გამსწორებლები არ უნდა გადაიღალონ. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლისტიკური გასწორებამ შეიძლება სწრაფად ჩაიაროს, გამსწორებლების კონცენტრაციის უზრუნველყოფა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მრავალჯერადმა გასწორებამ უნდა უზრუნველყოს გამსწორებლის სანდოობა, მაშინაც კი თუ ყველა გამსწორებელი არ იყენებს ერთსა და იმავე სტანდარტს. მიუხედავად იმისა, რომ გასწორება დასრულდა, სასარგებლო იქნება სტატისტიკური ანალიზის ჩატარება იმის გამოსავლენად, თუ რომელიმე გამსწორებელს აქვს მიუღებელი შედეგები.

მაგალითად, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ერთი პიროვნება უფრო მაღალ ქულებს წერს, ვიდრე დანარჩენები. ეს უნდა შევატყობინოთ მას. თუ რომელიმე გამსწორებლის რეიტინგი თავისებურია, მაგრამ არა ერთი მიმართულებით, უპრიანი იქნება, თუ მას შემდგომში აღარ გავასწორებინებთ ნაშრომებს.

უკუკავშირი

ბევრი სიტუაცია იქნება ისეთი, როდესაც კანდიდატების ნაშრომების უკუკავშირი იქნება სასარგებლო. უკუკავშირის დროებითი შინაარსის ფორმა შეიძლება გადაწყდეს სკალირების დროს. აქ, მაგალითად, არის ელემენტების ჩამონათვალი, რომელთა სკალირებაც მიზანშეწონილია.

გარდა ამისა, ლინგვისტური მახასიათებლების (გრამატიკა, შეზღუდულად ან არასწორად გამოყენებული ლექსიკური ერთეულები) უკუკავშირის ყოველი ფორმის შექმნისას უნდა ჩავთვალოთ შემდეგი ელემენტები:

ზოგადი შენიშვნები:

- დავალების არასრულფასოვნად შესრულება შემდეგი მიმართულებით:
 1. თემა: ყველა ნაწილი არ არის განხილული. ძალიან ზედაპირული მსჯელობა
 2. ოპერაციები (შედარება და დაპირისპირება)
 - აზრსმოკლებული გამეორებები

უშუალოდ ნაწერთან დაკავშირებული შენიშვნები:

- ციტირებისას დაშვებული პუნქტუაციური შეცდომები
- დიდი ასოების წერასთან დაკავშირებული შეცდომები
- სტილების აღრევა
- წინადადებების შეკავშირებისას დაშვებული შეცდომები
- წინადადებების ფრაგმენტების არასწორად გამოყენება
- ხელწერა

მკითხველის აქტივობები

1. მიჰყევით ამ თავში მოცემულ რჩევას, შექმენით ორი წერითი დავალება, რომელიც თქვენი ნაცნობი სტუდენტების ჯგუფისთვის. ამოცანები თქვენ თვითონ შეადგინეთ. თუ შესაძლებელია, სთხოვეთ სტუდენტებს მათი შესრულება. დააკვირდით, შეასრულა თუ არა რომელიმე სტუდენტმა დავალება თქვენი მოლოდინისაგან მნიშვნელოვანი განსხვავებით? თუ ასეა, შეგიძლიათ გაარკვიოთ, რატომ? გსურთ თუ არა დავალებების გადამუშავება ან შეცვლა?

2. ამ აქტივობის განხორციელება უმჯობესია კოლეგებთან ერთად. შეაფასეთ ქვემოთ მოყვანილი სამი მოკლე თხზულება თემაზე: როგორ ავაცვაოთ ტურიზმი. შეფასებისას გამოიყენეთ ამ თავში მოცემული რომელიმე სქემა. როგორ ფიქრობთ, რომელი სქემის გამოყენებაა უფრო ადვილი და რატომ? რამდენად მსგავსი ქულები დაწერეთ ნაშრომებში თქვენ და თქვენმა კოლეგებმა?

შეგიძლიათ ახსნათ მიღებული დიდი განსხვავებები? სხვადასხვა სქემა თხზულებების გასწორების თანაბარ საშუალებას იძლევა? თუ არა, შეგიძლიათ უპასუხოთ რატომ? რომელ სქემას რომელ ვითარებაში გაუწევდით რეკომენდაციას?

1. დღესდღეობით ბევრი ქვეყანა ცდილობს განავითაროს ტურიზმი და გაზარდოს მისგან მიღებული შემოსავლები. ამიტომ ტურიზმს უწოდებენ ქარხანას კვამლსადენის გარეშე. თურქეთი, რომელსაც ექვგარეშე სჭირდება უცხოური კაპიტალი, ცდილობს გაზარდოს ქვეყანაში ჩამოსული სტუდენტების რაოდენობა. რა უნდა გაკეთდეს ამ რიცხვის გასაზრდელად? პირველ რიგში, უკეთესად და უფრო მეტად უნდა მოხდეს რეკლამირება საზღვარგარეთის ქვეყნებში და ბევრი ტურისტული ოფისი უნდა გაიხსნას, რათა მოხდეს ხალხის ინფორმირება და მათ გადაწყვიტონ თურქეთში ჩამოსვლა. მეორე მხრივ, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაა მნიშვნელოვანი სასტუმროები, ტრანსპორტი და კომუნიკაციები. უნდა გაიზარდოს სასტუმროების რიცხვი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის რიცხვი, რაც ხელს შეუწყობს საკომუნიკაციო ხაზების გაუმჯობესებას. მესამე ფაქტორიც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც წინა ორი. ეს არის მომსახურე პერსონალის ტრენინგი. ესეც ტურიზმის საბაზისო მოთხოვნაა, რადგან ტურისტს უნდა იხილოს კარგად მომზადებული ექსპურსიამდლოლი ან უნარების მქონე სასტუმროს მენეჯერი. გაიხსნება ახალი სკოლა, რომელშიც მომსახურე პერსონალს ჩაუტარდება ტრენინგები. ისინი მიიღებენ არა მარტო თეორიულ ცოდნას, არამედ პრაქტიკულ გამოცდილებასაც. ქვეყნები, რომლებიც ტურისტების ამ სამ ამოსავალ მოთხოვნას აკმაყოფილებენ, უკვე აუმჯობესებენ ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს. ამის საუკეთესო მაგალითია ესპანეთი ან საბერძნეთი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შემოსავლები თურქეთსაც სჭირდება, არაფერს აკეთებს ამის მისაღწევად. ფაქტობრივად, ყველა ეს პირობა უნდა იყოს დაკმაყოფილებული დღემდე. უკვე გვინათ, მაგრამ მაინც შეიძლება ამ რეფორმების განხორციელება დროის დაკარგვის გარეშე.

2. ქვეყანა ვერ განვითარდება, თუ მისცემს ხალხს საშუალებას თავისუფლად ისუნთქონ და გაიფართოონ თვალსაწიერი და შეიტყონ იმაზე მეტი, რაც ხდება ქუჩის ბოლოში. ეს შეიძლება მოხდეს ტურიზმის საშუალებით.

არსებობს რამდენიმე გზა ქვეყანაში ხალხის მოსაზიდად. პირველ რიგში, რეკლამასა და ინფორმაციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ეს რეკლამა და ინფორმაცია უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა ადგილის ხარისხს. რაც უფრო მეტი დრო გადის და რაც უფრო მეტ ინფორმაციას აგროვებენ ტურისტები ქვეყნის შესახებ, უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ ისინი კარგ გამოცდილებას მიიღებენ. ადამიანები მოგზაურობენ ერთი ადგილიდან მეორეში შვებულებისა და არდადეგების გატარების მიზნით, სხვა კულტურის სანახავად ან კონფერენციაზე დასასწრებად. ეს ყველაფერი კი საჭიროებს ინფრასტრუქტურას. მნიშვნელოვანია რამდენიმე საკითხის გარკვევა. სასტუმროები, ტრანსპორტი და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა არის მნიშვნელოვანი ასპექტი. გარკვეულწილად, ჩვენ სირთულეები შეიძლება დავიყვანოთ ერთ საკითხამდე - ეს არის ფული. უფრო მეტიც, ეს უკავშირდება არა მარტო ფინანსურ გარემოებებს, არამედ ტურისტებისადმი დამოკიდებულებასაც. განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში უნდა გვახსოვდეს მომავლის გამოწვევები და არა წარსულის შეცდომები. ამის მისაღწევად საჭიროა პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ბევრ ქვეყანაში დგას, არის განათლების სისტემისა და შესაძლებლობების, ასევე გადაწყვეტილებების შესაბამისობა. ექსპურსიამდლოლებისა და სასტუმროს მენეჯერების განათლება არის უფრო და უფრო მნიშვნელოვანი. შედეგად, ერთხელ უნდა ითქვას, რომ ჩვენ შეგვიძლია თურქეთში ტურისტების რაოდენობის გაზრდა გარკვეული ზომების

გატარების მეშვეობით. რეკლამა, ინფორმაცია, ინფრასტრუქტურის განვითარება და პერსონალის ტრენინგი შეიძლება იყოს ეფექტური გზა, მაგრამ მთელი მოსახლეობაც ასევე უნდა იყოს დაინტერესებული, შეუწყოს ამ საქმეს ხელი.

3. დღესდღეობით ტურიზმი ხდება ძირითადი ინდუსტრია მთელ მსოფლიოში. ბევრი ქვეყნისთვის ტურისტული ინდუსტრია შემოსავლის ძირითადი წყაროა.

ყველა ქვეყანას აქვს თავისი მიზანი ტურისტებს შესთავაზოს განსაკუთრებული გასართობი და ეს უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც თურქეთს ვუწევთ რეკლამას საზღვარგარეთ. მაგალითად, თურქეთმა, რომელსაც უნდა ქვეყანაში ჩამოსული უცხოელი ტურისტების რაოდენობის გაზრდა, უნდა გაუკეთეს რეკლამა თავის კულტურასა და მზიან ამინდებს.

ისეთ ინფრასტრუქტურის განვითარება, როგორიცაა სასტუმროები, ტრანსპორტი და კომუნიკაციები, თამაშობს მნიშვნელოვან როლს. შეიძლება უფრო მეტი სასტუმრო აშენდეს, სასტუმროები უნდა იყოს სუფთა. ახალი და თანამედროვე სატრანსპორტო სისტემა უნდა ემსახურებოდეს უცხოელ ტურისტებს. და კიდევ ერთი, საკომუნიკაციო სისტემა უნდა მუშაობდეს გამართულად და რეგულარულად, რათა კარგად მოემსახუროს ამ ხალხს.

ტურისტებს არ უნდათ იარონ ცხვრებივით დაბნეულად. მათ უნდათ თვითონ მოინახულონ ღირსშესანიშნაობები და თავი აარიდონ ადგილებს, სადაც ირევა უამრავი სხვა ტურისტი. ამისთვის უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები ექსკურსიამდლოლებს, სასტუმროს მენეჯერებს. ისინი ტურისტებივით უნდა იქცეოდნენ და კარგად იცოდნენ ინგლისური ენა.

თუ ამ მხრივ ტურისტებს შევუქმნით კომფორტს, ტურიზმი განვითარდება და ქვეყანასაც დიდ სარგებლობას მოუტანს (ჰუგესი და სხვ. 1987, 145–7).

3. ამ აქტივობის განხორციელებაც ასევე უმჯობესია კოლეგებთან ერთად. შექმენით წერილობითი ნამუშევრების ჰოლისტიკური და ანალიტიკური გასწორებების სქემა თქვენთვის უკვე ნაცნობ სტუდენტთა ჯგუფთან გამოსაყენებლად. თუ შესაძლებელია, გაასწორეთ სტუდენტების მიერ შესრულებული ორი დავალება (აქტივობა 1) ორივე მეთოდის გამოყენებით. დააკვირდით განსხვავებებს გამსწორებლებსა და მეთოდებს შორის წინა აქტივობის მსგავსად. რა ცვლილებებს შეიტანდით შეფასების ამ სქემებში? ამ სქემათაგან რომელია თქვენი მიზნებისთვის უფრო სასარგებლო?

შემდგომი დასამუშავებელი მასალა

ვიგლი (2002) გვამღევს წერიტი ნამუშევრების შეფასების შესახებ სრულ ინფორმაციას. ეს მოიცავს თავებს პორტფოლიოს შეფასებისა და წერიტი აქტივობების მომავალი შეფასების შესახებ (კომპიუტერის, როგორც გამსწორებლის, ჩართვით). ასევე რეკომენდაციას ვუწევთ იაკობსი და სხვების ნაშრომს (1981), რომლის შეფასების სქემაც წარმოვადგინეთ ამ თავში. ჰამპ-ლიონსი (1991) წარმოგვიდგენს შრომების კრებულს აკადემიურ კონტექსტში წერილობითი დავალებების/ნაშრომების შეფასების შესახებ. ჯენინგსი და სხვები (1999) ასკვნიან, რომ თემის არჩევა არ იძლევა განსხვავებებს გამსწორებელთა ქულებს შორის. ჰამპ-ლიონსი (1995) სვამს ჰოლისტიკურ გასწორებასთან დაკავშირებულ პრობლემას. ნორსი და შნაიდერი (1998) მსჯელობენ ენის ცოდნის დონის

შესაფასებელი სქემის განვითარების შესახებ. ევროსაბჭოს (2001) აქვს არაერთ სქემა (არამხოლოდ წერით უნარების შესაფასებლად), რომლებიც პოტენციურად სასარგებლოა ტესტირებაში ჩართული პირებისთვის, არა მხოლოდ ტესტის საკუთარი ვერსიის შემუშავების თვალსაზრისით, არამედ ბიბლიოგრაფიის ანოტირებისთვის. ვეიგლი (1994) საუბრობს ტრენინგის ეფექტის შესახებ ESL თხზულების შემთხვევაში. გრინბერგი (1986) საუბრობს TOEFL-ის წერითი უნარების შემმოწმებელი ტესტის განვითარების საკითხებზე. ამ ნაშრომის წერის პროცესში TOEFL-ის ვებგვერდზე წარმოდგენილია ასი TWE თხზულების ნიმუში, რომელთა გადმოწერაა შესაძლებელი. სრული ACTFL და ILR სქემები შეგიძლიათ მოძებნოთ ინტერნეტში (იხილეთ წიგნის ვებგვერდი). გადაცდომების სიხშირისა და გავრცელების არეალის შესახებ მსჯელობისთვის იხილეთ ჯეიმსი (1998). გოდშელკი და სხვ. (1966) აღწერენ წერითი უნარების შემმოწმებელ არაპირდაპირ ტესტს.

(1) ჩვენ ასევე ვვარაუდობთ, რომ ელემენტარული დონის მქონე სტუდენტების წერილობითი ნამუშევრები არ უნდა ექვემდებარებოდეს ტესტირებას. წერითი უნარები, რომლებიც მათ მოეთხოვებათ, შეიძლება შემოწმდეს არაფორმალურად.

(2) ცნობარში მოცემულია როგორც „ფუნქციები“

(3) ACTFL-ის შეფასების ერთზე მეტი სქემა არსებობს, რომელთა ნახვაც შესაძლებელია ინტერნეტში.

(4) თუ გვაქვს ჰოლისტიკური შემოწმება, ჩამონათვალი შეიძლება იქნეს გამოყენებული კონკრეტული ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსარკვევად (იხილეთ ცხრილი 108-ე გვერდზე).

10. ზეპირი უნარების ტესტირება

წინამდებარე თავში მოცემულია ვარაუდი, რომ სალაპარაკო ენის სწავლების მიზანი არის სამიზნე ენაზე ინტერაქციის უნარის წარმატებით განვითარება, ეს კი მოიცავს როგორც გაგებას, ისევე პროდუცირებას. ასევე ივარაუდება ის, რომ სწავლების ყველაზე საწყის ეტაპზე ამ უნარის შემმოწმებელი ფორმალური ტესტირება არ უნდა ჩატარდეს, არაფორმალური დაკვირვება იძლევა ყველა სახის და საჭირო დიაგნოსტიკურ ინფორმაციას.

ზეპირი უნარების ტესტირებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემა არსებითად იგივეა, რაც წერითი ტესტირების შემთხვევაში.

1. ჩვენ გვინდა შევქმნათ ამოცანათა ნაკრები მოსახლეობის იმ ზეპირი კომუნიკაციის აქტივობების ნიმუშების მოპოვების შედეგად, რომლებიც უნდა წარმოადგინონ კანდიდატებმა.

2. ამოცანები უნდა ავლენდეს ენობრივ ქცევებს, რომლებიც ზუსტად წარმოადგენს კანდიდატის უნარებს.

3. ენობრივი ქცევების ნიმუშები შესაძლოა და უნდა გასწორდეს/შეფასდეს ვალიდურად და სანდოდ. წინა თავში მოყვანილი ჩამონათვალის კვალდაკვალ აქაც წარმოვადგენთ თითოეულ მათგანს სათითაოდ.

წარმომადგენლობითი ამოცანები

ყველა შესაძლო შიგთავსის დაკონკრეტება.

ჩვენ დავიწყებთ კემბრიჯის CCSE ზეპირი ინტერაქციის ტესტის შინაარსის გაცნობას, რომელიც ფარავს სერტიფიკატით გათვალისწინებულ ოთხივე დონეს.

ოპერაციები (1)

გამოხატვა: მოწონება, დაწუნება, უპირატესობის მინიჭება, შეთანხმება/შეთანხმებლობა, თხოვნა/მოთხოვნა, აზრის გამოთქმა, კომენტარი, დამოკიდებულება, დადასტურება, ჩივილი, მიზეზების ჩვენება, შედარება, დადასტურება.

პირდაპირი სამეტყველო აქტები: ინსტრუქცია, დარწმუნება, რჩევა, პრიორიტეტის მინიჭება.

აღწერა: მოქმედებები, მოვლენები, საგნები, ხალხი, პროცესები.

გამოვლენა: ინფორმაცია, მითითებები, დადასტურება, გარკვევა, დახმარება.

ნარატივი: მოვლენათა თანმიმდევრობა.

ანგარიში: აღწერა, კომენტარი, გადაწყვეტილებები და არჩევანი

ტექსტის ტიპი: დისკუსია

ადრესატები: ინტერლოკუტორი (მასწავლებელი კანდიდატის სკოლიდან) და ერთი კანდიდატი

თემა: თავისუფალი

დიალექტი, აქცენტი და სტილი: არაა დაკონკრეტებული

როგორც ვხედავთ, ტექნიკური აღწერილობის შინაარსი იგივეა, რაც წერითი უნარების შემმოწმებელი ტესტის შემთხვევაში. ისინი შეიძლება შევადაროთ ტესტს, რომლის პროცესშიც მე მივიღე მონაწილეობა. ოპერაციების დაჯგუფება (აქ მოყვანილია როგორც უნარ-ჩვევები) კატეგორიებად ეფუძნება ბიგატის მიდგომას (1987).

უნარ-ჩვევები

ინფორმაციული უნარ-ჩვევები

კანდიდატს უნდა შეეძლოს:

- პირადი ინფორმაციის წარმოდგენა;
- საზოგადო ინფორმაციის წარმოდგენა;
- მოვლენათა თანმიმდევრობის (ნარატივის) აღწერა
- ინსტრუქციების მიცემა
- შედარება
- ახსნა-განმარტება
- არგუმენტების მოყვანა
- მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენა
- საჭიროებების გამოხატვა
- მოთხოვნების წამოყენება
- თხოვნა
- დახმარების აღმოჩენა
- ნებართვის აღება
- ბოდიშის მოხდა
- იდეების დამუშავება
- მოსაზრების გამოთქმა
- მოსაზრების დაცვა
- ჩივილი

- ყოყმანი
- ანალიზი
- ბოდიშის მოხდა
- პერიფრაზი
- შეჯამება (რაც ითქვა იმის შეჯამება)
- წინადადების მიცემა
- უპირატესობების გამოხატვა
- დასკვნების გამოტანა
- კომენტარების გაკეთება
- დამოკიდებულების გამოხატვა

ინტერაქციული უნარები

კანდიდატს უნდა შეეძლოს:

- მიზნის გამოხატვა
- სხვა მოლაპარაკების მიზნების გამოცნობა
- დათანხმება
- საპირისპირო სხვა აზრის გამოხატვა
- საკუთარი მოსაზრების გამოვლენა
- ინფორმაციის გამოვლენა
- სხვების მიერ წამოჭრილი დამტკიცებების კითხვის ქვეშ დასმა
- განცხადების ან კომენტარების შეცვლა
- სხვების განცხადების ან მოსაზრებების დაცვა ან მხარდაჭერა
- სხვების დარწმუნების მცდელობა
- კომუნიკაციური მარცხის გამოსწორება
- გადამოწმება იმისა, რომ თანამოსაუბრემ სწორად გაიგო სათქმელი
- საერთო ენის გამონახვა
- ნათელის მოფენა/გარკვევა
- საკითხის გარკვევასთან დაკავშირებულ მოთხოვნაზე პასუხის გაცემა
- საკუთარი და სხვების შეცდომის გასწორება
- გაურკვეველი საკითხების მითითება
- გასაგები ინფორმაციის ჩვენება (ან გაუგებრობის მითითება)

ინტერაქციის მართვის უნარ-ჩვევები

კანდიდატს უნდა შეეძლოს:

- ინტერაქციის დაწყება
- საუბრის საგნის შეცვლა
- საუბრის განვრცობის პასუხისმგებლობის გაზიარება
- ინტერაქციაში ჩართვა
- ინტერაქციაში საუბრის რიგის დათმობა
- გადაწყვეტილების მიღება

- ინტერაქციის დასრულება

ტექსტის ტიპები

- პრეზენტაცია (მონოლოგი)
- დისკუსია
- საუბარი
- მომსახურება
- ინტერვიუ

თანამოსაუბრეები (ადრესატები)

- შეიძლება იყვნენ იმავე ან უფრო მაღალი სტატუსის წარმომადგენლები
- შეიძლება იყვნენ ნაცნობები ან უცნობები

თემები

კანდიდატებისთვის საინტერესოა ნაცნობი თემები

დიალექტი

სტანდარტული ბრიტანული ინგლისური ან სტანდარტული ამერიკული ინგლისური

აქცენტი

RP, სტანდარტული ამერიკული

სტილი

ფორმალური ან არაფორმალური

ლექსიკური მარაგი

არატექნიკური, გამონაკლისია მხოლოდ პრეზენტაციის მომზადების შედეგი

საუბრის სისწრაფე

კონკრეტული ამოცანიდან გამომდინარე

როგორც ვხედავთ, ტექნიკური აღწერილობების მეორე ნაკრები უფრო ტევადია, ვიდრე პირველი. უფრო მეტიც, უნარ-ჩვევების სამ კატეგორიად დაყოფა (ინფორმაციული, ინტერაქციული და მართვა) უნდა დაგვეხმაროს იმ ამოცანების შექმნაში, რომლებიც გამოგვადგება თითოეული მათგანისთვის სათანადო ნიმუშის გამოვლენაში. ბევრი თვალთახედვით, რაც უფრო დეტალურადაა წარმოდგენილი ტექსტის შიგთავსის ტექნიკური აღწერილობა, ტექსტი სავარაუდოდ უფრო ვალიდური იქნება. მკითხველებს სურთ შეარჩიონ მათი მიზნისთვის შესაფერისი სპეციფიკაციები.

ამოცანების შექმნისას ჩართეთ კონკრეტული შიგთავსის წარმომადგენლობითი ნიმუში

ნებისმიერი ზეპირი უნარების შემმოწმებელ ტესტში უნდა იყოს სრული ნიმუში წარმოდგენილი. ამის მიზეზი იგივეა, რაზეც წინა თავში ვისაუბრეთ. მოდით გადავხედოთ CCSE ტესტის მეოთხე დონის არსებულ მასალებს. ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში კანდიდატი ესაუბრება მისი ინსტიტუტის წარმომადგენელ მასწავლებელს. მეორე ნაწილში კანდიდატი ესაუბრება მის თანაკურსელ სტუდენტს, ხოლო ცოტა ხანში მათ დისკუსიაში ერთვება მასწავლებელი (2). საინტერესოა იმის წინასწარმეტყველება, თუ ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან რომელი გამოვლინდება ამ აქტივობის დროს. როდესაც თავად ვუყურებ ამ სიას, მე ვფიქრობ მოლაპარაკებებს შეუძლიათ მოსაზრებების გამოთქმა, მოწონების ან დაწუნების, უპირატესობების, მიზეზებისა და დასაბუთების გამოხატვა. მათ ასევე შეიძლება გამოიყენონ აღწერა, ნარატივი ან ანგარიშის ფორმატი, ეს კი, სავარაუდოდ, დამოკიდებულია მათ მიერ გამოთქმული აზრის დასაბუთების გზებზე. ჩემთვის მოულოდნელი იყო, როდესაც ვკითხულობდი გამსწორებლების ანგარიშს ამ ტესტის შესახებ. დოკუმენტში მითითებული იყო ის, რომ პირველი ამოცანა იყო „აღწერის, ახსნა-განმარტებისა და დასაბუთების გამოხატვის“ გამოვლენა. მეორე ამოცანა კი ისახავდა მიზნად „მოსაზრებათა გაცვლისა და დასაბუთების ჩვენებას.“

მაგრამ ეს მაძლევს იმის საშუალებას, რომ დავუკავშირო ერთმანეთს ეს ორი ასპექტი.

I ნაწილი

1. თქვენ გაქვთ ხუთი წუთი იმისთვის, რომ წაიკითხოთ დავალება და იფიქროთ იმის შესახებ, თუ რის თქმა გსურთ
2. თუ რამე ვერ გაიგეთ, ჰკითხეთ თქვენ გვერდით მყოფ მასწავლებელს.
3. შეგიძლიათ ჩაინიშნოთ ინფორმაცია. გამომცდელი არ გაითვალისწინებს მათ.
4. 5 მოსამზადებელი წუთის შემდეგ თქვენ შეხვალთ საგამოცდო ოთახში და ისაუბრებთ მითითებული საკითხის შესახებ მასწავლებელთან. გამომცდელი მოგისმენთ.

დავალება 3

როგორი უნდა იყოს კარგი მეგობარი?

თქვენ უნდა ესაუბროთ მასწავლებელს იმის შესახებ, თუ რას აფასებთ თქვენს მეგობრებში.

ქვემოთ გთავაზობთ მეგობრისთვის აუცილებელ თვისებებს:

სიკეთე

გულწფრელობა

ვის მხარზეც შეიძლება
ტირილი

და სხვ.

საერთო ინტერესები	მხიარულად ყოფნა	მხარდაჭერა
----------------------	--------------------	------------

როგორ ფიქრობთ, უმჯობესია გყავდეთ ერთი ან ორი ნამდვილი მეგობარი თუ ნაკლებად ახლო მეგობრების ფართო წრე?

როგორ ფიქრობთ, თქვენს რომელ თვისებებს აფასებენ თქვენი მეგობრები?

ინგლისურად ამბობენ: „სისხლი უფრო სქელია, ვიდრე წყალი“, რაც იმას გულისხმობს, რომ ოჯახური ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვანი და ღირებულია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ურთიერთობა.

უპირველეს ყოვლისა, რადგან ამოცანები არის ზედმეტად შეზღუდული (რაც არ არის მოცემული CCSE ტესტში), შეუძლებელია ყველა იმ ოპერაციის წინასწარ გამოცნობა, რომლებიც წარმოდგენილი იქნება ინტერაქციული ზეპირი ტესტირების დროს. მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კონკრეტული ამოცანებია წარმოდგენილი, როგორც ჩვენს შემთხვევაში, ინტერლოკუტორს შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს ზეპირი ტესტის შიგთავსზე. ამდენად, კანდიდატები კარგად უნდა იყვნენ გაწვრთნილები და ყოველთვის უნდა იცოდნენ სპეციფიკაციების ჩამონათვალი.

ნაწილი II

1. თქვენ გაქვთ ხუთ წუთი, რომ წაიკითხოთ დავალება და იფიქროთ იმის შესახებ, თუ რის თქმას აპირებთ.
2. თუ რამე ვერ გაიგეთ, ჰკითხეთ თქვენ გვერდით მყოფ მასწავლებელს. ჯერ არ დაიწოთ საუბარი თქვენს თანამოსაუბრესთან.
3. თქვენ შეგიძლიათ ჩაინიშნოთ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია. მასწავლებელი არ გაითვალისწინებს მათ.
4. 5 მოსამზადებელი წუთის შემდეგ თქვენ შეხვალთ საგამოცდო ოთახში და ისაუბრებთ მითითებული საკითხის შესახებ მასწავლებელთან. გამომცდელი მოგისმენთ.

დავალება 1

არ აქვს მნიშვნელობა გაქვთ თუ არა მობილური ტელეფონი, ბევრ ადამიანს აქვს საკუთარი მოსაზრება ამასთან დაკავშირებით.

დააკვირდით ქვემოთ მოყვანილ დებულებებს. დასვით ნიშანი ✓, იმ დებულების გასწვრივ, რომელსაც ეთანხმებით.

მე მძულს, როდესაც ადამიანები საუბრობენ ტელეფონზე თეატრში ან კინოში.

თუ გაქვს მობილური ტელეფონი, არასოდეს ხარ მარტო.

ძალიან საშიშია მანქანის მართვის დროს ტელეფონზე საუბარი.

მობილური ტელეფონით თავს უფრო უსაფრთხოდ ვგრძნობ.

მძულს ისინი - ადამიანები სულელებს ჰგვანან, როდესაც ქუჩაში დადიან და თან ტელეფონზე საუბრობენ.

გაუზიარეთ მობილურ ტელეფონთან დაკავშირებული თქვენი იდეები თქვენს თანამოსაუბრეს. ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რატომ აქვთ ადამიანებს მობილური ტელეფონები. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს მობილურ ტელეფონს?

როდესაც მასწავლებელი დაბრუნება, მოუყევით მას თქვენი მსჯელობის შესახებ. ის შემდეგ გკითხავს თქვენ, როდის და სად უნდა შეიზღუდოს მობილურ ტელეფონზე საუბარი.

კარგად თუ ცუდად, ცვლის თუ არა ტექნოლოგიები ჩვენი ურთიერთობების გზებს? რას ფიქრობთ მომავალ განვითარებაზე?

ზეპირი უნარების ვალიდური ნიმუშის გამოვლენა

აირჩიეთ სათანადო ტექნიკები

აქ წარმოდგენილია სამი ზოგადი ფორმატი: ინტერვიუ, ინტერაქცია თანაკურსელთან, აუციო ან ვიდეო ჩანაწერზე პასუხი და მსჯელობა.

ფორმატი 1 ინტერვიუ

შეიძლება ზეპირი ინტერაქციის ტესტირების ყველაზე ზოგადი ფორმატი იყოს ინტერვიუ. ეს ტრადიციული ფორმაა, თუმცა მას აქვს სულ მცირე ერთი პოტენციური და სერიოზული უარყოფითი მხარე. დამოკიდებულება გამომცდელსა და კანდიდატს შორის, როგორც წესი, ასეთია: კანდიდატი გამომცდელს ესაუბრება ყოველთვის, როგორც მასზე ზემდგომს და არ იჩენს ინიციატივას. შედეგად, საუბრის მხოლოდ ერთი სტილი ვლინდება და ბევრი სხვა ფუნქცია (როგორიცაა მაგალითად ინფორმაციის მოპოვება) არ ვლინდება კანდიდატის პასუხის დროს. თუმცა, ამ პრობლემის თავიდან აცილება შესაძლებელია გამოვლენის სხვადასხვა ტექნიკის ჩართვა ინტერვიუს პროცესში.

ასეთი სასარგებლო ტექნიკებია:

შეკითხვის დასმა და ინფორმაციის მოთხოვნა

კი/არა შეკითხვებს, ზოგადად, თავი უნდა ავარიდოთ. ამის გამოყენება გამონაკლისის სახით შეიძლება მხოლოდ ინტერვიუს დასაწყისში, როდესაც კანდიდატი ჯერ კიდევ ეგუება ვითარებას.

სხვადასხვა ოპერაციის წარმოდგენა (ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი) შეიძლება თხოვნის შემდეგი ფორმებით:

შეგიძლიათ აგვიხსნათ, რატომ/როგორ.....? და

შეგიძლიათ გვითხრათ, რას ფიქრობთ შესახებ?

დაზუსტების თხოვნა: როგორიცაა მაგალითად: ზუსტად რას გულისხმობთ? შეგიძლიათ უფრო დეტალურად აგვიხსნათ? რა იქნება ამის საუკეთესო მაგალითი? გვითხარით უფრო მეტი.

როდესაც რამე ვერ გაიგეთ: ეს მისაღებია მაშინ, როდესაც გამომცდელმა ზუსტად გაიგო, რას გულისხმობდა კანდიდატი, მაგრამ აინტერესებს, თუ როგორ მოიქცევა იგი ამგვარი სიტუაციაში. გამომცდელმა შეიძლება გამოიყენოს შემდეგი ფრაზა: უკაცრავად, მაგრამ ბოლომდე ვერ გავიგე თქვენი მოსაზრება.

კითხვის დასმის გამოწვევა: არის რამე ისეთი, რის შესახებაც გსურთ დამისვით შეკითხვა?

შეწყვეტა: რათა ვნახოთ, როგორ გაართმევს კანდიდატი თავს ამგვარ სიტუაციას.

შეწყვეტა საუბრის თემის შეცვლის მიზნით: რათა ვნახოთ, როგორ გაართმევს კანდიდატი თავს ამგვარ სიტუაციას.

ს უ რ ა თ ე ბ ი

ცალკეული სურათი განსაკუთრებით სასარგებლოა აღწერის უნარ-ჩვევების გამოსავლენად. სურათების (ან ვიდეორგოლების) ნაკრები ქმნის ბუნებრივ საფუძველს ნარაციისთვის (სურათების ნაკრები იხილეთ 92-ე გვერდზე).

რ ო ლ უ რ ი თ ა მ ა შ ე ბ ი

კანდიდატებს შეიძლება ვთხოვოთ, განასახიერონ როლი კონკრეტულ სიტუაციაში. ეს გვიჩვენებს ენობრივი ფუნქციების გამოვლენის მზაობას. შეიძლება იყოს მოკლე სიტუაციების სერია:

მეგობარი გეპატიჟებათ წვეულებაზე საღამოს, მაგრამ თქვენ გინდათ დარჩეთ სახლში და უყუროთ თქვენი საყვარელი სატელევიზიო სერიალის ბოლო სერიას.

მადლობა გადაუხადეთ თქვენს მეგობარს (რომლის როლსაც ასრულებს გამომცდელი) და თავაზიანად უთხარით უარი.

ან შეიძლება იყოს კიდევ უფრო ვრცელი საუბარი:

თქვენ გსურთ, რომ დედათქვენმა (რომლის როლსაც ასრულებს გამომცდელი) მოგცეთ უფრო მეტი ჯიბის ფული. მას არ მოსწონს ეს იდეა და არ გთანხმდებათ. ეცადეთ, გადააფიქრებინოთ მას.

თქვენ გსურთ ლონდონიდან პარიზში ჩაფრენა 13 მარტს და ერთი კვირის შემდეგ დაბრუნება. მოიძიეთ ყველა ინფორმაცია, რაც გჭირდებათ სამოგზაურო ბიუროს თანამშრომლისგან (რომლის როლსაც ასრულებს გამომცდელი).

ჩემი გამოცდილებით, როდესაც ჩვენი მიზანია 'ბუნებრივი' ენის გამოვლენა და მცდელობა, კანდიდატს დავავიწყოთ ის, რომ იგი გადის ტესტირებას, როლურმა თამაშმა შეიძლება დაგვინგრიოს ეს ილუზია.

მე აღმოვაჩინე, რომ ზოგიერთი კანდიდატი, კონკრეტულ ვითარებაში როლის განსახიერებისას კანდიდატები იყენებენ ნახევრად დამახსოვრებულ ნასწავლ ფრაზებს. ინტერპრეტაცია არ გულისხმობს იმას, რომ კანდიდატებმა უნდა ითამაშონ როლი (ყოველ შემთხვევაში ასეთი კონკრეტული როლი). თუმცა, სიტუაციის მარტივმა ინტერპრეტაციამ შეიძლება ტესტი აქციოს როგორც პროდუქტულად, ისე გასაგებად. თუ გვყავს ორი გამომცდელი, ერთ-ერთი მათგანი კანდიდატს ესაუბრება როგორც კანდიდატის მშობლიური ენის მონოლინგვალური მატარებელი, ხოლო მეორე - როგორც სამიზნე ენის მშობლიური ენის მონოლინგვალური მატარებელი.

შეიძლება შევქმნათ შემდეგი სიტუაცია:

მშობლიური ენის მატარებელს სურს დაპატიჟოს უცხოელი სტუმარი თავის სახლში და გაუშალოს სუფრა. კანდიდატმა უნდა გადასცეს მოწვევის ტექსტი და თარგმნოს იგი. გაგების უნარი შეიძლება შეფასდეს, როდესაც კანდიდატი დილობს იმის გადმოცემას, რასაც ამბობს სტუმარი. მართლაც, თუ ასეთ ხერხს არ გამოვიყენებთ, გაჭირდება იმის გამოვლენა, თუ რა გაიგო მან მნიშვნელოვანი ინფორმაციიდან.

პროდუცირება გამოიცდება, როდესაც კანდიდატი ცდილობს გადმოსცეს მშობლიურ ენაზე მოლაპარაკის აზრი. ამ წიგნის პირველი გამოცემაში მე ვთქვი, რომ მე არ ვუწევ რეკომენდაციას მომზადებულ მონოლოგს, როგორც კანდიდატის ლაპარაკის უნარების შეფასების საშუალებას. მე ვიცოდი, რომ ამ ტექნიკას, როგორც წესი, არასწორად იყენებენ ხოლმე. უნდა განვაცხადო, რომ ეს შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პრეზენტაციის მომზადების უნარი არის ის, რაც დასჭირდება კანდიდატს. ამდენად, ეს გამოგვადგება ისეთ ტესტში, რომელიც განკუთვნილია სწავლების ასისტენტებისთვის. ეს გამოგვადგება ცოდნის მიღწევის გასაზომ ტესტში, როდესაც პრეზენტაციის უნარის გამომუშავება არის კურსის მიზანი.

ხმამაღლა კითხვა

ეს არის კიდევ ერთი ტექნიკა, რომელიც უარვყავი პირველ გამოცემაში აღვნიშნავდი რა იმას, რომ არის მნიშვნელოვანი განსხვავება მშობლიური ენის მატარებლებს შორის ხმამაღალი კითხვის შემთხვევაში და რომ ჩარევა კითხვისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევებს შორის გარდაუვალია.

მაგრამ თუ ეს უნარი საჭიროა ან მისი განვითარება კურსის იზანია, მაშინ ამ ტექნიკის გამოყენება გამართლებულია

ფორმატი 2 ინტერაქცია თანაკურსელებთან

კანდიდატების ერთმანეთთან ინტერაქციის უპირატესობა შემდგომში მდგომარეობს: ეს გამოავლენს ენას, რომელიც მისაღებია ენის ფლობის თანაბარ დონეზე მყოფი ორი კანდიდატისთვის და რომელიც აღწერილია ტესტის სპეციფიკაციებში. ამან შეიძლება ასევე ხელი შეუწყოს კანდიდატებს ენობრივი უნარების უკეთ გამოვლენაში, რადგან ისინი შეიძლება უფრო თავში დარწმუნებულები გახდნენ განსხვავებით ვითარებისაგან, როდესაც პირისპირ არიან დომინანტურ, ერთი შეხედვით, ყოვლისმცოდნე

გამომცდელთან. თუმცა, პრობლემა იჩენს თავს. ერთი კანდიდატის ზეპირ გამოცდაზე შეიძლება სხვებმა მოახდინონ გავლენა. მაგალითად, თავში დარწმუნებული და ნაკლებად მგრძნობიარე კანდიდატი შეიძლება იყოს დომინანტი და არ მისცეს სხვა კანდიდატებს თავის გამოვლენის საშუალება. თუ გამოყენებული იქნება თანაკურსელების ერთმანეთთან ინტერაქციის ტექნიკა, წყვილი დიდი სიფრთხილით უნდა შეირჩეს. ზოგადად, ჩემი რჩევა იქნებოდა, ინტერაქციაში ორზე მეტი კანდიდატი არ იქნეს ჩართული, რადგან ამ შემთხვევაში იზრდება ცალკეული კანდიდატის მიერ ენობრივი უნარების გამოვლენის ჩავარდნის ალბათობა.

შესაძლო ტექნიკებია:

დისკუსია

თვალსაჩინო ტექნიკა საკითხთა ნაკრების მიცემა ორი კანდიდატისთვის განსახილველად, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული ზეპირი ინტერაქციის ტესტის შემთხვევაში. ამოცანა შეიძლება მოითხოვდეს, რომ კანდიდატი გასცდეს დისკუსიის ფარგლებს და მიიღოს გადაწყვეტილება.

როლური თამაში

როლური თამაში შეიძლება გაიმართოს ორ კანდიდატს შორის, ხოლო გამომცდელი შეიძლება იყოს დამკვირვებელი. ზოგიერთი როლისთვის უფრო ბუნებრივი იქნება გამომცდელის ჩართვა. მაგალითად, ძნელი წარმოსადგენია გამომცდელი, როგორც მეგობარი. თუმცა, როლურ თამაშთან ჩემ მიერ ზემოთ გამოთქმული ეჭვი კვლავ ძალაშია.

ფორმატი 3 პასუხები აუდიო და ვიდეო ჩანაწერებზე

პროცედურების ერთგვაროვნება შეიძლება მიღწეულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ ყველა კანდიდატი იჯდება ერთსა და იმავე კომპიუტერთან და მოისმენს ერთსა და იმავე აუდიო/ვიდეო ჩანაწერს (და როდესაც ყოველი კანდიდატი პასუხს გაჟღერებს მიკროფონში). ამ ფორმატს ხშირად ნახევრად პირდაპირს უწოდებენ და მან ხელი უნდა შეუწყოს სანდოობას. ეს შეიძლება ასევე ძალიან ეკონომიური იყოს იქ, სადაც ენების მოწყობილი აუდიტორია არსებობს, რადან კანდიდატების დიდი რიცხვის გამოცდა შეიძლება ერთსა და იმავე დროს. ამ ფორმატის ცალსახა უარყოფითი მხარე არის მოუქნელობა: არ არსებობს საშუალება თვალი გავადევნოთ კანდიდატების პასუხებს.

ARELS-ის (Association of Recognised English Language Schools) ინგლისური ენის ლაპარაკისა და გაგების კომპონენტების გამოცდის ტექნიკების მისაღები წყარო;

ეს მოიცავს:

სიტუაციების აღწერას;

მაგალითად:

ერთ მშვენიერ დღეს თქვენ სეირნობთ ქალაში და გხვდებით ორი მეგობარი. თქვენ დარწმუნებული იყავით, რომ დიდი ხნის წინ გაემგზავრნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში საცხოვრებლად. რას ეტყოდით მათ?

ცალკეული შენიშვნები

მაგალითად:

კანდიდატებს ესმით: „ვშიშობ, ვერ შევაკეთებ თქვენს მაგნიტოფონს, დიდი ბოდიში“ ან „დღეს კარგი ფილმი გადის ტელევიზორში“.

საუბრის სტიმულირება

მაგალითად:

კანდიდატს აქვს ინფორმაცია წარმოდგენის შესახებ, რომლის ნახვაც იგეგმება. კანდიდატს სთხოვენ, ესაუბროს მეგობარს, ანას, ტელეფონით, და სთხოვოს თეატრში წასვლა და მის კითხვებზე პასუხის გაცემა.

კანდიდატს ესმის:

ანა: გამარჯობა, რით შემოიძლია დაგეხმაროთ?

ანა: ერთი წუთი მოითმინეთ, რა სპექტაკლი გადის და ვისი დადგმაა?

ანა: არასოდეს მსმენია. ზუსტად როდის იწყება?

ანა: ძალიან მეუბერხულება ამის თქმა, მაგრამ იმედი მაქვს, ძალიან ძვირი არ იქნება.

ანა: როდის გინდა წასვლა და რამდენის გადახდა შეგიძლია?

ანა: ძალიან კარგი, ეს კარგი სადამო იქნება ნახვამდის.

მიაქციეთ ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ ანას საუბარი ეკრანზე იწერება, საუბრის სტილი აშკარად არაფორმალურია. ყველაფერთან ერთად, დავალების მოცემული პირობის მიხედვით, ორი კანდიდატი საუბრობს განსაზღვრულ დროში და სცემს პასუხს დროის ამავე ინტერვალში (მაგალითად, ათი წამი). ყურადღება ასევე მიაქციეთ შემდეგს: გაუგებრობის მიზეზი შეიძლება გახდეს შემთხვევა, როდესაც კანდიდატები არ აღნიშნავენ ბილეთების სხვადასხვა ფასს. ეს კი თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

TSE-ის (The Test of Spoken English/სალაპარაკო ინგლისურის ტესტი) ტესტი, რომელიც შექმნილია საგანმანათლებლო ტესტირების სერვისის მიერ, იყენებს უნარების გამოსავლენ იმავე ტექნიკებს, რომლებიც აქტუალურია ინტერვიუს დროს.

ტესტის სანიმუშო ვარიანტში მოცემულია სტანდარტული მითითებები:

კანდიდატებს ეძლევათ ქალაქის მარტივი რუკა და მას სთხოვენ, ა) წარმოადგინოს რეკომენდაციები ქალაქის ერთ-ერთ შენობასთან მისასვლელად; ბ) გადმოსცეს კინოთეატრის მიმართულება; გ) მოკლედ შეაჯამოს საყვარელი კინოფილმი და დაასახელოს ამის მიზეზები.

კანდიდატებს ეძლევათ სურათების სერია. სურათებში მოცემულია მამაკაცი, რომელიც პარკში ზის ახლად შეღებილ სკამზე. კანდიდატს სთხოვენ: ა) მოგვითხროს ამბავი; ბ) როგორ შეიძლება ამის თავიდან აცილება; გ) წარმოიდგინონ, რომ ეს მათ გადახდათ თავს, მათ უნდა მიაგნონ ქიმწმენდას და დაარწმუნონ მომსახურე პერსონალი, გაუწმინდონ ქურთუკი იმავე დღეს; დ) ისაუბრეთ გაზეთებისა და ტელევიზიის, როგორც ახალი ამბების წყაროების, დადებით და უარყოფით მხარეებზე (მამაკაცი პარკში კითხულობს გაზეთს!).

კანდიდატებს სთხოვენ ისაუბრონ თემაზე: რამდენად სასურველია ცხოველების ზოოპარკში გაჩერება. კანდიდატებს სთხოვენ განსაზღვრონ მათი სწავლის ძირითადი დარგი, აღწერონ ცხრილში მოცემულ ინფორმაცია და იმსჯელონ საკითხის არსზე. კანდიდატებს აძლევენ მოგზაურობის შესახებ ამობეჭდილ ინფორმაციას, რომელიც ჩასწორებულია ხელით. მათ უნდა წარადგინონ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გეგმავს ამ მგზავრობას და აუხსნას გაკეთებული ჩასწორებები. კანდიდატებს ეუბნებიან, რამდენი ხანი უნდა შეისწავლონ მათ მოცემული ინფორმაცია და რამდენი ხანი უნდა ისაუბრონ ამის შესახებ.

ორივე ტესტი (ARELS და TSE) უზრუნველყოფს სასარგებლო მოდელებს მათთვის, ვინც დაინტერესებულია ლაპარაკის უნარების შემმოწმებელი მედიაციური ტესტის შემუშავებით. თუმცა შევნიშნავთ, რომ TWE ტესტში არ არის ინტერაქციული უნარების შემმოწმების მცდელობა.

დაგეგმეთ და ააგეთ ტესტი დიდი სიფრთხილით

1. შექმენით რაც შეიძლება გრძელი ტესტი. არ არის მოსალოდნელი, რომ დიდი მოცულობის ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია 15 წუთზე ნაკლებ დროში, როდესაც 30 წუთი, სავარაუდოდ, უზრუნველყოფს უმეტესი მიზნებისთვის საჭირო ინფორმაციას. როგორც ადგილის განმსაზღვრელი ტესტის ნაწილი, ხუთ ან ათწუთიანი ინტერვიუ უნდა იყოს იმ დონეზე მომზადებული, რომ შეძლოს სტუდენტების კლასებში განაწილებასთან დაკავშირებული სერიოზული შეცდომების არიდება.

2. დაგეგმეთ ტესტი დიდი სიფრთხილით. მაშინ როდესაც ინდივიდის ზეპირი უნარების შემმოწმებელი ტესტის ერთ-ერთი ძლიერი მხარე არის კანდიდატისთვის თავის გამოვლენის მიცემის საშუალება, კომისიის წევრი არასოდეს უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ერთი ტიპის ამოცანით. მაგალითად, შეცდომაა ტესტირების დაწყება კურსის ზოგადი იდეით. ამის მარტივი გეგმა ქვემოთაა მოცემული.

შესავალი: სახელი და ა. შ.

როგორ მოხვედით დღეს აქ? იყო გადაადგილების პრობლემა

სკოლა: პოზიცია, კლასის ზომა, ბავშვები

ჩვეულებრივი სასკოლო დღე; სკოლის არდადეგები

სამი რჩევა ახალ მასწავლებლებს

გამოცდები და ტესტები

მოგვახსენეთ ინგლისური ტიპუს შეცდომებზე
როგორ ასწავლით... ახლანდელ დროს და წარსულ დროს
როგორ აწავლით მომავალ დროს, პირობით წინადადებებს

რა იქნებოდა, რომ არ ყოფილიყავით მასწავლებელი
მიგელოთ დაწინაურება

ინტერპრეტაცია: როგორ შევიდეთ ინტერნეტში?

როგორ მოვიძიო ინფორმაცია ევროპაში ყველაზე იაფი ფრენების
შესახებ?

გაზეთი: (დააკვირდით სათავეო წარწერებს)

იდიომების განმარტება: მაგალითად , 'Once in a blue moon' ან 'See the light'

3. მიეცით კანდიდატს რაც შეიძლება მეტი ახალი დასაწყისი. ეს იმას ნიშნავს, რომ ტესტი უნდა შეიცავდეს ბევრ რამეს. პირველ რიგში, თუ შესაძლებელია და თუ მისაღებია, გამოიყენეთ ერთ ფორმატზე მეტი. მეორეც, ისევ და ისევ თუ ეს შესაძლებელია, სასურველია, კანდიდატს ჰქონდეს ინტერაქცია ერთზე მეტ გამომცდელთან. მესამეც, მოცემულ ფორმატში რაც შეიძლება მეტი ცალკეული ნაწილი უნდა იყოს წარმოდგენილი. განსაკუთრებით მაშინ, თუ კანდიდატი დგას სირთულის წინაშე, არ დახარჯოს დიდი დრო ცალკეული ამოცანის შესასრულებლად. ამავე დროს, კანდიდატი არ უნდა შევზღუდოთ, რომ მეორედ ეცადოს ნათქვამის გამოხატვა, თუნდაც შესაძლოა სხვა სიტყვებით.

4. ინტერიუსთვის გამოიყენეთ მეორე გამომცდელი. რადგან ინტერვიუს წარმოება და კანდიდატის პასუხის ყურადღებით დაკვირვება საკმაოდ რთული პროცესია, მეორე გამომცდელის ჩართვა ბევრად გააიოლებს საქმეს. მეორე გამსწორებელი არა მარტო ყურადღებით დააკვირდება კანდიდატის პასუხს, არამედ ხელს შეუწყობს კანდიდატის მიერ ისეთი პასუხის გაცემას, როგორიც საჭიროა შეფასების სანდო დასაბუთების მისაღწევად. ზემოთ განხილული ინტერპრეტაციული ამოცანები მოითხოვს ასევე მეორე გამომცდელის ჩართვას

5. ჩართეთ ისეთი ამოცანები და თემები, რომლებიც არ შეუქმნის გამომცდელს საკუთარი სიტყვებით გასცენ პასუხი.

6. გასაუბრება ჩაატარეთ მშვიდ და კარგი აკუსტიკის მქონე ოთახში.

7. მიეცით საშუალება კანდიდატებს მაქსიმალურად გამოავლინონ თავი. ინდივიდუალური ზეპირი ტესტის ყოველთვის წარმატებით აბარებენ კანდიდატები. მნიშვნელოვანია, რომ გამომცდელი იყოს სასიამოვნო პიროვნება, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატებს იყვნენ თავში დარწმუნებულები. გამომცდელმა უნდა გამოხატოს იმის ინტერესი, რასაც ლაპარაკობენ კანდიდატები როგორც ვერბალური, ისე არავერბალური სიგნალების მეშვეობით. ყველა კანდიდატისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

ტესტირების წარმატებით დაწყება. მაგალითად, გასაუბრება შეიძლება პირდაპირ დაიწყოს პერადი (მაგრამ არა ძალიან) დეტალების, ამინდთან დაკავშირებული შენიშვნების და ა. შ მოთხოვნით.

გამომცდელმა თავი უნდა შეიკავოს მუდმივად იმის შეხსენებისგან, რომ კანდიდატები იმყოფებიან გამოცდაზე და უნდა მიიღონ შეფასებები. კანდიდატები არ უნდა ხედავდნენ, როგორ ინიშნავენ ინფორმაციას მათ შესახებ გამომცდელები გასაუბრების დროს. ამავე მიზეზით, გადასვლა თემებსა და ტექნიკებს შორის უნდა იყოს, რაც შეიძლება, ბუნებრივი. გასაუბრება უნდა დასრულდეს ისე, რომ კანდიდატმა თავი რაც შეიძლება კომფორტულად იგრძნოს და დაუტოვოს სრულყოფილების განცდა.

8. მოაგროვეთ საკმარისი რელევანტური მასალა. თუ ტესტის მიზანი ძალიან განსაზღვრულია, კანდიდატს შეუძლია პასუხის გაცემა გარკვეულ განსაზღვრულ დონეზე. შესავლის შემდეგ კი მას შეუძლია ამოცანის შესრულება უკვე ამ განსაზღვრულ დონეზე. თუ თავიდანვე გამოიკვეთება, რომ კანდიდატი ძალიან სუსტია და ვერ დაძლევეს კრიტერიუმებით გათვალისწინებულ დონეს, ამ შემთხვევაში გასაუბრება უნდა დასრულდეს რბილად, რადგან გამომცდელის რისხვითა და სუბიექტური განკითხვით მაინც ვერაფერს ისწავლის იმ ვითარებაში კანდიდატი.

როცა, მეორე მხრივ, ტესტის მიზანია კანდიდატის დონის განსაზღვრა, გასაუბრება გამომცდელმა უნდა დაიწყოს ამ დონის გამოცნობით პირველი პასუხების დროს. ამ შემთხვევაში გასაუბრება ამ დონის მიხედვით გაიმართება, გამოვლინდება ამ დონის შესაბამისი მტკიცებულებები ან დადასტურდება თავდაპირველი იდეა. მოგვიანებით ამ დონემ შეიძლება დაიწიოს ან პირიქით, სანამ საბოლოოდ არ გაირკვევა კანდიდატის ენის ლობის დონე. მეორე გამსწორებელმა, რომლის ამოცანაა კანდიდატის პასუხების შეფასება, შეიძლება გამოავლინოს პასუხები სხვადასხვა დონეზე, თუ მთავარმა გამომცდელმა დაუშვა შეცდომა.

9. არ ილაპარაკოთ ძალიან ბევრი. ამ ბოლო დროს შეიმჩნევა სამწუხარო ტენდენცია, როდესაც გამომცდელები ძალიან ბევრს საუბრობენ და არ აძლევენ კანდიდატებს სათანადო დროს. თავი აარიდეთ იმის გრძელ და განმეორებით განმარტებებს, რაც ვერ გაიგო კანდიდატმა.

10. ფრთხილად შეარჩიეთ ინტერვიუერები და დაატრენინგეთ ისინი. წარმატებული ინტერვიუს ჩატარება, რა თქმა უნდა, არაა ადვილი და ყველას არ აქვს ამის უნარი. ინტერვიუერი უნდა იყოს თანამგრძნობი და ადვილად საურთიერთო პიროვნება, რომელმაც კარგად იცის ენა. და მიუხედავად ამისა, მაინც ყველა საჭიროებს ტრენინგს. ქვემოთ წარმოვადგენთ ინტერვიუერებისთვის ოთხსაფერუხრიანი ტრენინგის გეგმას, რომლის შედეგადაც იგი შეიძენს ზემოთ მოყვანილ საჭირო უნარებს.

I საფეხური

საფუძველი და მიმოხილვა

- ტრენინგის მონაწილეებს ეძლევათ საბაზისო ინფორმაცია ინტერვიუს შესახებ
- ტრენინგის მონაწილეებს ეძლევათ სახელმძღვანელოს ასლები. ტრენინგზე ისინი ეცნობიან მასალის შინაარსს.

- აღწერილია ინტერვიუს სტრუქტურა.
- ნაჩვენებია ტიპური ინტერვიუს ამსახველი ვიდეო.
- ტრენინგის მონაწილეებს სთხოვენ გაეცნონ სახელმძღვანელოს შინაარსს მეორე საფეხრზე გადასვლამდე.

II საფეხური

კანდიდატების დონეების მიხედვით განაწილება

- სახელმძღვანელოს შესახებ დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა.
- დამონტაჟებული ვიდეოების ნაკრების ჩვენება.
- თითოეული ვიდეოს შემდეგ ტრენინგის მონაწილეებს სთხოვენ დაწერონ შემდეგი: რომელ დონეს მიმაკუთვნებენ ამა თუ იმ კანდიდატს აღწერისა და ანალიტიკური სქემის მიხედვით. ასევე სთხოვენ დაასრულონ კონკრეტული დავალების კითხვარი. ამას მოსდევს დისკუსია.
- ტრენინგის მონაწილეების მიერ შესრულებული ყოველი წერითი დავალება ინახება, როგორც მათი პრეზენტაციის საბუთი.

III საფეხური

ინტერვიუს ჩაწერა

- მონაწილეების წიყვილი ატარებს ინტერვიუს, რომელიც იწერება.
- დანარჩენი მონაწილეები მონიტორზე აკვირდებიან ინტერვიუს პროცესს სხვა ოთახში.
- ყოველი ინტერვიუს შემდეგ, ყველა მონაწილე მიაკუთვნებს კანდიდატს ამა თუ იმ დონეს და ასრულებს კითხვარს. შემდეგ იმართება დისკუსია.
- ტრენინგის თითოეული მონაწილე ასრულებს 6 ინტერვიუს.

IV საფეხური

შეფასება

– ან დონეზე წარმოდგენილი იქნება მესამე საფეხურის მსგავსი პორცედურები, იმის გამოკლებით, რომ ტრენინგის მონაწილეები არ დააკვირდებიან ერთმანეთს. ასევე არ იქნება ინტერვიუების განხილვები.

ვალიდური და სანდო გასწორების უზრუნველყოფა

გასწორების მისაღები სქემის შექმნა

როგორც წინა თავში წერის ტესტების შესახებ იყო ნათქვამი, შეფასების სქემა შეიძლება იყოს ჰოლისტიკური და ანალიტიკური. ორივე მიდგომის დადებითი და უარყოფითი მხარეები უკვე განვიხილეთ წინამდებარე თავში. ჩვენ დავიწყეთ მესამე დონის კანდიდატების უნარების განხილვით, რაც ნაჩვენებია იყო ზეპირი კომუნიკაციის CCSE ტესტში. ეს შეიძლება გამოდვადგეს ტრენინგის მონაწილეთა შეფასებაში ინტერვიუს წარმომდგენის დროს.

სიზუსტე

წარმოთქმა უნდა იყოს გამოკვეთილი და გასაგები მაშინაც კი თუ მშობლიური/პირველი ენის გავლენა იგრძნობა გარკვეულწილად. გრამატიკული და ლექსიკური სიზუსტე ძალიან მაღალია, თუმცა დასაშვებია რამდენიმე ისეთი გრამატიკული შეცდომა, რომლებიც არ აფერხებს აზრის გაგებას.

მისაღებლობა

ენის გამოყენება ზოგადად უნდა იყოს მისაღები ფუნქციისა და შინაარსისთვის. მოლაპარაკის განზრახვა უნდა იყოს ნათელი და ცალსახა.

დიაპაზონი

ენის ფართო დიაპაზონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი კანდიდატისთვის. სპეციფიკური ნაწილები, რომლებიც იწვევს სირთულეს, შეიძლება აცილებულ იქნას ადვილად.

თავისუფლად საუბარი

ნათლად უნდა ჩანდეს, რომ კანდიდატს შეუძლია საუბრის შეცვლა და სხვა თემაზე თავისუფლად გადართვა.

ზომა

საჭიროების შემთხვევაში კანდიდატს უნდა შეეძლოს გრძელი და რთული კონსტრუქციების გამოყენება. აგრეთვე, უნდა შეეძლოს იდეების განვითარება და განვრცობა ინსტრუქტორის გარეშე.

მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ უნარების დონის ეს აღწერა (ისეთ როგორიცაა ერთი თემიდან მეორე თემაზე გადასვლა) შეიძლება მოვათავსოთ სპეციფიკაციების სექციაში. როდესაც ასეთ ელემენტებს ვითვალისწინებთ დავალებების შექმნისას (და ისინი მოცემულია CCSE ტესტში), ეს არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემას. CCSE ტესტი განსხვავდება ILR დესკრიპტორებისაგან. CCSE ტესტის სპეციფიკური ფუნქციები ცალკეა მოცემული.

ILR-ის საუბრის დონეები იწყება 0-დან 5-მდე (მშობლიური ენის ფლობის დონე), ამას ემატება საშუალო დონის კრიტერიუმები ორივე დონის ქვედონეების გათვალისწინებით. დონეები 2, 2+ , 3 და მომდევნო.

ლაპარაკი 2 (შეზღუდული სამუშაო დონე)

შეუძლია ყოველდღიური სოციალური და შეზღუდული სამსახურებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილება. შეუძლია გაუმკლავდეს ყოველდღიურ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ ინტერაქციას, რომელიც არის შეზღუდული და მოქცეული გარკვეულ ჩარჩოებში.

ინდივიდის მიერ უფრო რთული და ზოგადი სამსახურებრივი ამოცანების შემთხვევაში ენის გამოყენება აწუხებს მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეს. იგი ნაწილობრივ უმკლავდება ჩვეულებრივ, ყველაზე გავრცელებულ სასაუბრო სიტუაციებს, რომლებიც უკავშირდება მიმდინარე მოვლენების, სამსახურის, ოჯახისა და ავტოგრაფიულ ინფორმაციას. ინდივიდს შეუძლია ყოველდღიური საუბრის არსის გაგება, მაგრამ უჭირს

გაგება სიტუაციაში, როდესაც მშობლიურ ენაზე მოლაპარაკებები საუბრობენ სპეციფიკურ და გაწაფულ საკითხებზე. ინდივიდების საუბრის დროს იდეები არის მინიმალურად დაკავშირებული. ლინგვისტური სტრუქტურა, როგორც წესი, არის დაუმუშავებელი და ნაკლებად გაკონტროლებული. ხშირია შეცდომები. ლექსიკური მარაგი გამოიყენება ყველაზე გავრცელებულ სამეტყველო სიტუაციაში, ხოლო დანარჩენ ვითარებაში ლექსიკის გამოყენება არაზუსტი და უჩვეულოა.

მაგალითები:

ვიდრე ეს ინტერაქციები მიმდინარეობს ინდივიდებს შორის, მათ შეუძლიათ დაუსვან ერთმანეთს სამსახურებრივი გარემოსთვის ტიპური მოსალოდნელი შეკითხვები და ასევე გასცენ ტიპური მოსალოდნელი პასუხები. მათ ასევე შეუძლიათ მისცენ ქვეშევრდომებს პირდაპირი ინსტრუქციები. დამატებით, ინდივიდს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პირად და საცხოვრებელთან დაკავშირებულ ინტერაქციაში საკითხის მოგვარებასა და საშუალებებთან დაკავშირებით.

შეუძლია გაიგოს სრულყოფილად დეტალები, აუხსნას თანამოსაუბრეს ეს დეტალები და მისცეს გრძელი მითითებები. ასევე ინდივიდს შეუძლია მოიძიოს მოგზაურობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და მოაგვაროს საცხოვრებელი ბინის საკითხები. მარტივი კონსტრუქციებისა და საბაზისო გრამატიკული წესების კონტროლი, როგორც წესი, მიმდინარეობს. თუმცა, არის გარკვეული სუსტი მხარეები. შესწავლილ ენაში ეს შეიძლება იყოს შემდეგი ტიპის შეცდომები: მრავლობითი რიცხვი, არტიკლები, სიტყვა-კავშირები, უარყოფა ან კიდევ უფრო რთული კონსტრუქციები, ისეთები, როგორიცაა სიტყვების რიგი და სიტყვათა ჩართვა.

ლაპარაკი 2+ (შეზღუდული სამუშაო დონე, პლუსი)

შემსწავლელს შეუძლია დააკმაყოფილოს ენის გამოყენების ყველაზე ხშირი შემთხვევების მოთხოვნები, მაგრამ მისი პრეზენტაცია არ იქნება ყოველთვის მისაღები და ეფექტური. შემსწავლელი ავლენს კონკრეტულ თემატიკასა და კომპეტენციის განსაკუთრებულ სფეროსთან დაკავშირებულ ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელოვან უნარს.

შემსწავლელი ხშირად ავლენს თავისუფლად საუბრის მაღალ დონეს, თუმცა სტრესულ სიტუაციაში ენის ეფექტურად გამოყენება შეიძლება შეფერხდეს. მშობლიურ ენაზე საუბრის გაგება, როგორც წესი, თითქმის სრულყოფილია. შემსწავლელს შეიძლება გამორჩეს კულტურული და ლოკალური რეფერენციები და გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება დასჭირდეს მშობლიურ ენაზე მოლაპარაკის დახმარება. მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე შემსწავლელის საუბარში ხშირად აღიქვამს იდეების გადმოცემისას უცნაურ და არაზუსტ ფრაზებს, შეცდომებს დროის, სივრცისა და პირის ფორმების გადმოცემისას ან ზოგიერთ შემთხვევაში მიღებულ, ზედმეტად არასწორ ფორმებს.

მაგალითები: როგორც წესი, შემსწავლელს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს უმეტეს სოციალურ, ფორმალურ და არაფორმალურ ინტერაქციაში, მაგრამ შეზღუდვები შეიმჩნევა

კონტექსტში, ამოცანათა ტიპებში. გარკვეულ შემთხვევებში სიზუსტის დონე ხელს უშლის კომუნიკაციის ეფექტურობას. შემსწავლელი შეიძლება უხერხულად გრძნობდეს თავს ენის გამოყენებისას სოციალური ინტერაქციის დროს ან პროფესიონალურ კონტექსტში. მას აქვს ძლიერი სტრუქტურული სიზუსტე ან ლექსიკური მარაგი. მაგრამ ორივე მახასიათებელი ერთდროულად არასდროს ვლინდება. ზემოაღნიშნული კომპონენტებიდან ერთ-ერთის სისუსტე ან არაერთგვაროვნება ან გამოთქმა ხშირად იწვევს გაუგებრობას. როგორც წესი, შემსწავლელს შეუძლია ამის კონტროლი, მაგრამ ხშირად უჭირს პროდუცირება. ეს განსაკუთრებით პრობლემურია ლექსიკური მარაგის თვალსაზრისით. დისკურსი ხშირად არათანმიმდევრულია და დაუკავშირებელია.

ლაპარაკი 3 (ზოგადი პროფესიული დონე)

შეუძლია ილაპარაკოს საგრძნობლად გამართულად და ეფექტურად იყენებს ლექსიკურ მარაგს, რათა მონაწილეობა მიიღოს ფორმალურ და არაფორმალურ საუბარში პრაქტიკულ, სოციალურ და პროფესიულ თემებზე. მიუხედავად ამისა, შემსწავლელი შეზღუდულად იყენებს ენას პროფესიულ კონტექსტში და საერთაშორისო ყრილობაზე ცოდნის გაზიარების თვალსაზრისით. დისკურსი ლოგიკურადაა განვითარებული. შემსწავლელი ენას იყენებს მისაღებად, მაგრამ შეიმჩნევა ზოგიერთი ნაკლი. მიუხედავად ამისა, შეცდომები არასდროს უშლიან ხელს გაგებას და იშვიათად აღიზიანებენ მშობლიური ენის მატარებლებს. შემსწავლელი ეფექტურად აერთიანებს სტრუქტურასა და ლექსიკურ მარაგს მნიშვნელობის ზუსტად გადმოსაცემად. შემსწავლელი საუბრობს ადვილად და სათანადო ადგილას სვამს პაუზებს. მშობლიურ ენაზე მოლაპარაკებთან უშუალოდ შეუძლია ლაპარაკი, საუბარი საკმაოდ უხარვეზოა. თუმცა კულტურულ კომპეტენციასთან დაკავშირებული ასპექტების, ანდაზების, ნიუანსებისა და იდიომების სრულყოფილად გაგება შეიძლება გაუჭირდეს. გამოთქმა აქვს ცალსახად უცხოელის. ინდივიდუალური ბგერები არის ზუსტი, მაგრამ მახვილი, ინტონაცია და მეტყველების კონტროლი შეიძლება იყოს პრობლემური.

მაგალითები: როგორც წესი, შეუძლია გააზრებულად და თავისუფლად იმსჯელონ კონკრეტულ ინტერესებსა და კომპეტენციის რომელიმე სფეროზე. იყენებს ენას, როგორც ჩვეულებრივ პროფესიულ მოვალეობას, როგორიცაა საპირისპირო მოსაზრებაზე პასუხის გაცემა, გადაწყვეტილებების დაცვა/დასაბუთება, გამოწვევების გაცნობიერება, მოსაზრებების ნათელყოფა, პრობლემის არსის გააზრება, პოლიტიკის გამოცხადება და დაცვა, შეხვედრების გამართვა, ბრიფინგების წაყვანა და სხვა კარგად მომზადებული და გააზრებული მონოლოგი. შეუძლია ინფორმაციის სანდოდ მიწოდება. ცალკეული ფრაზებისა და სიტყვების ძიების გარეშე შემსწავლელი იყენებს ენას ნათლად და შედარებით ბუნებრივად, რათა გადმოსცეს ძირითადი იდეები თავისუფლად და მშობლიური ენის მატარებლებისთვის ადვილად გასაგებად. შეცდომებს უშვებს ნაკლებად და ძალიან რთული კონსტრუქციების შემთხვევაში.

ზემოთ ითქვა, რომ ჰოლისტიკური და ანალიტიკური სკალირება შეიძლება გამოვიყენოთ ერთმანეთის გადასამოწმებლად. ზეპირი ტესტირების შემთხვევაში ამის მაგალითია ამერიკული FSI-ის (უცხოური სერვისის ინსტიტუტი) ინტერვიუს პროცედურა (3), რომელიც მოითხოვს ყოველ ინტერვიუში ორი გამომცდელის ჩართვას ორივე მიზნით: კანდიდატის დონის შეფასება ჰოლისტიკურად და მათი შეფასება ექვსბალიანი სისტემით ქვემოთ მოცემული ასპექტების მიხედვით: აქცენტი, გრამატიკა, ლექსიკა, გაგება, თავისუფლად მეტყველება. მიღებული ქულები შემდეგ იწონება და ჯამდება. საბოლოო ქულა ჩნდება ცხრილში, რომელსაც გადაჰყავს ქულები ჰოლისტიკური აღწერილობის დონეებზე. გადაყვანილი ქულას უნდა მიეცეს იგივე დონე, რომელიც თავდაპირველად გამოავლინა კანდიდატმა. თუ ეს დამთხვევა არ მოხდა, მაშინ გამსწორებლებმა უნდა გადაამოწმონ თავიანთი პირვანდელი შეფასებები. წონადობისა და კონვერტაციის ცხრილები შეუმუშავდა კვლევის საფუძველზე, რომელმაც გამოავლინა დამთხვევის ძალიან მაღალი დონე ჰოლისტიკურ და ანალიტიკურ შეფასებებს შორის. მე თავად ვიყენებდი ამ სისტემას, როდესაც ტესტირებას ვუტარებდი ბანკის თანამშრომლებს, მე შემიძლია დავადასტურო მისი სიზუსტე. მკითხველის ინტერესის დასაკმაყოფილებლად მე წარმოვადგენ შეფასების სქემებს და წონადობის ცხრილს. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს შემუშავდა კონკრეტული მიზნებისთვის და არ უნდა ველოდოთ, რომ სხვა სიტუაციაშიც გადამუშავებისა და მოდიფიცირების გარეშე იმუშავებს სრულყოფილად. ასევე უნდა აღნიშნოს, რომ ტესტირების დროს მშობლიური ენის ფლობის სტანდარტის გამოყენების საკითხი გახდა კრიტიკის საგანი ენის ტესტირების გარკვეულ წრეებში.

ენის ფლობის დონეთა აღწერილობები

აქცენტი

1. გამოთქმა ხშირად გაუგებარია.
2. ხშირად დაშვებული სერიოზული შეცდომები და მძიმე აქცენტი ართულებს გაგებას, საჭიროებს ხშირ გამეორებას.
3. „უცხოური აქცენტი“ მოითხოვს კონცენტრაციას მოსმენის დროს, ხოლო არასწორი გამოთქმა ხშირად იწვევს გაუგებრობას. შემსწავლელი უშვებს გრამატიკულ და ლექსიკურ შეცდომებს.
4. შეინიშნება „უცხოური აქცენტი“ და არასწორი გამოთქმა, რაც არ იწვევს გაუგებრობას.
5. შეუმჩნეველი არასწორი გამოთქმა, მაგრამ არ უტოლდება მშობლიური ენის ფლობის დონეს.
6. მშობლიური ენის ფლობის დონეზე გამოთქმა, არ ჩანს „უცხოური აქცენტის“ კვალი.

გრამატიკა

1. ყოველთვის უშვებს გრამატიკულ შეცდომებს, გარდა ძირითადი ფრაზებისა.
2. მუდმივად უშვებს შეცდომებს, თუმცა ხანდახან აკონტროლებს ძირითად შემთხვევებს, მაგრამ საუბარი ხშირად წყდება ამის გამო.

3. მუდმივად უშვებს შეცდომებს, თუმცა აკონტროლებს ძირითად შემთხვევებს, მაგრამ იწვევს გაუგებრობასა და გაღიზიანებას.

4. იშვიათი შეცდომები მიუთითებს ცალკეული შემთხვევების არასრულყოფილ კონტროლზე, მაგრამ არ იწვევს გაუგებრობას.

5. უშვებს რამდენიმე შეცდომას, მაგრამ არ იწვევს გაუგებრობას.

6. გასაუბრების დროს არ უშვებს ორზე მეტ შეცდომას.

ლექსიკური მარაგი

1. ლექსიკა არაადეკვატურია უმარტივესი საუბრის დროსაც კი.

2. ლექსიკური მარაგი შეზღუდულია პირად და აუცილებელ თემებზე საუბრისას (დრო, საკვები, ტრანსპორტი, ოჯახი და ა. შ.).

3. სიტყვების არჩევა ზოგჯერ არაზუსტია, შეზღუდული ლექსიკური მარაგი. შეუძლებელს ხდის საუბარს ზოგიერთ ძირითად პროფესიულ და სოციალურ თემებზე.

4. პროფესიული ლექსიკა ადეკვატურია კონკრეტული ინტერესების გამოხატვის დროს. ზოგადი ლექსიკა ნებისმიერ არატექნიკურ თემაზე დისკუსიის წარმოების საშუალებას იძლევა. ხანდახან შეიმჩნევა ორჭოფობა.

5. პროფესიული ლექსიკა არის ფართო და მრავალფეროვანი. ზოგადი ლექსიკა ადეკვატურია, ამდენად შემსწავლელი უმკლავდება მრავალფეროვან სოციალურ სიტუაციებსა და რთულ პრაქტიკულ პრობლემებზე საუბარს.

6. ლექსიკური მარაგი ზუსტი და მდიდარია. უთანაბრდება მშობლიური ენის ფლობის დონეს.

თავისუფლად მეტყველება

1. მეტყველება იმდენად არასრულყოფილი და ფრაგმენტულია, რომ საუბარი პრაქტიკულად შეუძლებელია.

2. მეტყველება ძალიან ნელია და არასწორია მოკლე წინადადებებისთვის.

3. მეტყველება ხშირად გაუბედავი და ნაწყვეტ-ნაწყვეტია. წინადადებები შეიძლება არ იყოს დასრულებული.

4. მეტყველება ხშირად გაუბედავია, გარკვეული შეცდომებით, რომლებიც გამოწვეულია ფრაზების შედგენითა და სიტყვების შეკავშირებით.

5. მეტყველება თავისუფალია და მშვიდი, არამშობლიური ენის ფლობის დონეზე სიჩქარისა და თანაბარი მიმდინარეობის თვალსაზრისით

6. მეტყველება ყველა პროფესიულ და ზოგად თემაზე არის თავისუფალი და დინამიკური მშობლიური ენის ფლობის დონეზე.

გაგება

1. შემსწავლელი იგებს ძალიან ცოტას უმარტივესი საუბრის დროს.

2. იგებს მხოლოდ ნელ და ძალიან მარტივ საუბარს ზოგად და ტურისტულ თემებზე. ესაჭიროება მუდმივი გამეორება და პერიფრაზი.

3. იგებს დანაწევრებულ, გარკვეულწილად გამარტივებულ მეტყველებას დიალოგის

დროს, მაგრამ შეიძლება საჭიროებდეს ხშირ გამეორებას და პერიფრაზს.

4. საკმაოდ კარგად იგებს გამართულ საუბარს დიალოგის დროს, მაგრამ იშვიათად საჭიროებს გამეორებას და პერიფრაზს.

5. იგებს ყველაფერს ჩვეულებრივი გამართული საუბრის დროს, გარდა ძალიან სალაპარაკო ან იშვიათად ხმარებული ფრაზებისა, ძალიან სწრაფი ან ძალიან გაურკვეველი მეტყველებისა.

6. იგებს ყველაფერს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური საუბრისას მშობლიური ენის ფლობის დონეზე.

შეფასების ცხრილი

1 2 3 4 5 6 (A)

აქცენტი 0 1 2 2 3 4 _____

გრამატიკა 6 12 18 24 30 36 _____

ლექსიკა 4 8 12 16 20 24 _____

თავისუფლად მეტყველება 2 4 6 8 10 12 _____

გაგება 4 8 12 15 19 23 _____

მთლიანად _____

მიაქციეთ ყურადღება მსგავს ცხრილებს სხვადასხვა კომპონენტების მიხედვით.

(ადამსი და ფრითი, 1979: 35–8)

როდესაც გამოიყენება ამ ტიპის ანალიტიკური სქემა ჰოლისტიკური სქემების ნაცვლად, დგება შემდეგი შეკითხვა (ისევე როგორც წერის უნარების შემმოწმებელი ტესტის დროს): რომელი ქულები მიიჩნევა დამაკმაყოფილებლად (ინდივიდუალური კანდიდატისთვის). ეს ნამდვილად იგივე პრობლემაა (თუმცა უფრო გამოკვეთილი ფორმით), რომელიც შეგვხვდა წინა თავში, კერძოდ, ცალკეული ინდივიდებისა და ჰოლისტიკური აღწერილობების თანხვედრის ჩავარდნა.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ეს შეთანხმების საკითხია. წინა თავში მოცემული რჩევები შეფასების სქემის შექმნისათვის ამ შემთხვევაშიც ღირებულია:

მოახდინეთ გამოსაყენებელი სქემის სკალირება

ზოგადად ზეპირი უნარების ტესტის შეფასების სქემის სკალირებისას გამოიყენება იგივე თემები, რომლებზეც საუბარი იყო წერითი სქემების შემთხვევაში. ერთადერთი განსხვავება არის ის, რომ წერითი სამუშაოს ნაცვლად გამოიყენება ვიდეოჩანაწერები.

ტრენინგები გამსწორებლებისთვის (ინტერვიუერებისაგან განსხვავებით)

ინტერვიუერების ტრენინგის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. როდესაც გამსწორებლები აფასებენ ინტერვიუებს, მაგრამ თვითონ არ მონაწილეობენ გასაუბრებაში ან ჩართულები არიან აუდიო- და ვიდეოჩანაწერებზე პასუხების გასწორების პროცესში, მათი ტრენინგის

დროს გამოიყენება იგივე მეთოდები, რომლებიც საჭიროა წერიტი ნამუშევრების გამსწორებელთა ტრენინგებისთვის.

მიჰყევით ქულების წერის მისაღებ პროცედურებს

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ამ თავში წარმოდგენილი რჩევები იგივეა, რაც წინა თავში. შესაძლებელია ერთადერთი რამის დამატება: მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ამოვრიცხოთ კანდიდატების პირადი თვისებები, რომლებიც არარელევანტურია მათი ენობრივი შეფასებასთან. მახსოვს ერთი შემთხვევა, როდესაც ზეპირი ტესტირების დროს გამომცდელებმა არაადეკვატურად შეაფასეს ახალგაზრდა ქალი, რომელმაც ქერად შეიღება თქმა. ზეპირი ტესტირების დროს ძალიან რთულია ისეთი მახასიათებლების გამიჯვნა, როგორებიცაა სასიამოვნო გარეგნობა, მომხიბვლელობა, კაბის ზომა კანდიდატების ენობრივი უნარებისაგან. მაგრამ ჩვენ უნდა ვეცადოთ, ეს გავაკეთოთ.

დასკვნა

ზეპირი უნარების ზუსტად გაზომვა არ არის იოლი საქმე. ამას სჭირდება დიდი დრო და საშუალებები, ტრენინგების ჩათვლით, რათა მივიღოთ ვალიდური და სანდო შედეგები. მიუხედავად ამისა, როდესაც ტესტი მაღალი ხარისხისაა ან როდესაც უკუგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, დროის დახარჯვა და შესაბამისი საშუალებების მოძიება აუცილებელია. მკითხველებს შევახსენებთ, რომ ზეპირი ტესტირებისას მისაღები შიგთავსი, შეფასების სქემების დონეები და ტექნიკების გამოვლენა დამოკიდებულია ცალკეული ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების საჭიროებებზე.

მკითხველის აქტივობები

ამ აქტივობების განხორციელება უმჯობესია კოლეგებთან ერთად

1. თქვენთვის ნაცნობი სტუდენტების ჯგუფისთვის შექმენით ჰოლისტიკური შეფასების სქემა (ხუთიანი დიაპაზონით), რომელიც მისაღები იქნება მათი უნარების შესაფასებლად. იმის საფუძველზე, რაც იცით ამ სტუდენტების შესახებ, მოათავსეთ ისინი თითოეულ დონეზე.

2. ამოარჩიეთ ცოდნის გამოვლენის ხუთი მეთოდი (მაგალითად, როლური თამაში, ჯგუფური გადაწყვეტილება, ინტერვიუ). შექმენით ტესტი, რომელშიც თითოეული ეს მეთოდი იქნება გამოყენებული ხუთი ან ათწუთიანი აქტივობებით.

3. ჩაუტარეთ ტესტირება თქვენ მიერ შერჩეულ სტუდენტებთან.

4. დააკვირდით ტესტირებისა და შეფასებისას წარმოქმნილ პრობლემებს. როგორ აიცილებდით მათ თავიდან?

5. თითოეული სტუდენტის შემთხვევაში შეადარეთ სხვადასხვა დავალებაში მიღებული ქულები. წარმოაჩენს თუ არა სხვადასხვა ქულა სხვადასხვა ამოცანით განსაზღვრულ უნარებს შორის არსებულ რეალურ განსხვავებებს? როგორ შეადარებდით ტესტირებაში მიღებულ ქულებს სტუდენტების თქვენეულ შეფასებას?

შემდგომში დასამუშავებელი მასალა

ორი წიგნი მიეძღვნა ზეპირ ტესტირებასა და შეფასებას, რომელთა ავტორები არიან ლუომა (2003) და უნდერჰილი (1987). ფულჩერი (1996a) იკვლევს ამოცანის დიზაინს ჯგუფური ზეპირი ტესტირებისთვის. ჩაპლუბ-დევილი (1995) და ფლუჩერი (1996b) დაინტერესებულები არიან შეფასების სქემების შემუშავების საკითხებით. ფლუჩერის ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს თავისუფალი მეტყველების საკითხი. კორმოსი (1999) გვიჩვენებს, რომ როლური თამაში შეიძლება იყოს ტესტირების საჭირო ტექნიკა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გვინდა შევაფასოთ ინტერაქციის წარმოების უნარი.

ლაზარატონი (1996) მუშაობს ლინგვისტიკური და ინტერაქციული მხარდაჭერის საკითხებზე. დუგლასი (1994) გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ერთი და იგივე ქულა დაიწეროს ზეპირი ტესტირების დროს სხვადასხვა პასუხის შემთხვევაში. ლუმლი და მაკნამარა (1995) იკვლევენ გამსწორებლის შეფასების სისტემურ შეცდომებს ზეპირი ტესტირების დროს. ვიგლესვორთი (1993) გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება გამომჟღავნდეს გამსწორებლების შეფასების სისტემური შეცდომები და როგორ შეიძლება ეს გამოსწორდეს, როდესაც მიიპყრობს ყურადღებას. შოჰამი და სხვები (1986) გვამცნობენ ახალი ეროვნული ზეპირი უნარების შემმოწმებელი ტესტის შემუშავებას, რომელიც მიზნად ისახავს გვიჩვენოს სასურველი ფსიქომეტრიული თვისებები და მოიპოვოს უკუგების დადებითი ეფექტი. ბახმანი და სუვინონი ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსები არიან ACTFL ტესტის ზეპირი გასაუბრებისა, რასაც ეხმიანება ლუვე (1986). სალაბერიც (2000) ასევე აკრიტიკებს ამ ტესტს და გვთავაზობს ცვლილებებს. შოჰამი (1994) მსჯელობს პირდაპირი და ნახევრად პირდაპირი ზეპირი ტესტების ვალიდურობის შესახებ. პაუერსი და სხვები (1999) საუბრობენ TSE ტესტის ვალიდურობაზე. ლუომა (2001) განიხილავს TSE ტესტს. კემბრიჯის CCSE ტესტის ცნობარი და ძველი პუბლიკაციები კარგი წყაროა ამოცანების შემუშავების იდეებისთვის (გვ. 73). თანამედროვე კომუნიკაციური სახელმძღვანელოები ამგვარი იდეების კიდევ ერთი წყაროა. ინფორმაცია (და ასევე ძველი პუბლიკაციები ჩანაწერებით) ARELS გამოცდების შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ ARELS საგამოცდო ფონდში, მისამართზე: 113 Banbury Road, Oxford, ox2 6jx.

(1) მოცემულ წიგნში მოყვანილია როგორც „ფუნქციები“

(2) ყოველი ნაწილისთვის შეთავაზებულია სამი ამოცანა, მაგრამ სტუდენტი ასრულებს მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს. როგორც შეიძლება დავინახოთ, აქ მოცემულია მხოლოდ ერთი ამოცანა ყოველი ნაწილიდან.

(3) მე გავიგე, რომ ზეპირი უნარების შემმოწმებელი FSI ტესტი აღარ ფუნქციონირებს. თუმცა, მე აღმოვაჩინე ამ ტესტის ცნობარში აღწერილი მეთოდები, რომლებიც მოიცავენ ჰოლისტიკურ და ანალიტიკურ შემოწმებას. ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ტესტი ამოწმებს პროფესიონალების ენობრივ უნარებს სხვადასხვა ვითარებაში.

11. კითხვის უნარების ტესტირება

ამ თავს დავიწყებთ იმის განხილვით, როგორ უნდა დავაკონკრეტოთ ის, თუ რა უნდა მოეთხოვებოდეს კანდიდატებს, შემდეგ კი მკითხველს შევთავაზებთ ტესტისათვის მისაღებ ამოცანებსა და დავალებებს.

დააკონკრეტოთ ის, თუ რა უნდა მოეთხოვებოდეს კანდიდატებს

ოპერაციები

კითხვის უნარების ტესტირება მცდარად პირდაპირი ჩანს, როდესაც მას ვადარებთ, მაგალითად, ზეპირი უნარების ტესტირებას. თქვენ იღებთ მონაკვეთს, სვამთ რამდენიმე შეკითხვას ამასთან დაკავშირებით და სულ ეს არის. მაგრამ როდესაც ძალიან სწრაფად ქმნით კითხვის უნარების შემმოწმებელ ტესტს, ეს შეიძლება სულაც არ იყოს კარგი ტესტი და მან შეიძლება სულაც არ გაზომოს ის, რის გაზომვაც გსურთ თქვენ. ამოსავალი პრობლემა არის ის, რომ რეცეპტორული უნარების სავარჯიშომ აუცილებელი არ არის თავი აშკარად გამოამჟღავნოს. როდესაც ადამიანები წერენ ან ლაპარაკობენ, ჩვენ ვხედავთ და გვესმის. როდესაც ისინი კითხულობენ ან უსმენენ, ჩვენ ხშირად არ გვაქვს ხელშესახები მასალა. ენის ტესტის შემქმნელისთვის ის კი არ არის გამოწვევა, რომ შექმნას კითხვის ან მოსმენის უნარების შემმოწმებელი ტესტი, არამედ შექმნას ისეთი ტესტი, რომელიც გვიჩვენებს ამ უნარების წარმატებით გამოყენების მაგალითებს. ეს პრობლემა მოიცავს ორ მხარეს. პირველ რიგში, არსებობს გაურკვევლობა იმ უნარ-ჩვევების შესახებ, რომლებიც კითხვის შემმოწმებელ ტესტში შეიძლება ჩავრთოთ და რომელთა შემოწმებაც ბევრი სხვადასხვა მიზეზით აინტერესებთ ტესტის შემქმნელებს. ბევრი უშვებს ამის ჰიპოთეზას, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე გვიჩვენებს მის არსებობას. გარდა ამისა, მაშინაც კი, თუ გვჯერა განსაკუთრებული უნარ-ჩვევების არსებობისა, ძნელია იმის ცოდნა, თუ რამდენად წარმატებით შეიძლება მისი გაზომვა. ამ საკითხზე სათანადო პასუხი არ არის გამარტივებული მიდგომის წარმოდგენა, სანამ ჩვენ ველოდებით ამ უნარ-ჩვევის არსებობის დადასტურებას. ჩვენ გვჯერა, რომ ეს უნარ-ჩვევები არსებობს, რადგან ჩვენ თავად ვართ მკითხველები და ვიცნობთ რამდენიმე მათგანს.

ერთ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია წავიკითხოთ ნელა და ყურადღებით, სიტყვასიტყვით, რათა მივაღწევოთ თვალს, ასე ვთქვათ, ფილოსოფიურ არგუმენტს. სხვა დროს ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ გვერდიდან გვერდზე, შევჩერდეთ მხოლოდ რამდენიმე წამით თითოეულ გვერდზე, რათა გამოვიტანოთ ძირითადი აზრი. გარდა ამისა, ჩვენ შეგვიძლია უცებ გადავიკითხოთ ტექსტი კონკრეტული ინფორმაციის მოძიების მიზნით. არსებობს მცირეოდენი ეჭვი იმის შესახებ, რომ გაწაფულ მკითხველს აქვს სათანადო უნარ-ჩვევა მოარგოს წაკითხვის ფორმა მიზანსა და ტექსტს. თუ ეს ასეა, არ იქნება რთული კითხვის ეს სხვადასხვა ფორმა ჩავრთოთ ტექსტის ტექნიკურ აღწერილობაში/სპეციფიკაციებში. თუ დავაკვირდებით ჩვენს კითხვას, ვნახავთ, რომ ვიყენებთ სხვადასხვა უნარ-ჩვევას.

მხოლოდ რამდენიმე ჩვენგანმა იცის ყველა სიტყვის მნიშვნელობა, რომლებიც ოდესმე შეგვხვედრია, ამდენად, ჩვენ ხშირად გამოგვყავს სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტიდან. ასევე, როდესაც ჩვენ ვკითხულობთ, მუდმივად ვიქმნით ჩვენს წარმოდგენას და გამოგვაქვს ჩვენი დასკვნები ადამიანების, საგნებისა და მოვლენების შესახებ. თუ, მაგალითად, ჩვენ ვკითხულობთ, რომ ვიღაცამ გაატარა საღამო პაბში და შემდეგ სახლში ბარბაცით მივიდა, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის მთვრალი იყო (შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ის იყო უდანაშაულო ფეხბურთელი, რომელმაც დაიზიანა მუხლი მატჩის დროს და შემდეგ წავიდა პაბში ლიმონათის დასალევად. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ეს დასკვნა მართებულია).

არ არის საჭირო მოვიყვანოთ კითხვის უნარ-ჩვევები, რომლებსაც ვფლობთ. მთავარი ის არის, რომ ჩვენ ვიცით მათი არსებობის შესახებ. ის, რომ ყოველი მათგანი არ არის კვლევის საგანი, სულაც არ არის ჩვენი სპეციფიკაციებიდან და, შესაბამისად, ჩვენი ტესტიდან მათი ამოღების მიზეზი. ისმის შემდეგი შეკითხვა: იქნება თუ არა სასარგებლო მათი ჩართვა ჩვენს ტესტში? პასუხი, გარკვეულწილად, დამოკიდებული იქნება ტესტის მიზანზე. თუ ეს დიაგნოსტიკური ტესტია, რომელიც მიზნად ისახავს კანდიდატის კითხვის უნარების სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენას, პასუხი ცალსახად დადებითია. თუ ეს არის ცოდნის დონის მისაღწევი ტესტი, რომელშიც ამ უნარების განვითარება ტესტის მთავარი მიზანია, პასუხი კვლავ დადებითი იქნება. ადგილის განმსაზღვრელი ტესტის შემთხვევაში, როდესაც კითხვის უნარების არასრულყოფილი და მზა კრიტერიუმებია საკმარისი, უარყოფითი პასუხი მისაღებია. მაგრამ ამგვარი პასუხი ბადებს შემდგომ შეკითხვებს. თუ ჩვენ არ ვაპირებთ ამ უნარ-ჩვევების ტესტირებას, მაშინ რა უნდა გამოვცადოთ? ყოველი შეკითხვა, რომლებიც პირველ აზრაცშია დასმული, რაღაცის ტესტირებას ემსახურება. თუ ტესტის ცალკეული ნაწილები ამ რაღაცას ამოწმებს (რა თქმა უნდა, ვალიდურობის თვალსაზრისით), ზოგადი უნარების ტესტში, ჩვენ უნდა შევამოწმოთ მარტივად ყოველი უნარ-ჩვევა, რომლებიც ჩართულია კითხვაში და მიზანთან მიმართებით რელევანტურია. მე სწორედ ამას ვუწევ რეკომენდაციას.

რა თქმა უნდა, განხილულ წინადადებაში ორაზროვანი სიტყვები ჩვენი მიზნებისთვის რელევანტურია. დამწყებთათვის, შეიძლება გვეჩვენოს დიაგნოსტიკური ტესტში ჩასართავი დავალებები, რომლებიც ამოწმებს ცალკეულ ასოებს შორის

განსხვავების უნარებს (მაგალითად ინგლისური ასოები *b – d*). მაგრამ, როგორც წესი, ეს უნარი მოწმდება არაპირდაპირ. იგივე ითქმის გრამატიკისა და ლექსიკის შემთხვევაში. ორივე მათგანი არაპირდაპირ მოწმდება კითხვის ყოველ ტესტში, მაგრამ, მე ასე ვიტყვოდი, გრამატიკისა და ლექსიკის ადგილი არის გრამატიკისა და ლექსიკის ტესტში. სწორედ ამის გამო აღარ განვაგრძობ ამ საკითხის განხილვას მოცემულ თავში.

იმისათვის, რომ მივდიოთ სპეციფიკაციების ჩვენს ძირითად ხაზს, ჩვენ ვისაუბრებთ უნარ-ჩვევებზე, რომლებსაც მკითხველები ავლენენ „ოპერაციების სახით“ კითხვის ტესტის დროს. ჩარჩოებში მოცემულია საკონტროლო სია (რომელიც, სავარაუდოდ, არის გადატვირთული), რომელიც საინტერესოდ შეიძლება ჩათვალოს ჩვენმა მკითხველმა. მიაქციეთ ყურადღება განსხვავებას (რა თქმა უნდა, მიზნიდან გამომდინარე) სწრაფ (და ეფექტურ) კითხვასა და ნელ, გამოწვლილვით წაკითხვას შორის. წარსულში შეინიშნებოდა ტენდენცია, რომ ტესტებში სწრაფ კითხვას დაუმსახურებლად ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამის უკუგების ეფექტი ის არის, რომ ბევრი სტუდენტი არ იყო გაწაფული სწრაფად და ეფექტურად კითხვაში. ეს მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარეა, როდესაც, მაგალითად, ისინი სწავლობენ საზღვარგარეთ და მოეთხოვებათ შეზღუდულ დროში გაეცნონ დიდ მასალას. ეს კიდევ ერთი მაგალითია უარყოფითი უკუგების ეფექტისა.

სწრაფი კითხვის ოპერაციები

ზერელე კითხვა

კანდიდატს შეუძლია:

- გაიგოს თემის ძირითადი იდეა და დისკურსი სწრაფად და ეფექტურად;
- სწრაფად შექმნას ტექსტის სტრუქტურა;
- საჭიროებიდან გამომდინარე განსაზღვროს ტექსტის (ან ტექსტის ნაწილის)

მნიშვნელობა.

ძიებითი კითხვა

კანდიდატს შეუძლია სწრაფად მოძებნოს ინფორმაცია წინასწარ მიცემულ თემაზე.

სკანირება/წაკითხულის სწრაფად აღქმა.

კანდიდატს შეუძლია სწრაფად მოძებნოს:

- სპეციფიკური სიტყვები და ფრაზები;
- პროცენტები, ცხრილები;
- სპეციფიკური მონაცემები და მაჩვენებლები;
- კონკრეტული სახელები ბიბლიოგრაფიაში ან ციტირებისას.

მიაქციეთ ყურადღება, რომ სწრაფი კითხვის ყოველი სერიოზული ტესტირებისას კანდიდატებს უნდა მოეთხოვებოდეს პასუხების გაცემა მონაკვეთის მთლიანი შინაარსის წაკითხვის გარეშე.

ყურადღებით კითხვის ოპერაციები:

- იმის გარკვევა, თუ ვის მიემართება ნაცვალსახელი;
- დისკურსის მარკერების იდენტიფიცირება;
- რთული წინადადების ინტერპრეტაცია;
- ტექსტის ლოგიკური ჯაჭვის გამოყოფა;
- არგუმენტის განვითარების გამოყოფა;
- ზოგადი თეზისისა და მაგალითების განცალკევება;
- პირდაპირ გადმოცემული ძირითადი იდეების განსაზღვრა;
- ნაგულისხმები ძირითადი იდეების განსაზღვრა;
- მწერლის განზრახვის ამოცნობა;
- მწერლის დამოკიდებულებებისა და გრძნობების ამოცნობა;
- ტექსტის აუდიტორიის განსაზღვრა;
- იმის განსაზღვრა, თუ რა ტიპის ტექსტია ჩართული ტესტში (მაგ.: წერილი, დღიური და ა. შ.);
- ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა;
- ფაქტისა და ჰიპოთეზის გამიჯვნა;
- ფაქტისა და ჭორის ან ყურმოკრული ამბის გამიჯვნა.

დასკვნების გამოტანა:

- გამოიყვანეთ უცნობი სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტიდან;
- გამოიყვანეთ წინასწარი დასკვნები იმ კითხვებზე დასმული პასუხების მიხედვით, რომლებიც იწყება შემდეგი კითხვითი სიტყვებით: ვინ? როდის? რა?
- გამოიყვანეთ წინასწარი დასკვნები, რომლებიც უკავშირდება მოტივაციას, მიზეზს, შედეგებსა და შესაძლებლობებს იმ კითხვებზე დასმული პასუხების მიხედვით, რომლებიც იწყება შემდეგი კითხვითი სიტყვებით: რატომ? როგორ?
- გამოიყვანეთ პრაგმატული დასკვნები.

ზემოთ მოყვანილი სხვადასხვა დასკვნები იმსახურებს კომენტარებს. წინასწარი დასკვნები არ არის დამოკიდებული ტექსტის გარშემო არსებულ ინფორმაციაზე. მაგალითად, თუ ჯონი არის მერის ძმა, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მერი არის ჯონის ძმა (თუ ტექსტიდან ისიც ჩანს, რომ მერი არის ქალი). მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი: თუ ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰერი აკეთებდა თავის დავალებებს და არ მუშაობდა შემწვარი თევზისა და კარტოფილის მაღაზიაში: *ჰერი ისე გულდასმით მუშაობდა, როგორც არასდროს უმუშავია თავის ცხოვრებაში. როდესაც გამოცდის შედეგები გახდა ცნობილი, არავის გაჰყვირებია, რომ ის პირველი იყო კლასში.* პრაგმატულია ის დასკვნები, რომელთა შემთხვევაშიც ჩვენ უნდა დავუკავშიროთ ტექსტში მოცემული ინფორმაცია ტექსტის მიღმა არსებულ ცოდნას. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია წავიკითხოთ: მათ დასჭირდათ გზაში ოცი წუთი, რათა რიდინგიდან ჰითროუს აეროპორტამდე მისულიყვნენ. თუ დავასკვნით, რომ ისინი

ძალიან სწრაფად მგზავრობდნენ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ რიდინგი და ჰითროუს აეროპორტი ერთმანეთთან ახლოს არ მდებარეობს. ის ფაქტი, რომ ბევრმა მკითხველმა ეს არ იცის, ამდენად ტექსტის შედგენისას და პრაგმატული დასკვნების უნარების შემოწმებისას ტექსტის მიღმა არსებული ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი და ნაცნობი უნდა იყოს (1).

ტექსტები

ტექსტები, რომლებსაც, სავარაუდოდ, გაუმკლავდებიან კანდიდატები უნდა შეირჩეს მთელი რიგი პარამეტრების მიხედვით: ტიპი, ფორმა, გრაფიკული მახასიათებლები, თემა, სტილი, მოცულობა, შერჩეული მკითხველები, ადვილად წაკითხვა, ლექსიკური მარაგი და გრამატიკული კონსტრუქციები.

ტექსტის ტიპები მოიცავს: სახელმძღვანელოებს, ჰენდაუტებს, სტატიებს (გაზეთებში, ჟურნალებში), ლექსებს, ენციკლოპედიურ სტატიებს, ლექსიკონის ჩანართებს, წერილებს, ფორმებს, დღიურებს, ბროშურებს, რუკებს ან გეგმებს, რეკლამებს, საფოსტო ბარათებს, განრიგებს, რომანებსა (მონაკვეთებს) და მოკლე მოთხრობებს, რეცენზიებს, კომპიუტერული ტექნიკის მოხმარების ინსტრუქციებს, შენიშვნებსა და ნიშნებს, ცნობარს.

ტექსტის ფორმები მოიცავს: აღწერას, არგუმენტაციას, ინსტრუქციას, ახსნა-განმარტებას, ნარატივს (ეს შეიძლება დაიყოს ნაწილებად, თუ ამას მისაღებად ჩავთვლით: მაგალითად, ახსნა-განმარტებითი ტექსტი უნდა მოიცავდეს გეგმას, დასკვნებს და ა. შ.).

გრაფიკული მახასიათებლები მოიცავს: ცხრილებს, დიაგრამებს, ჩარტებს, ნახატებს, ილუსტრაციებს.

თემები შეიძლება უბრალოდ ჩამოვთვალოთ, ზოგადად განვსაზღვროთ (არატექნიკური, არასპეციალისტებისთვის) ან განვსაზღვროთ კანდიდატების პროფესიის მიხედვით (ის, რაც ნაცნობია მათთვის).

სტილი უნდა იყოს ფორმალური.

შერჩეული აუდიტორია შეიძლება იყოს საკმაოდ კონკრეტული (მაგ. მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტები).

მოცულობა როგორც წესი განსაზღვრულია სიტყვების რაოდენობით. კონკრეტული ზომა უკავშირდება კანდიდატების ცოდნის დონეს და აგრეთვე იმას, თუ როგორი კითხვის უნარ-ჩვევები უნდა შემოწმდეს: სწრაფი თუ ნელი კითხვა (თუმცა ერთი გრძელი ტექსტი შეიძლება ორივე ტიპის დავალებისთვის იქნეს გამოყენებული).

ადვილად წაკითხვა არის მიზანი, მაგრამ არ არის აუცილებელი იყოს ძალიან ვალიდური და გაზომოს ტექსტის სირთულე. იმ შემთხვევებში, როდესაც ამ უნარის გამოყენება არ ხდება, ირთვება ინტუიცია.

ლექსიკური მარაგი შეიძლება განისაზღვროს სიტყვების ჩამონათვალით (როგორც ეს მოცემულია კემბრიჯის ტესტში ახალგაზრდა შემსწავლელთათვის), რომელიც მიემართება ან სიტყვების მარაგს ან კანდიდატების მიერ მათი გამოყენების სიხშირეს. დიაპაზონი შეიძლება განისაზღვროს უფრო ზოგადად (მაგ. არატექნიკური, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცალკეული სიტყვა განმარტებულია ტექსტში).

გრამატიკის შემთხვევაში შეიძლება მითითებული იყოს კონსტრუქციების ჩამონათვალი ან ის გრამატიკული წესები, რომლებიც ახსნილია სახელმძღვანელოში (ან მის ცალკეულ ნაწილში).

მიზეზი, რის გამოც ასე დეტალურად ვიძლევიტ ტექსტის ტექნიკურ აღწერილობას, შეიძლება იყოს ის, რომ ჩვენ გვინდა ტესტში ჩართული ტექსტი კანდიდატმა წაიკითხოს შეძლებისდაგვარად წარმატებულად. ეს ნაწილობრივ არის შინაარსობრივი ვალიდურობის საკითხი, მაგრამ ასევე უკავშირდება უკუგების ეფექტს. ტესტში მხოლოდ მცირე რაოდენობის ტექსტის გამოჩენა ხელს შეუწყობს კანდიდატების მხოლოდ მცირე რიცხვს. ასევე უნდა აღინიშნოს ავთენტურობაც ამ თვალსაზრისით. გამოვიყენოთ თუ არა ავთენტური ტექსტები (მშობლიური ენის მატარებლებისთვის) დამოკიდებულია იმაზე, თუ რის გაზომვას ვგეგმავთ ტესტის მეშვეობით.

სიჩქარე

კითხვის სიჩქარე შეიძლება გამოიხატებოდეს წუთში გამოთქმული სიტყვების რაოდენობით. სხვადასხვა სიჩქარეს ვიღებთ სწრაფი და ნელი კითხვის დროს. წერილის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, კანდიდატს არ მოეთხოვება ყოველი სიტყვის წაკითხვა. კითხვის სიჩქარეს განაპირობებს ტექსტის შემადგენელი ნაწილების რაოდენობა და სირთულე, ეს კი განსაზღვრავს ტესტის ან მისი ნაწილისთვის განკუთვნილ დროს.

შესრულების კრიტერიუმების დონე

ნორმებზე ორიენტირებული ტესტირების დროს ჩვენ გვაინტერესებს კანდიდატების შედეგების შედარება. ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი კრიტერიუმების დონეების დაკონკრეტება ტესტის შედგენამდე ან ტესტირების ჩატარებამდე. თუმცა მოცემულ წიგნში ჩვენ მხარს ვუჭერთ კრიტერიუმებზე ორიენტირებულ მიდგომას ენის ტესტირებისას. წერითი უნარების ტესტირებისას, როგორც ეს წინა თავში ნახეთ, ადვილად შესაძლებელია წერის უნარების იმ დონეების აღწერა, რომლებსაც უნდა მიაღწიოს კანდიდატმა. რეცეფციული უნარ-ჩვევების კრიტერიუმების დონეების შემუშავება უფრო პრობლემურია. ტრადიციული გამსვლელი ქულა გამოხატული პროცენტებში (40%, 50%, 60%) ნაკლებად დაგვეხმარება, რადგან ფაქტობრივად შეუძლებელია ამ ქულების პირდაპირი ინტერპრეტაცია. ჩემი არით, საუკეთესო გამოსავალია დონის განმსაზღვრელი ამოცანების გამოყენება. ყველა დავალება (მათ შორის კანდიდატებისთვის სავალდებულო დავალებები) ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ მისი შესრულება შეძლოს ნებისმიერმა კანდიდატმა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმისათვის რომ კანდიდატმა წარმატებით გაიაროს ტესტირება, მან, ჩვენი მოლოდინიდან გამომდინარე, უნდა მიიღოს 100 ქულა. მაგრამ რადგან ჩვენ ვიცით, რომ ტესტის ადამიანური შესრულება არ არის ასეთი სანდო, ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ ყველაზე დაბალი გამსვლელი ქულა, მაგალითად 80%-იანი ზღვარი. იმისათვის, რომ დავადგინოთ კანდიდატების უნარების სხვადასხვა დონე, საჭიროა ერთზე მეტი ტესტი (იხ გვერდი 55).

როგორც კითხვის უნარების ტესტის შექმნის (და ვალიდაციის) პროცესის ნაწილი, ჩვენ შეგვიძლია გაგვიჩნდეს სურვილი შევადაროთ კანდიდატების მიერ შესრულებული კითხვის ტესტები ერთმანეთს ACTFL-ის ან ILR-ის ტესტების შეფასების სქემების გამოყენებით.

ყველაზე მისაღები იქნება ისეთი შემთხვევა, როდესაც პროდუცირების უნარ-ჩვევები შეფასდება ამ სქემების მიხედვით, რითაც ნათელი გახდება ტექსტების ეკვივალენტურობა ჩვენთვის საინტერესო სხვადასხვა უნარ-ჩვევების თვალსაზრისით.

ამოცანათა კრებული

ამოცანების შერჩევა

ტექსტების წარმატებული შერჩევა დამოკიდებულია გამოცდილებაზე, დასაბუთებასა და გარკვეულ საღ აზრზე. ეს კი არ არის თვისებები, რომლებიც უნდა უზრუნველყოს სახელმძღვანელომ, აუცილებელია პრაქტიკაც. თუმცა, არასოდესაა ურიგო კარგი რჩევა. ხშირად, როდესაც საკითხი თვალნათელია, იგი ავიწყდებათ ხოლმე.

1. ყოველთვის გახსოვდეთ ტექსტის ტექნიკური მახასიათებლები და შეეცადეთ აარჩიოთ ნიმუში. არ შეარჩიოთ რამდენჯერმე ერთი და იგივე კონკრეტული ტექსტი, რადგან ადვილად შეიძლება მათი დამახსოვრება.

2. შეარჩიეთ მისაღები ზომის ტექსტი. სწრაფი კითხვის ტექსტის შემთხვევაში შეიძლება მოვიყვანოთ მონაკვეთი 2000 სიტყვის მოცულობით. გამოწვლილვითი კითხვისთვის შესაძლებელია რამდენიმეწინადადებიანი ტექსტის გამოყენებაც.

3. იმისათვის რომ მივიღოთ შინაარსის ვალიდურობა და მისაღები სანდოობა, ტექსტში ჩასვით იმდენი მონაკვეთი, რამდენიც შესაძლებელია, რითაც კანდიდატებს მისცემთ 'ახალი დაწყების' საშუალებას. პრაქტიკულობის განხილვა აუცილებლად შეზღუდავს ამას, განსაკუთრებით როდესაც უნდა შემოწმდეს სკანირება ან ზერელე წაკითხვა.

4. მიეზიოთ კითხვის შემთხვევაში მოძებნეთ ისეთი მონაკვეთები, რომლებიც შეიცავს ბევრ ცალკეულ ინფორმაციას.

5. სკანირების/სწრაფად აღქმის შემთხვევაში გაითვალისწინეთ, რომ ტექსტი უნდა შეიცავდეს სპეციფიკურ ელემენტებს, რომლებსაც უნდა მიექცეს ყურადღება სწრაფად აღქმის დროს.

6. იმისათვის, რომ გამოვცდოთ ტექსტის სტრუქტურის სწრაფად შექმნის უნარი, დარწმუნდით, რომ ტექსტს აქვს მკაფიოდ აღსაქმელი სტრუქტურა (გასაოცარია, რამდენად ბევრი უხარისხო ტექსტი შეიძლება შეგვხვდეს).

7. აარჩიეთ ტექსტები, რომლებიც დააინტერესებენ კანდიდატს, მაგრამ ზედმეტად არ მოხიბლავენ ან შეაწუხებენ მათ. მაგალითად, ტექსტი კიბოს შესახებ აუცილებლად დათრგუნავს ზოგიერთ კანდიდატს.

8. თავი აარიდეთ ტექსტებს, რომლებიც შეიცავენ კანდიდატებისთვის ნაცნობ ზოგად ცოდნას. შეიძლება რთული იყოს კანდიდატისთვის გასცეს სწორი პასუხები მონაკვეთების წაკითხვის გარეშე. მე შემხვედრია კითხვის უნარების ტესტი, რომლის შევსების დროსაც 11 შეკითხვიდან რვაზე უკვე წინასწარ ტექსტის წაკითხვის გარეშე ვიცოდი პასუხი. ტექსტის თემა იყო ჟანგი მანქანებში, რასთანაც მე ხანგრძლივი შეხება მქონდა.

9. ასევე იმის რა, რომ მხოლოდ კითხვის უნარების ტესტს ქმნით, არ შეარჩიოთ ისეთი ტექსტები, რომლებიც კულტურულად ზედმეტად დატვირთულია.

10. არ შეარჩიოთ ისეთი ტექსტები, რომლებიც სტუდენტებს უკვე წაკითხული აქვთ (ან მიახლოებული საკითხებია მასში განხილული). ეს ძალიან ხშირად ხდება ხოლმე.

წერითი დავალებები

ამოცანა შეიძლება იყოს შევითხვების შექმნა, რომლებიც გაზომავს ჩვენთვის საინტერესო უნარებს, რომლებიც გამოავლენს კანდიდატების სანდო ენობრივ ქცევას და რომელიც საშუალებას მოგვცემს დავწეროთ მაღალი სანდოობის ქულები. რადგან წაკითხვის ქმედება თავისთავად არ გვიჩვენებს წარმატებით შესრულებას, ჩვენ უნდა შევქმნათ ამოცანათა ნაკრები, რომელიც უზრუნველყოფს კანდიდატის წარმატებული წაკითხვის მტკიცებულებებს.


შესაძლო ტექნიკები

მნიშვნელოვანია, რომ ტექნიკებმა ნაკლებად შეაფერხონ საკუთრივ კითხვის პროცესი, ამდენად არ უნდა ჩავრთოთ ძალიან რთული ამოცანები. ეს ერთი მიზეზია იმისა, რომ ვიყოთ ყურადღებით კანდიდატების მოთხოვნებისა და მათი პასუხების მიმართ, განსაკუთრებით ტექსტის ენის შემთხვევაში. ისინი შეიძლება ზედმიწევნით კარგად კითხულობდნენ, მაგრამ წერასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა შეიძლება ხელი შეუშალონ ამის გამოვლენაში. ამ პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზებია:

დახურული ტიპის ტესტი:

კანდიდატი წარმოგვიჩენს წარმატებით კითხვის მაგალითს, როდესაც უამრავი სხვა ვარიანტიდან მონიშნავს ერთ-ერთს. ამ ტექნიკის მიმზიდველობამ გადაწონა ბევრი სხვა ინსტიტუციური ტესტირების დროს, რაზეც საუბარია მერვე თავში. ეს ამართლებს მაშინ, როდესაც მოცემულია ალტერნატიული პასუხები ან წარმოდგენილია ილუსტრაციების სახით, როგორც ამას შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს:

შეარჩიეთ სურათი (A, B, C ან D), რომელსაც აღწერს შემდეგი წინადადება: კაცს, რომელიც ძაღლთან ერთად მიდიოდა ქუჩაში, დაეჯახა ქალი.



უკვე აღინიშნა, რომ სწორია/არასწორი დავალებები, რომლებიც ბევრ ტესტში გვხვდება, მარტივად რომ ვთქვათ, არის დახურული ტესტის ნაირსახეობა, მხოლოდ ერთი არასწორი პასუხით და 50-პროცენტის ალბათობით, რომ პასუხი სწორია! როდესაც გვაქვს კატეგორიები 'უვარგისია' ან 'არ ვიცით' სწორი პასუხების გამოცნობის ალბათობა შემცირებულია 33 მთელი ერთ მესამედი პროცენტით.

მოკლე პასუხი

საუკეთესო მოკლე პასუხების მქონე შეკითხვები ისინია, რომელსაც აქვს ერთადერთი სწორი პასუხი. მაგალითად:

რომელი ქალაქის მაცხოვრებლებია აღწერილი როგორც 'ურბანული სოფლის' მკვიდრები?

ამ კითხვაზე ერთადერთი შესაძლო სწორი პასუხია *ბომბეი*. პასუხი შეიძლება იყოს ერთ სიტყვა ან ცოტა უფრო გრძელი ვარიანტი (მაგალითად: ჩინეთი ან იაპონია; ამერიკელი ქალები).

მოკლე პასუხის ტექნიკა მუშაობს კარგად რეფერენტების იდენტიფიკაციის უნარის ტესტირებისას. მაგალითად (მოწვევის შესახებ საგაზეთო სტატიის საფუძველზე გვ. 150): რას მიემართება ნაცვალსახელი 'ის' (26-ე ხაზი) -----.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ზუსტი რეფერენტი უნდა მოიძებნოს ტექსტში. შეიძლება საჭირო იყოს ტექსტის ნაწილობრივ შეცვლა ამ ამოცანის შესასრულებლად.

ტექნიკა ასევე მუშაობს კარგად, როდესაც ვამოწმებთ კონტექსტის მიხედვით უცხო სიტყვის მნიშვნელობის გამოცნობის უნარებს. მაგალითად (ისევ მოწვევის შესახებ სტატიის მიხედვით), იპოვეთ სიტყვა მონაკვეთში (1-26 ხაზებს შორის), რომელსაც აქვს ისეთივე მნიშვნელობა, როგორიც შესიტყვებას 'making of laws'. (სიტყვას მონაკვეთში შეიძლება ჰქონდეს შემდეგი დაბოლოებები -s, -tion, -ing, -ed, და ა.შ.). მოკლე პასუხის ტექნიკა შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მონაცემების გამოიჭენის უნარის შესამოწმებლად, ფაქტისა და მოსაზრების გამოიჭენა. მაგალითად: თქვენი პასუხები დააფუძნეთ ტექსტს, ყოველი წინადადება მონიშნეთ როგორც ფაქტი ან მოსაზრება და მიაწერეთ ასოები ფ ან მ პასუხების ფურცელში. კრედიტის მისაღებად სამივე პასუხი უნდა იყოს სწორი.

1. ფერმის მფლობელები განზრახ უგულებელყოფენ თავიანთ მიწას.

2. ახალგაზრდების უმეტესობა, რომლებიც ქალაქებში გადადიან საცხოვრებლად, არის წარმატებული.

3. უკვე ბევრი ფერმა არსებობს სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ.

რადგან მოთხოვნა არის ის, რომ სამივე პასუხი იყოს სწორი, პასუხის გამოცნობას შეზღუდული შედეგი ექნება ამგვარი დავალების დროს.

სკანირება შეიძლება გამოიცადოს მოკლე პასუხის ტექნიკით:

მეოთხე ცხრილში ჩამოთვლილი ქალაქებიდან რომელია ყველაზე მჭიდროდ დასახლებული?

რომელ გვერდზე შეგვიძლია მოვიპოვოთ ინფორმაცია ნაბოკოვის მიერ პეპლებით გატაცების შესახებ?

მოკლე პასუხის ტექნიკა შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს ტექსტის სტრუქტურასთან დაკავშირებული დავალებების შესრულებისას. მაგალითად:

სტატია შედგება ხუთი ნაწილისაგან. რომელ ნაწილში აღწერს მწერალი შემდეგ იდეებს:

(a) ეროვნულ ერთიანობასთან დაკავშირებული ენობრივი არჩევანი [ნაწილი]

(b) კოლონიალური ენის გავლენა ადგილობრივ კულტურაზე [ნაწილი]

(c) ხალხის კოლონიალური ენის არჩევანი თავისუფლებისთვის ბრძოლის საქმეში [ნაწილი]

(d) პრაქტიკული სირთულეები განათლების მიზნით ადგილობრივი ენის გამოყენების საქმეში [ნაწილი]

(e) ძალაუფლებისა და ენის ურთიერთდამოკიდებულება [ნაწილი]

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, გამოცნობა აქ შესაძლებელია, მაგრამ ალბათობა პირდაპირ დახურულ ტესტთან შედარებით ძალიან დაბალია.

მსგავსი მაგალითია (ტექსტთან) (2):

რა რიგითობით აკეთებს ამას ავტორი ქვემოთ მოცემულ სტატიაში? პასუხების ფურცელში მოცემულ ველებში თანმიმდევრობის აღსანიშნავად ჩაწერეთ რიცხვი 1 და ა. შ. თუ მოსაზრება საერთოდ არ ჩანს ტექსტში, პასუხების ფურცელში ჩაწერეთ N/A (not applicable/არ არის გამოყენებული)

a) ის საუბრობს შაკიკის შესახებ

b) ის რაკომენდაციას უწევს კონკრეტულ წამლებს

c) ის რეკომენდაციას უწევს მცენარეებით მკურნალობას

d) ის აღწერს შაკიკის შეტევას

e) ის აძლევს ზოგად რჩევას მათ, ვისაც აწუხებს შაკიკი

Tyrant blackmailer, kidnapper, bore

Migraine sufferers often feel a deep sense of guilt, for migraine is a bore as well as a tyrant and kidnapper. It destroys social plans and devastates work-schedules. Despite its destructive power, however, the ignorant still dismiss it as the product of a fevered (and probably female) imagination: a bit like the vapours. But if you've ever felt it, or seen someone live through it, you know: migraine is the hardest, blackest and most terrifying of everyday pains.

Eyes shrink to the size of currants, the face turns deathly pale, the tongue feels like an old gardening glove, the entire body seems to age about 70 years, so only a palsied shuffle to the bathroom is possible. Daylight is agonising, a thirst rages, and the vomiting comes almost as a relief, since in the paroxysm of nausea the pain recedes for a few blissful seconds. Above all, the constant feeling of a dagger striking through the eyeball and twisting into the brain can make the sufferer long for death. When at last (sometimes three days later) the pain begins to ebb, and one can slowly creep back into life, it's like being reborn.

Migraine is the focus of many myths. It is emphatically not a recent ailment, or a response to the stresses of modern life. It has been with us always. Its very name derives from the ancient Greek for *half the*

skull — migraine is always a one-sided headache. The Egyptians had a god for it: no doubt he was more often cursed than hymned. Some suggest that migraine sufferers are intellectual types, or particularly conscientious personalities. There is little basis for any of this. Migraine affects 7 to 18 per cent of the population, impartially; the egg-heads and the empty-headed alike.

Anxiety, of course, can cause migraine. And fear of an attack can itself be a cause of massive anxiety. Caught in this Catch 22 situation, some sufferers no longer dare make any plans, so reluctant are they to let down their family or friends yet again. This incapacitating fear (Mellon-tophobia) shows the far-reaching damage migraine is doing to the lives of six million adults in Great Britain alone.

The best thing these sufferers can do is to join the British Migraine Association without delay. This excellent, lively and informal organisation produces leaflets and a newsletter, and organises fund-raising activities to sponsor research. It keeps its members informed about the latest sophisticated drugs available, and also (most importantly) swaps members' hints about herbal treatment and self-help techniques.

There are several drugs available on prescription for the control of migraine, but perhaps the most exciting recent development in research involves a modest hedgerow plant, native to the British Isles and used for centuries by wise women for a variety of ailments. It is fever-

few (*Chrysanthemum Parthenium*).

In 1979, Dr E. Stewart Johnson, Research Director of the City of London Migraine Clinic, saw three patients who had been using feverfew as a preventative, and soon afterwards he became involved in its clinical trials. Dr Johnson's work is still progressing, but early results hint at spectacular success. 70 per cent of subjects claim their attacks are less frequent and not so severe; 33 per cent seem completely migraine-free. A few experience unpleasant side-effects (mostly mouth-ulcers: feverfew is a very bitter herb), and it is not recommended for pregnant women. But for the rest of us, three vile-tasting feverfew leaves a day have become indispensable.

Ten years ago I was taking Librium to reduce stress and Ergotamine to treat the actual migraine pain. They were powerful drugs, which left me feeling doped and poisoned, and they didn't always cure the headache, either. Nowadays, I eat my three leaves, feel good, and probably never get the headache in the first place.

Acupuncture has also helped, partly by improving my general sense of well-being, but during a migraine the pain can be immediately dulled and eventually dispersed by needles placed on special points in the feet or temples. Finger pressure on these points can help too, in the absence of an acupuncturist. Locally applied heat (a hot water bottle or acupuncturist's moxa stick—a bit like a cigar—is very soothing).

But above all the best thing I've done about my migraine is learn to relax all the muscles surrounding the eye. The natural response to severe pain is to tense up the muscles, making the pain worse. Deliberately relaxing these muscles instead is a demanding discipline and requires undisturbed concentration, but the effect is dramatic. Immediately the pain becomes less acute.

Migraine is a formidable adversary: tyrant, black-mailer, kidnapper, bore; but after many years' struggle I really feel I've got it on the run. And though I'm a great admirer of the best of Western orthodox medicine, it's pleasing that my migraines have finally started to slink away when faced not with a futuristic superpill, but with the gentle healing practices of the East and the Past.

*The British Migraine Association, 178a High Road, Byfleet, Weybridge, Surrey KT14 7ED. Tel: Byfleet 52468.
The City of London Migraine Clinic, 22 Charterhouse Square, London, EC1M 6DX will treat sufferers caught away from home with a severe attack.*

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის თანმიმდევრობის შეფასება შეიძლება პრობლემური იყოს. თუ კანდიდატი ტექსტის ერთ ელემენტს მაინც არასწორად ჩასვამს, ამან შეიძლება გამოიწვიოს დანარჩენი პასუხების თანმიმდევრობის არევა. ეს კი რთული გადაწყვეტილების წინაშე აყენებს გამსწორებლებს.

მალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ მოკლე პასუხების ტესტის შექმნისას, რადგან იზღუდება ინდივიდუალური პასუხი. ამდენად, ავტორის მიხედვით რაზე მიგვითითებს განქორწინებების რიცხვის გაზრდა ქორწინებისა და მეუღლეების მიმართ ადამიანთა მოლოდინის შესახებ.

შეიძლება შემდეგნაირად მივუთითოთ პასუხები:

მათი მოლოდინი უფრო მაღალი იყო წარსულში.

რა თქმა უნდა, აქაც არსებობს ერთი საშიშროება, სტუდენტებმა შეიძლება კარგად ვერ ჩამოაყალიბონ პასუხი (ისევე როგორც გამსწორებელს სტუდენტის ნაწერიდან არ შეუძლია სტუდენტის პასუხის გარკვევა).

გამოტოვებული ადგილების შევსება:

ეს ტექნიკა განსაკუთრებით სასარგებლოა კითხვის უნარების ტესტირების დროს. მისი გამოყენება შეიძლება ყოველთვის, როცა პასუხი იმდენად კომპლექსური და რთულია, რომ წერილობითი აქტივობას მოითხოვს და იწვევს შესაბამის (მათ შორის ქულების წერის) პრობლემებს. თუ ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, გაიგო თუ არა კანდიდატმა მოყვანილი პასაჟის ძირითადი იდეა, შეიძლება მივცეთ შემდეგი დავალება, მაგალითად:

დაასრულეთ წინადადება ქვემოთ მოყვანილი მონაკვეთის მიხედვით:

‘ბევრი ევროპული უნივერსიტეტი ამტკიცებდა, რომ მათ სტუდენტები ლაპარაკობენ და წერენ მხოლოდ ----- . ახლა ბევრი მათგანისთვის მისაღებია -- -----, როგორც ალტერნატივა, მაგრამ არა როგორც -----
----- მათგანი.

დღემდე, ბევრი ევროპული უნივერსიტეტი და კოლეჯი არა მხოლოდ ასწავლიდა ბრიტანულ ინგლისურს, არამედ, ფაქტობრივად, მოითხოვდნენ ამას თავიანთი სტუდენტებისაგან. სტანდარტული ინგლისურის სხვა სახეობა არ დაიშვებოდა. ესე იყო კარგად გააზრებული გადაწყვეტილების შედეგი, კერძოდ, ნორმები უნდა დაფუძნდეს, რადგან გაუგებრობა იმატებს, თუ იქნება გამოყენებული სხვადასხვა მოდელი. თუმცა, ბოლო პერიოდში ბევრმა უნივერსიტეტმა უარი თქვა ამ მოთხოვნაზე, რადგან აღმოჩინეს, რომ მათი ერთმანეთში ურევდნენ სტუდენტები ჩრდილოეთ ამერიკულ ინგლისურს და ბრიტანულ ინგლისურს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სტუდენტები გარკვეული პერიოდით გაემგზავრნენ სასწავლებლად ჩრდილოეთ ამერიკის უნივერსიტეტებში. შესაბამისად, ბევრი უნივერსიტეტი უკვე აძლევს ნებას სტუდენტებს ისაუბრონ და წერონ ან ბრიტანულ ან ჩრდილოეთ ამერიკულ ინგლისურზე, ისე რომ ახლა ესენი შეთავსებადი ენობრივი სახესხვაობებია (ტრუდგილი და ჰანაჰი 2002:2).

ამ კონკრეტული აქტივობის შესაძლო სუსტი მხარე არის ის, რომ კანდიდატმა უნდა ჩაწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა (კომბინაცია ან სიტყვათშეთანხმება), რომელიც არის მონაკვეთში. თუმცა პრაქტიკაში ეს ხერხი ამართლებს.

გამოტოვებული ადგილების შევსება, როგორც აქტივობა, შეიძლება გამოვიყენოთ ძირითადი იდეის მხარდამჭერი დეტალების ამოცნობის უნარის შესამოწმებლად.

იმისათვის, რომ განამტკიცოს აზრი რუსეთში მაფიის ბატონობის შესახებ, ავტორი აღნიშნავს, რომ ----- გაყიდვები მოსკოვში გაიზარდა -----
----- პროცენტით ბოლო ორი წლის განმავლობაში.

გამოტოვებული ადგილების შევსების ტექნიკა ასევე გამოიყენება მონაკვეთების სკანირებისას:

პირველი ცხრილის მიხედვით, ფაკულტეტის წევრების -----
პროცენტი ეთანხმება ახალ წესებს.

გამოტოვებული ადგილის შევსების ტექნიკა ასევე გამოიყენება როგორც ამოსავალი ე. წ. 'დახურული შეჯამების' ტიპის აქტივობისთვის. ამ ტექნიკის მიხედვით, წასაკითხი მონაკვეთი შეჯამებულია ტესტის ავტორის მიერ, შემდეგ კი შეჯამებაში გამოტოვებულია ადგილები, რათა ისინი შეავსოს კანდიდატმა. ეს სინამდვილეში არის გამოტოვებული ადგილების შევსების ტექნიკის განვრცობილი ვარიანტი და იზიარებს მის მახასიათებლებს. აქ შეიძლება დავუშვათ რამდენიმე სანდო მაგრამ რელევანტური დავალება შედარებით მოკლე მონაკვეთში. ქვემოთ მოყვანილია მაგალითი:

ინფორმაციის ტრანსფერი

კანდიდატების წერითი უნარებისადმი წაყენებული მოთხოვნების შემცირების ერთი გზა არის მოვთხოვით მათ წარმატებით დაასრულონ კითხვის დავალება და ცხრილში

მოათავსონ მცირე ინფორმაცია: მაგალითად, რუკის მიხედვით გზის აღწერა, სურათის აღწერა და ა. შ.

შედარებით მცირე რაოდენობის ტექნიკა იყო წარმოდგენილი ამ ნაწილში. ეს იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, საჭიროა მხოლოდ რამდენიმე ძირითადი ტექნიკა, რათა არაპროფესიონალმა გამომცდელმა შეძლოს კანდიდატების უნარებზე კონცენტრირება, ამ ტექნიკების მორგება კონკრეტულ მიზანთან და კონკრეტულ პირობებთან. ბევრი პროფესიონალი გამომცდელი იყენებს მხოლოდ ერთი ტიპის - დახურულ ტესტს. სულ უფრო მეტ დახურული და C-Test ტესტის ტექნიკებს (იხ. თავი 14) უქცევენ გვერდს გამომცდელები, რადგან ეს ტექნიკები მოითხოვს კითხვის მაღალი დონის მასალას, ამ შემთხვევაში კი არ არის ნათელი იზომება თუ არა მხოლოდ კითხვის უნარები. ეს კი იწვევს ქულების დაწერის სირთულეს კრიტერიუმების დონეების მიხედვით.

რომელი ენა უნდა გამოვიყენოთ დავალებებისა და პასუხებისთვის?

კითხვის ტესტის დავალებები არ უნდა უქმნიდნენ კანდიდატებს გაგებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. ეს ყოველთვის უნდა იყოს დამოკიდებული კანდიდატების შესაძლებლობებზე და არა საკუთრივ ტექსტზე. იგივეა პასუხების შემთხვევაშიც. პასუხები არ უნდა მოითხოვდეს რთულ და ვრცელ წერით აქტივობებს. როდესაც კანდიდატებს აქვთ საერთო მშობლიური ენა, ეს ტესტში შეიძლება გამოვიყენოთ როგორც დავალებების, ისე პასუხებისთვის. თუმცა არსებობს საფრთხე, რომ კანდიდატებმა ტექსტიდან იმაზე მეტი ინფორმაცია მიიღონ, ვიდრე შესაძლებელია უცხო ენაზე დავალების შესასრულებლად.

წერითი დავალებების პროცედურა

დავალებების შექმნის დასაწყისი აქტივობა უნდა იყოს ტექსტის ყურადღებით წაკითხვა, გონებაში სპეციფიკური ოპერაციების გატარება. ადამიანმა უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს, კომპეტენტური მკითხველი რას გამოიტანდა ამ ტექსტიდან. რა რელევანტური შენიშვნების გაკეთებაა შესაძლებელი ძირითადი იდეის, ინფორმაციის საინტერესო ნაწილის, არგუმენტის, მაგალითის და ა. შ. მიხედვით. შემდეგ უნდა გადაწყვიტოთ, ამ აქტივობების შესაბამისი რომელი დავალება უნდა შევთავაზოთ კანდიდატებს შესასრულებლად. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეიქმნას დავალებების შავი ვარიანტი. აზნაცებისა და ხაზების ნომრები უნდა დაემატოს ტექსტს, თუ დავალებები მოითხოვს ამას. ტექსტი და დავალებები უნდა მივაწოდოთ კოლეგებს მოდერაციისთვის. დავალებებიც და ტექსტიც კი შეიძლება გადამუშავდეს. მოდერაციისთვის საჭიროა შემდეგი:

1. ტექსტი და დავალებები ინგლისურ ენაზე გრამატიკულად გამართულია?	კი	არა
2. ინგლისური ბუნებრივია და მისაღები?		
3. შესაბამება თუ არა დავალებები კონკრეტულ პარამეტრებს?		
4. სწორი პასუხის გასაცემად საჭიროა თუ არა კითხვის		

ქვეუნარები?		
5. (a) დახურული კითხვები: აქ მხოლოდ ერთი სწორი პასუხია? (b) გამოტოვებული ადგილების შევსება და დახურული შეჯამება: მხოლოდ ერთი თუ ორი სწორი პასუხია თითოეული უჯრისთვის? (c) მოკლე პასუხი: ეკუთვნის თუ არა პასუხი პროდუცირების უნარებს? შეიძლება მისი შეფასება ვალიდურად და სანდოდ? (d) ღია პასუხი: მხოლოდ ერთი და ცალსახა პასუხი არსებობს?		
6. დახურული კითხვა: ყველა არასწორი პასუხი სათანადო ასრულებს ფუნქციას?		
7. დავალებები ეკონომიურია?		
8. პასუხები სრულყოფილია და სწორი?		

პრაქტიკული რჩევები დავალებების შედგენისათვის

1. სკანირების ტესტში ჩასვით ისეთი დავალებები, რომლებზეც პასუხები მოცემულია ტექსტში. დავალებებში არ უნდა იყოს ბევრი შემთხვევითი ვარიაცია და დაბალი სანდოობა.

2. არ ჩასვათ ტესტში ისეთი დავალებები, რომლებზეც პასუხიც შეიძლება კანდიდატმა იცოდეს ტექსტის წაკითხვის გარეშე (თუ ეს არ არის უნარი, რომელსაც თქვენ ამოწმებთ). ასეთი დავალებები ხშირად მოიცავს ცალკეული სიტყვებისა და ტექსტის ინფორმაციის დაკავშრებას. ამდენად შემდეგი წინადადების ნაცვლად (დაახლოებით 45-ე ხაზი მოწვევის შესახებ მონაკვეთიდან, გვერდი 50):

What body said that concern over passive smoking had arisen in part through better insulation and draught proofing?

უმჯობესია შემდეგი წინადადების დაწერა:

What body has claimed that worries about passive smoking are partly due to improvements in buildings?

დავალებები, რომლებიც მოითხოვს მარტივ მათემატიკას, შეიძლება გამოგვადგეს აქ. ერთ წინადადებაში ჩვენ შეიძლება წავიკითხოთ, რომ 1985 წლამდე კეთდებოდა მხოლოდ სამი ქირურგიული ოპერაცია. მეორე წინადადებაში ვკითხულობთ, რომ იმის შემდეგ კეთდებოდა 45.

დავალება შეიძლება გვეკითხებოდეს, რამდენით გაიზარდა ოპერაციების რიცხვი?

3. არ ჩართოთ დავალებები, რომლებზე პასუხიც ზოგიერთმა კანდიდატმა შეიძლება გასცეს მისი ზოგადი ფონური ცოდნიდან გამომდინარე და ტექსტის წაკითხვის გარეშე. მაგალითად:

სხვა ადამიანის მიერ სიგარეტის ბოლის ამონასუნთქმა შეიძლება გამოიწვიოს -----
----- . თუმცა არ არის აუცილებელი, რომ ავირჩიოთ ისეთი ეზოთერიკული თემები, რომლებიც ახასიათებს ინგლისური ენის Joint Matriculation Board's (Overseas) ტესტს.

4. შექმენით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დავალებები, ერთი დავალების სწორი პასუხი არ უნდა იყოს დამოკიდებული მეორე დავალების პასუხზე.

მომდევნო მაგალითში, რომელიც ტესტის ცნობარიდანაა აღებული, თუ კანდიდატი სწორად არ უპასუხებს ერთ დავალებას, ვერ შეძლებს მომდევნო ორ დავალებაზე პასუხის გაცემასაც (მათგან მეორე იყენებს კი/არა ტექნიკას). ასეთი კანდიდატისთვის (b) და (c)-ც შეიძლება არ იყოს ასევე მოცემული.

(a) რომელი წვნიანია გამხდრებისთვის?

(b) დაასახელეთ ერთი რამ, რაც გააკვირვებს ავტორს სუპის გასინჯვისას.

(c) მოსწონს თუ არა ავტორს გემო?

თუმცა, ტექსტის სტრუქტურასთან დაკავშირებული დავალებების სრული დამოუკიდებლობა, ფაქტობრივად, შეუძლებელია (მაგალითად ზემოთ მოყვანილ მონაკვეთში).

5. მზად იყავით შეიტანოთ მცირე ცვლილებები ტექსტში დავალებების გასაუმჯობესებლად. თუ გააკეთებთ ამას ისე, რომ არ ხართ მშობლიური ენის მატარებელი, სთხოვეთ მშობლიური ენის მატარებელს გადაავლოს თვალი ტექსტს.

ქულების წერის შესახებ

ზოგადი რჩევა სანდო შეფასების შესახებ უკვე მოცემული იყო მეხუთე თავში. აქ უნდა დავამატოთ ის, რომ კითხვის უნარების შემმოწმებელ ტესტში (ან მოსმენის ტესტში) გრამატიკული შეცდომები, ორთოგრაფიული შეცდომები და გამოთქმა არ უნდა მივიღოთ მხედველობაში, მთავარია, რამდენად წარმატებული იყო კანდიდატის მიერ შესრულებული კითხვასთან დაკავშირებული დავალებები. კითხვის ტესტის ფუნქცია კითხვის უნარის შემოწმებაა. ტესტის პროდუცირების უნარ-ჩვევები (რაც ხდება, როდესაც გრამატიკა და სხვ. მიიღება მხედველობაში) ერთსა და იმავე დროს მარტივად ქმნის კითხვის უნარების საზომს, რაც ნაკლებად ვალიდურია.

მკითხველის აქტივობები:

1. მიყევით თავში მოცემულ რჩევებსა და პროცედურებს, შექმენით 12 დავალების მქონე კითხვის ტესტი ახალი ზელანდიის ახალგაზრდული სასტუმროების შესახებ 157-ე გვერდზე. (მონაკვეთი გამოყენებული იყო ინგლისურ, როგორც უცხო ენაში ოქსფორდის საგამოცდო ტესტში, მოსამზადებელი დონე, 1987 წელი).

(a) თითოეული დავალებისთვის მოინიშნეთ, თუ რა უნარ-ჩვევების (მათ შორის ქვეუნარების) გააქტიურებას ელოდებით. თუ შესაძლებელია, გააცანით ტესტები თქვენს კოლეგებს და სთხოვეთ კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმა. ეცადეთ, გააუმჯობესოთ ტესტი. შემდეგ, ისევ და ისევ, თუ ეს შესაძლებელია, დააწერინეთ ტესტი სტუდენტების შესაბამის ჯგუფს. დაწერეთ ქულები. გაესაუბრეთ სტუდენტებს და ჰკითხეთ როგორ დაწერეს სწორი პასუხები. რამდენად გამოიყენეს მათ ის კონკრეტული ქვეუნარები, რომელთა მიღწევასაც თქვენ გეგმავდით.

(b) შეადარეთ თქვენი პასუხები მესამე დანართში მითითებულ ცალებს. შეგიძლიათ ახსნათ შიგთავსისა და ტექნიკების განსხვავებები? რას შეცვლიდით დავალებებში? რატომ? როგორ?

2. შექმენით თანმიმდევრული დავალებები შაკიკთან დაკავშირებული ტექსტის საფუძველზე. რა სირთულეები შეგექმნათ? თუ შესაძლებელია, შეაგროვეთ შესაბამისი უნარების მქონე სტუდენტები, დააწერინეთ შესაბამისი დავალებები და შემდეგ დაუწერეთ ქულები. შეგექმნათ სირთულეები ქულების დაწერისას?

3. შექმენით მოკლე პასუხების შემცველი დავალებების ნაკრები ერთადერთი სწორი პასუხით, რათა ჩავანაცვლოთ თანმიმდევრული ნაწილები, რომლებიც შეგვხვდა შაკიკის შესახებ ტექსტში.

4. შემდეგი დავალება არის სავარჯიშოს ნაწილი, რომელიც შეიქმნა სტუდენტებისთვის რთულ წინადადებებზე სამუშაოდ. რამდენად რთული შეიძლება იყოს ეს სავარჯიშოები, როგორც ტესტის ნაწილი? ზუსტად რა უნდა შეამოწმოს ამან? შეცვლიდით თუ არა რამეს ამ სავარჯიშოში? თუ კი, რატომ და როგორ? შეძლებდით თუ არა მის ღია კითხვად გადაკეთებას? დადებითი პასუხის შემთხვევაში როგორ მოახერხებდით ამას?

The intention of other people concerned, such as the Minister of Defence, to influence the government leaders to adapt their policy to fit in with the demands of the right wing, cannot be ignored.

რას მიემართება ფრაზა 'cannot be ignored'?

- a. the intention
- b. other people concerned
- c. the Minister of Defence
- d. the demands of the right wing.

(სვეინი, 1975)

შემდეგი სავარჯიშო გულისხმობს შემსწავლელის 'ტექსტის სქემის განვითარების' უნარის გაუმჯობესებას. ეს წინა დავალების მსგავსია.

შემდგომში დასამუშავებელი მასალა

კითხვის უნარების შემმოწმებელი ტესტის სრულად გაცნობისთვის რეკომენდაციას ვუწევ ალდერსონის ნაშრომს (2000). ურქუპარტი და ვაირი (1998) მსჯელობენ ტესტირების შესახებ კითხვის სწავლების კონტექსტში. კითხვის ქვეუნარ-ჩვევების

საკითხებს ეხებიან ვაირი და სხვები (1993), ვაირი და პორტერი (1995), ალდერსონი (1990a, 1990b, 1995) და ლუმლი (1993, 1995). ალდერსონი და სხვები (2000) იკვლევს თანმიმდევრობას, როგორც ტექნიკას. რაილი და ლი (1996) იკვლევენ გაუქმებასა და შეჯამებას როგორც კითხვის გაგების საზომს. ფრიდლი და კოსტინი (1999) სწავლობენ ცვლად სიდიდეებს, რომლებიც გავლენას ახდენს კითხვის დავალების სირთულეზე. შოჰამი (1984) გვამლევს კვლევას, რომელიც სწავლობს კანდიდატების ბუნებრივ ენაზე წერითი დავალებების გავლენას. ვაირი და სხვები (2000) აღწერენ ჩინეთში კითხვის ტესტის სპეციფიკაციების დამუშავების საკითხს. ალანი (1992) გადმოგვცემს ტესტირებაში მონაწილე ადამიანების ტესტის შედეგების ანალიზის სქემას.

ეს გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ტესტს, რომლის რიგითობაშიც შეიძლება დაშვებულ იქნას შეცდომა, ხელი შეუწყოს კანდიდატებს გასცენ სწორი პასუხები. სტატიაში წარმოდგენილია გამოყენებული სავარჯიშოების სრული ნაკრები.

(1) უნდა ვაღიაროთ, რომ სხვაობა პროპოზიციულ და პრაგმატულ დასკვნებს შორის არ არის წყალგაუმტარი. იმ დაშვებით რომ ყველა დასკვნა არის პრაგმატული: მაშინაც კი თუ შეგვიძლია აზრის გამოყვანა, როდესაც ვამბობთ, რომ 1941 წელს დაბადებული ადამიანი თავის მეჩვიდმეტე დაბადების დღეს იხდის 2011 წელს, ამას უბრალოდ ვერ მოვახერხებთ, რადგან ეს დამოკიდებულია უბრალო მათემატიკაზე და არ ექვემდებარება არგუმენტაციას. თუმცა, სხვაობა სასარგებლო რჩება, როდესაც საქმე გვაქვს კითხვის ტესტის დავალებებთან.

(2) ეს დავალება არის ერთ-ერთი RSA ტესტიდან, რომელიც გარდაიქმნა CCSE ტესტად. ამჟამად CCSE ტესტი ჩაანაცვლა CELS ტესტმა.

12. მოსმენის უნარების ტესტირება

ერთი შეხედვით, უცნაურია მოსმენისა და ლაპარაკის უნარების შემმოწმებელი ტესტების გამიჯვნა, რადგან ორივე უნარი, პრაქტიკულად გამოიცდება ერთდროულად ზეპირი ინტერაქციის დროს. თუმცა, არის შემთხვევები, როგორებიცაა რადიოს მოსმენა, ლექციის მოსმენა, მატარებლის სადგურში განცხადების მოსმენა, როდესაც ლაპარაკი არ არის საჭირო. ასევე, ტესტის ფუნქციიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც იგულისხმება ზეპირი უნარების გამოცდა, თუმცა, ეს სხვადასხვა მიზეზით არაპრაქტიკულია. მოსმენის ტესტს კი მოითხოვს უკუგების ეფექტი ზეპირი უნარების განსავითარებლად.

მოსმენის უნარები ასევე შეიძლება გამოიცადოს დიაგნოსტიკური მიზნებით. რადგან ეს არის რეცეპტიული უნარ-ჩვევა, ამ თავში ცოტა დროს დავუთმობთ ორი უნარის გამოცდის ერთდროულად საკითხებს და უფრო მეტ ყურადღებას გავამახვილებთ მოსმენის უნარებზე. თუ მკითხველი აპირებს მოსმენის ტესტის შექმნას, მიიღებს რჩევებს ამ და წინა თავში. მოსმენის ტესტის შექმნისას განსაკუთრებით სერიოზული პრობლემები შეიძლება შექმნას სალაპარაკო ენის წარმავალმა ბუნებამ. მსმენელებს არ შეუძლიათ სალაპარაკო ტექსტის წინ ან უკან დაბრუნება იმის გამო წერითი ტექსტისაგან განსხვავებით. ერთი გამონაკლისი შეიძლება იყოს მაშინ, როდესაც აუდიოხელსაწყო მსმენელის ხელთაა, თუმცა, ეს არაა ტიპური შემთხვევა ტესტირებისას. ამ პრობლემის გადაჭრის გზები განხილულია ამ თავის ბოლოს.

კარგად განსაზღვრეთ და დააკონკრეტეთ, თუ რა უნდა გააკეთოს კანდიდატმა

როგორც სხვა უნარების შემთხვევაში, კითხვის ტესტის სპეციფიკაციებშიც კარგად უნდა იყოს ასახული, რა უნდა გააკეთოს კანდიდატმა.

შიგთავსი

ოპერაციები

ზოგიერთი ოპერაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც გლობალური, იმის გამო, რომ ისინი დამოკიდებულია მთლიანად იმაზე, თუ რას ისმენს კანდიდატი. ეს ოპერაციები მოიცავს შემდეგ უნარებს:

- ძირითადი აზრის გაგება;
- არგუმენტისთვის ყურის გადევნება;
- მოლაპარაკის დამოკიდებულების გამოცნობა.

სხვა ოპერაციები შეიძლება განვსაზღვროთ ისევე, როგორც ზეპირი უნარებისას მათე თავში. სპეციფიკაციების შექმნისას, ასევე სასურველია თითოეულ ოპერაციას დავამატოთ შემდეგი ინფორმაცია: ის, რაც მოსმენისას უნდა გაიგოს კანდიდატმა, რეალურადაა მოცემული ტექსტში თუ იგულისხმება.

ინფორმაციული:

- ფაქტობრივი ინფორმაციის მოპოვება;
- ინსტრუქციების მიყოლა (მითითებების ჩათვლით);
- ინფორმაციისთვის მოთხოვნების გაება;
- საჭირო გამოთქმების გაგება;
- დახმარების თხოვნის გაგება;
- ნებართვის მოთხოვნის გაგება;
- ბოდიშის მოხდის გაგება;
- მოვლენების თანამიმდევრობის (ნარატივის) გაგება;
- მოსაზრებების ამოცნობა და გაგება;
- მოსაზრების დასაბუთების გაგება;
- შედარებების გაგება;
- შეთავაზების ამოცნობა და გაგება;
- კომენტარების ამოცნობა და გაგება;
- მწუხარების გამოთქმის ამოცნობა და გაგება;
- უპირატესობის მინიჭების ამოცნობა და გაგება;
- ჩივილის ამოცნობა და გაგება;
- შეთანხმების ამოცნობა და გაგება.

ინტერაქციული:

- გაცნობისა და მისალმების გაგება;
- თანხმობის გამოხატველი გამოთქმების გაგება;
- უთანხმოების გამოხატველი გამოთქმების გაგება;
- მოლაპარაკის მიზნის გაგება;
- გაუგებრობის მიზეზების გაგება;
- აზრის ნათელყოფის მოთხოვნის გაგება;
- აზრის ნათელყოფის მოთხოვნის ამოცნობა;
- მოსაზრების გამოთქმის მოთხოვნის ამოცნობა;
- გაგების მითითებების ამოცნობა;
- მოლაპარაკის მიერ გაკეთებული შესწორებების (თავის ან სხვების) ამოცნობა და გაგება;
- კომენტარებისა და განცხადებების მოდიფიკაციის ამოცნობა და გაგება;
- მოლაპარაკის სურვილის ამოცნობა იმის შესახებ, რომ მსმენელმა გაიგო ნათქვამი;

- იმის გაგება, თუ როდის ასაბუთებს მოლაპარაკე თანამოსაუბრის განცხადებას, თეზისს და ა. შ.
- იმის ამოცნობა, თუ როდის აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ მოლაპარაკე თანამოსაუბრეების განცხადებებს/მტკიცებებს;
- სხვების დარწმუნების მცდელობების ამოცნობა.

შეიძლება ასევე ვიფიქროთ, რომ დაბალ დონეზე დიაგნოსტიკურ ტესტში მოსმენის უნარ-ჩვევების ტესტირება მნიშვნელოვანია, რადგან ამ მხრივ პრობლემები უფრო დიდხანს არსებობს, ვიდრე კითხვის შემთხვევაში. ეს შეიძლება მოიცავდეს:

- ხმოვანი ფონემების გარჩევა;
- თანხმოვანი ფონემების გარჩევა;
- ინტონაციის ინტერპრეტირება (სარკაზმის, რიტორიკული შეკითხვის და ა. შ. ამოცნობა და წინადადებაში სწორი მახვილის გამოყოფა).

ტექსტები

უკუგების ეფექტისა და შინაარსობრივი ვალიდურობის გამო ტექსტი უნდა იყოს რამდენადაც შეიძლება დაკონკრეტებული.

ტექსტის ტიპი. თავდაპირველად შეიძლება დაკონკრეტდეს, არის თუ არა ეს მონოლოგი, დიალოგი ან მასში შეიძლება იყოს ჩართული რამდენიმე პირი. შემდეგ უნდა განისაზღვროს: საუბარი, განცხადება, ლექცია, ინსტრუქციების მიცემა, მიმართულების ჩვენება და ა. შ.

ტექსტის ფორმები მოიცავს: აღწერას, დახასიათებას, არგუმენტაციას, ინსტრუქციას, ნარატივს.

მოცულობა შეიძლება განისაზღვროს წამებით ან წუთებით.

სიჩქარე შეიძლება გამოიხატოს როგორც წუთში წარმოთქმული სიტყვა (wpm) ან წამში წარმოთქმული მარცვლები (sps). ბრიტანული ინგლისურისთვის დადგენილია შემდეგი დრო:

	wpm	sps
რადიო მონოლოგი	160	4.17
საუბრები	210	4.33
ინტერვიუები	190	4.17
ლექციები უცხოენოვანთათვის	140	3.17

(ტაუროზა და ალისონი, 1990)

დიალექტები შეიძლება მოიცავდეს როგორც სტანდარტულ ისე არასტანდარტულ სახესხვაობებს.

აქცენტი შეიძლება იყოს რეგიონული ან არარეგიონული.

თუ მოითხოვება ავთენტურობა, ლაპარაკი უნდა შეიცავდეს ისეთ ბუნებრივ მახასიათებლებს, როგორებიცაა ასიმილაცია და ელიზია (რაც იზრდება მიღებისთანავე) და გაუბედაობის შედეგი (პაუზა, პაუზის შევსება და ა. შ.). სამიზნე აუდიტორია, სტილი, თემა, გრამატიკა და ლექსიკა შეიძლება იყოს ნაჩვენები.

კრიტერიუმების დონეების ნაკრები.

წიგნის თავში კითხვის უნარების ტესტირების შესახებ მოცემული ინფორმაცია და შენიშვნები აქაც აქტუალურია. თუ ტესტი შედგენილია გარკვეული დონის მიხედვით, მაშინ ისევე როგორც კითხვის შემთხვევაში, პასუხების თითქმის სრულყოფილი ნაკრები უნდა შემუშავდეს.

ACTFL, ILR და სხვა ტესტების სქემები შეიძლება გამოვიყენოთ, რათა განვსაზღვროთ მოცემული კრიტერიუმების დონეების ვალიდურობა.

ამოცანების შემუშავება

ლაპარაკის ნიმუშების (ტექსტები) შერჩევა

მონაკვეთები უნდა შეირჩეს ტესტის სპეციფიკაციების მიხედვით. თუ ჩვენ გვაინტერესებს, თუ როგორ გაართმევნ თავს კანდიდატები მშობლიური ენის მატარებელთათვის განკუთვნილ ენას, მაშინ იდეალური იქნებოდა ავთენტური საუბრის ნიმუშების გამოყენება. ამის მოძიება, როგორც წესი, არ წარმოადგენს სირთულეს. შესაძლო წყაროებია რადიო, ტელევიზია, აუდიოჩანაწერები, სასწავლო მასალა, ინტერნეტი და მშობლიური ენის მატარებელთა ჩვენი საკუთარი ჩანაწერები. თუ, მეორე მხრივ, თუ გვაინტერესებს, როგორ ესმით ენა არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკე კანდიდატებს, მაშინ ამ ტიპის მასალაც შეიძლება მოვიძიოთ სასწავლო მასალებიდან და მშობლიური ენის მატარებელთა საუბრის ჩვენეული ჩანაწერებიდან. ხანდახან ჩვენი ჩანაწერების არადამაკმაყოფილებელი ხარისხის გამო შეიძლება თავიდან ჩავიწეროთ მასალა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა შეიძლება არ დამეთანხმოს, მე მგონია, რომ ცუდი ჩანაწერი კიდევ უფრო ართულებს საქმეს და აქვეითებს ტესტის ვალიდურობის ხარისხს. ასევე შეიძლება გამოვლინდეს არასანდოობა, რადგან კანდიდატების პასუხზე შეიძლება უარყოფითი შედეგი იქონიოს ამან სხვადასხვა ვითარებაში. თუ ჩანაწერის დეტალები აფერხებს წერილობითი პასუხების გაცემას, მაშინ ტესტის ავტორმა თავიდან უნდა გააკეთოს ჩანაწერი. ხანდახან ჩანაწერი შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც 'ცოცხალი' ლაპარაკის საჩვენებელი მასალა. თუ ჩანაწერი საგანგებოდ ტესტისთვისაა გაკეთებული, მაშინ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ის იყოს, რამდენადაც შეიძლება, ბუნებრივი. როგორც წესი, სალაპარაკო ენაში ბევრი ჭარბი ელემენტია: ადამიანები ხშირად იმეორებენ ნათქვამს (რისი თქმა მინდოდა...), ხოლო თუ აღმოვფხვრით ამას, მაშინ არაბუნებრივ მასალას მივიღებთ. კერძოდ, ჩვენ თავი უნდა ავარიდოთ კითხვის ტესტისთვის შედგენილ მონაკვეთებს. გადავხედოთ კარგად

ცნობილი ტესტის შემდეგ მონაკვეთს, რომელიც შეიქმნა მოსმენის გაგების უნარების შემოწმების მიზნით:

იგი აღმოჩნდა უცნობ გასასვლელში, მაგრამ რამდენიმე კარის შეღების შემდეგ აღმოაჩინა, რომ ბრუნდებოდა ქვით მოკირწყლულ დარბაზში, რომელიც გადიოდა აივანზე. ის ყურს უგდებდა დევნის ხმებს, მაგრამ არაფერი ისმოდა. დარბაზი იყო გაშლილი დეკორაციების გარეშე. არ ვერ დაინახავდით ვერც ყვავილებს და ვერც სურათებს.

ეს არის უკიდურესი მაგალითი, მაგრამ ტესტის ავტორები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ ლაპარაკის ტესტის შექმნის დროს საკუთარი ფანტაზიის გამოყენებისას: უმჯობესია ორიგინალურ ჩანაწერზე დაყრდნობა ან ბუნებრივი ლაპარაკის ჩაწერა. თუ შეცვლით ავთენტურ ტესტს, ბუნებრივია მისი გადამოწმება ბუნებრივი ენის მატარებელთან, რათა თქვენს ტექსტს ბუნებრივი ელფერი ჰქონდეს. ჩანაწერის გაკეთების დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ ტესტის სპეციფიკაციებთან მიმართებას: სტილი, შესრულების სიჩქარე და ა. შ. შესაფერისი მონაკვეთები შეიძლება იყოს სხვადასხვა ზომის. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რის ტესტირებას ვაპირებთ. თუ ჩანაწერი ათ წუთს ან მეტ ხანს გრძელდება, ის გამოგვადგება ლექციის გაგების უნარის შესამოწმებლად, მაშინ როდესაც ოცწუთიანი პასაჟი შეიძლება გამოვიყენოთ მიმართულების ჩვენების გაგების შესამოწმებლად.

დავალებების შედგენა

მოსმენის ვრცელი მასალისთვის, როგორებიცაა ლექცია, პირველი საჭირო ნაბიჯი არის მონაკვეთის მოსმენა და იმის ჩანიშვნა, თუ რის გაკეთებას შეძლებს ამ პასაჟის მიხედვით კანდიდატი. შემდეგ უნდა ვეცადოთ დავალებების შედგენა, რომლებიც ამოწმებს რამდენად შეესაბამება კანდიდატის უნარი დავალების მიზანს. ჩანიშვნების ეს პროცედურა, როგორც წესი, არაა აუცილებელი მოკლე პასაჟებისთვის, რომლებიც კონკრეტული უნარების ტესტირებისთვისაა შერჩეული (ან შექმნილი). ვრცელი მასალის მოსმენისას აუცილებელია დავალებები პასაჟში ერთმანეთისაგან დაშორებული იყოს. თუ ორი დავალება ძალიან უახლოვდება ერთმანეთს, კანდიდატს შეიძლება უნებურად გამორჩეს მეორე, ხოლო შედეგი ქვედადავლებზე შეიძლება იყოს დამლუპველი იმ კანდიდატებისთვის, რომლებმაც უკვე მოისმინეს პასუხები ერთხელ. ამ შემთხვევაში აუცილებელია ტექსტის რამდენჯერმე მოსმენა.

კანდიდატები წინასწარ უნდა გავაფრთხილოთ საკვანძო სიტყვების შესახებ, რომლებიც ჩნდება როგორც დავალებაში, ისე მონაკვეთში. მაგალითად, დავალებაში შეიძლება საუბარი იყოს მეორე არგუმენტზე, როდესაც მოსაუბრე ამბობს და მსმენელს ესმის: 'ჩემი მეორე არგუმენტი არის...' საჭიროა სამართლიანი გაფრთხილების გათვალისწინება. არასწორი იქნებოდა, მაგალითად, არასწორი იქნებოდა შეკითხვის დასმა 'რომელია მოლაპარაკის ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი' მაშინ, როდესაც მოლაპარაკეს ჯერ მოჰყავს არგუმენტები და შემდეგ ასახელებს ყველაზე მნიშვნელოვანს. მხოლოდ გამონაკლისის პირობებში (როდესაც კანდიდატებს სთხოვენ ჩაინიშნონ ლექციაში

მოსმენილი ინფორმაცია ისე, რომ არ იციან, რა დავალება ექნებათ შესასრულებელი, იხ. ქვემოთ) კანდიდატებს უნდა მიეცეთ დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რათა გაეცნონ დავალებებსა და ინსტრუქციებს. როგორც კითხვის ტესტის შესახებ თავში შემოგთავაზეთ, არ გვაქვს საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ დავალებები და პასუხები იყოს კანდიდატის მშობლიურ ენაზე. ასე ხდება რეალურ სამყაროში, როდესაც მშობლიური ენის მატარებელი კითხულობს ინფორმაციას, რომელიც ჩვენ უნდა მოვისმინოთ უცხო ენაზე.

შესაძლო ტექნიკები

დახურული კითხვები

დახურული კითხვების გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები ხანგრძლივ ტესტში არის იგივე, რაც წინა თავში განხილულ კითხვის ტესტში. თუმცა, დამატებით ერთი პრობლემა იჩენს თავს, როდესაც კანდიდატებს თავში უნდა ჰქონდეთ ოთხი ან მეტი ალტერნატივა ტექსტის მოსმენის პროცესში, ხოლო ერთი პასუხის გაცემის შემდეგ, არ უნდა დაივიწყონ დანარჩენი ალტერნატიული ინფორმაცია. თუ გამოვიყენებთ დახურულ კითხვებს, მაშინ ალტერნატიული ინფორმაციები უნდა იყოს მოკლე და მარტივი. მოსმენის უნარების შემმოწმებელ ქვემოთ მოყვანილ ცნობილ საგამოცდო ტესტი წარმოდგენილია ძალიან კომპლექსური ალტერნატიული ვარიანტები.

როდესაც მოტოციკლეტის მძღოლი გააჩერა პოლიციელმა, რა ურჩია?

- a. შეინარჩუნოს დუმილი ადვოკატის გამოჩენამდე
- b. მხოლოდ დამატებითი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს კანონის მოთხოვნების მიხედვით.
- c. მან მხოლოდ ის უნდა თქვას, რასაც კანონი მოითხოვს.
- d. არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაარღვიოს დუმილის უფლება.

უკეთესი მაგალითები იქნებოდა:

(დახმარების თხოვნის გაგება)

I don't suppose you could show me where this goes, could you?

Response:

- a. No, I don't suppose so.
- b. Of course I can.
- c. I suppose it won't go.
- d. Not at all.

(შეთავაზების ამოცნობა და გაგება)

მე ახლაც ვფიქრობ, რატომ არ დავუძახებ ჩარლის და ვთხოვეთ აზრის გამოთქმა?

პასუხი:

- a. რატომ არის ეს მისი მოსაზრება?
- b. რა იგულისხმება ამაში?
- c. თქვენ ფიქრობთ, რომ ეს მისი მოსაზრებაა?

d. თქვენ ფიქრობთ, რომ ჩარლიმ სთხოვა?
დახურული ტიპის ტესტი კარგად გამოდგება ენის დაბალი დონის უნარ-ჩვევების
შესამოწმებლად, როგორებიცაა ფონემების გამიჯვნა.

კანდიდატს ესმის: bat

არჩევანი კი უნდა გააკეთოს შემდეგ ფორმებს შორის pat mat fat bat

მოკლე პასუხი

ეს ტექნიკა ხელსაყრელია, როდესაც გვაქვს მოკლე და პირდაპირი შეკითხვა და
სწორი, მისაღები და ერთადერთი პასუხი არის ნათელი.

გამოტოვებული ადგილების შევსება

ეს ტექნიკა კარგად მუშაობს მაშინ, როდესაც მოკლე პასუხის გასაცემი შეკითხვა
გვაქვს ერთადერთი შესაძლო პასუხით.

ქალი: თქვენ ფიქრობთ, რომ შეგიძლიათ დამეხმაროთ?

კაცი: სიამოვნებით დაგეხმარებოდით, მაგრამ დედაჩემს უნდა გავუარო ხუთ წუთში.

ქალი ეკითხება მამაკაცს, თუ მას შეუძლია -----, მაგრამ
მამაკაცმა უნდა -----.

ინფორმაციის ტრანსფერი:

ეს ტექნიკა მოსმენის ტესტირებისას ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც კითხვის
ტესტის შესრულების დროს, რადგან იგი მინიმალურად მოითხოვს პროდუცირების
უნარ-ჩვევებს. აქ შეიძლება იყოს ჩართული ისეთი აქტივობები, როგორებიცაა:
დიაგრამების ან სურათების დასათაურება, ფორმების დასრულება, დღიურში ჩანაწერები
ან რუკის მიხედვით გზის ჩვენება. შემდეგი მაგალითი, რომელიც აღებულია ARELS
საგამოცდო ტესტიდან, წარმოგვიდგენს სცენას, რომელშიც კანდიდატმა უნდა
მოინახულოს მოტოციკლეტის კატასტროფაში დაშავებული მეგობარი. მეგობარმა
დაიზიანა ხელი, ამდენად კანდიდატმა (ჩანაწერის მოსმენის შემდეგ) დახმარება უნდა
გაუწიოს ტომს და დაწეროს მისი ანგარიში ინციდენტის შესახებ. თითოეული
დავალებისთვის დრო განსაზღვრულია. ამ შეკითხვას უნდა მიუწეროთ თქვენი პასუხი.
ტომმა ასევე მოხაზა მისი ავტოსაგზაო შემთხვევის რუკა. ის მიუყვებოდა ქუჩას, მაგრამ
ვერ დაიმახსოვრა ქუჩები. ტომი სთხოვს კანდიდატს, რომ შეავსოს დეტალები. დახედეთ
რუკას თქვენს წიგნში. მოუსმინეთ ტომს და დააწერეთ რუკას ის, რასაც ტომი ამბობს.

Tom: This is a rough map of where the accident happened. There's the
main road going across with the cars parked on both sides of it – that's
Queen Street. You'd better write the name on it – Queen Street. (five
seconds) And the smaller road going across it is called Green Road.
Write Green Road on the smaller road. (five seconds) Now, I was riding
along Queen Street where the arrow is and the little boy ran into the
road from my right, from between the two buildings on the right. The

building on the corner is the Star Cinema – just write Star on the corner building. (five seconds) And the one next to it is the Post Office. Write P.O. on that building next to the cinema. (five seconds) Well the boy ran out between those two buildings, and into the road. Can you put an arrow in where the boy came from, like I did for me and the bike, but for the boy? (five seconds) When he ran out I turned left away from him and hit one of the parked cars. It was the second car back from the crossroads on the left. Put a cross on the second car back. (three seconds) It was quite funny really. It was parked right outside the police station. A policeman heard the bang and came out at once. You'd better write Police on the police station there on the corner. (five seconds) I think that's all we need. Thanks very much¹.

ჩანიშვნების გაკეთება

მაშინ, როდესაც ლექციის მოსმენის დროს ჩანიშვნების გაკეთების უნარის რელევანტურობა ექვეყნებ დგას, ეს აქტივობა საკმაოდ ხშირად და რეალისტურად გამოიყენება ტესტირების დროს. კანდიდატები ინიშნავენ ინფორმაციას ლაპარაკის დროს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც საუბარი სრულდება, ისინი ხედავენ შესასრულებელ დავალებებს. როდესაც ვქმნით ამგვარ ტესტს, მნიშვნელოვანია წარმატებით შევარჩიოთ კანდიდატებისთვის მისაცემი მონაკვეთი. ეს მხოლოდ მაშინ ხდება ნათელი, როდესაც იქმნება პირველი დავალება. ჩემი აზრით, უკეთესია დავალებების შერჩევა (რომლებიც შეიძლება ადვილად გასწორდეს), ვიდრე ჩანიშვნების ქულები შეფასება, რადგან ეს არ არის მთავარი და სანდო ამოცანა. დავალებები უნდა იყოს ამომწურავად პირდაპირი მათთვის, ვინც აკეთებს ჩანიშვნებს მოსმენის დროს.

არსებითია ის, რომ მოსმენის ტესტში ჩავრთოთ შენიშვნების გაკეთებაც, შემდეგ მოვახდინოთ მისი მოდერაცია და საცდელი გაშვებაც, თუ შესაძლებელია. სხვაგვარად, ტესტში შეიძლება ისეთი შეკითხვები მოხვდეს, რომლებზე სწორი პასუხის გაცემაც ყველაზე გაწაფულ მშობლიური ენის მატარებელსაც გაუჭირდება. ეს არის ტესტირება, რომელიც შეიძლება იყოს უცხო პოტენციური კანდიდატებისთვის, ამდენად მათ უნდა იცოდნენ მისი არსებობა, შესაძლებელია პრაქტიკული მასალების უზრუნველყოფაც. თუ ამას არ გავაკეთებთ, მაშინ კანდიდატების უნარებს არასწორად და შეცდომით შევაფასებთ.

ნაწილობრივი კარნახი

ვინაიდან კარნახი არ შეიძლება იყოს ავთენტური, განსაკუთრებით როგორც მოსმენის აქტივობა (თუმცა, უნივერსიტეტში, ლექციაზე, მაგალითად, შეიძლება იყოს კარნახი), ის შეიძლება იყოს სასარგებლო ტექნიკა.

Partial dictation

While dictation may not be a particularly authentic listening activity
(although in lectures at university, for instance, there is often a certain

¹ ავთენტურობისთვის ტექსტი მოცემულია დედნის ენაზე.

amount of dictation), it can be useful as a testing technique. As well as providing a 'rough and ready' measure of listening ability, it can also be used diagnostically to test students' ability to cope with particular difficulties (such as weak forms in English).

Because a traditional dictation is so difficult to score reliably, it is recommended that partial dictation is used, where part of what the candidates hear is already written down for them. It takes the following form:

The candidate sees:

It was a perfect day. The sun _____ in a clear blue sky and Diana felt that all was _____ with the world. It wasn't just the weather that made her feel this way. It was also the fact that her husband had _____ agreed to a divorce. More than that, he had agreed to let her keep the house and to pay her a small fortune every month. Life _____ be better.

The tester reads:

It was a perfect day. The sun shone in a clear blue sky and Diana felt that all was right with the world. It wasn't just the weather that made her feel this way. It was also the fact that her husband had finally agreed to a divorce. More than that, he had agreed to let her keep the house and to pay her a small fortune every month. Life couldn't be better.

რადგან ეს არის მოსმენის ტესტი, პასუხების მართლწერა, სავარაუდოდ, არ უნდა მოწმდებოდეს და ამაში არ უნდა აკლდებოდეს კანდიდატს ქულები. თუმცა, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი, კანდიდატმა დაწეროს მხოლოდ მოსმენილი ბგერების ერთობლიობა. პასუხები უნდა იძლეოდეს იმის ფიქრის საფუძველს, რომ მან კარგად გაიგო და იცის გამოტოვებული სიტყვები, მაშინაც კი, თუ დაუშვებს მართლწერის შეცდომებს. უნდა ვაღიაროთ, რომ ამას შეუძლია შეგვიქმნას პრობლემები ქულების წერაში.

გამოტოვებულ ადგილას შეიძლება ჩაიწეროს ერთ სიტყვაზე მეტი:

არაჩვეულებრივი დღე იყო. მზე ანათებდა ----- და დიანამ იგრძნო, რომ ყველაფერი კარგად იყო სამყაროში.

მაშინ როდესაც მოსმენის ტესტში ერთ სიტყვაზე მეტის ჩაწერის მოთხოვნას თავისი უპირატესობები აქვს, ქულების დაწერის პროცესი ნაკლებად პირდაპირია.

ტრანსკრიფცია

კანდიდატებს შეიძლება მოთხოვოთ სიტყვებით დაწერონ რიცხვები ან ასოებად ნაკარნახევი ფორმები. ეს შეიძლება იყოს ტელეფონის ნომრები.

ასოები უნდა შეადგენდეს სახელებს ან სიტყვებს, რომლებსაც კანდიდატები ვეღარ წარმოთქვამენ. ტესტში წარმოდგენილი ამგვარი უნარ-ჩვევები პირდაპირ მიემართება

‘რეალურ სამყაროს’. მე ახლახან ჩართული ვიყავი საცდელ ტესტირებაში და გასაკვირი იყო, ინგლისური ენის რამდენმა მასწავლებელმა ვერ შეძლო ამგვარი დავალებების სწორად შესრულება. ტრანსკრიფციის შეფასების სანდო და ვალიდური გზა არის დავალებების ზედმიწევნით ზუსტად და სწორად შედგენა.

დავალებების მოდერაცია

მოსმენის დავალებების მოდერაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. იდეალურ შემთხვევაში ეს უნდა ჩატარდეს წინასწარ მომზადებული ჩანაწერის გამოყენებით. ისეთი დავალებების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს ავტორის მიერ წაკითხულ ტექსტს, რადგან იგულისხმება, რომ ეს მოსმენის ტესტია. მოდერატორები დაიწყებენ ტესტის წერით და შემდეგ გააანალიზებენ დავალებებს და იმსჯელებენ თავიანთ რეაქციაზე. მოდერაციის საკონტროლო სია მოცემულია 154-ე გვერდზე კითხვის დავალებებზე მსჯელობისას. საჭიროა მხოლოდ მათი მცირე გადამუშავება და მოსმენის ტესტისთვის მორგება.

ტექსტების წარმოდგენა (ცოცხალი თუ ჩანაწერი?)

მოსმენის ტესტის ადმინისტრირებისას ჩანაწერების გამოყენების დიდი უპირატესობა არის ერთგვაროვნობა, რაც თანაბრად წარედგინებათ კანდიდატებს. კარგი იქნება, თუ ჩანაწერს გაუშვებენ კარგად აღჭურვილ ან კარგი აკუსტიკის მქონე ოთახში (ჩანაწერი კარგად უნდა ისმოდეს ოთახის ყველა მხარეს). თუ ასეთი პირობები არ არსებობს, მაშინ უმჯობესია ცოცხალი შესრულების უზრუნველყოფა. თუ ცოცხალი მეტყველება გვაქვს ტესტირებისას, მაშინ ერთგვაროვნობის მისაღწევად უმჯობესია მხოლოდ ერთი მოლაპარაკის საუბრის მოსმენა ტესტის ყოველი ნაწილისთვის. თუ, რა თქმა უნდა, ტესტირება ტარდება ერთდროულად რამდენიმე ოთახში, მაშინ რამდენიმე პრეზენტატორის ჩართვა გახდება საჭირო. ნებისმიერ შემთხვევაში, პრეზენტაცია უნდა ჩაიწეროს, რათა შემდგომ გამოვიყენოთ ტრენინგის დროს. ეს საშუალებას მოგვცემს გავაკეთოთ სათანადო აქცენტები, დავნიშნოთ დრო და ა. შ. ეს კი თანმიმდევრულად იქნება განხილული. ურიგო არ იქნება, თუ დავძენთ, რომ მოლაპარაკე კარგად უნდა ფლობდეს სამიზნე ენას და უნდა იყოს სანდო, პასუხისმგებლობის მქონე და საიმედო პიროვნება.

მოსმენის ტესტის შეფასება/ქულების დაწერა

ალბათ კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ რეცეპტიული უნარ-ჩვევების ტესტის შეფასებისას არ არის აუცილებელი გრამატიკული ან მართლწერის შეცდომების გათვალისწინება იმ შემთხვევაში, თუ პასუხის შინაარსი და აზრი გასაგებია.

მკითხველის აქტივობები

1. შეარჩიეთ სალაპარაკო ენის ვრცელი ჩანაწერი, რომელიც მისაღები იქნება თქვენთვის ნაცნობი სტუდენტებისთვის (ეს შეიძლება იყოს გამოქვეყნებული მასალა, შეიძლება

ჩაწეროთ მშობლიური ენის მატარებლის საუბარი ან გამოიყენოთ რადიო). მასალა დაყავით ხუთწუთიან ინტერვალებად, მოისმინეთ და გააკეთეთ ჩანიშვნები. ჩანიშვნების საფუძველზე შექმენით მოკლე პასუხების შემცველი რვა დავალება.

სთხოვეთ კოლეგებს, გადახედონ ტესტს და გააკეთონ კომენტარები. დაამუშავეთ ტესტი საჭიროების შემთხვევაში და დააწერინეთ თქვენ მიერ შერჩეულ სტუდენტებს, თუ გაქვთ ამის შესაძლებლობა. გააანალიზეთ შედეგები. გაიარეთ ტესტის ყოველი დავალება სტუდენტებთან ერთად და სთხოვეთ მათ გამოთქვან თავიანთი აზრი. როგორ და რამდენად კარგად ამოწმებს თითოეული დავალება იმას, რაც თქვენ გაინტერესებთ?

2. შეადგინეთ მოკლე დავალებები, რათა კანდიდატებმა შეძლონ ამოიცნონ: სარკაზმი, სიურპრიზი, მოწყენილობა, ხალისიანი განწყობა. დავალებები ისევ და ისევ გამოსცადეთ კოლეგებთან და სტუდენტებთან.

3. შეადგინეთ ტესტი, რომელიც კანდიდატისაგან მოითხოვს მარტივი სურათის დახატვას (ან დასრულებას). ზუსტად გადაწყვიტეთ, რას ზომავს ტესტი. გაიაზრეთ, კიდევ რისი გაზომვა შეიძლებოდა ამ ან მსგავსი ტექნიკების გამოყენებით. ჩაატარეთ ტესტირება. გაარკვიეთ, რამდენად გეთანხმებიან სტუდენტები იმაში, თუ რას ზომავს თქვენი ტესტი.

შემდგომში დასამუშავებელი მასალა

ბაკი (2001) გულდასმით სწავლობს მოსმენის შეფასებას. ფრიდლი და კოსტინი (1999) იკვლევს TOEFL-ის ტესტში მოკლე ტესტური დავალებების მნიშვნელობას. შერმანი (1997) სწავლობს მოსმენის ტესტური დავალებების პრეტესტირებას. ბაკი და ტაცუკა (1998) აანალიზებენ ჩანიშვნების გაკეთების ეფექტს დავალებების ხარისხზე TOEFL-ის ტესტის მოსმენის დავალებების მიხედვით. ბაკი (1991) იყენებს მოსმენის ტესტის ანალიზს ვალიდურობის განსაზღვრისას. შოამი და ინბარი (1991) იკვლევენ ტექსტისა და კითხვების სახეების ეფექტს. არნოლდი (2000) გვიჩვენებს, როგორ შეიძლება მოსმენის ტესტის გაუმჯობესება კანდიდატების სტრესის შემცირებით. ინგლისური ენის ჩანაწერებს (თუ მისაღებია რეგიონული ბრიტანული აქცენტი), რომელთა გამოყენებაც შეიძლება მოსმენის უნარების ტესტირებისას, გვაწვდიან კრისტალი და დეივი (1995), ჰუგესი და ტრუდგილი (1996).

13. გრამატიკისა და ლექსიკის ტესტირება

გრამატიკის ტესტირება

რატომ უნდა ჩავსვათ ტესტში გრამატიკული ნაწილი?

ვინმეს შეუძლია დაასაბუთოს გრამატიკის ცალკე ტესტირების საკითხი? იყო დრო, როდესაც ეს ძალიან უცნაური შეკითხვა იყო. გრამატიკული კონსტრუქციების კონტროლი განიხილებოდა როგორც ყველაზე მთავარი ენობრივი უნარი და წარმოუდგენელი იყო მის გარეშე ტესტირების ჩატარება. მაგრამ დრო შეიცვალა. რაც შეეხება ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელ ტესტს, შეიცვალა შეხედულება იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გამოიცადოს პირდაპირი წესით. ასევე მიმდინარეობს მსჯელობა იმის შესახებ, უნდა იყოს წარმოდგენილი ერთი უნარ-ჩვევა, თუ რამდენიმე მათგანის ჯამი. ჩვენ წინასწარ ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ უნარ-ჩვევებს მხოლოდ იმის გაკონტროლებით, თუ რა უნდა გავზომოთ ტესტით. მეორე მხრივ, როგორც ადრეც განვიხილეთ წიგნში, ტესტის უკუგების ეფექტი, რომელიც პირდაპირ ზომავს მთავარ უნარ-ჩვევებს, შეიძლება მოერგოს ისეთ ტესტს, რომელიც ხელს უწყობს გრამატიკის იზოლირებულად შესწავლას გამოყენების თვალსაჩინო შემთხვევების გარეშე. ამგვარი მიდგომის გამო ცნობილ ენის დონის განმსაზღვრელ ზოგიერთ ტესტში საერთოდ ამოღებულია გრამატიკული კომპონენტი. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ტესტები, რომლებიც ტარდება დიდ აუდიტორიაში, ჯერ კიდევ შეიცავს გრამატიკულ ნაწილს. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის სიმარტივე, რომლითაც დიდი რაოდენობის დავალების შესრულების ადმინისტრირება და შეფასება/ქულების დაწერა შესაძლებელია. ამასთან დაკავშირებით არანაკლებ მნიშვნელოვანია ტესტის შიგთავსის ვალიდურობის საკითხი. თუ ჩვენ გადავწყვეტთ შევამოწმოთ წერის უნარი პირდაპირი წესით, მაშინ ჩვენ, გარკვეულწილად, შეზღუდული ვართ თემებით, წერის სტილით და, როგორც ადრე აღვნიშნეთ, 'ოპერაციებით', რომლებიც უნდა წარმოვადგინოთ ტესტის ერთ ვარიანტში მაინც. ჩვენ ვერ ვიქნებით ბოლომდე დარწმუნებულები, რომ ჩვენ ხელთ არსებული ნიმუში წარმოადგენს ყველა შესაძლებლობას. ვერც იმაში ვიქნებით დარწმუნებულები, თუ რამდენად ფარავს ყველა გრამატიკულ ელემენტს გრამატიკული ტესტის კარგი

ნიმუში. მაგრამ ის ფაქტი, რომ გრამატიკულ ტესტში შეიძლება ძალიან ბევრი სხვადასხვა დავალების ჩართვა, უკვე დადებითი მხარეა.

მაშინაც კი, თუ არავინ დავობს ცოდნის დონის განმსაზღვრელ ტესტში გრამატიკული ნაწილის ჩართვის საკითხის შესახებ, ხშირად ბევრი მიზეზი არსებობს სადიაგნოსტიკო, ცოდნის დონის მისაღწევ ტესტში გრამატიკული დავალებების განსათავსებლად. ნაკლებად არსებობს ბევრი ინსტიტუტი, რომლებსაც შემუშავებული აქვთ თავიანთი მიდგომა, რომელიც მთლიანად გამორიცხავს გრამატიკის სწავლებას. თუ გრამატიკის სწავლება აუცილებლობად ითვლება, ტესტის შედგენისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ცოდნის დონის მისაღწევ ტესტში გრამატიკული ნაწილის ჩართულობის მიზანშეწონილობას. თუ ამას გავაკეთებთ, გამოვავლენთ წინდახედულობას უკუგების ეფექტის თვალსაზრისით. ასევე კარგი იქნება, თუ არ მივანიჭებთ ამას ძალიან დიდ მნიშვნელობას ტესტის უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით, რაც მიესადაგება ენის კურსის პირდაპირი მიზნებს.

განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა გრამატიკას მნიშვნელოვანი ადგილი ინსტიტუციურ სწავლებაში, უნდა მივიღოთ ის, რომ გრამატიკული უნარი გვიწესებს ზღვარს, რომელიც უნდა იქნას მიღწეული უნარ-ჩვევების დემონსტრირებისას. აკადემიური საჭიროებების წარმატებული შესრულება, მაგალითად, დამოკიდებულია ელემენტარული გრამატიკული კონსტრუქციების ცოდნაზე. ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სტუდენტების კლასში განსათავსებლად და ამგვარი უნარ-ჩვევების განსავითარებლად, სტუდენტების გრამატიკული უნარების ცოდნა საჭირო ინფორმაციაა. ამდენად, ადგილის განმსაზღვრელ ტესტში მაინც უნდა იყოს გამოყოფილი პატარა ფანჯარა გრამატიკული კომპონენტისთვის. ასევე სასარგებლო იქნება გრამატიკის სადიაგნოსტიკო ტესტის შემუშავება, რომელიც გვეტყოდა (ცალკეული სტუდენტის ან ჯგუფის), თუ რა ჩავარდნები აქვთ კანდიდატებს გრამატიკაში. ამგვარი ტესტი ინფორმატიული იქნებოდა არა მარტო მასწავლებლებისთვის, არამედ შემსწავლელებისთვისაც, რადგან ისინი ამ შემთხვევაში იგრძნობდნენ პასუხისმგებლობას, შეივსონ ცოდნა ამ მიმართულებით. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანი იქნებოდა სასწავლო მასალაში ამ ტიპის ინფორმაციის ჩასმა. გვაქვს მიზეზი გვჯეროდეს, რომ ჩვენ მომსწრენი ვართ გრამატიკული უნარების კომპიუტერით შემოწმების ფაქტისა.

ტექნიკური მოთხოვნების შემუშავება

ცოდნის დონის მისაღწევი ტესტისთვის, როდესაც სწავლების მიზნები ან სილაბუსის აღწერილობა მოიცავს გრამატიკულ სტრუქტურებს, შიგთავსის სპეციფიკაციები საკმაოდ პირდაპირი და ცალსახა უნდა იყოს. თუ არ გვაქვს ასეთი სია, მაშინ ეს უნდა მოვიძიოთ სახელმძღვანელოებიდან ან სხვა სასწავლო მასალებიდან. ადგილის განმსაზღვრელი ტესტის სპეციფიკაციები, როგორც წესი, მოიცავს ყველა განსაზღვრულ გრამატიკულ კონსტრუქციას ისევე, როგორც, იმ კონსტრუქციებს, რომლებიც საბოლოო მიზანს წარმოადგენს დაბალ კლასებშიც კი. ცოდნის განმსაზღვრელი და დიაგნოსტიკური ტესტების შემთხვევაში, ვან ეკი და ტრიმი თავიანთ ნაშრომებში, რომლებიც მითითებულია შემდგომი დასამუშავებელი მასალის ნაწილში, ეფუძნებიან ნაციონალურ-

ფუნქციურ მიდგომას. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა, როგორც Cobuild English Usage - ს შემთხვევაში.

ნიმუშის შერჩევა

ეს წარმოადგენს მცდელობას, მივანიჭოთ ტექსტის შიგთავსს ვალიდურობა კონკრეტული სტრუქტურების ფართო არჩევით. ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ სხვადასხვა მიზეზით სხვადასხვა სტრუქტურა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი. არ უნდა შევჩერდეთ მხოლოდ მარტივ კონსტრუქციებზე.

დავალებების შექმნა

გრამატიკის ტესტირებისთვის რა ტექნიკებიც არ უნდა ავარჩიოთ, მნიშვნელოვანია დავალების ტექსტი იყოს გრამატიკულად სწორად შესრულებული და ბუნებრივი. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ძალიან ხშირად ეს არ არის დაცული. წარმოგიდგენთ ორ მაგალითს, რომლებიც ავიღე მასწავლებლების მიერ შექმნილი ტესტებიდან:

We can't work with this class because there isn't enough silence.

და

I want to see the film. The actors play well.

იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ ამ ტიპის არაბუნებრივი ენა, მე ვურჩევდი ყველას, ავიღოთ მაგალითები ენის კორპუსიდან. ინგლისური ენის გამზადებული ხელმისაწვდომი წყაროა British National Corpus sampler, რომელიც ხელმისაწვდომია CD-ზე. გრამატიკის ტესტირების ოთხი ტექნიკა არსებობს: გამოტოვებული ადგილების შევსება, პერიფრაზი, დასრულება და დახურული კითხვები. ეს უნდა ეხმიანებოდეს ჩვენს საჭიროებებს. პირველი სამი მოითხოვს კანდიდატებისაგან პროდუცირებას, მაშინ როდესაც დახურული კითხვების შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ ამოცნობა. ეს განსხვავება შეიძლება იყოს ერთ-ერთი ტექნიკის შეერჩევის ფაქტორი.

გამოტოვებული ადგილების შევსება

იდეალურ შემთხვევაში, გამოტოვებული ადგილების შემცველი დავალებებს უნდა ჰქონდეთ მხოლოდ ერთი სწორი პასუხი. მაგალითად:

What was most disturbing _____ that
for the first time in his life Henry was on his own. [was]

ან:

The council must do something to improve transport in the
city. _____, they will lose the next election. [Otherwise]
(Sentence linking can be tested extensively using gap filling)

ან:

He arrived late, _____ was a surprise. [which]
_____ semi-detached houses to which he _____
retired.

There can be just a gap, as above, or there can be a prompt for each gap, as in the example below.

ნაწილი 5

For questions 56–65 შეკითხვებისთვის წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი. გამოიყენეთ ყოველი ხაზის ბოლოს დიდი ასოებით დაწერილი სიტყვა, რომელიც მოცემულია ყოველი ხაზის ბოლოს, რათა შეადგინოთ მოცემული მონაკვეთისთვის შესაფერისი სიტყვა. დავალების დასაწყისში მოცემულია ნიმუში (0). პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

მაგალითი:

0	უნარი
---	-------

COMPUTERS THAT PLAY GAMES

Computers have had the (0) ..ability.... to play chess for many years now, and their (56) in games against the best players in the world has shown steady (57) However, it will be years before designers of computer games machines can beat their (58) challenge yet – the ancient board game called Go. The playing area is (59) larger than in chess and there are far more pieces, so that the (60) of moves is almost (61) The game involves planning so many moves ahead that even the (62) calculations of the fastest modern computers are (63) to deal with the problems of the game. In recent (64) for computer Go machines, the best machine beat all its computer rivals, but lost (65) to three young schoolchildren, so there is obviously still a lot of work to do!

ability

ABLE

PERFORM

IMPROVE

BIG

CONSIDERABLE

COMBINE

END

IMPRESS

SUFFICIENT

COMPETE

HEAVY

პერიფრაზი

დავალებების პერიფრაზირება მოითხოვს სტუდენტისაგან მოცემულის მსგავსად ეკვივალენტური წინადადების დაწერას. უმჯობესია პერიფრაზის ნაწილის წარმოდგენა, რათა შევზღუდოთ სტუდენტები გრამატიკული კონსტრუქციების ტესტირებით.

ამდენად:

1. პასიური ნამყო განგრძობითი ფორმების ტესტირება.

When we arrived, a policeman was questioning the bank clerk.

When we arrived, the bank clerk

2. აწმყო პერფექტული ფორმების ტესტირება *for* წინდებულით.

It is six years since I last saw him.

I six years.

დასრულება

ეს ტექნიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა კონსტრუქციების შესამოწმებლად. დააკვირდით, როგორ შეიძლება მონაკვეთის შინაარსმა (ტესტი: Cambridge First Certificate in English (FCE) Testpack 1) საშუალება მისცა ტესტის ავტორს გამოავლინოს კონკრეტული გრამატიკული კონსტრუქციები. ამ შემთხვევაში კითხვითი ფორმები (1).

მომდევნო საუბარში წინადადებები ნომრებით (1) და (6) დაუსრულებელია. დაასრულეთ ისინი შესაფერისად. წაიკითხეთ მთლიანი საუბარი, სანამ დაიწყებთ კითხვებზე პასუხების გაცემას (ბატონ კოლის უნდა მუშაობის დაწყება ბატონ ჯილბერტის ექსპორტის ბიზნესში. ის მოვიდა გასაუბრებაზე).

Mr Gilbert: Good morning, Mr Cole. Please come in and sit down. Now let me see. (1) Which school

Mr Cole: Whitestone College.

Mr Gilbert: (2) And when

Mr Cole: In 1972, at the end of the summer term.

Mr Gilbert: (3) And since then what

Mr Cole: I worked in a bank for a year. Then I took my present job, selling cars. But I would like a change now.

Mr Gilbert: (4) Well, what sort of a job

Mr Cole: I'd really like to work in your Export Department.

Mr Gilbert: That might be a little difficult. What are your qualifications?

(5) I mean what languages besides English?

Mr Cole: Well, only a little French.

Mr Gilbert: That would be a big disadvantage, Mr Cole. (6) Could you tell me why

Mr Cole: Because I'd like to travel and to meet people from other countries.

Mr Gilbert: I don't think I can help you at present, Mr Cole. Perhaps you ought to try a travel agency.

დახურული კითხვები

მიზეზები, რომელთა გამოც ფრთხილად უნდა ვიყოთ დახურული კითხვების შემცველი ტესტის გამოყენებისას, განვიხილეთ მერვე თავში. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც გამოტოვებული ადგილების შევსებით ვერ გამოვცდით იმას, რაც გვინტერესებს (ყოველ შემთხვევაში ჩემი გამოცდილებით). მაგალითად, წარმოგიდგენთ შემთხვევას, როდესაც ჩვენ გვინდა გამოვცადოთ ეპისტემიკური მოდალური ფორმა *შეძლება - could*:

თუ ჩვენ ავიღებთ ამ მარტივ წინადადებას:

They left at seven. They _____ be home by now.

ნათელია, რომ ამ წინადადებაში გვაქვს ბევრი ვარიანტი გამოტოვებული ადგილის შესავსებად (must, should, may, could, might, will).

ჩვენ შეგვიძლია განვაგრძოთ კონტექსტი და დავამატოთ ის, ვისაც მივწერთ პასუხს: Yes, but we can't count on it, can we?

ეს გამორიცხავს must და will ფორმების აღრევას, მაგრამ გვითვებს სხვა შესაძლებლობას. Could დამაკმაყოფილებლად მიემართება დახურულ კითხვებს.

A: They left at seven. They _____ be home by now.

B: Yes, but we can't count on it, can we?

a. can b. could c. will d. must

დახურულ კითხვებს ასევე ვიყენებ შემთხვევებში, როდესაც ვამოწმებთ არაგანგრძობით ელემენტებს.

A: Poor man, he at that for days now.

B: Why doesn't he give up?

a. was working

b. has been working

c. is working

d. had worked

(Why doesn't he give up? ეს ამატებს შესაძლებლობას, რომ d ვარიანტი იყოს სწორი, რაც შეიძლება დაიშვას მხოლოდ now ფორმის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ყველა ზემოთ ხსენებული ღია კითხვის ტექნიკებს შეიძლება ჰქონდეთ დახურული კითხვების სტრუქტურა, მაგრამ მკითხველი, რომელიც აპირებს შექმნას ასეთი დავალებები, ყოველთვის დადგება არასწორი პასუხების შერჩევის სირთულის წინაშე.

დავალებების მოდერაცია, რა თქმა უნდა, არსებითია. საკონტროლო სია, რომელიც ჩართულია მეშვიდე თავში, აქაც დაგვხმარება.

გრამატიკული ტესტის შესრულების შემოწმება/ქულების დაწერა

გამოტოვებული ადგილების შევსება და დახურული კითხვების შემცველი დავალებები იწვევს პრობლემებს. სხვა ტიპის დავალებებში ქულების წერისას მნიშვნელოვანია ნათლად ვიცოდეთ, რას ამოწმებს თითოეული დავალება და ამის მიხედვით შეგვიძლია მივანიჭოთ კანდიდატს ქულები.

შეიძლება მხოლოდ ერთ ელემენტი, ისეთი როგორიცაა სუბიექტის, ნაცვალსახელისა და ზმნის ინვერსია ან სხვა ამგვარი შემთხვევა, შეიძლება გამოდგეს ამისთვის. არ უნდა დავაკლოთ ქულა არაგრამატიკული შეცდომისთვის ან ისეთი გრამატიკული ელემენტების შემცველი შეცდომისთვის, რომელთა შემოწმებასაც არ ისახავს მიზნად დავალება. მაგალითად, არ უნდა დაისაჯოს კანდიდატი, რომელსაც გამორჩა მესამე პირის სუფიქსი -s, როდესაც დავალება მიზნად ისახავს კუთვნილებითი ნაცვალსახელების შემოწმებას. ასევე, ფორმა 'open' უნდა მივიღოთ როგორც 'opened', ქულის დაკლების გარეშე.

თუ დავალებაში მოწმდება ორი ელემენტი, მაშინ ქულები უნდა დაიწეროს თითოეული მათგანისთვის (მაგალითად, აწმყოს პერფექტული ფორმა და 'since' წარსული დროის ფორმებთან). საპირისპირო შემთხვევაში, უნდა იყოს მითითებული, რომ ორივე ელემენტი უნდა იყოს სწორი, რათა თითოეულ მათგანში დაიწეროს ქულა. ამას ნამდვილად აქვს აზრი, რადგან ამ შემთხვევაში სტუდენტისთვის ნათელი ხდება, რომ არასწორი პასუხი სათანადოდ შეფასდება, ეს კი აიძულებს მას, გააკონტროლოს

გრამატიკული კონსტრუქციები. ამგვარი დავალებებისთვის, დარწმუნდით, რომ ქულების წერის პროცესი ვალიდურია და სანდო, ხოლო პასუხების ფურცელი არის ცალსახად მნიშვნელოვანი და საჭირო.

ლექსიკის ტესტირება

რატომ უნდა შევამოწმოთ ლექსიკის ცოდნა?

ისევე, როგორც გრამატიკული ნაწილის შესახებ საუბრისას, იმავე მიზეზებით უნდა შევქმნათ და დავამუშავოთ გრამატიკის ტესტი. თუმცა, არგუმენტებს, რომელთა მიხედვითაც ცალკე ტესტი უნდა შეიქმნას, ამ შემთხვევაში შეიძლება არ ჰქონდეს ისეთი ძალა. ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ლექსიკის სწავლებას შედარებით ნაკლები დრო ეთმობა, ვიდრე გრამატიკის შემთხვევაში. ამავე დროს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ლექსიკური მარაგი ისწავლება. ცოდნის დონის მიღწევის ტესტში, რომელიც ზომავს სწავლის პროცესს, შეიძლება იყოს გამოყოფილი ასეთ ნაწილი. მათთვის, ვინც ფიქრობს, რომ ლექსიკის სისტემატური სწავლება სასურველია, ლექსიკის ცოდნის დონის მიღწევის ტესტს აქვს დადებითი უკუგების ეფექტი.

ლექსიკის ცოდნის შემმოწმებელი ზოგადი დიაგნოსტიკური ტესტის ვარგისიანობა (და ასევე განხორციელების შესაძლებლობა) არ არის ნათელი. რამდენადაც ადგილის განმსაზღვრელი ტესტები განხილულია, ჩვენ არ ვითხოვთ ან არ ველოდებით, რომ ლექსიკური დავალებების კონკრეტულ ნაკრებს შევცვლით კონკრეტული ენის კლასისთვის. ერთადერთი, რასაც ვაპირებთ, მივუთითებთ სტუდენტის ლექსიკური მარაგის ადეკვატურობის ზოგად კრიტერიუმებზე. კონკრეტული ლექსიკური ერთეულების სწავლა კლასში იშვიათადაა დამოკიდებული სხვების ფონურ ცოდნაზე, დავალებების კონკრეტიზაციაზე. ერთ-ერთი ალტერნატივაა ლექსიკის შემმოწმებელი ტესტის უკვე გამოქვეყნებული ვერსიის გამოყენება. შეიძლება ასევე საკუთი ტესტის შექმნაც.

სპეციფიკაციების შექმნა

როგორ უნდა განვსაზღვროთ ლექსიკური მარაგი ცოდნის დონის მისაღები ტესტისთვის? თუ ლექსიკური მარაგი ძალიან რთულია, მაშინ, სავარაუდოდ, სტუდენტებისთვის ყველა წარმოდგენილ დავალებას უნდა ჰქონდეს ტექნიკური აღწერილობა/სპეციფიკაციები. ამისთვის ჩვენ უნდა დავამატოთ ყოველი ახალი დავალება, რომლებსაც იცნობენ სტუდენტები სხვა აქტივობებში (კითხვა, მოსმენა და ა. შ.). სიტყვები უნდა დაჯგუფდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად მოეთხოვებათ სტუდენტებს მათი ამოცნობა ან პროდუცირება. აქედან გამომდინარე, შემდეგი ნაბიჯია დავალებების დაჯგუფება მათი შედარებითი სირთულის მიხედვით. ჩვენ შემოგთავაზებთ, რომ ადგილის განმსაზღვრელი ლექსიკის ტესტი იქნება არსებითად ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტი. ლექსიკური დავალებების განსაზღვრის ერთ-ერთი ჩვეულებრივი გზა შეიძლება იყოს ლექსიკური მარაგის გამოქვეყნებული სიის დამოწმება, სადაც მოცემულია სიტყვების სიხშირე და მათი გამოყენება (იხ. შემდგომი დასამუშავებელი მასალა).

ნიმუშების მოძიება

სიტყვები შეიძლება დაჯგუფდეს მათი სიხშირისა და სარგებლობის მიხედვით. თითოეული ამ ჯგუფისთვის დავალებები შეიძლება შეირჩეს შემთხვევითობის პრინციპით იმ ჯგუფიდან, რომელიც შეიცავს უფრო მეტად ხშირად ხმარებულ და სასარგებლო სიტყვებს.

დავალებების შექმნა

გამოცნობის უნარის ტესტირება

ეს არის ტესტირების ერთი პრობლემა, როდესაც დახურული ტიპის ტესტის გამოყენებაა რეკომენდებული ბევრი წინაპირობის გარეშე. ერთი მხრივ, არასწორი პასუხების მოძიება უფრო ადვილია. მეორე მხრივ, არ არის მოსალოდნელი ბევრი უარყოფითი უკუგების ეფექტი, რადგან სიტყვის მნიშვნელობის გამოცნობა ის უნარია, რომლის წახალისებასაც ჩვენ ვისახავთ მიზნად. თუმცა, წარმატებული დავალებების შექმნა მაინც გულისხმობს გარკვეულ სირთულეებს. დავალებებში შეიძლება იყოს ჩართული არაერთი ოპერაცია კანდიდატების მხრიდან:

სინონიმების გამოცნობა

აარჩიეთ ალტერნატიული პასუხი (a, b, c or d), რომელიც გვერდის მარცხნივ მოცემული სიტყვის მნიშვნელობასთან ყველაზე ახლოსაა.

gleam a. gather b. shine c. welcome d. clean

დავალების ავტორმა, სავარაუდოდ, აირჩია პირველი ალტერნატიული პასუხი საკვანძო სიტყვის 'gleam' გამო. ფონეტიკური მსგავსების გამო მეოთხე სიტყვის არჩევაც შეიძლება. ის, თუ რამდენად ეფექტურია არასწორი პასუხები, შეიძლება შემოწმდეს მხოლოდ საცდელი ტესტირებით.

დააკვირდით, რომ ყოველი ვარიანტი არის სიტყვები, რომლებიც, სავარაუდოდ, უნდა იცოდნენ კანდიდატებმა. თუ, მაგალითად, სიტყვა *welcome* ჩანაცვლდა ფორმით 'groyne', კანდიდატების უმეტესეობა, მიხვდება რა, რომ ეს არის მნიშვნელობა ტესტით შესამოწმებელი ფუძისა (*gleam*), დაუყოვნებლივ უარყოფს ფორმას 'groyne'.

მეორე მხრივ, დავალებაში ამოსავალი სიტყვა უნდა იყოს ნაკლებად გავრცელებული ფორმა ოთხი შედარებით იშვიათად ხმარებული სიტყვის თანხლებით:

shine a. malm b. gleam c. loam d. snarl

ამ ტიპის აქტივობის ხარვეზი არის არასწორი პასუხების შერჩევასთან დაკავშირებული პრობლემა. ნათელია, რომ ისინი არ უნდა იყოს ძალიან გავრცელებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ იქნება უცნობი ვარიანტები. მაშინაც კი, თუ ისინი ნაკლებადაა გავრცელებული და თუ ტესტის ავტორმა იცის ისინი, ეს ვარიანტები აღარ გადმოედება. ეს გვიჩვენებს იმას, რომ პირველი მეთოდი უფრო მისაღებია. მიაქციეთ ყურადღება, რომ ორივე დავალებაში გამოსაცდელი ამოსავალი სიტყვაა '*gleam*'.

განმარტების გამოცნობა

სიტყვა 'loathe' ნიშნავს

- a. dislike intensely
- b. become seriously ill
- c. search carefully
- d. look very angry

შევნიშნავთ, რომ ყველა ვარიანტი არის ერთი და იმავე მოცემულობისა. ამბობენ, რომ კანდიდატი, რომელმაც არ იცის სწორი პასუხი, ტესტის შევსებისას ირჩევს დანარჩენებისაგან საგრძნობლად განსხვავებულ ვარიანტს. თუ შესიტყვება *dislike intensely* გამოიყენება როგორც დეფინიცია, მაშინ არასწორი ვარიანტების მას უნდა ჰგავდეს. ამ შემთხვევაში ტესტის ავტორმა ჩართო დამაბულობის სხვადასხვა გაგება ყოველ ვარიანტში.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ რთული სიტყვა შეიძლება იყოს ერთ-ერთი ვარიანტი, თუმცა ზემოთ გამოთქმული ეჭვი ამ ტექნიკის შესახებ აქაც გასათვალისწინებელია.

ერთი სიტყვა, რომელიც ატარებს მნიშვნელობას *dislike intensely* არის

- a. growl
- b. screech
- c. sneer
- d. loathe

ტრაშერი (ინტერნეტი) ფიქრობს, რომ ლექსიკის შემოწმების საუკეთესო გზაა კონტექსტი და წიგნის პირველ გამოცემაში გვთავაზობს, საუკეთესო გზა სიტყვის 'loathe' ცოდნის გაგებისა შეიძლება იყოს:

Bill is someone I loathe.

- a. like very much
- b. dislike intensely
- c. respect
- d. fear

მკითხველს ვუტოვებ განსასჯელად, რამდენად უწყობს ხელს გაგებასა და ცოდნის გაუმჯობესებას კონტექსტი.

სათანადო სიტყვის გამოცნობა კონტექსტის მიხედვით

ლექსიკური დავალების ცოდნის შესამოწმებლად კონტექსტის გამოყენება უფრო უპრიანია, ვიდრე განმარტების ან სინონიმისა.

The strong wind _____ the man's efforts to put up the tent.

- a. disabled b. hampered c. deranged d. regaled

მიაქციეთ ყურადღება, რომ კონტექსტი, თავისთავად, არ უნდა მოიცავდეს ისეთ სიტყვას, რომელიც არ იცის კანდიდატმა.

ახლა, როდესაც თავად მაქვს ლექსიკური მარაგის (კონტექსტის მიხედვით) შემმოწმებელი ტესტური დავალება, დავუბრუნდები ტრეშერის მიერ შემოთავაზებულ გაუმჯობესების გზებს. შეიძლება ვიკამათოთ იმის შესახებ, რომ ვინაიდან შემსწავლელები და ენის

მომხმარებლები სიტყვებს ძირითად ხვდებიან კონტექსტში, კონტექსტის ჩართვა დავალებას უფრო ავთენტურს ხდის. ასევე, შესაძლებელია შედეგების მიხედვით კანდიდატის უნარი გაიზომოს უფრო ვალიდურად. კონტექსტმა შეიძლება ხელი შეუწყოს სიტყვის მეხსიერების გააქტიურებას, ისევე როგორც ეს შეიძლება მოხდეს წაკითხვის დროს არა სატესტო ვითარებაში. ასევე შეიძლება ითქვას, რომ შეიძლება გვექონდეს გარკვეული უარყოფითი უკუგების ეფექტი, როდესაც სიტყვები მოცემულია იზოლირებულად. თუმცა, როდესაც ჩვენ ვამოწმებთ ლექსიკურ ერთეულებს დახურული კითხვების მეშვეობით, შესაძლო არასწორი პასუხების სია, წარმოდგენილი მხოლოდ ცალკეული სიტყვებით, შეიძლება იყოს უფრო ფართო. ტრეშერის დავალებაში, მე ვეჭვობ, რომ განსხვავება პირველი ორისა და შემდეგი ორი პასუხის მოცულობაში უბიძგებს კანდიდატს, რომელმაც არ იცის სიტყვა, აირჩიოს a ან b ვარიანტი, რითაც გაიზრდება სწორი პასუხის გამოცნობის ალბათობა. უნდა ვაღიარო, რომ მე არ ვიცი სისტემურ კვლევას, რომელშიც შედარებული იქნებოდა ლექსიკის ტესტის დავალებები კონტექსტით ან კონტექსტის გარეშე.

პროდუცირების უნარების ტესტირება

ლექსიკური მარაგის პროდუცირების ტესტირება იმდენად რთული საქმეა, რომ ამ ტიპის დავალება თითქმის არასდროს ხვდება ცოდნის დონის განმსაზღვრელ ტესტში. რეცეფციული უნარების შესახებ ინფორმაცია ამ მხრივ არის მნიშვნელოვანი. ქვემოთ მოყვანილი შემთხვევები განკუთვნილია მხოლოდ ცოდნის დონის მიღწევის ტესტისთვის.

სურათები

ლექსიკის პროდუცირების უნარის ტესტირებაში ყველაზე დიდი სირთულე არის კანდიდატის შეზღუდვა ლექსიკური დავალებებით (როგორც წესი, ერთი დავალებით). ამ დროს, როგორც წესი შემოვიფარგლებით მარტივი ლექსიკური ერთეულებით. ამ მხრივ, ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა სურათები.

ქვემოთ მოყვანილ ყველა სურათის გასწვრივ მოცემულია სათანადო ასო. ჩამოწერეთ საგნების სახელწოდებები:

- A
- B
- C
- D
- E
- F

ლექსიკის ტესტირების ეს მეთოდი, ნათელია, რომ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული არსებითი სახელებით, რომლებიც ცალსახად შეიძლება ჩამოიწეროს.

განმარტებები

ეს შეიძლება გამოგვადგეს მთელი რიგი ლექსიკური დავალებების შემთხვევაში

This may work for a range of lexical items:

- A is a person who looks after our teeth.
- is frozen water.
- is the second month of the year.

მაგრამ ყოველთვის არ არის შესაძლებელი განმარტების მიხედვით ერთადერთი ვარიანტის მიწერა: სიტყვის 'feeble' ნებისმიერ განმარტება უდნა გამორიცხავდეს მის სინონიმს. გარდა ამისა, ყველა სიტყვისთვის ვერ მოიძებნება მარტივი და შესაფერისი განმარტება.

გამოტოვებული ადგილების შევსება

ეს შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე წინადადებისაგან, რომლებშიც ერთი სიტყვა იქნება გამოტოვებული.

Because of the snow, the football match was _____
until the following week.

A

B

C

D E

F

I _____ to have to tell you this, Mrs Jones, but your
husband has had an accident.

ძალიან ხშირად მოიძებნება ჩვენი ნაგულისხმევი სიტყვის ალტერნატიული ვარიანტი. მართლაც, ზემოთ მოყვანილ მეორე დავალებას აქვს სულ მცირე ორი მისაღები პასუხი (რაც სულაც არ იგეგმებოდა დავალების შედგენისას). ეს პრობლემა შეიძლება გადაიჭრას, თუ დავწერთ სიტყვის პირველ ასოს (შესაძლებელია მეტსაც), შეიძლება ასევე მივუთითოთ სიტყვაში ასოების რაოდენობაც.

I r _____ to have to tell you ...

or I r _ _ _ _ to have to tell you.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, დავალებების მოდერაცია და წინასწარი გამოცდა ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება მეშვიდე თავში წარმოდგენილი საკონტროლო სიის გამოყენებაც, თუნდაც მცირე ცვლილებების შეტანით.

პოსტ სტრიპტუმი

ეს თავი უნდა დავასრულოთ იმის შეხსენებით, რომ სანამ გრამატიკასა და ლექსიკას წვლილი შეაქვს კომუნიკაციურ უნარ-ჩვევების განვითარებაში, ისინი იშვიათად განიხილება დამოუკიდებელ და სასრულ ვარიანტებად. არსებითია იმის გააზრება, ტესტში გრამატიკასა და ლექსიკას არ უნდა მიენიჭოს გადაჭარბებული მნიშვნელობა, რადგან ასე შეიქმნება უკუგების ეფექტი, რაც შეაფერხებს კომუნიკაციური ბუნების მქონე პროცესების - სწავლებისა და სწავლის მიზნების მიღწევას.

მკითხველის აქტივობები

შექმენით დავალებები, რომლებშიც შეამოწმებთ შემდეგს:

- კონდიციონალები: *If had, would have* .
- თანასწორობის შედარება.
- კუთვნილებითი ნაცვალსახელი *whose*.
- ნამყო განგრძობითი დრო: *... was -ing, when ...* .

წინამდებარე თავში შემოთავაზებული ტექნიკებიდან ყველაზე მეტად რომელი მიემართება თითოეულ კონსტრუქციას? შეგიძლიათ თქვათ, რატომ?

თქვენი აზრით, რა არის არასწორი მასწავლებლის მიერ შექმნილი და ქვემოთ მოყვანილი დახურული ტიპის დავალებებში (გამოიყენეთ მეშვიდე თავის პირველ ცხრილში მოცემული საკონტროლო სია)? ეცადეთ დახვეწოთ ისინი.

a) I said to my friend ‘ _____ be stupid.’

Isn't Aren't Didn't Don't be

b) What _____ you do, if your car broke down?

must did shall c) You are too thin. You should eat.....

many more a few

d) – I'm sorry that the child saw the accident.

– I don't think it matters. He soon _____ it.

is forgetting forgets will forget will be forgetting

e) People _____ in their reaction to the same stimulus.

replace vary upset very

შექმენით ლექსიკური მარატის შემმოწმებელი სამი დავალება ქვემოთ მოყვანილი ყოველი სიტყვისთვის. დავალებების ერთი ნაკრები უნდა იყოს დახურული ტიპის და კონტექსტის გარეშე. მეორე ტიპის დავალებები უნდა იყოს დახურული ტიპის და სათანადო კონტექსტით. მესამე სახის დავალებებში უნდა იყოს წარმოდგენილი გამოტოვებული ადგილები. თითოეული ტესტი მიეცით სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფს. შეადარეთ ერთმანეთს ერთი და იგივე დავალების პასუხები. განსხვავებული პასუხები უკავშირდება ტექნიკებს შორის განსხვავებას?

beard sigh bench deaf genial

tickle weep greedy mellow callow

(თუ სიტყვები მიუღებელია თქვენი სტუდენტებისთვის, ჩაანაცვლეთ ისინი).

შემდგომში დასამუშავებელი მასალა

ცნებებისა და ფუნქციების უფრო დეტალური ტაქსონომიისთვის და მათ გრამატიკული და ლექსიკური რეალიზაციისთვის იხილეთ ეკი და ტრიმი (2001a, b and c). სპეციფიკაციების შექმნისთვის ასევე სასარგებლოდ მიმაჩნია კოლინს კობილდის შრომები (1992). ლექსიკის შეფასება დაწვრილებითაა შესწავლილი რედის მიერ (2000). ეს მოიცავს ცოდნის შეფასების ორივე მეთოდს: სიღრმისეულსა და მოცულობითს. რედი და ჩაპელი (2001) გვთავაზობენ ლექსიკის შეფასების ჩარჩოს. ლიჩისა და სხვების ახალი წიგნი სიტყვების სიხშირის შესახებ (2001) ასევე საინტერესოა. აქ მოცემულია ინფორმაცია ინგლისური ენის წერილობითი და ზეპირი სახესხვაობების შესახებ. ვესტი (1953) გვადლევს ხშირად ხმარებული სიტყვების სტანდარტულ სიას, რომელიც უნდა იცოდნენ შემსწავლელებმა. ლექსიკონებში (Collins COBUILD English Language Dictionary და the Longman Dictionary of Contemporary English) სიტყვები აღნიშნული ენაში მათი სიხშირის მიხედვით.

(1) ეს ტექნიკა აღარ გამოიყენება FCE -ის მიხედვით.

14. ზოგადი უნარების ტესტირება

წინა ხუთ თავში მოცემული იყო რჩევა სხვადასხვა უნარების ტესტირებისათვის. შეიძლება დავასკვნათ, რომ თითოეული ამ უნარისთვის გვჭირდება ცალკე ინფორმაციის მოძიება. თუმცა, ხანდახან არ გვჭირდება ასეთი დეტალური ინფორმაცია და კანდიდატის მხოლოდ ზოგადი უნარების შემოწმებაც საკმარისია.

საერთო უნარების გაზომვის ერთ-ერთი გზაა მრავალრიცხოვანი კომპონენტებისაგან შემდგარი ტესტის შექმნა: მაგალითად, კითხვა, მოსმენა, გრამატიკა და ლექსიკა. სპეციფიკაციები თითოეული კომპონენტისათვის ცალკე-ცალკეა შემუშავებული, ჩართულია მთლიანი ტესტის სპეციფიკაციებში და მოცემულია თითოეული მათგანის შეფასების კრიტერიუმები. ტესტის თითოეული კომპონენტის ქულები ერთად არის წარმოდგენილი და მოცემულია ზოგადი უნარების კრიტერიუმები. ასეა შექმნილი ბევრი ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტი. მაშინაც კი, თუ მოცემული გვაქვს ცალკეული კომპონენტის ქულები, ისინი შეიძლება უგულვებელყოფილ იქნას გამსწორებლების მიერ.

მაგრამ ასეთი დიდი ტესტის შედგენა ნაკლებად ეკონომიურია, თუ მის შედეგებს გადაწყვეტილების მიღებისთვის არ აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა და თუ უკუგების ეფექტი არ მიიღება მხედველობაში. ამის ნათელი მაგალითია ენის სკოლებში ადგილის განმსაზღვრელი ტესტი. როგორც წესი, ამ ტიპის ტესტების მთავარი მოთხოვნაა სკოლაში მისაღები დონის განსაზღვრა. თუ არასწორად იქნება კანდიდატების ადგილი განსაზღვრული, მათ ადვილად შეუძლიათ სხვა უფრო შესაფერის კლასში გადასვლა. ამგვარი გადაადგილება მცირე რაოდენობით არ წარმოადგენს პრობლემას. რადგან ადამიანები, როგორც წესი, არ ემზადებიან ამ ტიპის ტესტირებისთვის, ამიტომ არც უნდა ვიღეღვოთ შესაძლო უკუგების ეფექტზე. ამ პირობებში, ვხვდებით, რომ არსებობს ზოგადი უნარების შეფასების უფრო პირდაპირი და ეკონომიური გზები.

ვიდრე ამის მისაღებ ტექნიკებს განვიხილავდეთ, გავიაზროთ საკუთრივ კონცეპტი. ცნება ზოგადი უნარები პირდაპირ მიემართება საღ აზრს, რომ ვიღაც შეიძლება კარგად

(ძალიან კარგად ან ცუდად) ფლობდეს ენას. ეს იმიტომ ხდება, რომ ერთი უნარ-ჩვევის წარმოდგენა ჩვეულებრივ ხდება წინაპირობა შემდეგი აქტივობისათვის.

თუ ვიგებთ, რომ ვიღაც ლაპარაკობს თავისუფლად და სწორად, ჩვენ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ის სწორადაც წერს ამ ენაზე. რა თქმა უნდა, ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება შევცდეთ, მაგრამ, როგორც წესი, მართები ვართ ხოლმე. არავის გაუკვირდება, რომ მიუხედავად ბევრი სხვაობისა, ლაპარაკს და წერას აქვს ბევრი საერთო მახასიათებელი, რომელთაგან ყველაზე აშკარაა გრამატიკა და ლექსიკა. მნიშვნელოვანი ის, რომ სწორედ ეს საერთო მახასიათებლები გვაძლევს საშუალებას გავზომოთ ზოგადი უნარები ეკონომიურად.

დაბოლოს, რის თქმაც მინდოდა ტექნიკების განხილვამდე, არის შემდეგი: ზოგიერთი მათგანი ეფუძნება სიჭარბის შემცირების იდეას. როდესაც ჩვენ ვუსმენთ ვინმეს ან ვკითხულობთ რამეს, უფრო მეტი ინფორმაცია გვაქვს ხელმისაწვდომი, ვიდრე გვჭირდება ნათქვამის გასააზრებლად და დასაწერად. ეს არის სიჭარბე. მშობლიურ ენაზე მოლაპარაკებებს შეუძლიათ კარგად გაართვან თავი სიჭარბის შემცირებას. მაგალითად, მათ შეუძლიათ გაიგონ, რას ამბობს ვიღაც მაშინაც კი, თუ ძალიან დიდი ხმაურია გარშემო და შეუძლებელია ყოველი ბგერის გარჩევა. ასევე, მათ შეუძლიათ წვიმაში დასველებული და ადგილ-ადგილ გადარეცხილი გაზეთიდან ინფორმაციის გაგება. რადგან არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკებებისთვის უფრო რთულია სიჭარბის შემცირებისთვის თავის გართმევა, სწორედ სიჭარბის შემცირება შეიძლება გამოიყენება უცხო ენის უნარების შესამოწმებლად. შემსწავლელების საერთო უნარები იზომება იმით, თუ რამდენად კარგად შეუძლიათ მათ შემცირებული ტექსტის ორიგინალური ფორმის აღდგენა.

დახურვის პროცედურის მრავალფეროვნება

თავისი საწყისი ფორმით, დახურვის პროცედურა ამცირებს სიჭარბეს მონაკვეთიდან მთელი რიგი სიტყვების ამოშლით, ადგილების დატოვებით და მოთხოვნით, რომ კანდიდატმა ჩაანაცვლოს ამოსავალი სიტყვა. მოკლე ხელუხლებელი შესავლის შემდეგ თითქმის ყოველი მეშვიდე სიტყვა წაშლილია. შემდეგი მაგალითი, რომლის გამოცდას შეიძლება მოუნდეს მკითხველს, ჩართულია ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოებული კვლევის დასკვნით ნაწილში (ჩასვით მხოლოდ ერთ სიტყვა თითოეულ ადგილას). პასუხები მოცემულია ამ თავის ბოლოში.

ზოგიერთი ბლანკი ივსება ადვილად და სანდოდ. ზოგიერთი კი, მაშინაც კი, თუ ინგლისურის, როგორც მშობლიური ენის მატარებელი ხართ, ძალიან რთული შეიძლება აღმოჩნდეს თქვენთვის, ალბათ შეუძლებელიც კი. ზოგიერთ შემთხვევაში თქვენ მოგიხდებათ ისეთ სიტყვის შეტანა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ განსხვავდება ორიგინალისაგან, შეიძლება მოგეჩვენოთ კარგ ან უკეთეს ვარიანტად. ყველა შესაძლო შედეგი განხილულია შემდეგ გვერდებზე.

იყო დრო, როდესაც დახურვის პროცედურა წარმოადგენდა ენის ტესტირების პანაცეას. ინტეგრაციული მეთოდის მიხედვით ბევრი ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა ენის

მოცულობითი მონაკვეთის შექმნა: ბლანკში გამოტოვებული ადგილების ჩასანაცვლებლად საჭირო იყო კონტექსტის მიღმა გასვლა. გამოტოვებული სიტყვების პროგნოზირებისას კანდიდატები იყენებდნენ უნარებს, რომლებიც ხაზს უსვამდა ენის ცოდნას. დახურვის პროცედურა უზრუნველყოფდა ძირითადი უნარების გაზომვას, შიგთავსის ვალიდურობას, ვინაიდან ყოველი მეცხრე წაშლილი სიტყვის ჩასმა მოითხოვდა ლინგვისტური მახასიათებლების წარმოდგენას ნიმუშში (არ არის საჭირო ამ ტიპის წიგნში არგუმენტის ყველა დეტალის წარმოდგენა. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია შემდგომ დასამუშავებელი მასალის ნაწილში). ამ მოსაზრების მხარდაჭერა გადაიზარდა ქულებისა და დახურული პასაჟის შედარებით უფრო მაღალ კორელაციაში. ასევე გათვალისწინებული იქნა ბევრად მოცულობითი და კომპლექსური ტესტების (University of California at Los Angeles (UCLA) English as a Second Language Placement Test (ESLPE)) ქულები, ისევე როგორც ასეთი ტესტების ცალკეული კომპონენტები (კითხვა და მოსმენა).

დახურვის პროცედურა ძალიან მიმზიდველი ჩანს საერთო უნარების გასაზომად. ფინალური ტესტების შექმნა, ადმინისტრირება და შეფასება ადვილია. ადრეული კვლევები გვთავაზობს აზრს, რომ ნაკლებად აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ მონაკვეთს ავირჩევთ ან რომელ სიტყვას წავშლით. შედეგები იქნება სანდო და ვალიდური კანდიდატის ენობრივი უნარების გამოსავლენად. სამწუხაროდ, საბოლოო ტესტს არ შეეძლო ბოლომდე გამოეყვანა ის, რასაც გვპირდებოდა. ერთ მხრივ, აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა მონაკვეთები გვაძლევდა სხვადასხვა შედეგს, ისევე როგორც სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა სიტყვების წაშლა. კონტექსტის საბოლოო გამოცდამ, რომელიც საჭირო იყო ბლანკის წარმატებით შესავსებად (და იმის შესასწავლად თუ რა კონტექსტს იყენებდნენ ადამიანები ძირითადად), გვიჩვენა, რომ იშვიათად სცდებოდა გამოტოვებულ ადგილს. მეორე აქტუალური საკითხი იყო ის ფაქტი, რომ მშობლიური ენის ჰკვიანი და განათლებული მატარებლები გაცილებით ადვილად ახერხებდნენ გამოტოვებული სიტყვების გამოცნობას. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი არა მშობლიური ენის მატარებლებზე უარესად ახერხებდა ამას. ამდენად, პროცედურის ვალიდურობა მოექცა კითხვის ქვეშ.

ახლა საკმაოდ სამართლიანად შეთანხმდა ყველა, რომ დახურვის პროცედურა არ შეიძლება იყოს ავტომატურად დამოკიდებული სანდო და საჭირო ტესტების შექმნაზე. საჭიროა ტექსტების ფრთხილად შერჩევა და პრეტესტირებაც კი. ის ფაქტი, რომ ყოველი მეცხრე სიტყვის წაშლა ქმნის პრობლემურ დავალებებს (მაგალითად, შეუძლებელია გამოტოვებული სიტყვის პროგნოზირება), საჭიროებს სიფრთხილეს ამის გაკეთებისას. წარმოგიდგენთ საკუთარ დახურულ პასაჟს, რომელიც განკუთვნილია უნივერსიტეტში ჩაბარების მსურველი სტუდენტებისთვის და რომელიც ამ უნივერსიტეტშია მომზადებული. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, მკითხველს ვთხოვთ, შეასრულონ დავალება და შეავსონ გამოტოვებული ადგილები. აარჩიეთ საუკეთესო სიტყვა თითოეული ადგილის შესავსებად. პასუხები ჩაწერეთ მარჯვნივ საგანგებოდ გამოყოფილ სივრცეში. ჩაწერეთ მხოლოდ ერთი სიტყვა ერთ ადგილას.

ზემოთ მოყვანილ პასაჟში ამორჩეული სიტყვების წაშლამ უფრო 'საინტერესო' გახადა დავალებები. მათი უმეტესობა შეიძლება მიემართებოდეს 'გრამატიკის' ტესტირებას, მაგრამ იმისათვის, რომ სწორად ვუპასუხოთ ასეთ კითხვებს, გრამატიკულ უნარებზე მეტია საჭირო. კონტექსტის მრავალფეროვანი მახასიათებლების შექმნა, როგორც წესი, აუცილებელია. მეორე მახასიათებელი არის ის, რომ ტესტირების პოტენციური კანდიდატების მსგავსი ზოგადი აკადემიური უნარების მქონე მშობლიური ენის მატარებელს უნდა შეეძლოს ყველა დავალების მისაღებ დონეზე შესრულება და მისაღები პასუხების გაცემა. მისაღები პასუხები თავისთავად რაოდენობრივად შეზღუდული.

ამ ტიპის დახურული პასაჟების ქულები (ტესტში Cambridge Proficiency Examination) ზედმიწევნით კარგად შესაბამება ტესტის, როგორც ასეთის, შესრულებას. თუ ეს გამოიყენება ზოგადი უნარების გასაზომად, ეს სწორედ ისაა, რასაც მე გავუწევდი რეკომენდაციას. რჩევები ამ ტიპის ტესტის შექმნისათვის ქვემოთაა წარმოდგენილი.

საუბრის დახურვა

ორი პასაჟი, შექმნილი ზემოთ მოყვანილი დახურული ტესტისთვის, არის საკმაოდ ფორმალური. თუ ჩვენ გვინდა ზოგადი, საერთო უნარების გაზომვა (და პროგნოზირება), რაც აისახება ზეპირ და წერით უნარებზე, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ მონაკვეთები, რომლებშიც წარმოდგენილია სასაუბრო მეტყველება. შემდეგი მონაკვეთი ეფუძნება საუბრის აუდიოჩანაწერს. რადგან ამ ტიპის მასალა კულტურულად არის შემოსაზღვრული, მხოლოდ ბრიტანეთში ნამყოფ არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკეს შეუძლია მისი სრულად გაგება. ეს არის ოჯახური საუბრის კარგი მაგალითი, რომელშიც წინადადებები არაა დასრულებული და თემები ენაცვლება ერთმანეთს (კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, მკითხველს შეუძლია წინასწარ გამოიცნოს გამოტოვებული სიტყვები. მიაქციეთ ყურადღება, რომ ისეთი ფორმები, როგორებიცაა *John's*, *I'm* და სხვ. ითვლება ერთ სიტყვად. მხოლოდ ერთი სიტყვა ერთ ადგილას.

ეს 'საუბრის დახურვის' მონაკვეთი იქცა ბრიტანეთში გარკვეული დროით ნამყოფი უცხოელი სტუდენტების (რომლებიც შეფასებულები იყვნენ თავიანთი ენის მასწავლებლების მიერ) ზეპირი უნარების მართებულ მაჩვენებლად. აქედან გამომდინარეობს ის, რომ დახურული ტესტები უნდა დავაფუძნოთ მონაკვეთებზე, რომლებიც ასახავს ჩვენთვის საინტერესო და რელევანტურ ზოგად ენობრივ უნარებს.

რჩევები დახურული ტიპის პასაჟების შესაქმნელად:

1. შერჩეული პასაჟები უნდა შეესაბამებოდეს კანდიდატების ენის ფლობის დონეს. თუ დონის შესახებ გარკვეული ეჭვი არსებობს, მონაკვეთები უნდა შეირჩეს საცდელი ტესტირების შედეგად. მართლაც, ყოველთვის უმჯობესია მთელი რიგი მონაკვეთების წინასწარ გამოცდა, რადგან ენობრივი ქცევა ყოველთვის არაა პროგნოზირებადი.
2. ტექსტის სტილი უნდა შეესაბამებოდეს გამოსაცდელ ენობრივ უნარებს.
3. უწყვეტი ტექსტის რამდენიმე წინადადების შემდეგ, უნდა ამოვშალოთ ყოველი მერვე ან მეცხრე სიტყვა (ე. წ. წაშლის ფსევდომთხვევითი მეთოდი). ცალკეული წაშლილი სიტყვები შეიძლება გადავწიოთ მარჯვნივ ან მარცხნივ, რათა თავიდან

ავიცილოთ პრობლემები ან შევექმნათ საინტერესო 'დავალებები'. შეიძლება განზრახულად შევექმნათ გამოტოვებული ადგილები, რომლებიც შეიძლება შეივსოს მხოლოდ ფართო კონტექსტის მიხედვით.

4. მონაკვეთი უნდა გამოვცადოთ რამდენიმე მშობლიური ენის მატარებელთან და გამოვყოთ მისაღები პასუხების რიგი.
5. ნათელი ინსტრუქციები უნდა იყოს მოფიქრებული. კერძოდ, ნათლად უნდა ჩანდეს, რას მიემართება სიტყვა (როგორც მაგალითი ფორმისა *isn't*, და ა. შ. იყო მისაღები). სტუდენტები უნდა დარწმუნდნენ, რომ არავის არ შეუძლია ზუსტად ჩაანაცვლოს ორიგინალური სიტყვა. ისინი უნდა წავახალისოთ წაიკითხონ პასაჟი და გამოიტანონ ძირითადი აზრი, გაიგონ, თუ რის შესახებაა ტექსტი (სწორი პასუხები მონაკვეთს დასაწყისში შეიძლება განისაზღვროს მომდევნო შიგთავსით).
6. ამ თავში მოცემული მეორე ტესტის გეგმა (ეკოლოგიის შესახებ) აადვილებს ქულების წერის პროცესს. გამსწორებლებს ეძლევათ მისაღები პასუხების შემცველი ბარათი, რომელიც უნდა განათავსონ კანდიდატების პასუხების გასწვრივ.
7. ნებისმიერს, ვინც იღებს დახურულ ტესტს, უნდა ჰქონდეს რამდენიმე შესაძლებლობა, გაეცნოს ტექნიკებს. რაც უფრო მეტი პრაქტიკა ექნება ადამიანს, უფრო მეტია შანსი, მისი ქულები შეესაბამებოდეს მის რეალურ ენობრივ უნარებს.
8. დახურული ტესტის ქულები არ ექვემდებარება პირდაპირ ინტერპრეტაციას. იმისათვის, რომ შევძლოთ მათი ინტერპრეტაცია, ჩვენ გვჭირდება სხვა ზომები, განსხვავებული იმათგან, რომელთა ვალიდაციაც შესაძლებელია.

მცირე დახურული ტიპის დავალებები

დახურულ ტექნიკასთან დაკავშირებული ერთ პრობლემა არის ის, რომ მონაკვეთის არჩევის შემდეგ ჩვენ შეზღუდულები ვართ შესამოწმებელი ენის მახასიათებლების რაოდენობის თვალსაზრისით. ჩვენ შეგვიძლია შევამოწმოთ მხოლოდ ტექსტში მოცემული გრამატიკული კონსტრუქციები და ლექსიკური მარაგი. იმისათვის, რომ დავფართოოთ ჩვენთვის საინტერესო ყველა მახასიათებელი, ტესტში უნდა ჩავრთოთ პასაჟების მთელი რიგი. ეს კი ნაკლებად ეკონომიურია. ალტერნატიული მიდგომაა ე. წ. მინი-დახურული დავალებების შექმნა. ამას შეიძლება ჰქონდეს ბევრი სხვადასხვა ფორმა, მაგრამ ჩვენ გამოვიყენეთ დავალება, რომელიც წარმოგვიდგენს ორი ან მეტი ადამიანის მოკლე კომუნიკაციას მხოლოდ ერთ გამოტოვებული ადგილით. მაგალითად:

A: What time is it?

B: _____ a quarter to three.

A: You look tired.

B: Yes, I stayed _____ really late last night. Had to finish that book.

ამ მხრივ, ჩვენ დავფარავთ მხოლოდ იმ სტრუქტურებსა და ლექსიკურ მარაგს, რომელიც ჩვენ გვინდა და გვინტერესებს. ჩავრთავთ სალაპარაკო ენის იმ

მახასიათებლებს, რომლებიც ჩვენი მიზნებისთვისაა რელევანტური. თუ მაგალითად, ჩვენ გვსურს ტესტის შიგთავსი დავაფუძნოთ ენის სკოლაში გამოყენებულ სახელმძღვანელოს, წარმომადგენლობითი ნიმუშის ჩართვა შედარებით პირდაპირი აქტივობა იქნება. სხვა დახურვასთან შედარების ერთი შესაძლო უარყოფით მხარე შეიძლება იყოს გამოტოვებული ადგილების შესავსები კონტექსტის შეზღუდულობა. მაგრამ ადგილის განმსაზღვრელი ტესტის შემთხვევაში ეს არ უნდა იყოს სერიოზული დაბრკოლება (1).

C-ტესტი

C-ტესტი წარმოადგენს დახურვის სხვადასხვა სახეს. ავტორები ამტკიცებენ, რომ ხარისხით აღემატება ზემოთ აღწერილ დახურვას. მთელი სიტყვების ნაცვლად ყოველი მეორე სიტყვის მეორე ნაწილია წაშლილი. იხილეთ მაგალითი.

ტრადიციული დახურვის პროცედურასთან შედარებით C-ტესტის მოსალოდნელი ძლიერი მხარეა ის, რომ მხოლოდ ზუსტი ქულების დაწერაა აუცილებელი (მშობლიური ენის მატარებლები იღებენ 100 პროცენტს) და უფრო მოკლე მონაკვეთების წარმოდგენაა შესაძლებელი.

This last point means that a wider range of topics, styles, and levels of ability is possible. The deletion of elements less than the word is also said to result in a representative sample of parts of speech being so affected. By comparison with cloze, a C-Test of 100 items takes little space and not nearly so much time to complete (candidates do not have to read so much text).

Possible disadvantages relate to the puzzle-like nature of the task. It is harder to read than a cloze passage, and correct responses can often be found in the surrounding text. Thus the candidate who adopts the right puzzle-solving strategy may be at an advantage over a candidate of similar foreign language ability. However, research would seem to indicate that the C-Test functions well as a rough measure of overall ability in a foreign language. The advice given above about the development of cloze tests applies equally to the C-Test.

კარნახი

სამოციან წლებში, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ ქვეყანაში, კარნახი განიხილებოდა როგორც უიმედოდ არასწორი მეთოდი. ბოლოს და ბოლოს, თუ მოცემულია სიტყვების თანმიმდევრობა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტესტი სიტყვების თანმიმდევრობის ამოწმებს.

თუ მოცემულია საკუთრივ სიტყვები, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტესტი ამოწმებს ლექსიკას. თუ შესაძლებელია სიტყვების კონტექსტის მიხედვით იდენტიფიცირება, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტესტი ამოწმებს სმენით აღქმის უნარებს. როდესაც ტესტმა უნდა შეამოწმოს პუნქტუაცია და მართლწერა, ბევრად ეკონომიური გზები არსებობს ამის განსახორციელებლად.

ათწლეულის ბოლოს ორთოდოქსალობა გამოწვევის წინაშე დადგა. კვლევებმა გამოავლინა მაღალი კორელაცია კარნახის ტესტის ქულებსა და და უფრო მოცულობითი და კომპლექსური ტესტის ქულებს შორის (როგორებიცაა UCLA ESLPE). კარნახის ტესტის გამოცდამ ნათელი მოჰფინა იმას, რომ სიტყვები და სიტყვების რიგი რეალურად არ იყო მიცემული. კანდიდატებს ესმოდათ მხოლოდ ხმოვანი ჯერი, რომლის დეკოდირებაც უნდა მოეხდინათ და ექციათ სიტყვებად, შეენახათ და დაწერათ ფურცელზე. დღეს კონტექსტის მიხედვით სიტყვის მნიშვნელობის გამოცნობა ერთ-ერთ სასურველ უნარად მიიჩნევა და სწორედ ეს განარჩევს შემსწავლულების სხვადასხვა დონეს.

კარნახის ტესტები დახურვის ტესტების მსგავს შედეგებს გვიჩვენებენ. ზოგადი უნარების პროგნოზირების თვალსაზრისით ამ ტესტის უპირატესობა არის მოსმენის უნარების ჩართვა. ეს კი, სავარაუდოდ, ერთადერთი უპირატესობაა. უდავოდ, ისინი ძალიან ადვილი შესაქმნელია. ასევე ადვილია მათ ადმინისტრირება, თუმცა არც ისეთი მარტივი, როგორც ფურცლისა და ფანქრის გამოყენებით დახურვის მეთოდი. მაგრამ ცალსახაა, რომ მათი გასწორება არაა მარტივი საქმე. ოლერი, რომელიც წამყვანი მკვლევარი იყო როგორც დახურვის, ისე კარნახის საკითხებში, გვთავაზობს შემდეგს: შეფასება უნდა იყოს თავდაპირველი თანმიმდევრობით გამოვლენილი სიტყვების რაოდენობა (სიტყვები, რომლებშიც დაშვებულია მართლწერის შეცდომები, სწორ ვერსიაც უნდა იყოს მიჩნეული, რადგან არ არის დარღვეული ფონოლოგიური კანონები). ეს საკმაოდ ეფექტურია, როდესაც დავალებები საკმაოდ ზუსტადაა შესრულებული, თუმცა, მაინც დიდ დროს მოითხოვს. შედარებით სუსტი სტუდენტების შემთხვევაში, ქულების წერის საკითხი უფრო შრომატევადი და ხანგრძლივი ხდება.

ქულების წერის პრობლემების გამო ნაწილობრივი კარნახი (იხ. გვერდები 168–169) შეიძლება განვიხილოთ ალტერნატიულ საშუალებად. ამ შემთხვევაში, კარნახის ნაწილი უკვე ამობეჭდილია კანდიდატის პასუხების ფურცელზე. კანდიდატმა უბრალოდ უნდა შეავსოს გამოტოვებული ადგილები. ამით ნათელი ხდება კანდიდატის შესაძლებლობები და დაწერილი ქულებიც უფრო სანდოა.

როდესაც ვიყენებთ კარნახს და ვარჩევთ მონაკვეთებს, იგივე მითითებები უნდა გავითვალისწინოთ, რომლებზეც დახურვის პროცედურისას ვსაუბრობდით. ამ შემთხვევაში მონაკვეთი უნდა დაიყოს რამდენიმე ნაწილად, რომლებიც არ შეიცავს პაუზას.

თითოეული მათგანი საკმაოდ ხანგრძლივი უნდა იყოს, უნდა სცდებოდეს მექანიკურ მეხსიერებას. კანდიდატებმა უნდა შეძლონ დეკოდირება, შენახვა და იმის დაწერა, რაც მოისმინეს (ეს ზემოთ განხილული კარნახის მახასიათებელია). ჩვეულებრივ, კარნახის ადმინისტრირებისას, ჯერ მთლიან მონაკვეთს კითხულობენ შეუჩერებლად. შემდეგ ნაწილებს კითხულობენ ერთმანეთის მიყოლებით არც ისე ნელი ტემპით, თუმცა კანდიდატებს აქვთ მოსმენილის ჩანიშვნების დრო.

მინინაწილობრივი კარნახი და ამ ტიპის დავალებები

როგორც ადრეც განვიხილეთ, კარნახს შეიძლება ისეთივე უარყოფითი მხარეები ჰქონდეს, როგორც დახურვას. მონაკვეთი ზღუდავს იმას, რისი შემოწმებაც შეიძლება ტესტით.

ამის გამო, შეიძლება შევადგინოთ მინიდიאלოგების მთელი სერია, როგორც ეს ქვემოთაა წარმოდგენილი (შესაძლებელია მონოლოგების ჩართვაც):

კანდიდატებს ხედავენ:

A: When can I see you again?

B: How about Thursday?

და ისმენენ: When can I see you again?

How about a week on Thursday?

დასკვნა

იყო დრო, როდესაც საკმარისი იყო მხოლოდ ადამიანების ზოგადი ენობრივი უნარების შეფასება და უკუგების ეფექტი არ იყო სერიოზულად მიღებული მხედველობაში. ამგვარ შემთხვევებში, მხოლოდ ამ თავში განხილული მეთოდების მეშვეობით შეიძლება მიზნის მიღწევა (სწრაფი და ჭუჭყიანი მედეები, როგორც ვინმემ შეიძლება თქვას). ვინაიდან გაიზარდა ინტერესი დახურული მეთოდის მიმართ და იგი უფრო ხშირად გამოიყენება სასწავლო სავარჯიშოები მულტი-დავალებების ფორმატით, ეს შეიძლება იყოს ყველაზე კარგი და ცალსახა არჩევანი. თუმცა, მე ვეჭვობ, რომ გამოტოვებული ადგილის შევსების მარტივი მეთოდები მიემართება ზემოთ ნახსენებ მინიდახურვის და მინინაწილობრივ კარნახის ხერხებს და ამან შეიძლება ისეთივე კარგი შედეგები მოგვცეს, როგორც სხვა დანარჩენი მეთოდის შემთხვევაში.

მკითხველის აქტივობები

1. დაასრულეთ წიგნის ამ თავში მოცემული სამი დახურული მონაკვეთი. რას ფიქრობთ თითოეული დავალების ტესტირებაზე? რა მოცულობის კონტექსტი გჭირდებათ თითოეული მათგანის შემთხვევაში სწორი პასუხის გასაცემად? შეგხვდათ თუ არა ისეთ დავალება, რომელსაც ვერ გაეცით სწორი პასუხი? შეგიძლიათ ახსნათ, რატომ გაგიჭირდათ სწორი პასუხის გაცემა? გამოყავით დავალებები, რომლებსაც შეიძლება ერთზე მეტი მისაღები პასუხი მოეძებნოს. როგორ ფიქრობთ, ეს პასუხები მისაღებლობის ზღვარზეა? შეგიძლიათ თქვათ, რატომ არის ისინი ზღვარზე?

2. ამოარჩიეთ მონაკვეთი, რომელიც შეესაბამება თქვენთვის ნაცნობი სტუდენტების ჯგუფის დონეს და რომელიც შეიცავს მათთვის მისაღებ თემებს. გამოიყენეთ ეს მონაკვეთი და შექმენით ტესტი შემდეგი ინსტრუქციების გათვალისწინებით:

- შესავლის შემდეგ წაშალეთ ყოველი მეშვიდე სიტყვა;

- გააკეთეთ იგივე, ოღონდ წინა ვერსიისაგან განსხვავებით სიტყვები წაშალეთ პირველი სამი სიტყვის შემდეგ.

შეადარეთ ეს ორი ვერსია. ისინი ეკვივალენტურია?

ახლა გამოიყენეთ ერთ-ერთი მათგანი დახურული ტესტის შესაქმნელად მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

შექმენით C-ტესტი იმავე პასაჟის საფუძველზე. ასევე, ამავე მონაკვეთის გამოყენებით შექმენით ნაწილობრივი კარნახი. როგორ შეიძლება მათი შედარება? თუ შესაძლებლობა გაქვთ, ჩაუტარეთ ტესტირება სტუდენტებს და გამოსცადეთ ისინი, შედეგები შეადარეთ ერთმანეთს და სტუდენტების თქვენეულ შეფასებებს.

შემდგომ დასამუშავებელი მასალა

თავში განხილული ყველა საკითხისათვის, მათ შორის კარნახის შესახებ, იხილეთ ოლერი

(1979). კვლევა, რომელშიც თავში მოყვანილი პირველი დახურული პასაჟი არის აღწერილი, ეკუთვნის ოლერს და კონრადს (1971). ჩაპელი და აბრაჰამი (1990) სიტყვების წაშლისათვის ეფუძნებიან ერთ მონაკვეთს, მაგრამ იყენებენ სხვადასხვა მეთოდს (C-ტესტის ჩათვლით). შესაბამისად ისინი იღებენ სხვადასხვა შედეგს სხვადასხვა მეთოდის შემთხვევაში. ბრაუნი (1993) იკვლევს ტექსტის ბუნებრივი წესით დახურვას და მსჯელობს რაციონალური წაშლის საკითხის შესახებ. ფარჰაბი და კერამატი (1996) გვთავაზობენ 'ტექსტის მართვად' პროცედურას დახურულ მონაკვეთში სიტყვების წაშლისთვის. სთორი (1997) იკვლევს პროცესებს, რომლებიც კანდიდატმა უნდა გაიაროს დახურვის ტესტის წერისას. აქ მოყვანილი დახურვის მაგალითები შეგიძლიათ ნახოთ ტესტში Cambridge Proficiency

Examination. ჰუგესი (1981) გვთავაზობს ლაპარაკის დახურვის საკითხის კვლევას. კლაინ ბრალეი და რააცი (1984) და კლაინ ბრალეი (1985) აკეთებენ C-ტესტის განვითარების მონახაზს. კლაინ ბრალეი (1997) გვამღწევს ტექნიკის უახლეს შეფასებას. ჯაფარპური (1995)

საუბრობს მის მიერ ჩატარებული C-ტესტის უფრო უარყოფით შედეგებზე. ლადო (1961) აკრიტიკებს კარნახს, როგორც ტესტირების ტექნიკას, მაშინ როდესაც იგივე ავტორი (1986) ატარებს კვლევას და იყენებს ოლერისა და კონრადის მონაკვეთებს, რათა გაფანტოს ეჭვები მათი მოსაზრებების შესახებ.

ჯერმანი და ჰუგესი (1983) გვთავაზობენ დახურულ პასაჟებს სწავლებისთვის, მაგრამ მათ შეუძლიათ ტესტის საფუძვლის ფორმირება (მშობლიური ენის მატარებელთა პასუხები მოცემულია). ჰუგესი და სხვები (1996, 1998) ქმნიან ადგილის განმსაზღვრელ ტესტს ARELS-ისთვის (Association of Recognised English Language Services) და ეფუძნებიან მინიდახურვის და მინინაწილობრივ კარნახის ტესტურ დავალებებს (ინფორმაცია მოცემულია ინტერნეტში).

დახურული ტესტების პასუხები

What is a college? The words deleted from the passage are as follows:

1. of; 2. a; 3. vocational; 4. is; 5. chief; 6. produce; 7. stamina; 8. mean;
9. with; 10. standards; 11. am; 12. believe; 13. and; 14. our; 15. moral;

16. for; 17. the; 18. and; 19. has; 20. our; 21. singularly; 22. who; 23. a; 24. This; 25. a; 26. go; 27. and; 28. a; 29. citizenship; 30. aims; 31. of; 32. our; 33. hesitate; 34. which; 35. to; 36. of; 37. seems; 38. should; 39. the; 40. else; 41. experience; 42. intellectual; 43. have; 44. as; 45. I; 46. feel; 47. me; 48. a; 49. student; 50. much.

Ecology. The words deleted from the passage are as follows: 1. on; 2. to; 3. one; 4. a; 5. If; 6. or; 7. it; 8. which/that; 9. his; 10. for; 11. be; 12. wrong; 13. because; 14. part; 15. other; 16. choice/ option; 17. these; 18. do; 19. what; 20. have.

Family reunion. Acceptable responses: 1. well; 2. of; 3. they; 4. looks, seems; 5. Did, Didn't; 6. it; 7. I; 8. if; 9. when; 10. I; 11. you; 12. for; 13. not; 14. I've; 15. to; 16. Are; 17. want; 18. you; 19. that; 20. you; 21. off; 22. the; 23. what, one; 24. too; 25. You.

(1) ვერც მე ავცდი იმ ფაქტს, რომ მინიდახურული დავალებები არ განირჩევა წინა თავში წარმოდგენილი გამოტოვებული ადგილების შემცველი დავალებებისაგან.

15. ტესტები ახალგაზრდა შემსწავლელთათვის

ეს თავი იწყება ახალგაზრდა შემსწავლელთათვის ტესტების ზოგადი მიდგომის შეთავაზებით. შემდეგ განხილულია ასეთი ტესტების კონკრეტული მოთხოვნები. საბოლოოდ, რეკომენდებულია სათანადო ტესტირების ტექნიკები.

ზოგადი მიდგომა

მაშინ, როდესაც ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ნორვეგიაში, ბავშვები უცხო ენებს სწავლობენ დაწყებით კლასებში უკვე ათწლეულებია, მიმდინარე პერიოდში ეს ტენდენცია უკვე გავრცელებული და საერთო ფენომენი გახდა მსოფლიოს დანარჩენი ნაწილისთვისაც. ამ თავში განხილულია ახალგაზრდა შემსწავლელთათვის ტესტების კონკრეტული მოთხოვნები და შეთავაზებულია ამის მიღწევის საუკეთესო გზები. ახალგაზრდა შემსწავლელებში ჩვენ ვგულისხმობთ დაახლოებით ხუთიდან თორმეტ წლამდე ბავშვებს.

შეიძლება ვიდაცამ იკითხოს, საერთოდ რატომ უტარდებათ ტესტირება ენის ახალგაზრდა შემსწავლელებს. ეს კარგი შეკითხვაა, მაგრამ ყველა არ აკეთებს ამას. მაგალითად, ნორვეგიაში, სადაც ინგლისური ენის სწავლება უმაღლეს დონეზეა აყვანილი და ეს პროცესი ძალიან წარმატებით მიმდინარეობს, 13 წლამდე ასაკის ბავშვები აბარებენ ტესტებს ამ საგანში. დასმულ შეკითხვაზე ერთი პასუხი შეიძლება იყოს შემდეგი: ჩვენ გვინდა დავრწმუნდეთ, რომ სასწავლო პროგრამები ეფექტურია, რომ ბავშვები ნამდვილად სწავლობენ ენას ადრეულ ასაკში. მაგრამ ეს იწვევს შემდგომ შეკითხვას: რატომ არის ტესტირება შეფასებაზე მეტად საჭირო? პასუხი მოცემულია პირველ თავში, როდესაც საუბარია საერთო საზომისა და კრიტერიუმების საჭიროებაზე. ეს, თავის მხრივ, გვაძლევს შედარების საშუალებას. თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, რომ მართალია, ვიდაც ხარჯავს დიდ დროს ტესტირებაში ან ამ თვალსაზრისით სხვების დახმარებაში, მაგრამ ადვილი არ არის იმაზე ფიქრი, რომ არასწორმა, უხეშმა ტესტირებამ შეიძლება დააზიანოს ბავშვის სწავლისადმი დამოკიდებულება. ეს სირთულე არ მცირდება მხოლოდ იმის ცოდნით, რომ ენის ადრეულ ასაკის ბავშვებისთვის სწავლებაში აუცილებლად უნდა იყოს

ჩადებული ენის სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების განვითარება. მაგრამ ადამიანები მაინც ადგენენ ასეთ ტესტებს, ამდენად, მე ვფიქრობ, ღირს, განვიხილოთ ამის გაკეთების საუკეთესო გზები და საშუალებები.

უფრო პოზიტიური გადმოსახედიდან, მე მგონია, რომ თუ ბავშვებს უნდა ჩავუტაროთ ტესტირება, მაშინ ამგვარმა ტესტირებამ უნდა უზრუნველყოს შეფასების მიმართ დადებითი დამოკიდებულების განვითარება, რათა დაეხმაროს ბავშვებს შეფასების მნიშვნელობის გააზრებაში. იმისათვის, რომ ამ შესაძლებლობის დადებითი შედეგი მივიღოთ, მე მოგცემდით სამ რჩევას, რომლებშიც ერთადაა ჩამოყალიბებული ამგვარი ტესტირებისადმი მიდგომა. პირველი რეკომენდაცია არის შემდეგი: განსაკუთრებით უნდა ვეცადოთ, რომ ტესტი იქნეს სასწავლო პროგრამის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. სამივე უნდა უკავშირდებოდეს ერთი-მეორეს სწავლის მიზნებიდან და, რამდენადაც შესაძლებელია, დავალების იმ ტიპებიდან გამომდინარე, რომელთა შესრულებასაც ვთხოვთ ბავშვებს. ამდენად, ტესტირება აღარ განიხილება, როგორც სწავლებისაგან გამიჯნული ნაწილი და როგორც გამოცდა, რომელსაც როგორმე უნდა გავუძლოთ. მეორე რეკომენდაცია არის ის, რომ ტესტების უკუკავშირი (და ზოგადად შეფასების უკუკავშირი) უნდა იყოს მყისიერი და პოზიტიური. მყისიერობით მისი ღირებულება მაქსიმალურად გაიზრდება. თუ ბავშვებს გავაცნობთ არა მხოლოდ მათ სუსტ მხარეებს, არამედ ვაჩვენებთ იმასაც, რაც კარგად შეასრულეს, ტესტის შედეგების პოტენციური დემორალიზაციის ეფექტი შემცირდება.

მესამე რეკომენდაცია არის ის, რომ ბავშვების მიერ თვითშეფასება უნდა იყოს სასწავლო პროგრამის ნაწილი. ეს დაეხმარება მათ გამოიმუშაონ საკუთარი პროგრესის მონიტორინგის ჩვევა. ასევე უნდა მივცეთ მათ საშუალება მიიღონ სიამოვნება იმისგან, რაც ისწავლეს და რასაც მიაღწიეს, ისინი უნდა წავახალისოთ, რომ შეადარონ თავიანთი შეფასებები მასწავლებლის შეფასებებს. შემდეგ გვერდზე მოცემულია ტესტის მასალის მაგალითი, რომელიც შემუშავებულია ნორვეგიის განათლების სამინისტროს მიერ 11-12 წლის ბავშვებისთვის (ჰასელგრენი 1999). მოსწავლეები ავსებენ ამ ფორმას კითხვის დავალების შეფასების შემდეგ.

ეს სამი რეკომენდაცია და მათ მოსალოდნელი შედეგები გარკვეულწილად შეიძლება იდეალისტური იყოს, მაგრამ ვიდრე უკუვაგდებდეთ მათ, მანამდე უნდა განვიხილოთ ალტერნატიული საშუალებები. დაუსწრებლად კი, ამან უნდა მიგვიყვანოს უარყოფით დამოკიდებულებამდე ტესტებისა და მათი მეშვეობით ენის სწავლის მიმართ.

განსაკუთრებული მოთხოვნები

მიუხედავად იმისა, რომ გვინდა ბავშვებმა ტესტირება გაიარონ არასტრესულ გარემოში, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა შევამსუბუქოთ ტესტის შექმნის ჩვენი სტანდარტები. ჩვენ ჯერ კიდევ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი ტესტი არის ვალიდური და სანდო (1) და დადებითი უკუკავშირის ეფექტის საჭიროება ყველაზე მეტად სწორედ ახლაა მნიშვნელოვანი. უადგილო იქნება აქ ადრე მოცემული რჩევების რეზიუმირება ტესტის ვალიდურობისა და სანდოობის მიღწევის, ასევე დადებითი

უკუგების ეფექტის მიღების შესახებ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გადამწყვეტი ელემენტია სრული ტექნიკური აღწერილობის შექმნა და ტესტირების სათანადო ტექნიკების შერჩევა.

EPISODE 1 Try to answer these questions. Put crosses.

<i>Did you ...</i>	<i>yes</i>	<i>mostly</i>	<i>so-so</i>	<i>not really</i>	<i>no</i>
understand what to do?	☐	☐	☐	☐	☐
understand the texts?	☐	☐	☐	☐	☐
have enough time?	☐	☐	☐	☐	☐
do the tasks well?	☐	☐	☐	☐	☐
like the tasks?	☐	☐	☐	☐	☐
manage to guess what new words meant?	☐	☐	☐	☐	☐

Were any texts difficult to understand?

☐ *no*

 ☐ *yes (write the numbers)*

What have you learnt?

კონკრეტული ტექნიკების განხილვამდე, ნება მიბოძეთ დავსვა შეკითხვა, რატომ უნდა შეუქმნათ განსაკუთრებული მახასიათებლები ბავშვებს.

1. ბავშვებს აქვთ შედარებით ნაკლები ყურადღების დაძაბვის უნარი. ამის გამო ტესტი არ უნდა იყოს გრძელი. ცალკეული დავალებები უნდა იყოს მოკლე და მრავალფეროვანი. თუ აუცილებელია, ერთი ტესტი უნდა დავყოთ რამდენიმე ნაწილად და თითოეული მათგანი გამოვიყენოთ, როგორც დამოუკიდებელი ტესტი.
2. ბავშვებს უყვართ ამბები და თამაშები. თუ ჩვენ გვინდა, ბოლომდე ჩავრთოთ ისინი ტესტში, დავალებებში ეს ასპექტები უნდა იყოს გათვალისწინებული. შეიძლება ჩავრთოთ სიტყვებით თამაში, სიტყვების მოძებნა კომიქსებში ან ფაზლების შემცველ წიგნებში.

3. ბავშვები კარგად პასუხობენ შეკითხვებს, რომლებიც შეიცავს სურათებს, მიმზიდველ ტიპოგრაფიასა და ფერებს (2). თუ შესაძლებელია, ტესტში ეს მახასიათებლები უნდა იყოს ჩართული. კომპიუტერების, ფერადი პრინტერებისა და ხელმისაწვდომი სკანირების პირობებში არ არსებობს მიზეზი, რომ ეს არ გავაკეთოთ. აუცილებლად უნდა დავძინოთ, რომ სურათების შიგთავსი უნდა იყოს ცალსახა და არაორაზროვანი ყველა ბავშვისთვის, რომელიც მონაწილეობს ტესტირებაში. ტესტის შემქმნელები უნდა დარწმუნდნენ, რომ ყველა კულტურის მატარებელი ბავშვი იცნობს სურათზე გამოსახულ ჩვეულებებს. სურათების ჩართვა მაშინაც კი შეიძლება, როდესაც მათი არსებობა არაა აუცილებელი დავალების დასასრულებლად.
4. პირველი ენა და კოგნიტური უნარები ჯერ კიდევ ვითარდება. ისეთი დავალებები უნდა იყოს შერჩეული, რომ მათ თავიანთ ენაზე კომფორტულად შეძლონ თავის გართმევა.
5. რადგან ბავშვები სწავლობენ სოციალური ინტერაქციის გზით, მიზანშეწონილია დავალებაში ჩავრთოთ ორ ან მეტ ბავშვს შორის ინტეგრაცია. ეს გვავარაუდებინებს, რომ მსგავსი დავალებები გამოიყენება, როდესაც ისინი სწავლობენ ენას.
6. თუ სწავლებასა და სწავლაში ჩართულია 'ინტეგრირებული' დავალებები (მისი შესრულება მოითხოვს ორ ან მეტ უნარ-ჩვევას), მსგავსი დავალება შეიძლება განვათავსოთ ტესტშიც. თუმცა, არც ისე მოსახერხებელია, როდესაც ცალკეული უნარ-ჩვევების შესახებ დიაგნოსტიკური ინფორმაცია მიემატება ტესტში. კიდევ ერთი საბოლოო რეკომენდაცია არის ის, რომ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, ბავშვებს შევუქმნათ სათანადო პირობები საუკეთესო შედეგების გამოსავლენად. ჩემი აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი უნდა გამოსცადონ სიმპათიურმა მასწავლებლებმა, რომლებსაც იცნობენ და რომლებთანაც შეჩვეულები არიან მუშაობას. ბავშვებთან მუშაობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დავრწმუნდეთ, რომ მათ კარგად გაიგეს ის, თუ რა უნდა გააკეთონ ტესტირების დროს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ტესტის დასაწყისში მოვათავსოთ ადვილი დავალებები, რათა მივცეთ საშუალება უფრო თავში დარწმუნებულად იგრძნონ თავი და ისე განაგრძონ ტესტის შევსება.


რეკომენდებული ტექნიკები (3)

მოცემულ თავში ჩემ მიერ წარმოდგენილი ტექნიკები განსაკუთრებით კარგად მისადაგება ახალგაზრდა შემსწავლელებს. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ წინა თავებში განხილული ტექნიკები არ გამოდგება. რაც უფრო უფროსია ბავშვი, უფრო ადვილად პასუხობს უფროსებისათვის განკუთვნილ ტექნიკებს. რა ტექნიკებიც არ უნდა გამოვიყენოთ ახალგაზრდა შემსწავლელებისთვის, მნიშვნელოვანია ის, რომ მოსწავლეს ჰქონდეს მათი დამუშავებისა და პრაქტიკის უამრავი საშუალება, ვიდრე გაივლის

ტესტირებას. ტექნიკები გამოყენებული უნდა იყოს სასწავლო სავარჯიშოებში ისევე, როგორც ტესტებში.

მოსმენის უნარების ტესტირების ტექნიკები
ნივთების განლაგება ან ადამიანების ამოცნობა:

ბავშვები ხედავენ სურათს სხვადასხვა ნივთებით, რომლებიც განთავსებულია ჩარჩოს გარეთ.



ბავშვებს ესმით შემდეგი დიალოგი:

A: Look at the picture. Listen to the example. Listen and look4.

B: Put the book on top of the bookcase.

C: Pardon?

B: Put the book on top of the bookcase.

A: This is an example. Can you see the line? Now you listen and draw a line.

B: Put the socks on the bed.

C: Where?

B: Put the socks on the bed.

ალტერნატიული ვარიანტი არის დავახატინოთ ბავშვებს და ისე ჩავთოთ სხვადასხვა მრავალფეროვან აქტივობაში. სურათის გარეთ მოცემულია რამდენიმე ბავშვის სახელები. ბავშვებს ესმით რაღაც ამის მსგავსი:

A: I'm looking for Mary.

B: Mary? She's painting a picture over there.

A: Is that her in the corner?

B: Yes.

ბავშვებმა უნდა გაავლონ ხაზი სიტყვა მერისა და შესაბამის სურათს შორის.

მრავალი პასუხის მქონე დავალების მქონე ნახატი

ბავშვები ხედავენ ოთხ სურათს. თითოეული მათგანის ქვემოთ მოცემულია ცარიელი უჯრა. მათ უნდა მონიშნონ შესაბამისი სურათი. მაგალითად, შეიძლება წარმოდგენილი იყოს ოთხი სხვადასხვა ხილის სურათი. ის, რაც ბავშვებმა უნდა მოისმინონ, შეიძლება იყოს ასეთი მარტივი რამ:

It's an apple.

ან ეს შეიძლება იყოს მოკლე დიალოგი


A: Did you say Harry was eating an orange?

B: No, it was an apple.

გაფერადება ან დახატვა

მომდევნო მაგალითი აღებულია Cambridge Young Learners ტესტის ნიმუშიდან.

ბავშვები ხედავენ:



მოისმინეთ, გააფერადეთ და გაავლეთ ხაზები. იხილეთ მაგალითი.
ისინი ისმენენ:

A: Look at the fish under the ducks.

B: I can see it. Can I colour it?

A: Yes, colour it red.

B: The fish under the ducks – colour it red.

ასევე:

A: Now draw a fish.

B: Where?

A: Draw a fish between the boat and the box.

B: OK. Between the boat and the box.

A: And colour it green. Colour the fish green.

ინფორმაციის ტრანსფერი

ეს, როგორც წესი, მოიცავს მარტივ კითხვასა და წერას. მაგალითად, მათ შეიძლება იხილონ ცხრილები:

Name: John Thomson

John's best friend:

Sports: football and

Where John plays football: at

How many goals he scored last week:

ბავშვებს შეიძლება მოვასმენინოთ ინტერვიუ ჯონთან (ლაპარაკი ჯონთან ან მის შესახებ საუბარი), რომელშიც ისინი მოისმენენ ტესტის დასაწერად საჭირო ინფორმაციას. ინტერვიუში ან საუბარში ჩართული უნდა იყოს სიჭარბე და პაუზები, რომელთა დროსაც მოსწავლეებს შეეძლებათ ცხრილებში პასუხის ჩაწერა. სასურველია, ინტერვიუ ან საუბარი განმეორებით მოასმენინონ ბავშვებს.

დახურული კითხვები

კითხვის უნარები შეიძლება გამოიცადოს დახურული კითხვებით ჩვეულებრივი წესით ან, შესაძლოა სურათების გამოყენებითაც. მომდევნო მაგალითი აღებულია EVA ტესტის მასალებიდან (5).

Baby elephant stolen

Three young men were seen late last night near the circus.

The first was a bald-headed young man, who was seen around ten o'clock. The man was wearing a long grey raincoat, and gave an angry look to a lady as she went past him.

The second was a blond-haired man, wearing a striped scarf. He was seen cycling away from the circus at midnight.

The third was a tall young man with long dark hair, wearing a leather jacket. He was seen around one o'clock, pushing a wheelbarrow.

The police would like to speak to these three men.

Find the suspect

The newspaper article tells us about three men who were seen near the circus last night. They are 'suspects'.

Three of the pictures here show the suspects. Try to find them.

Put a '1' under the first man described in the article, a '2' under the second and a '3' under the third.



დახურული ტიპის ტესტი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს საუბრის, ინტერვიუს ან მსჯელობის კონტექსტში. ბავშვებმა ნათქვამთან დაკავშირებული ყველაზე მისაღები პასუხი უნდა აირჩიონ. მაგალითად:

პოპ ვარსკვლავი ბილი უაილდი ბრუნდება თავის სკოლაში, მას კლასის მოსწავლეები უსვამენ შეკითხვებს:

Mary: Whose lessons did you like best when you were here,

Billy?

Billy Wild: a. Mr Brown's

b. Football

c. History

d. History and geography

და ა. შ.

მარტივი განმარტებები შეიძლება იყოს ამოსარჩევი კითხვების შემცველი დავალებების ამოსავალი. ეს კი ამცირებს სწორი პასუხის გაცემის ალბათობას შემთხვევით გამოცნობის მეშვეობით. მაგალითად შეიძლება იყოს მოცემული ათი განმარტება და თხუთმეტი სიტყვის ნაკრები (მათ შორის ათი მიემართება წარმოდგენილ დეფინიციებს). მოსწავლეებმა სწორი სიტყვების იდენტიფიცირება უნდა მოახდინონ და მიუწერონ დეფინიციებს. დეფინიციები არ უნდა იყოს ფორმალური. მაგალითად, სიტყვა *wood* შეიძლება იყოს განმარტებული როგორც


ამგვარი დავალებების პრეზენტაციის უზრუნველყოფა ძალიან მიმზიდველია (სიტყვები შეიძლება იყოს სხვადასხვა ფერის). ასეთ დავალებები არ უნდა იყოს ძალიან მკაცრი.

ბიდრე კითხვის ტესტი დასრულდება, უნდა აღინიშნოს, რომ მოკლე პასუხების ტექნიკა (თავი 11) აქაც შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ, ოღონდ ამისთვის უნდა უზრუნველყოთ ის, რომ სწორი პასუხები მოიძებნებოდეს ტექსტში.

ანაგრამა სურათით

ლექსიკისა და მართლწერის ტესტირებისათვის ბავშვებს შეიძლება მიეცეთ ე. წ. ფაზლი.

მოცემულია სურათების სერია, რომელთა გასწვრივაც გვაქვს სურათების აღმნიშვნელი სიტყვების ანაგრამა.





ისტორია სურათებით

სურათების სერია გვიამბობს მარტივ ისტორიას:



ინსტრუქციები შემდეგია:


შეხედეთ სურათებს. დააკვირდით რა ხდება. სურათზე გამოსახულ გოგონას ჰქვია სალი. სალი სწერს წერილს დავითს. ის უამბობს მას, თუ რა მოხდა:

ძვირფასო დავით!

საუკეთესო სურვილებით, სალი.

გამოტოვებული ადგილების შევსება სურათებით

ეს ტექნიკა შეიძლება გამოვიყენოთ როგორც კითხვის, ისე წერის უნარების შესამოწმებლად მოცემულია მონაკვეთი (და შესაძლებელია მოთხრობა), რომელშიც წარმოდგენილია გამოტოვებული ადგილები. თითოეული ამ ადგილის ზემოთ სურათშია აღწერილი გამოტოვებული სიტყვა.



... და ასე შემდეგ. ნახატები შეზღუდული უნდა იყოს მხოლოდ საგნებით, მაგრამ შეიძლება იყოს აღწერილი მოქმედებაც.

ზეპირი უნარების ტესტირების ტექნიკები

მეათე თავში მოცემული რჩევები ზეპირი ტესტირებისთვის ამ შემთხვევაშიც გამოგვადგება. უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ბავშვებისთვის მოსამზადებელი პერიოდი უნდა იყოს უფრო თავისუფალი. ყველაზე პატარა ბავშვებისთვის, სასარგებლო იქნება სათამაშოების და თოჯინების მიცემა.

სასარგებლო ტექნიკები მოიცავს:

- ბავშვებისა და მათ ოჯახების შესახებ პირდაპირი შეკითხვების დასმა;
- ბავშვებისთვის ნახატებიანი ბარათის მიცემა (ე. წ. 'scene card'), ხოლო შემდეგ შეკითხვების დასმა: დააკვირდით ხალხს, რა ფერია ესა თუ ის ნივთი, რას აკეთებს სურათზე გამოსახული ადამიანი და ა. შ.
- ბავშვებისთვის პატარა ბარათების მიცემა, რომლებზეც დახატულია სხვადასხვა ნივთი. შემდეგ ბავშვს უნდა ვთხოვოთ, განათავსონ საჭირო თანმიმდევრობით ეს ბარათები ამ ნივთების გამოსახულებების შემცველ უფრო დიდ ბარათზე, კონკრეტულ ადგილას. მაგალითად, ბავშვს უნდა მივცეთ ჭიქის გამოსახულებიანი ბარათი და ვთხოვოთ განათავსოს იგი დიდ ბარათზე დახატულ მაგიდაზე.
- ბავშვებისთვის ორი მსგავსი, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით აშკარად განსხვავებული ბარათის მიცემა (მაგალითად, ერთ ბარათზე შეიძლება იყოს გამოსახული სახლი სამი ფანჯრითა და წითელი კარით, ამავე ბარათზე შეიძლება

ჩანდეს ადამიანი ბაღში. მეორე ბარათზე ასევე შეიძლება იყოს დახატული სახლი ოღონდ ოთხი ფანჯრით, მწვანე კარითა, ბაღში კი იდგეს ქალი). ბავშვმა უნდა აღწეროს ამ ორ გამოსახულებას შორის არსებული განსხვავებები.

- ბავშვისთვის სურათების მოკლე სერიის მიცემა, რომლებზეც ასახულია ამბავი. გამომცდელი იწყებს ისტორიას, ბავშვი კი ასრულებს მას.
- სურათების ნაკრებების წარმოდგენა. თითოეულ ნაკრებში არის ერთი არაადეკვატური სურათი. მაგალითად, შეიძლება იყოს სამი სურათი ტანსაცმლის გამოსახულებით, ხოლო ერთზე ეხატოს საწოლი. ბავშვს უნდა ვთხოვოთ, ამოიცნოს ზედმეტი ნივთი და ახსნას, რატომ არის ის განსხვავებული სხვებისაგან. როდესაც ჩვენ გვინდა გავიგოთ, რამდენად კარგად შეუძლია ბავშვს მეწყვილესთან ინტერაქცია, ეფექტური ტექნიკებია:

- თუ ორი ბავშვი ერთსა და იმავე კლასში, თითოეულ მათგანს შეუძლია მათი საერთო თანაკლასელის შესახებ კონკრეტული და განსაზღვრული რაოდენობის რამის თქმა, ხოლო მეწყვილემ უნდა ამოიცნოს, ვიზეა საუბარი, ვინ იყო აღწერილი.
- მოცემულია ოთხი განსხვავებული საფოსტო ბარათის სურათი. თითოეულ ბავშვს ვაძლევთ სამ მათგანს, ისე რომ ყველას აქვს ორი საერთო და ერთი განსხვავებული ბარათი. რიგრიგობით კითხვების დასმითა და პასუხების მოსმენით, მათ უნდა აღმოაჩინონ, თუ რომელი ბარათები აქვთ საერთო. ყველა სურათს უნდა ჰქონდეს საერთო მახასიათებელი ან დავალება უნდა დასრულდეს ძალიან სწრაფად ენის ხანგრძლივად და ინტენსიურად გამოყენების გარეშე.
- მოცემულია ორი სურათი (A და B), რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ რომლებიც შეიცავენ იდენტურ ნივთებს. ერთ ბავშვს ვაძლევთ A სურათს, მეორე ბავშვს B -ს. ერთმა ბავშვმა უნდა აღწეროს მის სურათზე გამოსახული ნივთები, ხოლო მეორე ბავშვმა უნდა იპოვოს ეს ნივთები თავის ბარათზე. შემდეგ ბავშვებმა უნდა შეცვალონ როლები. ეს უნდა გაგრძელდეს, სანამ ბავშვები არ იპოვიან ბოლომდე ორივე სურათზე გამოსახულ საერთო ნივთებს.
- ბავშვებს უნდა მივცეთ გარკვეული ინფორმაციის შემცველი ბარათები. ორივე შემთხვევაში ინფორმაცია არასრულია. მათი ამოცანაა, ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები და დაასრულონ მთლიანი ინფორმაცია. ამის მაგალითი შეიძლება იყოს დღიურები გამოტოვებული შეხვედრებით ან გაკვეთილების ცხრილი გამოტოვებული კლასებით.


მკითხველის აქტივობები

დააკვირდით მომდევნო აქტივობებს, რომლებიც აღებულია ნაშრომიდან *Primary Colours* (ჰიქსი და ლითელჯონი, 2002). თავდაპირველად ეს არ იყო განკუთვნილი ტესტირების ამოცანებისთვის. რა მოხდება, თუ გამოიყენებთ მათ სანდო და ვალიდური ტესტური დავალებების შესაქმნელად?

Write the words.



2 **7**



5
3

10

4

Find seven more things. Draw lines.



შემდგომში დასამუშავებელი მასალა

კამერონის (2001) წიგნი ეხება ახალგაზრდა შემსწავლელებისთვის ენის სწავლებას. წიგნში ცალკე თავი ეთმობა შეფასებას. რეა-დიკენსი და რიქსონი (1997) მსჯელობენ ახალგაზრდა შემსწავლელთა შეფასების საკითხების შესახებ ინგლისურის, როგორც უცხო ენის, შემთხვევაში.

კარპენტერი და სხვები (1995) აღწერენ ზეპირი გასაუბრების პროცედურას იაპონურის, როგორც მეორე ენის, შეფასების შემთხვევაში. გამოცემა ენის ტესტირების შესახებ (*Language Testing Volume 17*) ნომერი ორი (2000) არის სპეციალური პუბლიკაციების ნაკრები ენის ახალგაზრდა შემსწავლელთა შეფასების შესახებ. ეს მოიცავს რეა-დიკენსის ზოგად შესავალს საკითხის შესახებ, აქვე მოცემულია ნიდერლანდებში დაწყებით სკოლებში უცხო ენის პრეზენტაციების შეფასება, ავტორები ედელენბოსი და ვინიე. მასწავლებლების შეფასება ფსიქომეტრიული თეორიის მიხედვით განხილულია ტეასდალესა და ლეუნგის მიერ. ნორვეგიული მასალების პროექტის აღწერილობა ეკუთვნის ჰასელგრენს (ამაზე ამ თავშიც იყო საუბარი). კემბრიჯის ტესტის ცნობარი და ნიმუშები ახალგაზრდა შემსწავლელთათვის აღებულია 73-ე გვერდზე მოცემული მისამართიდან.

- (1) ის, რაც ბავშვებისთვის მიმზიდველი გვეგონია, მაგალითად სწორი/არასწორია და კი/არა ტიპის დავალებები, აღარ არის ვალიდური და სანდო მათი შედეგებისთვის, რადგან განკუთვნილია უფროსებისთვის.
- (2) სამწუხაროდ, ამ წიგნში შეუძლებელი იყო ფერადი ილუსტრაციების ჩართვა.
- (3) ვრცლად ვისაუბრე ტექნიკებზე, რომლებიც გამოყენებულია ჰასელგრენის მიერ ნორვეგიულ პროექტში EVA. ასევე ვრცლად მიმოვიხილე ტექნიკები, რომლებიც მოცემულია 'Cambridge Young Learners' ტესტებში. რა თქმა უნდა, ხუთი წლის ბავშვები ძალიან განსხვავდებიან თორმეტი წლის ბავშვებისაგან, ამდენად აქ მოყვანილი ტექნიკები თანაბრად არ გამოდგება ყველა ასაკის ბავშვებისთვის.
- (4) ყოველთვის უნდა იყოს მოცემული დავალების მაგალითი. თუმცა, ადგილის დაზოგვის მიზნით შეიძლება იყოს გამოტოვებული მომდევნო ტექნიკებისთვის.
- (5) მე გავაცნობიერე, რომ ეს მაგალითი არის ზღვარზე დახურულ კიხვებსა და ძალიან მოკლე პასუხებს შორის.

დანართი 1

ტესტის მონაცემების სტატისტიკური ანალიზი

ამ დანართის მიზანია, ვაჩვენოთ მკითხველებს, თუ როგორ შეიძლება დაგვეხმაროს ტესტის მონაცემების ანალიზი ტესტის შეფასებასა და გაუმჯობესებაში. დააკვირდით სიტყვას „დახმარება“. სტატისტიკური ანალიზი ტესტის შემქმნელს მიაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც შეიძლება გამოადგეს მას ტესტსა და ტესტის შედეგებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. ეს უტოვებს ტესტის ავტორს პასუხისმგებლობას და დამოკიდებულია არა მარტო სტატისტიკური ანალიზისას მიღებულ ინფორმაციაზე, არამედ განხილვის შედეგებსა და გამოცდილებაზე. ყურადღება გამახვილდება სტატისტიკური მონაცემების განხილვაზე და არა უბრალოდ მონაცემების დათვლაზე. ფაქტია ის, რომ თუ მკითხველს უნდა თავისი ტესტის სტატისტიკური ანალიზის ჩატარება, მას უნდა ჰქონდეს წვდომა კომპიუტერულ პროგრამასთან, რომელიც გააკეთებს ამგვარ გამოთვლებს. დღეს უკვე აზრს მოკლებულია ხელით გამოთვლა ან ახალი საკუთარი პროგრამის შექნა. ამდენად, ვერ ვხედავ გამოთვლების წარმოდგენის აუცილებლობას, გარდა ძალიან მარტივი გამოთვლებისა კონცეპტების ახსნის მიზნით. როდესაც კონცეპტები და გამოთვლები ძალიან რთულია, მხოლოდ მკითხველის მცირე ნაწილს შეუძლია ამის გაგება. არ გვაქვს პრეტენზია, რომ სრულად წარმოვადგენთ ამ თავში სტატისტიკურ მეთოდებს და ტესტთან დაკავშირებულ საკითხებს. ამას ცალკე წიგნი უნდა მიეძღვნას. უფრო მეტად ძირითადი ცნებები წარმოდგენილია იმ ფორმით, რომელიც უფრო მისაღები და პრაქტიკული იქნება. ამ თავის წაკითხვის შემეგ მომცევნო ეტაპია ტესტის ანალიზის პროგრამის გამოყენება და საკუთარი მონაცემების ანალიზი. ჩემი გამოცდილებით, ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ყველაფერს უკვე აქვს თავისი აზრი. არსებობს ორი სახის ტესტის სტატისტიკური ინფორმაცია. პირველი უკავშირდება ზოგადად მთლიან ტესტს (ხანდახან ტესტის ცალკეულ ნაწილს). მეორე კი უკავშირდება ცალკეულ დავალებას, რომლებიც შეადგენენ ტესტს. დანართში წარმოვადგენთ თითოეულ მათგანს ETA (Educational Test Analysis) პროგრამის ანალიზის საფუძველზე, რომლის მიღება შედარებითი იაფად მკითხველს შეუძლია წიგნის საიტზე. მონაცემი ეფუძნება 186 ადამიანის მიერ შესრულებულ 100-დავალებიან ტესტს. ტესტი, რომელსაც მე აქ ვუწოდებ ჩემს ტესტს - MYTEST, განკუთვნილია ადგილის განსასაზღვრად.

ტესტის სტატისტიკა

სიხშირის ცხრილი

ტესტის ანალიზს ვიწყებთ ქულების სიით, რომლებიც ცალ-ცალკე მიიღო თითოეულმა კანდიდატმა. მოცემულ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს 186 ქულა. 186 მიღებული ქულის ჩამონათვალი არ არის გამოსადეგი კანდიდატების მიერ ტესტის შესრულების ხარისხის გამოსავლენად. პირველი ნაბიჯი მონაცემების მოცულობითად

წარმოსადგენად არის სიხშირის ცხრილის შედგენა. ქვემოთ წარმოგიდგენთ სიხშირის ცხრილს MYTEST -ტესტისთვის.

ქულა	სიხშირე
15	6
16	0
17	2
18	1
19	4
20	6
21	2
22	3
23	2
24	4
25	3
26	2
27	3
28	2
29	2
30	2
31	4
32	2
33	2
34	2
35	2
36	5
37	2

სიხშირის ცხრილი გვაუწყებს, რომ ექვსმა ადამიანმა მიიღო 15 ქულა, არავის მიუღია 16 ქულა, 2-მა ადამიანმა მიიღო 17 და ა. შ. სიხშირის ცხრილი გამოსადეგია, როდესაც განვიხილავთ სხვადასხვა საკითხს, ათვლის წერტილს ან გამსვლელ ქულებს. ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ, რამდენმა ადამიანმა ჩააბარა ტესტი, რამდენი ჩაიწრა. ასევე შეგვიძლია ინფორმაციის სხვა გზით დახარისხება (მაგალითად განსაკუთრებული ანბანური შეფასება).

ტესტირება ენის მასწავლებლებისთვის

ჰისტოგრამები

ამ ეტაპზე ჯერ კიდევ რთულია ტესტის შესრულების ზოგადი სურათის შექმნა სიხშირის ცხრილების მიხედვით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წარმოდგენილია ბევრი სხვადასხვა ქულა. იმისათვის რომ მივიღოთ ზოგადი სურათი, სიხშირული მონაცემები უნდა გადავანაწილოთ ე. წ. ისტოგრამებში. MYTEST ტესტისთვის ჰისტოგრამებს ქვემოთ წარმოვადგენთ.

დიაგრამა უნდა იყოს ინფორმაციული და შეიცავდეს ახსნას: ვერტიკალური განზომილება გვიჩვენებს გარკვეული ქულებით შეფასებული კანდიდატების რიცხვს, ხოლო ჰორიზონტალური მონაკვეთი წარმოგვიდგენს ამ ქულების დიაპაზონს. ყოველთვის უმჯობესია ისეთი ჰისტოგრამის შექმნა, რომელიც იმთავითვე გვამცნობს დისტრიბუციის პირობებს (მაგალითად, ბევრმა ადამიანმა მიიღო დაბალი ან მაღალი ქულები, ხოლო საშუალო ქულები შედარებით ცოტაა).

ძირითადი ტენდენციის გაზომვა: საშუალო არითმეტიკული, ტენდენცია და მედიანა

მას შემდეგ რაც გვაქვს ტესტის შესრულების ზოგადი სურათი, შემდეგი ნაბიჯი არის ე. წ. „ტიპური ქულის“ გამოცნობა. ყველაზე ხშირად გამოყენებული ტიპური ქულა არის საშუალო არითმეტიკული. საშუალო მონაცემი არის, როგორც წესი, ტესტში დაწერილი ყველა ქულის შუალედი. მიუმატე ერთმანეთს ყველა ქულა და შემდეგ გაყავი ტესტში მონაწილეთა რაოდენობაზე - ასე მიიღებთ ტესტის საშუალო არითმეტიკულს

6 ადამიანმა დაწერა ტესტი

მათი ქულებია: 27, 34, 56, 56, 75, 81

მათი ქულების საერთო ჯამია: $27+34+56+56+75+81=329$

329 უნდა გავყოთ ექვსზე $= 54.83$ - ეს არის საშუალო არითმეტიკული.

ETA გვეუბნება, რომ MYTEST-ის საშუალო არითმეტიკული არის 41.56.

ძირითადი ტენდენციის გაზომვის სხვა ხერხია:

ა) ტენდენცია, რომელიც არის ყველაზე ხშირი ქულა. მოცემული ცხრილის მიხედვით ყველაზე ხშირი ქულაა 56.

ბ) მედიანა, რაც გულისხმობს ყველა არსებული ქულის დალაგებას ზრდადობის მიხედვით, ხოლო შემდეგ კი შუა ქულის არჩევას. მაგალითად მოყვანილ ცხრილში მედიანა, ისევე როგორც ყველაზე ხშირი ქულა არის 56 (რადგან ტესტირების მონაწილეთა ლუწი რაოდენობა გვაქვს, ამიტომ მედიანა იქნება შუა ქულა. ასეთი დროს უნდა ავიღოთ შუაში მოქცეული ორი ქულა, მივუმატოთ ერთმანეთს, ხოლო შემდეგ გავყოთ ორზე. აქ 56-ს უნდა მივუმატოთ 56, ხოლო შემდეგ გავყოთ ორზე).

დისპერსიის საზომები: სტანდარტული გადახრა და დიაპაზონი

საშუალო არითმეტიკული თავისთავად ყოველთვის არ არის ქულათა ნაკრების ადეკვატური შეჯამება. ამის მიზეზი არის ის, რომ ქულათა სხვადასხვა ნაკრებს შეიძლება ჰქონდეს ერთი და იგივე საშუალო არითმეტიკული. მაგალითად, ხუთი სტუდენტისაგან შემდგარმა ერთმა ჯგუფმა ტესტში შეიძლება მიიღოს შემდეგი ქულები: 48, 49, 50, 51, 52. იმავე რაოდენობის სტუდენტების სხვა ჯგუფმა შეიძლება მიიღოს განსხვავებული ქულები: 10, 20, 40, 80, 100. თუმცა, ორივე ჯგუფის ქულების საშუალო არითმეტიკული არის 50, ხოლო ქულების გადანაწილება საკმაოდ განსხვავებულია. ქულეთა ერთი ნაკრები ჯგუფდება საშუალო არითმეტიკული მონაცემის გარშემო, ხოლო ქულების

მეორე ჯგუფი ძალიან გაბნეულია. თუ ჩვენ გვინდა ორი ამგვარი მონაცემის შედარება, მხოლოდ საშუალო არითმეტიკულით ხელმძღვანელობა შეცდომაში შეგვიყვანს ამ შემთხვევაში. ერთადერთი რაც გვჭირდება იმის ჩვენება, თუ როგორ გადანაწილდება ქულები საშუალო არითმეტიკულის გარშემო. სწორედ ამას გვაძლევს სტანდარტული გადახრა. რამდენადაც საშუალო არითმეტიკული შეიძლება განვიხილოთ როგორც ტესტის ტიპური ქულა, სტანდარტული გადახრა შეიძლება განვიხილოთ როგორც ტიპური დისტანცია საშუალო არითმეტიკულთან მიმართებით. აქ არ ღირს იმის სტანდარტული გადახრის გამოთვლის ხერხების ჩვენება. MYTEST-ში სტანდარტული გადახრა არის 23.898.

დისპერსიის კიდევ ერთი გამოსადეგი საზომი არის დიაპაზონი. დიაპაზონი გამოითვლება ყველაზე მაღალი ქულიდან ყველაზე დაბალი ქულის გამოქვითვით. ამდენად, თუ ყველაზე დაბალი ქულა იყო 15 და ყველაზე მაღალი ქულა იყო 86, დიაპაზონი იქნება $86 - 15 = 71$. MYTEST-ში ეს არის 86 (88 – 2).

სანდოობა

მეხუთე თავიდან ჩვენ უკვე ვიცით სანდოობის გაგებისა და მნიშვნელობის შესახებ. ითქვას, რომ სანდოობის კოეფიციენტის გამოთვლის რამდენიმე გზა არსებობს. სავარაუდოდ თითოეული გზა გვაძლევს ოდნავ განსხვავებულ კოეფიციენტს. მოყვანილი მონაცემებიდან ვიგებთ, რომ ETA გვაძლევს ოთხ კოეფიციენტს, რომლებიც მერყეობს 0.94 და 0.98 შორის. არსებული განსხვავების გააზრების გარეშე ვიღაცამ თავისუფლად შეიძლება აირჩიოს ყველაზე დაბალი მონაცემი, რადგან ამით გადაჭარბება არ მოხდება. თუ რა თქმა უნდა, ვინმე გეგმავს ტესტის გაყიდვას, მაშინ უნდა აირჩიოს ყველაზე მაღალი კოეფიციენტი. ის, რაც საერთო აქვთ ETA-ს მიერ მოცემულ შეფასებებსა და ჩვენს შემთხვევას, არის ერთჯერადი ტესტი, ეს ტესტები მხოლოდ ერთხელ შეავსეს კანდიდატებმა (იხ. მეხუთე თავი). ტესტის ავტორი ტესტს ჰყოფს ორ ნაწილად, რომლებიც უნდა იყოს თანაბარი. მოცემულ შემთხვევაში, პირველი ნაწილი დანომრილია ლუწი რიცხვებით, ხოლო მეორე ნაწილის დავალებები წარმოდგენილია კენტი რიცხვებით.

სანდოობის კოეფიციენტი $1 = 0.94$

ეს კოეფიციენტი გამოითვლება დისპერსიული ანალიზის მეშვეობით (ან ANOVA). მხედველობაში მიიღება ის ფაქტი, რომ მიუხედავად ტესტის ავტორის მცდელობისა, შექმნას ორთანაბარნაწილიანი ტესტი, მიმდინარე საშუალო არითმეტიკული და სტანდარტული გადახრა ამ ტესტებისა არის განსხვავებული. ერთი ნაწილის საშუალო არითმეტიკული არის 19.88, მაშინ, როდესაც მეორე ნაწილის საშუალო არითმეტიკული წარმოადგენს 21.68. ერთის სტანდარტული გადახრა არის 12.57, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში გვაქვს 11.59.

სანდოობის კოეფიციენტი $2 = 0.95$

ეს კოეფიციენტის ასევე გამოითვლება ANOVA -ის გამოყენებით. რადგან ის უგულებელყოფს ტესტის ორ ნაწილს შორის არსებულ სხვაობას, ის ცოტათი მაღალია.

სანდოობის კოეფიციენტი $3 = 0.98$

ეს კოეფიციენტი მიიღება ტესტის ორ ნაწილს შორის ქულების კორელაციის პირველადი გამოთვლით (რაც წარმოადგენს 0.96-ს), ხოლო შემდეგ ემატება სპირმან-ბრაუნის გამოთვლითი ფორმულა. ტესტის ორი ნაწილი (ნათელია) უფრო მცირეა, ვიდრე მთლიანი ტესტი. ჩვენ ვიცით, რომ რაც უფრო მოცულობითია ტესტი (თუ ყველა დავალება თანაბარი ხარისხისაა), მით უფრო მაღალია მისი სანდოობა. სპირმენ-ბრაუნის გამოთვლითი ფორმულა ვარაუდობს ტესტის მოცულობის გაორმაგებით კოეფიციენტის კორელაციის ეფექტს.

სანდოობის კოეფიციენტი $3 = 0.98$

ეს კოეფიციენტი ეფუძნება კუდერ-რიჩარდსონის ფორმულას 20. ის ერთმანეთს უდარებს თითოეული დავალების სწორი და არასწორი პასუხების პროპორციებს. მთავარი, რაც უნდა გვახსოვდეს არის ის, რომ ეს კოეფიციენტი უთანაბრდება ყველა კოეფიციენტების საშუალო მონაცემს, რომელიც შეიძლება გამოვითვალოთ სანდოობის კოეფიციენტი 3-ის გამოყვანისას გამოყენებული მეთოდის საშუალებით.

MYTEST-ის სანდოობა მაღალია.

თუ ის ზედმეტად მაღალი მოგვეჩვენება, მაშინ შეგვიძლია ზოგიერთი დავალების ამოღება. იმდენად რამდენადაც ტესტი განკუთვნილი იყო დაბალი ადგილის გამოსავლენად, ტესტის მეორე ვარიანტში ამოღებული იქნა 100-დან ორმოცი დავალება. ამ მოკლე ვარიანტის სანდოობა კვლავ მაღალი დარჩა, დაახლოებით 0.90. როგორ უნდა შევარჩიოთ ამოსაღები დავალებები, ამაზე საუბარია ქვემოთ. თუ მიჩნეულია, რომ ტესტის სანდოობა ძალიან დაბალია, ერთ-ერთი საშუალებაა დავალებების დამატება. მაგრამ თუ ტესტში უკვე 100 დავალებაა და მაინც არაა საკმარისად სანდო, მაშინ ამის გაკეთება არაა გამართლებული. მოცემული ტესტი ყურადღებით უნდა შევისწავლოთ, მათ შორის უნდა დავაკვირდეთ მისი ადმინისტრირების ხერხებს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გადავწყვიტოთ, თუ როგორ შეიძლება გავხადოთ უფრო სანდო. ასეთი რჩევები მოცემულია მეხუთე თავში.

გადაცდომების სტანდარტული გაზომვა

მეხუთე თავიდან ვიცით, რომ სანდარტული გადაცდომის საზომი (SEM) გვაძლევს საშუალებას დავაგინოთ კანდიდატის რეალური ქულა მიღებულ ქულასთან მიმართებით. რაც უფრო მაღალია სანდოობა, მით უფრო დაბალია SEM-ი (1). თუ ვივარაუდებთ ყველაზე დაბალ სანდოობას (0.94), MYTEST-ის SEM-ი იქნება 2.90. ვიცით რა, რომ SEM-ი არის 2.90, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: თუ ვინმე მიიღებს 40 ქულას ტესტში, ჩვენ შეგვიძლია 68%-ით ვიყოთ დარწმუნებულები, რომ მისი რეალური ქულა მერყეობს

37.1 სა და 42.9ს შორის (ეს არის 40-ს პლუს ან მინუს SEM). ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ 95 პროცენტით დარწმუნებულები, რომ მათი რეალური ქულა მერყეობს 34.2სა და 45.8ს შორის (ეს არის 40-ს პლუს ან მინუს $2 \times \text{SEM}$). როგორც მეხუთე თავში იყო ნათქვამი, SEM-ი გვაწვდის ინფორმაციას, რომელიც გვცხმარება მივიღოთ გადაწყვეტილება შესრულებული ტესტების შესახებ.

ეს ასევე გვცხმარება გადაწყვეტოთ, არის თუ არა ჩვენი ტესტი მნიშვნელოვნად სანდო. ვიდრე დანართის მეორე ნაწილზე გადავიდოდეთ, მკითხველს შეიძლება აინტერესებდეს ამონარიდები ETA-დან, რათა დარწმუნდნენ, რომ კარგად გაიგეს საკითხი.

მთლიანი ტესტის საშუალო არითმეტიკული არის 41.56452 სტანდარტული გადახრით 23.89817

სანდოობის ანალიზი ეფუძლება მონაცემებს წყაროდან MYTEST.ETA

აქ წარმოდგენილია პირველადი 100-დავალებიანი ტესტის შედეგები 186 კანდიდატის პასუხის მიხედვით

პირველი ტესტი (ნაწილი) საშუალო არითმეტიკული = 19.88 სტანდარტული გადახრა = 12.57

მეორე ტესტი (ნაწილი): საშუალო არითმეტიკული = 21.68 სტანდარტული გადახრა = 11.59

ქულების ორ ნაკრებს შორის კორელაცია არის 0.956 მხედველობაში მიიღება თვალსაჩინო განსხვავება საშუალო არითმეტიკულის ფორმებს შორის: სანდოობა = 0.943

სტანდარტული გადაცდომის საზომი = 2.90

ფორმის შიგნით ანალიზი:

სანდოობა = 0.953 სტანდარტული გადაცდომის საზომი = 2.62

ცალკეული ნაწილების ანალიზი: სპირმენ-ბრაუნის კოეფიციენტი = 0.976 და კუდერ-რიჩარდსონი 20 = 0.978

დავალებების ანალიზი

დავალებების ანალიზის მიზანია ტესტში თითოეული დავალების წვლილის შემოწმება. შემოწმების შედეგად დადგენილი არასწორი ან არაეფექტური დავალებები უნდა უარყვოდ. თავის ამ ნაწილში ვიდრე გადავალთ თანამედროვე კვლევის შედეგებზე, კერძოდ დავალებების პასუხის თეორიაზე, ჯერ თვალს გადავავლებთ ე. წ. დავალებების კლასიკურ ანალიზს.

დავალებების კლასიკური ანალიზი

როგორც წესი, ეს მოიცავს შესაძლებლობების ღირებულებისა და განსხვავების ინდექსის გამოთვლას, ისევე როგორც ღია ტესტის სავარაუდო არასწორი პასუხების ანალიზს.

შესაძლებლობების ღირებულება

იმ დავალების შესაძლებლობის შეფასება, რომელშიც დაიწერა ნული ან ერთი ქულა, შეიძლება მოვახდინოთ ძალიან მარტივად, თუ ავიღებთ პროპორციას ტესტის იმ შემსრულებლებისას, რომლებმაც მიიღეს ერთი ქულა. ამდენად, თუ ტესტი დაწერა ასმა

კაცმა და ოცდაჩვიდმეტმა გასცა სწორი პასუხები, შესაძლებლობის ღირებულება იქნება 0.37 (37 გაყოფილი ასზე). თუ ოთხმოცმა ადამიანმა დაწერა ტესტი და 56-მა მათგანმა გასცა სწორი პასუხი, შესაძლებლობის ღირებულება იქნება 0.70 (56 გაყოფილი 80-ზე).

რა სარგებლობას გვაძლევს შესაძლებლობის ღირებულება? ეს დამოკიდებულია ჩვენს მიზანზე. თუ ჩვენ ვმუშაობთ ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელ ტესტზე, რათა გამოვავლინოთ 10% სტუდენტებისა, რომლებიც გაივლიან ენის სპეციალურ კურსებს, არ არის რთული დავალებების ჩასმის აუცილებლობა, ეს არის შესაძლებლობის მაღალი ღირებულება. ეს დავალებები არ მოგვცემს განსხვავებას საუკეთესო შემსრულებლების 10%-სა და დანარჩენებს შორის. იდეალურ შემთხვევაში, ამ მიზნით, ერთი მხრივ, ჩვენ გვჭირდება შესაძლებლობის ღირებულების 0.10 მაჩვენებლის მქონე დავალების მაღალი შეფარდება და, მეორე მხრივ, ჩვენ ვავითარებთ ადგილის განმსაზღვრელ ტესტს, რომელმაც უნდა მოიცვას უნარების ფართო დიაპაზონი და განათავსოს ადამიანები სხვადასხვა დონეზე. ამდენად, ამისათვის ჩვენ გვჭირდება შესაძლებლობის ღირებულებების ფართო დიაპაზონი ჩვენს დავალებებში, რომელთა შორისაც არ იქნება დიდი განსხვავება.

შესაძლებლობების ღირებულებების საკითხზე, როგორც წესი, არ მსჯელობენ ტესტირების შესახებ ტექსტებში. მიუხედავად ამისა, სასარგებლო იქნება ამ დავალებების შედარება სირთულის მიხედვით. მე შემოგთავაზებდით დავალების საშუალო ქულის აღებას (დავალების ყველა შემსრულებლის ქულების მთლიანი ჯამი გაყოფილი შემსრულებლების რაოდენობაზე) და მის გაყოფას დავალებაში მიღებულ ყველაზე მაღალ ქულაზე. ამდენად, თუ ასმა ადამიანმა დაწერა ხუთდავალებიანი ტესტი და მიღებული ქულების საერთო ჯამია 375 ქულა, საშუალო ქულა იქნება 3.75 (375 გაყოფილი 100-ზე), ხოლო შესაძლებლობების ღირებულება იქნება.75 (3.75 გაყოფილი 5-ზე).

ამ მეთოდის უპირატესობა არის ის, რომ ის გვაძლევს იმავე შედეგებს 0/1 დავალებების შემთხვევაში, როგორსაც ზემოთ აღწერილი პროცედურის გამოყენებისას.

განსხვავების ინდექსები

განსხვავების ინდექსი არის შესანიშნავი ინდიკატორი იმისა, თუ როგორ განვასხვავოთ ერთმანეთისაგან სუსტი და ძლიერი კანდიდატები. რაც უფრო მაღალია განსხვავების ინდექსი, მით უფრო კარგად განასხვავებს დავალება ამ ფაქტორებს. თეორიულად, განსხვავების ყველაზე მაღალი ინდექსი არის 1. ტესტური დავალება, რომელიც საერთოდ არ იძლევა განსხვავების საშუალებას (სუსტი და ძლიერი კანდიდატები ერთნაირად ასრულებენ დავალებას), გვიჩვენებს განსხვავების ნულოვან ინდექსს. დავალებას, რომელიც გვიჩვენებს განსხვავებას სუსტი კანდიდატების სასარგებლოდ (სუსტი კანდიდატები უფრო კარგად ასრულებენ დავალებს, ვიდრე ძლიერი კანდიდატები) და ამგვარი დავალებები ხშირად გვხვდება, სამწუხაროდ, აქვს განსხვავების უარყოფითი ინდექსი. განსხვავება მნიშვნელოვანია, რადგან რაც უფრო მეტ განსხვავების საშუალებას გვაძლევს დავალებები, მით უფრო სანდოა ტესტი.

განსხვავების ინდექსები, როგორც წესი, არის კორელაციის კოეფიციენტები. დისკრიმინაციის ინდექსის გამოთვლის ჩვეულებრივი საშუალებაა კანდიდატების მიერ შესრულებული დავალებების შედრება მათსავე მიერ შესრულებულ მთლიან ტესტთან. დავალების ქულა (ნული ან ერთი) კარგა შეეფარდება ტესტის ქულას, შედეგად კორელაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს ნათელ განსხვავებას.

მკაცრად რომ ვთქვათ, კორელაცია უნდა გამოითვალოს ცალკეულ დავალებაში მიღებულ ქულასა და მთლიან ტესტში ამავე კანდიდატის მიერ მიღებულ ქულებს შორის, ტესტის საერთო ქულიდან კი, ამ შემთხვევაში, უნდა გამოირიცხოს კონკრეტული დავალების ქულა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტესტის ქულა შეიცავს კონკრეტული დავალების ქულასაც, რომელიც ზედმეტა გადაჭარბებულად წარმოგვიდგენს კორელაციის სიძლიერეს. ამგვარი გადაჭარბება არ არის მნიშვნელოვანი, როდესაც ტესტი შეიცავს დავალებების დიდ რაოდენობას. შევნიშნავთ, რომ განსხვავების ინდექსების გამოთვლა ამ გზით ასკვნის, რომ ადამიანები/ჯგუფი, რომლებმაც კარგად შეასრულეს მთლიანი ტესტი (ან გაანალიზებული ნაწილი), ასევე კარგად უნდა ასრულებდნენ ტესტის კონკრეტულ დავალებებს.

დააკვირდით MYTEST-ის განსხვავების ქვემოთ მოყვანილ ინდექსებს.

ITEM 1	0.386
ITEM 2	0.601
ITEM 3	0.355
ITEM 5	0.734
ITEM 6	0.358
ITEM 7	0.434
ITEM 8	0.207
ITEM 9	0.518
ITEM 10	0.393
ITEM 11	0.590
ITEM 12	0.419
ITEM 13	0.433
ITEM 97	0.265
ITEM 98	0.469
ITEM 99	0.188
ITEM 100	0.124

მაღალი ინდექსის შემცველი დავალებები ყველაზე კარგად გვიჩვენებენ განსხვავებას. ყველაზე განმასხვავებელი დავალება მოყვანილი ცხრილიდან არის მეხუთე, რომელსაც აქვს ინდექსი 0,734. ყველაზე ნაკლებ განსხვავებას გვიჩვენებს დავალება 100, რომლის ინდექსიცაა 0, 124. ბუნებრივად ისმის კითხვა: რა ითვლება დამაკმაყოფილებელ

განმასხვავებელ ინდექსად? სამწუხარო პასუხია ის, რომ არ არსებობს აბსოლუტურად ღირებული შეფასება. მნიშვნელოვანია მიახლოებითი ინდექსი. როგორც გახსოვთ, ჩვენ გვინტერესებდა განსხვავების ეფექტი სანდოობაზე. პირველ რიგში, უნდა დავაკვირდეთ სანდოობის კოეფიციენტს. თუ სანდოობასთან დაკავშირებული პრობლემა გვაქვს, ჩვენ შეგვიძლია შევხედოთ განსხვავების ინდექსს, რათა ვნახოთ, გვაქვს თუ არა დავალებები, რომლებიც სათანადოდ არ ქმნის ტესტის სანდოობას. ნებისმიერი დავალება, რომელიც უარყოფით ინდექსს წარმოგვიდგენს, უნდა ამოვიღოთ ტესტიდან (ეს მაშინაც კი უნდა გავაკეთოთ, როდესაც ტესტი გვიჩვენებს სანდოობისდამაკმაყოფილებელ კოეფიციენტს). ამის შემდეგ უნდა მოვიძიოთ დავალებები შედარებით დაბალი დადებითი ინდექსით. თუ ეს ცალსახად დავალების ბრალია, ჩვენ ასევე უნდა ამოვიღოთ იგი ტესტიდან (ან ვეცადოთ ჩავანაცვლოთ უკეთესი ვარიანტით) ან გავაუმჯობესოთ. თუმცა, ერთ რამეს უნდა მივაქციოთ ყურადღება. სულაც არ არის აუცილებელი, დავალება განსხვავების დაბალი ინდექსით იყოს უვარგისი. MYTEST-ის 99-ე დავალება არის ჩვენი ყურადსაღები ამ მხრივ. ამის მიზეზია განსხვავების ინდექსის უქონლობა, რაც დიდ სირთულეს წარმოადგენს. მისი შესაძლებლობის ღირებულება არის მხოლოდ 0.022 (186-დან მხოლოდ ორმა გასცა სწორი პასუხი). როდესაც დავალება ძალიან მარტივია ან ძალიან რთული, განსხვავების ინდექსი განწირულია იყოს ძალიან დაბალი. მაშინაც კი, თუ დავალება სუსტად იძლევა განსხვავების საშუალებას, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ის ტესტში. თუ ის ძალიან მარტივია, ის მაინც უნდა შევინარჩუნოთ, რადგან ამ შემთხვევაში კანდიდატს მივცემთ თავში დარწმუნების საშუალებას ტესტირების საწყის ეტაპზე.

თუ დავალება ზედმეტად რთულია, შეგვიძლია ის შევინახოთ, რადგან კარაგად ვერ განასხვავებს ტესტის მონაწილეების ცოდნას, ის შეიძლება გამოგვადგეს ყველაზე ძლიერი კანდიდატების შესამოწმებლად. როდესაც MYTEST-ში 100 დავალება დაიყვანეს 60-მდე (იხ. ზემოთ), ყველა დავალება დაჯგუფდა შესაძლებლობების ღირებულების მიხედვით. დავალებები განსხვავების ყველაზე დაბალი ინდექსით ამოღებულ იქნა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ტესტის კონკრეტული მიზანი იყო ცოდნის დონის განსხვავება ენის ფლობის ყველა დონეზე. თუ გავანალიზებთ სტუდენტების დაბალი რაოდენობის ქულებს (მაგალითად 30), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, განსხვავების ფორმალური ინდექსების გამოანგარიშება არ იქნება მრავლმნიშვნელოვანი. თუმცა მაინც ღირს სტუდენტების დაყოფა ორ ჯგუფად - პირველი ნახევარი და მეორე ნახევარი (დასრულებული ტესტის ქულების მიხედვით), ხოლო შემდეგ თითოეულ დავალებაზე მათ მიერ გაცემული პასუხების შედარება. თუ გვაქვს ისეთი დავალებები, რომლებიც ჯგუფების მიხედვით არ იძლევა განსხვავებებს ან რომლებზეც დაბალი მაჩვენებლების მქონე ჯგუფი უფრო კარგად პასუხობს, მაშინ სასურველია მათი გადაკეთება.

სავარაუდო არასწორი პასუხების ანალიზი

როდესაც ვიყენებთ დახურული ტესტის დავალებებს, განსხვავების ინდექსისა და შესაძლებლობის ღირებულებების გამოთვლების პარალელურად, აუცილებელია შემოხაზული სავარაუდო არასწორი პასუხების ანალიზი. ის სავარაუდოდ არასწორი

პასუხები, რომლებიც ვერ ასრულებს თავიანთ ფუნქციას (ისეთი პასუხები, რომლებსაც ირჩევს კანდიდატების მცირე რაოდენობა), ვერ უწყობენ ხელს ტესტის სანდოობას. ასეთი პასუხები ან უნდა ჩავანაცვლოთ უკეთესი ვარიანტებით, უნდა შევცვალოთ ან საერთოდ უნდა ამოვიღოთ. თუმცა, ყურადღება უნდა მივაქციოთ ასევე ადვილ დავალებებს, რომლებსაც შეიძლება არც ჰქონდეთ არასორი პასუხების ვარიანტები (იმ შემთხვევების გარდა, როდესაც კანდიდატების ძალიან დიდი რაოდენობა უნდა გამომიცადოს).

დავალებებზე პასუხის თეორია

ყველაფერი, რაც აქამდე ითქვა, უკავშირდება დავალებების კლასიკურ ანალიზს. ბოლო წლებში ანალიზის ახალი მეთოდები შეიქმნა, რომლებიც იქცევენ ტესტის შემქმნელების ყურადღებას. ეს მეთოდები ერთიანდება ერთ ქუდქვეშ, რომელსაც ეწოდება დავალებებზე პასუხის თეორია. მისი ფორმა გამოიყენება ენის ტესტირებაში და ეწოება რაშის ანალიზი. რაშის ანალიზი იწყება იმის დაშვებით, რომ ტესტის დავალებებს აქვთ შესრულების კონკრეტული სირთულეები, მათი დალაგება შესაძლებელია სირთულის მიხედვით და რომ კანდიდატს აქვს შესაძლებლობის ფიქსირებული დონე. ამ პირობებში ტესტირების კანდიდატების იდეალური შედეგების რაოდენობა მოცემულია ცხრილში 1. ყველაზე დიდი შესაძლებლობის მქონე კანდიდატი არის მერვე სუბიექტი, ყველაზე სუსტი შესაძლებლობის მქონე პირი არის პირველი სუბიექტი. ყველაზე რთული არის მეექვსე და მეშვიდე დავალებები, ხოლო ყველაზე მარტივი დავალება არის პირველი.

ცხრილი N1 წარმოგვიდგენს იმის მოდელს, თუ რა მოხდება ტესტირების დროს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოდელი სწორია, კანდიდატების პასუხები მაინც ვერ ასახავს მათ რეალურ შესაძლებლობებს. რეალურა სამყაროში თითოეული კანდიდატის ინდივიდუალური პასუხი უფრო შემდეგნაირი იქნება:

1 1 1 1 0 1 0 1 0

რაშის ანალიზი, ფაქტობრივად, ასეთ გადახრებს იღებს როგორც ნორმას. მაგრამ ის ყურადღებას აქცევს ტესტის შესრულებას, რაც საგრძნობლად განსხვავდება წინასწარ შემუშავებული მოდელისაგან. ის გამოყოფს იმ კანდიდატებს, რომელთა ქცევაც არ შეესაბამება მოდელს და გამოყოფს იმ დავალებებს, რომლებიც არ შეესაბამება მოდელს.

წარმოგიდგენთ რაშის ანალიზის რამდენიმე მაგალითს ETA-ის მიერ ჩატარებული MYTEST ტესტის მიხედვით. მიუღებელი იქნებოდა (თუ არა შეუძლებელი) ანალიზის ყოველი ასპექტის ახსნის მცდელობა. მე მხოლოდ იმ მაგალითებს გამოვიყენებ, რომლებიც გვიჩვენებს დავალებებზე პასუხების გაცემის ჩვენებულ გაგებას.

პირველი სვეტი გვიჩვენებს დავალებას. მეორე წარმოგვიდგენს იმას, თუ რამდენი სწორი პასუხი გაეცა ამ დავალებას (186 გაცემული პასუხიდან). მესამე სვეტი გვიჩვენებს, თუ რამდენად მიესადაგება დავალება რაშის მოდელს. რამდენადაც მაღალია დადებითი

ღრებულება, იმდენად ნაკლებად შესაბამება დავალება მოდელს. როგორც შეგვიძლია დავინახოთ, ყველაზე ნაკლებად შესაბამისი დავალება არის 10, რაც იმთავითვე ბადებს ექვებს. თუ ეს შეუსაბამობაა, მაშინ, უკეთესმა კანდიდატებმა უნდა გასცენ არასწორი პასუხები. ამდენად ჩვენ ვეძებთ კანდიდატებს, რომლებიც რაშის ანალიზის მიხედვით შეუსაბამოები არიან. მათ შორის ორია ისეთი, რომლებსაც აქვთ უჩვეულო შედეგი მეათე დავალებაში. პირველი კანდიდატის ნომერია 10.

კანდიდატი	ქულა	შესაძლებლობა	შეუსაბამობის ღრებულება
P10	88	3.1725	48.6729

დავალებები უჩვეულო შედეგებით:

დავალება	ნაშთი
I 3	13.90
I 34	8.50
I 60	2.54
I 73	3.77
I 76	2.60

ჩვენ შევისწავლეთ, რომ მეათე კანდიდატმა ტესტში ძალიან მაღალი ქულა მიიღო (88) და გასცა მოულოდნელი პასუხი ორ დავალებას (დავალებები N3 და N10, რომლებსაც აქვთ მაღალი ნაშთები)(2). რადგან ესენი ადვილი დავალებებია, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ან კანდიდატები ნაკლებად იყვნენ კონცენტრირებულები (იმის გათვალისწინებით, რომ ოთხ დავალებაში მათ ასევე უჩვეულო პასუხები აქვთ), ან მათ აქვთ მოულოდნელი ჩავარდნა ცოდნაში, ან ორივე დავალებას აქვს ხარვეზი.

მეორე კანდიდატის რიგითი ნომერია 166.

კანდიდატი	ქულა	შესაძლებლობა	შეუსაბამობის ღრებულება
P166	40	-0.6752	4.8836

დავალება	ნაშთი
I 7	4.22
I 10	4.36
I 61	2.77
I 67	2.57
I 70	4.07
I 72	2.64
I 81	4.64
I 92	4.64

ამ კანდიდატმა რვა დავალებას გასცა უჩვეულო პასუხი. მეათე დავალების შედარებით მცირე ნაშთის ღირებულება ასახავს იმ ფაქტს, რომ ტესტის ჩამზარებელს აქვს საშუალო შესაძლებლობები (40 ქულა) და ამდენად არაა გასაკვირი მისი ამდენი არასწორი პასუხი. აქამდე იმის თქმა შეიძლება, რომ ჩვენ გვაქვს შეუსაბამო დავალება და გვყავს ორი ადამიანი, რომელთა ქცევაც უჩვეულო იყო დავალების შესრულებისას. თუ ამ ორ ადამიანს გამოვაკლებთ ჩვენს ანალიზს, მეათე დავალების შედეგები სხვაგვარი იქნება:

დავალება 10	143	-3.7332	-3.7363
-------------	-----	---------	---------

ახლა დავალება შესაბამისია. როდესაც ვუყურებთ დავალებას და ვერ ვპოულობთ შეცდომებს, მივდივართ დასკვნამდე, რომ ეს კანდიდატების პრობლემაა და არა დავალების. თუ ეს ინსტიტუტის ინტერესებში შედის, შესაძლებელია კანდიდატების პრობლემის შესწავლა. თუ დავალება განხილულია რაშის ანალიზის მიხედვით და ვერ ვხსნით თუ რატომაა პასუხი შეუსაბამო კანდიდატების მცირე რაოდენობისთვის, შესაძლოა ვემეზოთ პრობლემა ტესტში მისი ინსპექტირებისას.

რაშის ანალიზი უშვებს შემდეგ ვარაუდს: ის, რაც უნდა გაზომოს ტესტმა არის უნიგანზომილებიანი. ეს კლასიკური ანალიზის პარალელურია, რომლის მიხედვითაც, თუ კანდიდატი კარგად ავსებს ტესტს, კარგად პასუხობს ყველა დავალებას. რა თქმა უნდა, აქ შეიძლება იყოს ერთზე მეტი განზომილება იმისა, თუ რა უნდა იქნეს შესწავლილი ან მოთხოვნილი, მაგრამ ეს კლასიკურ ანალიზზე მეტად სულაც არ აკნინებს რაშის ანალიზის პრაქტიკულ ღრებულებას.

რაშის ანალიზის კიდევ ერთი მახასიათებელი ისაა, რომ ყველა კანდიდატის მიერ წარმოდგენილი პასუხების მიხედვით ერთი გაზომვის სტანდარტული გადაცდომის ნაცვლად, ის გვამღევს ცალკე სტანდარტულ გადაცდომას თითოეული კანდიდატისთვის. ამდენად:

კანდიდატი	შესაძლებლობა	სტანდარტული გადაცდომა
P28	-5.93	0.82
P31	-3.57	0.41
P3	-0.59	0.27

28-ე კანდიდატი არის ყველაზე სუსტი სამ კანდიდატს შორის (რაც უფრო მაღალია უარყოფითი შესაძლებლობის ღირებულება, მით უფრო სუსტია კანდიდატი) და აქვს სტანდარტული გადაცდომის უმაღლესი მაჩვენებელი. მესამე კანდიდატს აქვს საშუალო შესაძლებლობები (ნულთან ახლოს) და აქვს ყველაზე დაბალი სტანდარტული გადაცდომა. ეს შეესაბამება იმას, რაც ითქვა მეორე შენიშვნაში ქვემოთ. ჩვენ შეგვიღია უფრო დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ მესამე კანდიდატის ქულები შეესაბამება

რეალურ მონაცემებს, ვიდრე იმაში, რომ 28-ე კანდიდატის ქულა უახლოვდება მის რეალურ მონაცემებს.

რაშის ანალიზზე საუბრის გაგრძელება უსარგებლოა. რაშის ანალიზი შეიძლება განსაკუთრებით საჭირო იყოს მაშინ, როდესაც ჩვენ გამოვცდით დავალებებს ხალხის სხვადასხვა ჯგუფებში. მოდით ვთქვათ, რომ ჩვენ გვსურს გამოვცადოთ 170 დავალება. ჩვენ ვიცით, რომ ეს ძალიან ბევრი დავალებაა ერთი ჯგუფისთვის, ამდენად ჩვენ ვყოფთ ორ ჯგუფს. ამ შემთხვევაში შემდეგი პრობლემა გვაქვს: თუ ორ ჯგუფს არ აქვს ერთნაირი ენობრივი შესაძლებლობები, როგორ შევძლებთ შევადაროთ თითოეული ჯგუფის მიერ შესრულებული დავალებების განსხვავების ღირებულება? უფრო ძლიერი ჯგუფი გვიჩვენებს 'სიმარტივის' განსხვავებულ დიაპაზონს, ვიდრე სუსტი ჯგუფი. დავალებებს ექნება შესაძლებლობის განსხვავებული ღირებულება, განსხვავებით იმ შემთხვევისაგან, თუ ტესტს ერთი ჯგუფი შეავსებდა. ამ პრობლემის პასუხია ე. წ. *წამყვანი დავალებები*. გვაქვს დავალებები, სასურველია უკვე ნაცნობი კარგი დავალებები, რომლებსაც ორივე ჯგუფმა გასცა სწორი პასუხი. ამდენად, მითითებულ სიტუაციაში 30 დავალება შეიძლება იყოს წამყვანი. დარჩენილი 140 დავალება უნდა გაიყოს ორ ნაწილად ისე, რომ თითო ჯგუფს ჯამში შეხვდეს 100 დავალება. მას შემდეგ, რაც დავალებები დარიგდება და გასწორდება, რაშის ანალიზს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს საერთო წამყვანი დავალებები და მოაქციოს ყველა დანარჩენი დავალება იმავე დიაპაზონში.

დავალებათა ბანკის ინტენსიური გამოყენებით (დანართი 2), ეს პრაქტიკულად ძალიან ღირებული მახასიათებელია.

დაბოლოს, კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას დავალებების პასუხების ანალიზის შესახებ. იმედი მაქვს, რომ გაჩვენეთ რაშისა და კლასიკური ანალიზის წვლილი ტესტის განვითარებაში. ისინი უნდა ავსებდეს ერთმანეთს და არ უნდა გვიწევდეს რომელიმეს არჩევა. ეს თავი ტესტის სტატისტიკური ანალიზის შესახებ ყველასთვის არ იქნება მოსაწონი. ბევრმა შეიძლება გააკრიტიკოს, ბევრს შეიძლება გული დასწყდეს იმის გამო, რომ საკითხის დამუშავება სქემატურია. მე მხოლოდ იმის იმედი მაქვს, რომ აღმოჩნდება რამდენიმე ადამიანი, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოდ და პოტენციურად სასარგებლოდ ჩათვლის ამ მსჯელობას და ეს უბიძგებს მათ ექსპერიმენტისკენ, სტატისტიკური გამოთვლებისა და საკითხის უფრო ღრმად შესწავლისკენ.

მკითხველის აქტივობები

აქტივობების ხილვა შეიძლება წიგნის ვებგვერდზე.

შემდგომ დასამუშავებელი მასალა

ენის შესწავლისას სტატისტიკის გამოყენების შესახებ იხილეთ ვუდსი, ფლეჩერი და ჰუგესი (1986). დავალებაზე პასუხის თეორიაში შესავლის შესახებ იხილეთ ვუდსი და ბეიკერი (1985). უფრო მეტი ინფორმაციისთვის გაეცანით მაკნამარას მე-5-მე-9 თავებს (1996). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ETA არის პროგრამა, რომელიც ილუსტრაციისთვის

გამოვიყენეთ ამ თავში (და რომლის თანაავტორიც მე გახლავართ), ხელმისაწვდომია დაბალ ფასად წიგნის ვებგვერდზე. აქ დანართთან შედარებით მოცემულია ტესტირების გამოთვლისა და სტატისტიკის უფრო დეტალური ინფორმაცია.

(1) SEM-ის საფუძველზე წარმოდგენილი მტკიცებულებები ნაკლებად ზუსტია, როდესაც მას ვიყენებთ საპირისპირო მონაცემების მქონე ადამიანებთან (ყველაზე ძლიერი და ყველაზე სუსტი კანდიდატები). დავალებზე პახუსის თეორია (იხ ქვემოთ) ნაკლებად ითვისებს ამ ეფექტს.

(2) ნაშთი არის ინდიკატორი იმისა, თუ რამდენად ცუდად შეესაბამება კანდიდატის მიერ შევსებული ტესტი რაშის მოდელს. ამდენად, თუ კანდიდატი მთლიანობაში კარგად შეასრულებს ტესტს, მაგრამ ძალიან მარტივ დავალებებს არასწორად უპასუხებს, თითოეული ამ დავალებისთვის მისი ნაშთი იქნება ძალიან მაღალი. თუ საშუალო სირთულის დავალებას არასწორად უპასუხებენ კანდიდატები, მაშინ მათი ნაშთი შედარებით ნაკლები იქნება. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ მაღალი ნაშთის მქონე დავალებებს, რადგან ეს გვიჩვენებს, რომ კანდიდატის მიერ შესრულებული დავალება მოულოდნელია და ე. ი. არ შეესაბამება მოდელს.

დავალებათა ბანკი

მას შემდეგ, რაც ჩატარდება ტესტის მისაღები სტატისტიკური ანალიზი, შესაძლებელი გახდება ე. წ. დავალებათა ბანკის შექმნა. დავალებათა ბანკი არის წარსულში უკვე გამოცდილი ტესტების დავალებების დიდი კოლექცია, რომელიც დღეს ინახება კომპიუტერში და რომელიც ტესტის შემქმნელების განკარგულებაშია. როგორც წესი, ბანკში დავალებებთან ერთად ინახება:

1. რაოდენობა განმსაზღვრელი კრიტერიუმებისა, რომლებიც უკავშირდება შინაარსს, კლასის დონეს, სილაბუსის ან სახელმძღვანელოს დონეს, ტესტში გამოყენებულ ტექნიკებს და კიდევ მრავალ სხვას.
2. სწორი პასუხი/პასუხები და ქულების დაწერის ინსტრუქციები.
3. დავალების გასაზომი ინფორმაცია, ისეთი როგორიცაა წინა ტესტირებისას გამოვლენილი სირთულის დონე და განსხვავების ინდექსი.
4. შენიშვნები დავალებების შესახებ (როდის იწერება, როდის გამოიყენება და ა. შ.).

მას შემდეგ, რაც ტესტის შემქმნელებს ხელი მიუწვდებათ დავალებათა ბანკზე, ისინი უბრალოდ ირჩევენ მათთვის საჭირო ტესტურ დავალებებს. ისინი ამას კომპიუტერში შესვლით ახერხებენ. მათ შეიძლება დაიწყონ, მაგალითად, ამთვისებული ლექსიკური დავალებებით, რომლებსაც აქვს შესაძლებლობის ღირებულება 0.4-დან 0.6-მდე და რომლებიც უკავშირდება თავიანთ ინსტიტუტში სწავლების მესამე წელს. კომპიუტერი მათ უმაღვე წარმოუდგენს ბანკიდან ყველა იმ დავალებას, რომლებიც პასუხობს კრიტერიუმებს. მათ აქვთ შესაძლებლობა გადახედონ თითოეულ მათგანს და აირჩიონ ტესტისთვის საჭირო დავალება. მას შემდეგ, რაც ისინი აირჩევენ ტესტისთვის მათთვის საჭირო დავალებას და მოამზადებენ ყველა დეტალს, მათ შორის ტესტის სათაურსა და რუბრუკებს, კომპიუტერი უზრუნველყოფს ტესტის ამოსაბეჭდ ვერსიას.

დავალებათა ბანკს რამდენიმე უპირატესობა აქვს:

1. მას შემდეგ რაც ბანკი იქმნება, შესაძლებელია ბევრი რამის შენახვა. აუცილებელი არაა ტესტის ყოველ ჯერზე თავიდან შექმნა.
2. თუ დავალებები ერთხელ უკვე გამოცდილია (ეს საჭიროებს წამყვანი დავალებების გამოყენებას, იხ. დანართი1) და მოთავსებულია ბანკში, ეს იმას ნიშნავს, რომ ტესტი იქნება უფრო ხარისხიანი, ვიდრე გამოუცდელი ვერსია.
3. ფსიქომეტრული ინფორმაცია დავალებების შესახებ გროვდება ტესტის გამოცდის დროს და ეს ნიშნავს იმას, რომ ამ დავალებების მიხედვით შექმნილი ტესტის გაზომვის ხარისხი (დონის სირთულის ჩათვლით) შეიძლება წინასწარ უფრო ზუსტად განისაზღვროს, ვიდრე მხოლოდ ტესტის ავტორების მსჯელობის შმთხვევაში (ტესტირებამდე). ეს, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ერთ წელს შექმნილ ტესტს შეიძლება იგივე პრობლემები ჰქონდეს, რაც წინა წლებში შექმნილ ვერსიას სტანდარტებთან, სამართიანობასთან და სწავლების შეფასებასთან დაკავშირებით.

დავალებათა ბანკის განვითარების პროცედურა ახლავს ტესტის დამუშავების პროცედურას. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ სპეციფიკაციები უნდა იყოს არატესტისთვის, არამედ ბანკისთვის. აგრეთვე, გამოცდის პროცესი - წამყვანი დავალებების გამოყენება - სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დღესდღეობით დავალებათა ბანკი ძალიან მნიშვნელოვანია ტესტირების სერიოზული ორგანიზაციებისთვის. ძლიერი და ხელმისაწვდომი კომპიუტერული ტექნიკის პირობებში დავალებათა ბანკი ძალიან მიმზიდველ შესაძლებლობად იქცა ტესტირების მესვეურთათვის, რომლებიც მომზადებულები არიან, ჩაერთონ საჭირო მცდელობაში.

შემდგომ დასამუშავებელი მასალა

წიგნის ვებგვერდზე შესაძლებელია შემოთავაზებული დავალებათა ბანკის კვლევა.

დანართი 3

კითხვები ახალი ზელანდიის ახალგაზრდული ჰოსტელის შესახებ პასაჟთან დაკავშირებით

1. ახალ ზელანდიაში არის ა) 60-ზე მეტი ჰოსტელი. ბ) 60-ზე ნაკლები ჰოსტელი. გ) ზუსტად 60 ჰოსტელი.
2. ახალ ზელანდიელებს ნაკლებად შეხვდებით ჰოსტელში. სწორია თუ არ არის სწორი?.....
3. რომელი ჰოსტელია თითქმის ყოველთვის სავსე ტექსტის მიხედვით?
4. სად შეიძლება მოინახულოთ ცხვრების მოქმედი სადგომი?
5. დაასახელეთ ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის 'მონთ ქუქი' ასეთი პოპულარული ტურისტებს შორის?
6. რა არის ფრანც იოსების მცინვართან ახლოს მდებარე ჰოსტელის თავისებურება?
7. გვთავაზობს თუ არა ავტორი სხვებისგან გამორჩეულ ერთ კონკრეტულ ჰოსტელს, რომელიც კარგია წყალში ყვინთვისა და სანაპიროზე გარუჯვისთვის?
8. რამდენი ჰოსტელი ემსახურება კუნძულების ყურეს?
9. დაასახელეთ ორი ქალაქი, რომელშიც განთავსებულია ორი ჰოსტელი.
10. რომელ ჰოსტელშია შესაძლებელი ველოსიპეტის დაქირავება?
11. თქვენ შეგიძლიათ ტანსაცმლის გარეცხვა ჰოსტელში. სწორია თუ არასწორია?
12. დონი და ჯინ კამერუნები რატომ ფიქრობენ მსოფლიოს გარშემო მოგზაურობაზე მომავალ წელს?